

ქრისტეფორე რაჭველიშვილი

1926 წ
5/1

საქართველოს

მოკლე ისტორია

დასაბამიდან 1917 წლამდე, ისტორიული რუკით.

გამომცემელი
თომა ჩიქვანაია

ტფილისი—1925 წელი



ქრისტეფორე რაჭველიშვილი

მეცნიერებათა
აკადემიის
სამეცნიერო
კვლევის
სამსახურის
წევრი

4252

საქართველოს
მოკლე ისტორია
(დასაგამითგან 1917 წლამდე)

განმომცემელი
თომა ჩიქვაძე



თბილისი 1925

სტამბა გაზეთ „ზარია ეოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვეთის № 2607. || ტირაჟი 5.000 ე. || მთავლ. 1266

წინასიტყვაობა

ჩვენში ამჟამად საქართველოს წარსულისადმი დიდი ინტერესი დგევს. სამწუხაროდ, ისეთი წიგნი არ მოგვეპოება, რომელშიაც ქართველი ხალხის წარსული დასაბამიდან ჩვენს დრომდე პოპულარულად იყოს მოთხრობილი. სწორედ ეს გარემოება მაქვს მხედველობაში და ამიტომ ვბედავ ამ წიგნის დაბეჭდვას.

ოდესღაც ეს წიგნი დაიწერა სკოლებში სახმარ სახელმძღვანელოდ. სხვადასხვა გარემოების გამო იგი დროზე ვერ დაიბეჭდა. ამა-სობაში სასწავლო პროგრამები ძირითადად გადამტყუავდა და ახალი მოთხოვნილებანი იქნა წამოყენებული. პროგრამასთან შეფარდება წიგნის მთლად გადამტყუავებას მოითხოვდა, მაგრამ ამჟამად ეს ჩემთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი მხოლოდ აქა-იქ შევაგსე, ზოგან კი შევამოკლე. ვბეჭდავ მას იმ იმედით, რომ საშუალო მკითხველისათვის, ვისაც შეძლება და მოცალეა არა აქვს სერიოზული გამოკვლევები წაიკითხოს, ეს წიგნი უეჭველად სასარგებლო იქნება და ჩვენს წარსულზე ასე თუ ისე მთლიან წარმოდგენას შესძენს.

ავტორი.

P. S. წყაროები, რომლითაც ამ წიგნისათვის ვსარგებლობდი, ბოლოშია აღნიშნული.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ისტორიის წყაროები. როგორ და რის მიხედვით იწერება ისტორია? საიდან შეგვიძლია გავიგოთ იმ დროის ამბები, როდესაც ადამიანმა ჯერ კიდევ წერა არ იცოდა, ან იცოდა, მაგრამ იმ დროის არაერთარი წერილობითი საბუთი არ დარჩენილა?

აქ ისტორიას ეხმარება და შევლის—არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ზეპირსიტყვაობა და უცხო ხალხთა მწერლობა. არქეოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიძველეთ-მეცნიერებას. არქეოლოგია შეისწავლის ძველ ნივთებს, ტაძრებს, შენობებს, საფლავებს და ამით იკვლევს, თუ რაგვარი კულტურული და საზოგადოებრივი ვითარება ყოფილა რომელიმე ერის ცხოვრებაში ამა თუ იმ დროს.

მაგალითად ვინმე უცხოელი ჩავიდა ქუთაისს და იქ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ნახა. ეს უცხოელი საქართველოს არც წარსულს იცნობს, არც აწმყოს. მას მხოლოდ უთხრეს, რომ ბაგრატის ტაძარი აშენებულია მე-XI საუკუნეში. ესტყვათ, ამ უცხოელმა ხელოვნება და განსაკუთრებით ძველი არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) კარგად იცის. როდესაც დააკვირდება, შეისწავლის ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმებს და მთელი შენობის სიდიადესაც წარმოიდგენს, ის უეჭველად იტყვის: მე-XI საუკუნის საქართველო კულტურით მაღალ საფეხურზე მდგარაო. უცხოელს შეუძლია ბევრი რამ სხვაც გითხრასთ ბაგრატის დროის საქართველოს დასახასიათებლად. ამგვარად ძველი შენობების, ტაძრების და ნივთების შესწავლა, ე. ი. არქეოლოგია ბევრჯელ ნათელ წარმოდგენას პოავცემს იმ დროზე, რაზედაც ჩვენს სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ლინგვისტიკას. **ლინგვისტიკა ანუ ენათმეცნიერება** იკვლევს, თუ საიდან წარმოსდგა ესა თუ ის ენა, რომელ სხვა ხალხის ენას ჰგავს და ენათესავება. ამ გამოკვლევით ნათელი ეფინება არა მარტო ერის წარმოშობას, არამედ იმასაც, თუ ვის ჰქონია გავლენა ამა თუ იმ ხალხზე და საერთოდ ვისთან სჭერია მას მუდმივი ან შემთხვევითი ურთიერთობა.

ისტორიისათვის ძვირფასი მასალაა აგრეთვე **ზეპირსიტყვაობა**, ხალხური გადმოცემანი და თქმულებანი სხვადასხვა მოვლენებზე.

ზეპირად გადაცემის გამო თქმულებათა შინაარსი ხშირად იცვლება. მას ხან ახალი რამე ემატება, ხან აკლდება. მიუხედავად ამისა, თქმულების ჩონჩხი მაინც რჩება. ხალხურ თქმულებასა, სიმღერებსა და საერთოდ პოეზიაში თითქმის ყოველთვის გამოკრთის რაიმე ისეთი ისტორიული ამბავი, რასაც თვით ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ამიტომ ზეპირსიტყვაობას—ისტორიის ხშირად იყენებს თავის მასალად, როდესაც სხვა უფრო სანდო წყაროები არ მოეპოება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო საბუთებს, სიგელ-გუჯრებს, თანამედროვეთა ნაწერებს, უცხოელ მოგზაურთა მოწმობას, რომელთა მიხედვით ადვილად შეიძლება ამა თუ იმ დროის გაცნობა (იხ. მე-2 გვ.)

ყველა ზემოხსენებულ წყაროებით ფართოდ სარგებლობს საქართველოს ისტორია.

მაგრამ, უპირველესად ყოვლისა იგი სარგებლობს იმ წყაროებით, რომელთაც კერძოდ ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლა აქვთ მიზნად დასახული. ამ მხრით დიდი მნიშვნელობა აქვს პირვანდელ ნაწერებს. ეს ნაწერები უმთავრესად სასულიერო ხასიათისაა. მაგალითად ეგრედწოდებულ წმიდა მამათა ცხოვრების აღწერა ბევრს ისეთ წერილმანს გადმოგვცემს, რაც გვიადვილებს წმინდანის დროის საზოგადოებრივი თუ კერძო ცხოვრების შესწავლას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხო მწერალთა და ისტორიკოსთა მოწმობას და ძველ წარწერებს. კულტურის მაღალ საფეხურზე მდგარი ერი ყოველთვის ძვირფას ცნობებს სტოვებს თავის მეზობლებზე. რაც შეეხება წარწერებს, იქ ხშირად იხსენიება რომელისაჲმე მეფის თუ სარდლის ლაშქრობის ამბავი, მოხსენებულია ხოლმე თუ ვის ებრძოდა, როდის და როგორ გაიმარჯვა. ასეთი წარწერები ქართველთა წინაპარ ტომებს მრავლად აქვთ დატოვებული. თუმცა ყველა ეს წარწერა მეცნიერთაგან ჯერჯერობით სავსებით წაკითხული არაა, მაგრამ რაც წაკითხულია, იგიც დიდ მასალას იძლევა ჩვენი უძველესი წინაპრების თაობაზე.

საქართველოს შესახებ მრავალი ცნობა მოეპოებათ კერძოდ ბერძენთა, რომაელთა და არაბთა ისტორიკოსებს. მათი ცნობების მიხედვით საქართველოს წარსულის ბევრ სადაო საკითხს ნათელი ეფინება. რასაკვირველია უცხოელთა ცნობებს კრიტიკულად უნდა მოვეპყრათ და ბრმად არ უნდა ვერწმუნოთ. უცხო ხალხის ზნე-ჩვეულების, ცხოვრების გაგებმა არც ისე ადვილია და ამიტომ, უეჭველია, უცხოელთა მოწმობაში მრავალი რამ იქნება გადაჭარბებული, ან ყალბად გაგებული.

წმინდანთა ცხოვრებანი 1882 წელს ერთ დიდ წიგნად გამოსცა საბინინმა. ამ წიგნს „საქართველოს სამოთხე“ ეწოდება და დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ისტორია დიდხანს ემყარებოდა ძველი ქართველი მემატიანეების ნაწერებს. საყურადღებოა კერძოდ უძველესი ქართული ისტორიული ნაწარმოები, ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მასში საქართველოს „მოქცევის“, ე. ი. გაქრისტიანების ამბავია მოთხრობილი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მე-10 საუკუნეში შატბერდის მონასტრის (აჭარაშია) ბერებს გადაუწერიათ და ამიტომ ხშირად „შატბერდის ქრონიკასაც“ უწოდებენ. თვით ქრონიკა მე-9 საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი.

მეორე საყურადღებო მათიანე არის „ქართლის ცხოვრება“. იგი მრავალი ისტორიკოსის ნაწერების კრებულს წარმოადგენს. „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის წერა, ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევით, უკვე მე-8 საუკუნეში დაუწყიათ. ძველი ისტორია აქ მოთხრობილია იმ წყაროთა მიხედვით, რაიც ავტორს იმ დროს ხელთ ჰქონია. მრავალი რამ არის იქ შეტანილი ისეთი, რაიც ხალხში დარჩენილი თქმულებების ელფერს ატარებს. დაახლოებით მე-11 საუკუნიდან მისი წერა დაუწყიათ უკვე თანამედროვეებს. ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები სანდოა უფრო მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც ნახულ ამბებს თვით მნახველნი და მონაწილენი გადმოგვცემენ. „ქართლის ცხოვრება“ იმ სახით, როგორც დღეს გვაქვს, პირველად შეკრიბა, დააწყო და ოდნავ შეასწორა კიდეცა მე-18 საუკუნის დამდეგს ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებულმა კომისიამ. ეს კომისია შეადგინეს მეფე ვახტანგ მე-VI ბრძანებით. ყველა ძველი ხელთნაწერი შეაგროვეს, ერთმანეთს შეადარეს და შემდეგ დაჰბეჭდეს კიდეც. ეს მიტომ მოახდინეს, რომ „ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გარყვნილიყო“.

ძვირფასი ნაშრომები დაგვიტოვა აგრეთვე ბატონიშვილმა ვახუშტმა, რომელიც მე-18 საუკუნეში სცხოვრობდა (1694—1776 წ. წ.) მან დასწერა ორი წიგნი: „საქართველოს ისტორია“ და „საქართველოს გეოგრაფია“. მისი თხზულება საისტორიო წყაროების საფუძვლიან შესწავლაზეა დამყარებული. „ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა ვახუშტმა შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელ სრულ და განუსაზღვრელ ნდობის მიგიერ იგი გაბედულად მათს კრიტიკულ განხილვას შეუდგა, მათი სხვადასხვაგვარი ნაკლულევაანება გამოაშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა“ (პროფ. ივ. ჯავახიშვილი). ვახუშტის მიერ დაწერილ

„ისტორიას“ წინ უძღვის „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. ეს შესავალი საქართველოს და ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების, სარწმუნოების და სამართლის, შინაური ყოფა-ცხოვრების ისტორიულ მიმოხილვას შეიცავს და როგორც მასალა, ძალიან ძვირფასია.

ვახუშტისავე „საქართველოს გეოგრაფია“ ფრიად დიდ განძს წარმოადგენს. აქ აწერილია საქართველოს ყოველი კუთხე დაწვრილებით და შიგ ჩართულია მრავალი ისტორიული ცნობა ციხე-ქალაქების, ეკლესია—მონასტრების, სასახლეების, არხების, ხიდების აგების დროის შესახებ და სხვ.

გარდა წმინდა საისტორიო ნაწარმოებთა, მრავლად არის დარჩენილი სხვადასხვა საკანონმდებლო საბუთები, სიგელ-გუჯრები და სხვა. ეს სიგელ-გუჯრები დაბეჭდილია რამდენსამე ტომად, რომელთაც ეწოდება „საქართველოს სიძველენი“. სახელმწიფო წყობილებისა, სამართლისა და საზოგადოების სხვადასხვა წრეების უფლებამოვალეობის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ვახტანგ მე-VI მიერ მე-18 საუკუნეში შედგენილ „დასტურლამალს“ და ეგრედწოდებულ „ვახტანგის კანონებს“. ვახტანგის ბრძანებით შეადგინეს კრებული კანონებისა, რომლის მიხედვითაც უნდა ემოქმედნა სამართლოს. იქ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი წოდებათა: გლეხთა, აზნაურთა უფლებანი და მოვალეობანი და ძველი საქართველოს ცხოვრების ნათელ სურათს იძლევა.

კავკასიის თავდაპირველი მკვიდრნი არიან თუ არა ქართველები. დღევანდელ საქართველოს ამიერ-კავკასიის დასავლეთი ნაწილი უჭირავს და უფრო შავ ზღვას ეკვრის. უხსოვარ დროიდან, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, ქართველთა ერთ-ერთი ტომი, კოლხები უკვე მოსახლეობდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას. ამას მოწმობს ბერძენთა სახელგანთქმული ისტორიკოსი ჰეროდოტე. ამნაირად ქართველები ერთ-ერთი უძველესი ერთაგანია მთელ ქვეყნიერებაზე და უძველეს ხანაშივე დასახლებულა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ საკითხავია, ქართველები კავკასიის თავდაპირველი მკვიდრნი, ეგრედწოდებული ავტოხტონები არიან, თუ თავის დღევანდელ სამშობლოში გარედან მოსულან საიდანმე?

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ისტორიის გარიჟრაჟზე, ეგრედწოდებულ პალეოლითის პერიოდში ამიერ-კავკასიას თავისი მკვიდრნი ჰყოლია. რასაკვირველია, ისტორიამ იმ მკვიდრთა შესახებ ძლიერ ცოტა რამ იცის. ერთი რამ კი ცხადია: კავკასიის ავტოხტონები ქარ-

თველები და სომხები არ ყოფილან. გერმანელმა პროფესორმა ვირხოვმა და სხვა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქართველები და სომხები თავმოკლები ანუ ბრახიკეფალები არიან. უძველეს საფლავებში ნაპოვნი თავების გაზომვამ კი ნათელჰყო, რომ წინად ჩვენს ქვეყანაში თავგრძელები ანუ დოლიხოკეფალები ცხოვრობდნენ. მაშასადამე ქართველები ამიერ-კავკასიაში პირველად შემდეგ, უკვე ისტორიულ ხანაში მოსულან. მათ, უეჭველია, ადგილობრივ მკვიდრებთან ბრძოლა ჰქონიათ. ნაწილი თავდაპირველი მკვიდრებისა ბრძოლაში გაწყვეტილა, ნაწილი ჩრდილოეთს გაქცეულა, ნაწილი კი დარჩენილა და გამარჯვებულებში გათქვეფილა. კავკასიის მთიელები თავგრძელები ანუ დოლიხოკეფალები არიან. უეჭველია, მათ სისხლში ურევია სისხლი იმ ხალხისა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების მოსვლამდე ცხოვრობდა და მერე იძულებული იყო ჩრდილოეთს გარდახვეწილიყო.

მაგრამ როდის და საიდან მოვიდნენ ქართველები კავკასიაში? მეცნიერების აზრით ეს დაახლოებით მოხდა მე-XI—X საუკუნეს ქრისტეს წინ. ამ ხანებში ქართველების ნაწილი უკვე შემოსული იყო დღევანდელ საქართველოში. მაშასადამე, იყო ისეთი დრო, როდესაც ქართველთა წინაპარი ტომები სხვაგან სცხოვრობდნენ. მეცნიერებამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ ქართველთა წინაპრების პირვანდელი სამშობლო იყო ტიგრისა და ეფრატის სამხრეთი ნაწილი, ეგრედწოდებული ქალღუ ანუ შუმერების (სუმერების) ქვეყანა. დროთა ვითარებაში, კავკასიაში მოსვლამდე, ქართველთა მონათესავე ტომები მოსახლეობდნენ მესოპოტამიასა, მთელ მცირე აზიასა, ვან-არარატის მიდამოებსა და სხვა ადგილებში.

ქართველი ხალხის ისტორიის უძველესი ხანა ეწოდება სწორედ იმ ხანას, როდესაც ქართველთა ტომები დღევანდელ საქართველოს გარეშე ცხოვრობდნენ და ცალკე სამეფოები ჰქონდათ.

ძველი ისტორიის ხანა იმ დროიდან იწყება, როდესაც ქართველები ამიერ-კავკასიაში დასახლდნენ (მე-10—7 საუკუნიდან ქ. წ.). იგი გრძელდება მე-7 საუკუნემდე ქრისტეს შ. (არაბთა შემოსევამდე).

შუა საუკუნეობად საქართველოს ისტორიაში ითვლება ხანა არაბთა შემოსევიდან მე-15 საუკუნემდე, როდესაც საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცდა.

ახალი ისტორიის საგანია ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი მე-15 საუკუნედან მოყოლებული ჩვენს დრომდე.

იაფეტური თეორია და ქართული ენა. ჩვენ ვსთქვით, რომ ქართველთა წინაპარი ტომები საქართველოდან ბევრად უფრო სამხრეთად სცხოვრობდნენ. ჯერ კიდევ 4000 წლის წინად ქრისტეს წინ.

მესოპოტამიასა, მცირე აზიასა, ვან-არარატის, გოგჩის ტბისა და სხვათა მიდამოებში ბინადრობდენ სახელგანთქმული და განათლებული ერები: ელამელნი, ხეთები, შუმერები (სუმერები), ურარტელები, მიტანები და სხვა. ამ კულტუროსანიმა ერებმა მრავალი წარწერა დაგვიტოვეს, რომელთა წაკითხვისათვის მეცნიერებამ ბევრი შრომა გასწია. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ზემოხსენებული კულტუროსანი ერები უმემკვიდროდ გადაშენებულან და ამჟამად მათი მონათესავე აღარავინ მოიპოება.

მეორე მხრით გამოუჩვენებელი იყო ქართული ენის ადგილი ენათა არსებულ ჯგუფებსა და ოჯახებში. ქართული ენა არც ერთ არსებულ ენას არ ენათესავება და არც ერთს ჯგუფს არ ეკუთვნის. მრავალი თეორია იყო წამოყენებული: ზოგი ქართულს არსულ (ეგროპიულ) ენათა ჯგუფს აკუთვნებდა (ფილოსოფოსი ლეიბნიცი, ბროსე, ბოპპი), ზოგი თურანულ ენათა ოჯახს (მ. მიულერი), ზოგი კიდევ მას სრულიად დამოუკიდებელ, კავკასიის ენათა ჯგუფს აკუთვნებდა (კლაპროტი, შლეინერი, პოტი, ა. ცაგარელი და სხვანი). ბოლოს ეს უკანასკნელი აზრი, რომ ქართული ენა თავის კილოკავებით განსაკუთრებულ დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენს, საყოველთაოდ აღიარებული შეიქნა. მაინც გრძელდებოდა კვლევა-ძიება და ქართულის შედარება ძველი წარწერების ენებთან. პირველად ლენორმანმა გამოსთქვა აზრი: ურარტელების (ერთი უძველესი კულტუროსანი ერი იყო, ვან-არარატის მიდამოებში მცხოვრები) ენა თუ ენათესავება რომელსამე ენას—მხოლოდ ერთად-ერთ ქართულსაო.

პროფ. ნ. მარმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ქართულს თავისი დიალექტებით—მეგრულითა და სვანური მართლაც განმარტობებული ადგილი უჭირავს. იგი ეკუთვნის იმ ენათა ჯგუფს, რომელზედაც ზემოხსენებული კულტუროსანი ერები: ელამელნი, შუმერები, ურარტელნი და სხვანი ლაპარაკობდენო. ვინაიდან ენების ამ ჯგუფს ენათესაობა აქვს სემიურ ენათა ოჯახთან (ებრაული, არაბული, ეგვიპტური და სხვ.), სამიტომ მან ენათა ამ ჯგუფს **იაფეტურ ენათა** ჯგუფი დაარქვა (ბიბლიაში იაფეტი სემის ძმად არის მოხსენებული). ამ იაფეტურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის აფხაზურიც. იაფეტურ ენებში, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ, მხოლოდ ერთად-ერთი ქართულია განვითარებული, როგორც კულტურისა და ლიტერატურის ენა და ასეთად არის მიჩნეული ყველა ქართველი ტომის მიერ.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველო ლიხის მთით თავიდანვე განიყოფებოდა ორ ნაწილად: დასავლეთად და აღმოსავლეთად.

დღეს ამ ნაწილებში შემდეგი პროვინციებია: კახეთი, ქართლი; თუშ-ფშავ-ხევსურეთი, (აღმოსავლეთში) იმერეთი, სამეგრელო, გურია, სოხუმის ოლქი, აჭარა-ქობულეთი, ლეჩხუმ-სვანეთი, რაჭა.

ახლანდელ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეშე ცხოვრობენ ლაზები (ოსმალეთის ლაზისტანი და ინგილოები (ზაქათალის ოლქი აზერბეიჯანში).

საქართველო მთავორიანი ადგილია და ტყეც ბლომად მოიპოვება. მთელი ჩვენი მიწა-წყალი მოფენილია ხეებით და მდინარეებით. აღმოსავლეთ საქართველოს რწყავს: ალაზანი, იორი, მტკვარი, არაგვი, ქსანი, ლიახვი და სხვ. დასავლეთ საქართველოს: რიონი თავის შენაკადებით ((ცხენის წყალი, ყვირილა), ენგური და ჭოროხი. მცხოვრებნი საერთოთ მოსახლეობენ ხეობებსა და მდინარეთა მიყროლებით.

არის ცნობები, რომ ძველად, როცა ჩვენში ტყე უფრო ბლომად იყო, მდინარეებიც უფრო დიდი იყო. რიონსა და მტკვარზე გემებიც დადიოდნენ. მაგრამ საერთოდ მდინარეებს ჩვენში სრულიად ის მნიშვნელობა არა ჰქონია, რაც სხვა ერთა ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ პირვანდელი ცივილიზაციები მდინარისეული ცივილიზაციები იყო. ეგვიპტის ერთ სახელმწიფოდ ჩამოქნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარე ნილოსს, წლის განსაზღვრულ დროს მთელი ეგვიპტე ნილოსის ადიდებას უცდიდა და მის მიერ დატოვებული შლამი ანაყოფიერებდა ბუნებით მწირ ქვეყანას. მთელი სახელმწიფო ზრუნავდა იმისათვის, რომ მდინარის დაშრობის დროს ხალხს და ნათესებს წყალი არ დაჰკლებოდა. ხელოვნური ტბებისა და დიდ-დიდი არხების გაყვანა-დიდძალავე მუშა-ხელს, გაერთიანებულ ძალას მოითხოვდა. ამიტომ ეგვიპტეში მდინარე ისევე როგორც ალბად ქალღუსა და ბაბილონში—გამაერთიანებელ როლს თამაშობდა და სახელმწიფოს პოლიტიკურად ჩამოყალიბებასაც ხელს უწყობდა.

სულ სხვა იყო საქართველოში. უამრავი პატარა ხეები წყალს უხვად იძლეოდა, ასე რომ საამისოდ დიდი ზრუნვა ქართველებს არ სჭირდებოდათ, თუმცა ძველად საარხო მუშაობას, უეჭველია ეწეოდნენ. გაერთიანების ხელის შეწყობის მაგივრად, ეს ხეები, პირიქით, თემთა დაახლოებას აბრკოლებდნენ. თვითეული თემი თუ ხევი აითქმის მთლად მოწყვეტილი იყო დანარჩენებს და მათს შორის-გზა გარდუვალი მთებით იყო დახშული. ამიტომ ცალკ-ცალკე ხეები და-მოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ამ გეოგრაფიულმა გარემომებამ ძალიან დააბრკოლა საგვარეულო წესის მოშლა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება.

შემდეგში ფეოდალურმა წყობილებამ ამ განცალკევების მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და ქართველი ხალხის ერთად ჩამოქნა ფრიად შეაფერხა. თემობრივ-ხეობრივი ცხოვრების მიერ საუკუნოების განმავლობაში განმტკიცებული პარტიკულიარიზმის ნაშთები დღესაც კი ცოცხალია საქართველოში. ეს ცხადად სჩანს ქართველი ხალხის სხვა და სხვა პროვინციის მცხოვრებთა ჩაცმა-დახურვასა, ზნე-ჩვეულებასა, იერსა და ლაპარაკში.

თუმცა დასავლეთით საქართველოს შავი ზღვა აკრავს, მაგრამ ქართველი ტომები, ლაზების გარდა, მეზღვაური ხალხი არ იყო. ამ მხრით ჩვენ ბერძნებს უფრო ვგავდით. ძველი ფინიკიელების პატარა ნაფეხმა თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიო მოვლეს. ქართველობა ნაოსნობის ნაკლებად ეტანებოდა და კავკასიაში დასახლების შემდეგ უმთავრესად მიწის მუშაობას ეწეოდა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ერთის მხრით კიდევ იყო საყურადღებო: ორ ზღვას შუა მოქცეული საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იყო გზა ევროპისა აზიისაკენ. ამ გზის ხელში ჩასაგდებათ მედგრად იბრძოდნენ ძველი დროის მძლავრი სახელმწიფოები: სპარსეთი, რომი, შემდეგ ბიზანტია. ამიტომ ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მდებარეობა, მისი ბუნების სიმდიდრე იზიდავდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და ჩვენს ტერიტორიაზე ხშირად ხდებოდა მათი შეტაკება. გეოგრაფიული მდებარეობა, აწნაირად, ჩვენს ისტორიულ ბედზე დიდ გავლენას ახდენდა და ჩვენი წარსულის შესაცნობად ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ.

უკველასი ხანა

იაფეტელთა სახელმწიფონი. უკვე აღვნიშნეთ, რომ იაფეტელთა ტომებს (ქართველთა შორეულ წინაპრებს) ერთ დროს თითქოს მთელი წინა აზია ეჭირათ და სამხრეთით მათი მოსახლეობა სპარსეთის ყურემდე აღწევდა. ამ ტერიტორიაზე არსებობდა სხვადასხვა დროს რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო. ეს სახელმწიფოები კულტურის მაღალ საფეხურზე იდგნენ და განვითარებული პოლიტიკური წყობილება ჰქონდათ. იაფეტელთა რასის (მოდგმის) „მრავალრიცხოვანი ხალხები სისხლ-ხორციით ერთ ნათესაურს ოჯახს შეადგენდნენ. იაფეტელთა ოჯახს ძმური ნათესაობა აქვს სემიელთა ოჯახთან, მაგრამ ისინი ერთი და იგივენი როდი არიან. იაფეტელებს ერთმანეთთან აკავშირებდათ ასტრალური ტიპის რელიგიური რწმენანი, აგრეთვე ერთიანობა კულტისა, რომელშიაც ქურუმები უპირველეს როლს თამაშობდნენ. ამის გამოა, რომ მათს (ქურუმების) ხელში ჩავარდა პოლიტიკური ხელისუფლება და მათი წრიდან წარმოსდგა ღვთაებრივი ანუ კეთილშობილთა წოდება, ადგილობრივ მკვიდრთა არისტოკრატია. იაფეტელებს აერთებდა აგრეთვე მატერიალურ კულტურის, უპირველეს ყოვლისა მეტალურგიის დარგში მინალწევთა ერთიანობა... მიწათმოქმედებისა და ბაღოსნობის ფრიად დიდი განვითარების, მორწყვის მაღალი ტექნიკის შესახებ მოწმობას ვაოულობთ როგორც არქეოლოგიურ, ისე ენურ მასალებში. წყალრწყვის უზარმაზარ შენებულობათა გარდა ხვენ ვხედავთ მათში მაღალი ტექნიკის მიხედვით ადგილობრივი ქვისაგან აგებულ შენობებს, ციხე-ქალაქებსა და ქალაქთა ალაყაფის კარებთან ვაჭრობას“ (ნ. მარი).

იაფეტელ ტომთა ძლიერება ჯერ სემიტების, ხოლო შემდეგ ინდო-ევროპიელთა (არიელთა) ხალხების შემოსევებმა მოსტება და გაანადგურა. მე-7 ე საუკუნეში ქ. წ. იაფეტელთა უკვე არც ერთი სახელმწიფო აღარ არსებობდა: ყველანი უცხოელებს დაემორჩილებინათ და დაეწვრიათ.

როგორ მოხდა ეს? იაფეტელთა ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანი, რომელიც სხვადასხვა ძველ წარწერებში პირველად იხსენიება — შუმერთა სამეფოა. იგი არსებობდა უკვე 4 ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე. შუმერები სცხოვრობდნენ მდ. ტიგრის

და ეფრატის სამხრეთ მიდამოებში სპარსეთის ყურემდე. თვითონ შუმერები თავის ქვეყანას ხალდუს ანუ ქალდუს უწოდებდნენ. შუმერები კულტურული და განათლებული ხალხი იყო. მათ ჰქონდათ დიდი ქალაქები, რომელნიც ამასთანავე სარწმუნოებრივ ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. ჰქონდათ აგრეთვე საკუთარი ლურსმული მწერლობა და სარწმუნოება—მნათობთა თაყვანისცემა. ამ სარწმუნოების გამო შუმერებმა ადრე დაიწყეს მნათობთა შესწავლა და მათზე პირველად განვითარდა ვარსკვლავთმრიცხველობა. შუმერების (ქალდების) გამოგონილია დროის გაყოფა წელიწადებად, თვეებად, კვირებად, დღეებად და საათებად. შუმერთა სამეფო არსებობდა დაახლოებით 3500 წლამდე. ამ დროს კი ეს ქვეყანა სემიტურ ტომის ხალხმა—ბაბილონელებმა დაიპყრეს. დამპყრობელნი კულტურა-განათლების მხრით შუმერებზე ბევრად დაბლა იდგნენ და ძალა უნებურად მათს გავლენას განიცდიდნენ. ბაბილონელთა ბატონობის დროებშიაც შუმერთა ენა დარჩა სარწმუნოების და ღვთისმსახურების ენად. დამპყრობელები დიდხანს იყვნენ დამორჩილებულთა გავლენის ქვეშ.

ჩვენამდე მოუღწევია რამდენსამე საბუთს, რომელიც მოწმობს, რომ შუმერებს დაწერილი კანონებიც კი ჰქონიათ. მეცნიერებმა აღმოაჩინეს შუმერების ეგრედწოდებული „საოჯახო სამართლის“ რამდენიმე პარაგრაფი და აგრეთვე კანონთა კრებულის ნაწყვეტები. როდესაც ეს კანონები შეადარეს ბაბილონელთა მერმინდელ (ქამურაბის) კანონებს, ნათელი გახდა, რომ შუმერები ბაბილონელებზე კულტურა-განვითარებით ბევრად ალლა მდგარან. კანონთა კრებულის ერთ-ერთი პარაგრაფი ეხება ბალის საიჯარო პირობებს, აღწუსხავს, თუ რამდენი უნდა გადაახდევინონ დამნაშავეს სხვის ბაღში მოჭრილ ხეში, ან სხვის ბაღში შეჭრისათვის და სხვ.

საოჯახო ცხოვრების დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთ ამონაწერს: „თუ კაცს თავის ცოლისაგან შვილი არ ეყოლება და თუ ქუჩიდან მოსულმა ქალმა მას შვილი მიანიჭა, დაე მან (მამაკაცმა) ამ ქალს მისცეს საჭმელ-სასმელი, ზეთი საცხისათვის და ტანისამოსი. ქუჩის ქალისაგან ნაყოლი შვილი—ნამდვილი მისი მემკვიდრეა, მაგრამ ვიდრე მამაკაცს ცოლი ცოცხალი ჰყავს, დაე ნუ იცხოვრებენ ქუჩის ქალი და ცოლი ქმრის სახლში ერთადო“.

ქალდუ რომ ბაბილონელებმა დაიჭირეს, შუმერები ჩრდილოეთისაკენ გამოემართნენ და მათი უმრავლესობა გაიფანტა მესოპოტამიაში (ტიგრსა და ეფრატს შორის). აქ იაფეტელთა ტომებში პირველობა გამოიჩინეს მიტანებმა, რომელთაც დაარსეს ძლიერი სამეფო სამი ათასი წლის წინად ქრ. დაბ-დღე. მიტანთა სამეფოს სატახტო

ქალაქად ხარანი ითვლებოდა. მიტანები სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ ბაბილონელების წინააღმდეგ და ხშირად ამარცხებენ კიდევაც. მათ კავშირი ჰქონდათ ბაბილონელთა მტერ ეგვიპტელებთან და მე-15 საუკუნეში ქრ. დაბ. დე, მიტანელთა მეფის ტუშრატას დროს, მიტანებმა და ეგვიპტელებმა დაამარცხეს რა ბაბილონელები, წაართვეს მათ ქალ. ნინეცია. მიუხედავად სიძლიერისა, ვერც მიტანებმა გაუძლეს გარეშე მტერთა შემოსევას და ბოლოსდაბოლოს დამარცხდნენ. მე 14 საუკუნეში ქრ. წ. მათ თავს დაესხნენ ასურელები, ქრავალი ხალხი ამოსწყვიტეს და იტანთა სამეფო დაიმორჩილეს. მიტანები იძულებული იყვნენ აქეთ იქით გაუანტულიყვნენ. ზოგიერთმა მათგანმა მიაშურა ეფრათიდან დასავლეთად მდებარე ადგილებს (კაპადოკიას), ხოლო სხვები დასახლდნენ ვან-არარატის და მდ. არაქსის მიდამოებში.

შუმერების და მიტანების გარდა ძველ იაფეტელთა ისეთს ტომებში, რომელთაც თავი გამოიჩინეს, უნდა დავასახელოთ: ხეთები, მესხნი, ანუ მუსკები, ნაირის ქვეყანა, ალაროდელინი (ურარტელები) და თუბალები ანუ ტიბარენები (იბერები). ხ ე თ ე ბ ი მოსახლეობდნენ ჩრდილოეთ კაპადოკიაში და შავი ზღვის სამხრეთ ნაპირებზე. მათ ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ და განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწიეს მე-XIII ს. ქრ. წ. ხეთების გამოჩენილი მფუფთაგანი იყო ხ ე თ ა ს ა რ ი, რომელმაც სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო ეგვიპტის ფარაონ რამზეს მეორესთან. ამ ხელშეკრულების ტექსტმა ჩვენ დრომდე მოაღწია. არც ხეთების ძლიერება ყოფილა ხანგრძლივი. იმავე მე-XIII საუკუნის დამლევს იწყება მათი დაუძლურება და სახელს გაითქვამენ სხვა იაფეტელი ტომები-მესხნი და კოლხები.

მესხები მოსახლეობდნენ მდ. ეფრათიდან მოყოლებული დასავლეთისაკენ მდ. ჰალისამდე (ეხლანდელი ყიზალ-ირმაკი). კოლხები მათ ჩრდილო აღმოსავლეთით სცხოვრობდნენ. ეს ორივე ტომი დიდ ბრძოლას ეწეოდა მომძლავრებულ ასურელებს წინააღმდეგ. იყო დრო, როდესაც კოლხებმა და მესხებმა ასურელებს ჩამოაცალეს ზოგიერთი ნაწილი მათი სამეფოისა. მაგრამ მე-9 საუკუნეში ქრ. წ. ასურელებმა არამც თუ მოიგერიეს მესხ კოლხთა იერიშები, არამედ თვით ისინიც დაიმორჩილეს და ხარკი დაადვეს.

მესხებისა და კოლხების აღმოსავლეთად იყო ქვეყანა ა ი რ ი, დასახლებული იაფეტელ ტომით. მე 9 საუკუნეში ნაირის ქვეყანაც ასურელებმა დაიმორჩილეს და შემდეგ მისდგნენ თუბალებს ანუ ტიბარენებს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ასურელებმა ისინიც დაამარცხეს და იძულებული ჰყვეს სამშობლო მიეტოვებინათ.

ყველა ზემოხსენებული ტომი კულტურა-განათლების მაღალ საფეხურზე იდგა: ჰქონდა მწერლობა, ჩამოყალიბებული სარწმუნოება და სახელმწიფო წყობილება. მიწათმოქმედების გარდა, მესხები, კოლხნი და ტიბანერები, მაგალითად ამუშავებდნენ მანდიულობას. ეს დარგი განსაკუთრებით იყო მათში განვითარებული.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი იაფეტელ ტომთა შორის ურარტელები ანუ ალაროდიელნი იყვნენ. ურარტელები სცხოვრობდნენ არარატის მიდამოებში და აქედანვე წარმოსდგა მათი სახელწოდება (ურარტუ). თვითონ ურარტელები თავის ქვეყანას ქალდუს ეძახდნენ. მათ ჰქონდათ საკუთარი ლურსმული ანბანი, განვითარებული სარწმუნოება და სახელმწიფო წყობილება. ურარტელებს ჰქონდათ აგრეთვე შესანიშნავი სამხედრო წესები და ვარჯიშობანი, რის გამო ისინი მეზობლებს ხშირად ამარცხებდნენ. ურარტელებს კავშირი ჰქონდათ მესხებსა და ტიბარენებთან—ასურელებთან საბრძოლველად. მიუხედავად ამისა, მე-8 ს. ქრ. წ. მაინც ვერ ასცდნენ იაფეტელების საერთო ბედს: ისინი დაბყრობილ იქმნენ ასურელების მიერ. ჩვენამდე მოუღწევია წარწერებს ურარტულ (ალაროდიულ) ენაზე, რომელიც მეცნიერთა აზრით ქართულს ენათესავება.

ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ტომი იაფეტელებისა ელამელები. მათი სამეფო მდებარეობდა ქალდუს აღმოსავლეთით. ე. ი. ტიგრისა და ეფრატის აღმოსავლეთად. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში (2400 წლიდან ვიდრე 605 . ქრ. წინ) ელამელები განუწყვეტლივ ებრძოდნენ ბაბილონსა და ასურეთს. ამ ბრძოლაში ისინი ხშირად იმარჯვებდნენ ხოლმე და ბაბილონისა თუ ასურეთის ტახტზე თავისი მომხრეები აპყავდათ. ამავდროის გამარჯვებულნი ხარკსაც ჰკრეფდნენ დამარცხებულთა ქვეყნებში. ელამელებიც განათლებული, დაწინაურებული, ხალხი იყო და მეზობლებზე კულტურული გავლენა ჰქონდა. მე-7 საუკუნეში ქრ. წ. ისინი და ასურელები დაიმორჩილეს ინდო-ევროპიელთა ტომებმა (არიელებმა).

არიელთა შემოსევა. როგორც ზემოხსენებულიდანა სჩანს, ქართველი (იაფეტელი) ტომები სემიტების თავდასხმათა გამო, იძულებულნი გახდნენ სამშობლო მიეტოვებინათ და ნელ ნელა მოიწვედნენ ჩრდილოეთისაკენ. ამას მე-8 საუკუნიდან მეტად ხელს უწყობდა მცირე აზიასა და მთლად კავკასიაში ინდო-ევროპიელთა (არიელთა) ველური ტომების შესევა: არიელი ხალხები: კიმერიელები, სკვითები და მიდიელები პირველად გამოჩნდნენ მერვე საუკუნის დასაწყისში. 607 წელს კი მიდიელთა მეფე კიაქსარმა უკვე ძლიერი ასურეთიც დაიპყრო. ამასთანავე ერთად დამორჩილებულ და შემდეგ მოსპობილ იქნენ მცირე

რე აზიის ის სახელმწიფოებიც, ოდესღაც ასურელებს რომ ემორჩილებოდნენ. ამის გამო მრავალი ქართველი ტომი სტოვებს ძველ სამშობლოს და მდ. არაქსის, მტკვრის, რიონის, ქოროხის და სხ. მიდამოებში სახლდება. ამ დროიდან იწყება ქართველი ტომების მიერ საქართველოს დღევანდელ ტერიტორიის დაქვრა.

ქართველების დაბინავება საქართველოში. ქართველი ტომები საქართველოს დღევანდელ მიწა-წყალზე უცებ და ერთად არ მოსულან. ისინი ნელ-ნელა მოიწვიდნენ ჩრდილოეთისაკენ და თანდათანობით ავსებდნენ საქართველოს. დანამდვილებით გამოჩვენებული არაა, რომელი ტომი უფრო ადრე მოვიდა საქართველოში და რომელი გვიან. მიუხედავად ამისა ჩვენ ვვაჭვს ზოგიერთი ცნობები, რომლის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დაახლოებითი სურათი ქართველი ტომების სვლისა საქართველოსაკენ. პირველად მოსულან კოლხები (კასკები) და მესხები. კოლხებს დაუჭერიათ შავი ზღვის ნაპირები, ახლანდელი კახეთი და დასავლეთ საქართველოს უმეტესი ნაწილი. ამიტომ დასავლეთ საქართველოს დიდი ხნის განმავლობაში კოლხეთს (კოლხიდას) უწოდებდნენ. მესხები დასახლებულან ახლანდელ ზემო ქართლს და საქართველოს ამ ნაწილს დღესაც მესხეთი ჰქვია. კოლხებსა და მესხებს შემდეგ გამოჩენილან სვანები და ტიბარენები (თუბალები) თავის მეზობელ ქანებითურთ. ქანები ანუ მოსხინიკები, როგორც მათ უწოდებდნენ ბერძნის მწერლები, წინაპრები არიან ახლანდელის მეგრელებისა და ქსნებისა (ლაზებისა). მეგრელებსა და ქსნებს დღესაც ენა თითქმის ერთნაირი აქვთ. ყველაზე გვიან საქართველოში ქართველი (ქალდები) მოსულან. ისინი დასახლებულან უმთავრესად იმ მიწა-წყალზე, სადაც ახლა ქართლია.

ზემოხსენებულ ტომებში ყველაზე ძლიერი ჯერ მესხები და კახნი იყვნენ, შემდეგ ტიბარენები, რომელთა სახელიდან წარმოსდგა აღმოსავლეთ საქართველოს სახელი— „იბერია“. ძველი ისტორიის ბოლო ხანებში პირველობა ქართველთა მოიპოვეს და აქედან წარმოსდგა მთელი ჩვენი ქვეყნის სახელწოდება— „ქართლი“ და „საქართველო“.



ქველი ისტორია

1. მე-5 საუკუნიდან ქრისტიანობის გილვაამდე.

ქართველი ტომები მე-5 საუკუნეში. ბერძენთა ისტორიკოსი ჰეროდოტე (სცხოვრობდა მე-5 ს. ქრ. წ.) თავის „ისტორიაში“ ასახელებს ტომებს, რომელნიც საქართველოს ახლანდელ ტერიტორიაზე სცხოვრობდნენ. ესენი არიან: მესხნი ანუ მოსოხნი, ტიბარენები (თუბალი, იბერი), მაკრონები (მეგრელები), ალაროდელნი (იგივე ჟრარტელები), კოლხები, მათიენები (მიტანები) და სასპირები (იბერიელთა მეზობელი ერი იყო). ჰეროდოტე შემოხსენებულ ტომთა მიწა-წყალს შემდეგნაირად ასწერს:

„სპარსთა ზემოდ, ჩრდილოეთით მიდიელები სცხოვრობენ, მიდიელებს ზემოდ—სასპირები, სასპირებს იქით კი კოლხები. ეს უკანასკნელნი მოსახლეობენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის ფასიდი (რიონი). ამ ოთხ ხალხს უჭირავს ქვეყანა ზღვიდან ზღვამდე“. კოლხებს სჭერიათ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები. მაკრონებს ჰეროდოტე კოლხების მეზობლებს უწოდებს. ამ ხალხთა ტერიტორიას ეკრა აგრეთვე მიწა-წყალი მოსხების (მესხების), ტიბარენების და მოსინაკებისა (ჭანების).

მე-6 ს. ქრ. წ. არიელთა ტომებში პირველობა სპარსელებმა მოიპოვეს. სპარსელებმა იქამდე ძლიერი მიდიელები დაამარცხეს (510 წელს) და ბაბილონი დაიპყრეს (539 წ.). იმ დროსვე მათ დაიმორჩილეს ქართველი ტომებიცა. ბერძენთა იმავე მწერლის ჰეროდოტეს მოწმობით ქართველ ტომთა ტერიტორია—შეადგენდა სპარსეთის იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიას (ოლქს)—დარიოზის მეფობის დროს (521—486). სპარსები ნამდვილ ბატონობას ეწეოდნენ ქართველ ტომებზე: ერეოდენ მათ შინაურ საქმეებში და ახდევინებდნენ ხარკს, რომელიც წელიწადში დაახლოებით 500 ტალანტს* უდრიდა. ხარკს გარდა ქართველი ტომები მოვალენი იყვნენ სპარსელებისათვის ჯარისკაცებიც მიეცათ. ქართველთა რაზმების უფროსებად უთუოდ სპარსელები უნდა ყოფილიყვნენ.

* ტალანტი უდრის დაახლოებით 1500 მანეთს.

სპარსელების ბატონობა გაგრძელდა მე-4 საუკუნემდე ქრ. წინ. მეოთხე საუკუნეში კი, ბერძენთა სხვა მწერლის—ქსენოფონტეს (431—354) მოწმობით, ქართველ ტომებს უკვე საკუთარი წინამძღოლნი და მმართველნი ჰყოლიათ. ეს აიხსნება სპარსეთის დაუძლურებით, რომელიც მე-4 საუკუნეში მაკედონელთა მიერ იქმნა დაპყრობილი. ამ დროიდან ქართველი ტომები პოლიტიკურად დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ცალკ-ცალკე ტომებად სცხოვრობენ და ხშირად ერთმანეთში ბრძოლაც აქვთ.

კოლ მთი და იბერია.

„ქართლის ცხოვრება“ და სხვა ძველი წყაროები ამბობენ: მე-4 საუკუნეში ქრ. წინ მცხეთის მამასახლისის ჩამომავალმა ფარნაოზმა განდევნა თავის ქვეყნიდან უცხოელები, გააერთიანა მთელი საქართველო და იგი იყო პირველი მეფე ამ მთლიან საქართველოსიო. ამავე ფარნაოზს გადმოცემა მიაწერს ქართული ანბანის შემოღებას, ქვეყნის დაყოფას საერისთავოებად და სხვ. ეს გადმოცემა არ მართლდება. მე-4 საუკუნეში ქრ. წ. საქართველო თუმცა უკვე თავისუფალი იყო სპარსელებისაგან, მაგრამ გაერთიანებული არა ყოფილა. ყოველ ქართველ ტომს საკუთარი „მეფე“ ჰყავდა და აბა, ვინ გამოიცნობს, ვინ იყო იმათში „პირველი“? მეცნიერებმა გამოარკვეეს, რომ ფარნაოზი, ანუ ფარნაბაზი მართლაც მეფობდა საქართველოში, მაგრამ არა მეოთხე საუკუნეს, არამედ პირველ საუკუნეში ქრ. წ. იგი გამოჩენილი მეფე ყოფილა. მისით დაიწყო ახალი დინასტია და შეიძლება ამან მისცა საბაზი მემკვიდრეს ფარნაოზის მოღვაწეობა გაეზვიადებინა და მისთვის ბევრი რამ არ ყოფილი მიეწერა.

დაახლოებით მე-2 საუკუნეში ქრ. წინ ქართველთა ტომებმა ჩამოაყალიბეს ორი სახელმწიფოებრივი ერთეული: იბერია და კოლხეთი. იბერია შეიცავდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთით მისი საზღვარი შორაპნის ციხემდე აღწევდა. კოლხეთში კი შედიოდა მთელი დასავლეთი საქართველო.

იბერიის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით მდ. ალაზანი, სამხრეთით—სომხეთი, დასავლეთით—კოლხეთი. კოლხეთს (დასავლეთ საქართველო) ჰსაზღვრავდა: დასავლეთით შავი ზღვა, რომლის ჩრდილოეთით კოლხების მიწა-წყალი მდ. მზიბს აღწევდა, ხოლო სამხრეთით—ქ. ტრაპიზონი. აღმოსავლეთით კოლხეთი ეკვროდა იბერიას (შორაპნის ციხემდე). იბერიაში შემდეგი ქართველი ტომები მოსახლეობდნენ: მესხები, ქართველები (ქალდეები), იბერები (ტიბარენები) და სხვ. იბერები იყოფოდნენ ბარელებად და მთიელებად. კოლხეთში

სცხოვრობდნენ მესხების ერთი ნაწილი, ლაზები (ქანები), მაკრონები (მეგრელები), აბასები (აფხაზები) და კოლხები.

იბერიის და კოლხეთის დამოუკიდებლობა რომაელთა მიერ.

რომაელები კავკასიაში პირველად გამოჩნდნენ I ს. ქ. წინ. ამ დროს შავი ზღვის სამხრეთით გაძლიერებული იყო პონტოს სახელმწიფო, რომლის მეფე მიტრიდატმა ამიერ-კავკასიის სამეფოები დაიმორჩილა და უკანასკნელებმაც მისი ბატონობა აღიარეს. მაგრამ მიტრიდატს ბრძოლა მოუხდა რომაელებთან, რომელთაც მის წინააღმდეგ სახელგანთქმული პომპეი გამოგზავნეს. პომპეიმ სასტიკად დაამარცხა მიტრიდატი, რომელიც კოლხეთში გაიქცა. პონტოს სამეფოს დაპყრობის შემდეგ პომპეის 60 ათასი ჯარი მიაღვა სომხეთს. სომხის მეფე ტიგრანი პომპეის უბრძოლველად დაემორჩილა და დიდძალი ხარკის გადახდა იკისრა (66 წ. ქრ. წ.). ამასობაში ზამთარმა მოაწია და პომპეიმ ლაშქრობა დროებით შეაჩერა: თავისი ჯარით იგი დაბანაკდა იბერიას სონხეთისა და ალბანიის საზღვრებზე. ალბანიის მეფე ოროდმა მოინდომა პომპეის დამოუკიდებლად თავს დასხმოდა, მაგრამ ატეხილ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. ალბანია ამის შემდეგ რომაელებმა დაიპყრეს. ჯერი იბერიაზე მიდგა.

იბერიაში ამ დროს მმართველად არტავგი იყო. იგი ბრძოლისთვის მზად არ იყო და ამიტომ დროის მოსაგებად პომპეისთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო. ამასთანავე მტრის დასახვედრად ჯარს აგროვებდა. პომპეი მიუხედავად არტავგს და, რასაკვირველია, არ დაუყოვნებია, რომ იბერიის მეფისათვის მომზადების საშუალება წაერთმია. 65 წელს ქრ. წ. პომპეი დაიძრა თავის ბანაკიდან და არტავგისათვის სრულიად მოულოდნელად მიაღვა იბერიის დედა-ქალაქს არმაზს. არტავგმა თავისი მცირერიცხოვანი ჯარით შებრძოლება ვერ გაუბედა ძლევამოსილ რომაელებს და ქალაქი დასტოვა. იგი გადვიდა მტკვრის მარცხენა ნაპირს და ხიდები დასწვა. პომპეიმ ვერ მოახერხა ინიჟამად მტკვარზე გადასვლა და არტავგის დევნა დროებით გადასდო. გაზაფხულზე წყალმა რომ იკლო, პომპეიმ განაახლა ლაშქრობა არტავგის წინააღმდეგ და მტკვრის მარცხენა ნაპირას გადავიდა. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. ცხრა ათასი იბერიელი დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო ათი ათასი ტყვედ იქმნა წაყვანილი. არტავგი იძულებული შეიქნა ზავი ეთხოვა. პომპეი დათანხმდა, მეფეს მძევლები გამოართვა და ბრძოლა მის წინააღმდეგ შესწყვიტა. იბერია იმ დროიდან რომაელებს დაემორჩილა. აღსანიშნავია ერთი გარემოება: დაზავების შემდეგ არტავგმა პომპეის მიუძღვნა ოქროს ტახტი და მაგიდა; სჩანს,

იბერია მდიდარი ქვეყანა ყოფილა, რომ მის მეფეს ასეთი უხვი ძღვნის ვაცემა შეეძლო.

იბერიის დამორჩილების შემდეგ პომპეი თავის ჯარით კოლხეთში გადავიდა, დაიპყრო იგი, ტახტიდან ჩამოაგდო მეფე ოლთაკი და მეფედ დანიშნა არისტარხე, რომლის მოჭრილს ფულს ჩვენამდე მოუღწევია. პონტის მეფე მიტრიდატს ამის შემდეგ არ დაუყრია იარაღი და რომაელებთან მედგარ ბრძოლას ეწეოდა. 63 წელს ქრ. წინ რომაელებმა საბოლოოდ დაამარცხეს იგი, დაიპყრეს პონტო, ხოლო თვითომ მიტრიდატმა თავი მოიწამლა. ამნაირად თითქმის მთელი მცირე აზია და ამიერ-კავკასია პირველ საუკუნეში ქრ. წ. რომაელების ხელში იყო.

რომაელთა ბატონობის ხასიათი: მეფე არტაგის დამარცხების შემდეგ იბერია სავსებით არ დამორჩილებია რომაელებს და ორჯერ აუჯანყდა მათ (მეფე ფარნაოზის დროს 36 და 15 წ. წ. ქრისტეს წინ). თუმცა აჯანყებულნი დამარცხდნენ, მაგრამ იბერიელთა ბრძოლას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათ სურვილებს რომაელები მეტს ანგარიშს უწევდნენ. რომაელებს ჰსურდათ ამიერ-კავკასიაში რომელსაღმე შედარებით ძლიერ სახელმწიფოს დაყრდნობოდნენ. მეტოქე სპარსეთთან და პართელებთან ბრძოლის დროს ასეთ ძლიერ სახელმწიფოდ მიჩნეული იქმნა იბერია. ამიტომ იყო რომ იგი დიდხანს დარჩა დამოუკიდებელ სამეფოდ: რომაელებთან იბერიას დადებული ჰქონდა „მეგობრული კავშირი“. სულ სხვანაირი მდგომარეობაში ჩავარდა კოლხეთი. რომაელები ერეოდნენ კოლხების შინაურ საქმეებში და მეფეებსაც თვითონ ნიშნავდნენ. რომაელთა ბატონობა კოლხეთში თითქმის განუსაზღვრელი იყო.

იბერიის მეფენი მიტრიდატ I-ლი და ფარსმან I-ლი.

როგორც კი რომაელებმა კავკასიაში ფეხი შემოსდგეს დაიწყო მათი ბრძოლა და მეტოქეობა პართელებთან. პართელებს პირველ საუკუნეში ქრ. წ. ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის ნაპირების მიდამოებში. რომაელებთან ბრძოლის საბაბად სომხეთი გადაიქცა, თუმცა რომი და პართია იბრძოდნენ არა მარტო მისთვის, არამედ სურდათ მთელი კავკასიის და მცირე აზიის დამორჩილება.

სომხეთს იმკამად შინაური არეულობა და გარეშე მტრები აწუხებდნენ. რომიცა და პართიაც სკდილობდა სომხეთის ტახტზე თავისი მომხრე დაენიშნათ. იბერია ამ მეტოქეობით სარგებლობდა და თავის მიწა-წყალს აფართოებდა. 35 წელს ქრ. წ. სომხეთი რომაელების

ხელში იყო. მიუხედავად ამისა, პართელების მეფე არტაბანი იმდენად გათამამდა, რომ სომხეთის მეფედ თავისი შვილი არშაკი დანიშნა. ამ დროს იბერიის ტახტზე მიტრიდატ 1-ლი იჯდა. მას კარგი განწყობილება ჰქონდა რომის იმპერატორ ტიბერიუსთან (15—37), რომელმაც მიტრიდატს სთხოვა: სომხეთი დაიჭირე და არშაკისაგან გაანთავისუფლეო. მართლაც მიტრიდატმა იმპერატორის თხოვნა აასრულა და სომხეთიდან პართელები განდევნა. არშაკის მაგივრად იბერიის მეფემ სომხეთის ტახტზე თავისი შვილი მიტრიდატივე დასვა. ამნაირად 35 წელს ქ. წ. იბერიასა და სომხეთს ერთისა და იმათე სამეფო გვარიდან გამოსული მმართველები ჰყავდათ. იბერიელებმა, სხვათა შორის, მალე სომხეთის სატახტო ქალაქი არტაშატიც დაიპყრეს (ერევნის ახლო იყო). პართელებს ძალიან ეწყინათ თავისი ასეთი დამცირება. მათ გამოგზავნეს სომხეთის დასაჭერად დიდძალი ჯარი, რომელსაც იბერიელები უნდა დაემარცხებინა. ამ დროს მიტრიდატი უკვე გარდაცვლილიყო და ტახტზე ფარსმან 1-ლი იჯდა.

იბერიის ახალი მეფე მედგრად ემზადებოდა პართელების ჯარის მოსაგერებლად, რომელსაც ოროდი მეთაურობდა. იბერიელებმა მომავალ ომისათვის ალბანელები და სარმატები მოიშველათ. ოროდი იბერიის საზღვრებს მოადგა, მაგრამ ბრძოლას დიდ ხანს არ იწყებდა, ვინაიდან მაშველ ლაშქარს ელოდა. ფარსმანმა იცოდა ოროდის გაჭირვება და სცდილობდა ბრძოლის გამოწვევას. ხან აქ დაესხმოდა თავს მის ჯარს, ხან იქ. სურდა ბრძოლაში ჩაეთრია. მართლაც, იბერიელებმა მიზანს მიაღწიეს და ოროდი იძულებული გახდა ფარსმანთან ნადრევი ბრძოლა დაეწყო. ეს ბრძოლა მშვენივრად აქვს აწერილი რომაელთა ისტორიკოსს ტაციტს (54—117). მისი გადმოცემით „ფარსმანი ეუბნებოდა თავისიანებს, რომ ისინი არასოდეს არ ყოფილან პართელთა ბატონობის ქვეშ. რამდენად გაბედულად მოიქცევით ახლა, მით უფრო მეტს სახელსა და ქებას მოიხვეჭთ, ხოლოთუ დამარცხდით და უკუ-იქცით სირცხვილი და დაღუპვა მოგელით თქვენო. ეუბნებოდა რა ამას, იგი მიუთითებდა თავის ლაშქრის საშიშარ სიდიადეზე, თან მდიდრათ შემკულ მიდიელებზე უთითებდა და ამბობდა: აქ ვაჟკაცობაა, იქ სიმდიდრეო“.

ფიცხელ ბრძოლაში პართელები სასტიკად დამარცხდნენ. სომხეთი კვლავ იბერიას და მის მიერ დაყენებულ მიტრიდატს დარჩა. მაგრამ მიტრიდატს მალე ბედმა უმეხბოლა. რომის იმპერატორმა კალიგულამ (37—41 წ.) რაღაც იჭვი მიიტანა მასზე, დააპატიმრებინა და საპატიმროში დაამწყვდია. მხოლოდ იმპ. კლავდიოსის (41—54) დროს მოახერხეს მიტრიდატის განთავისუფლება და იგი კვლავ სომხეთის

ტახტზე დაბრუნდა. თავისი სისასტიკით მიტრიდატმა სომხეთში უკმაყოფილება გამოიწვია. მცხოვრებნი მის მოშორებას ნატრობდენ. ამით ისარგებლა ფარსმან I-ლის შვილმა რადამისტმა, თავის მამის თანხმობით განდევნა სომხეთიდან მიტრიდატი და მის მაგივრად თვითონ გამეფდა.

არც რადამისტის მეფობა ყოფილა ხანგრძლივი და ბედნიერი. 52 წელს ქ. წ. სომხები მასაც აუჯანყდენ. რადამისტი იძულებული გახდა იბერიაში გაქცეულიყო. აქ ის გულხედაკრეფილი არ დარჩენილა, ტახტის დაბრუნებას სცდილობდა, თუმცა ამოდ. პართელებმა სომხეთში არსებულ არეულობით ისარგებლეს და ეს ქვეყანა თავის სრულს გავლენას დაუმორჩილეს. რადამისტი იძულებული გახდა ტახტის ძიებაზე ხელი აეღო. მაგრამ იგი, ეტყობა, მოუსვენარი კაცი ყოფილა: მან დაიწყო ჩუმი ბრძოლა მამის ფარსმან I წინააღმდეგ და ყველას ეუბნებოდა: მამაჩემი მოხუცია სად შეიძლება მას იბერიის სამეფოს ღირსეულად გაძლოლო. ეს ამბავი ფარსმანმა გაუგო, რადამისტს მოლაღატეობა, ტახტის ძიება დააბრალა და მალე სიკვდილითაც დასაჯა (59 წლ.).

მიტრიდატ მე-II-რე. მიტრიდატ მე-II-რეს დროს იბერია კვლავ „სამეგობრო კავშირით“ იყო შეკრული რომთან, რასაც მოწმობს წარწერა მცხეთაში წარსულ საუკუნეში (1867 წლ.) ნაპოვნ ქვისა: იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანემ, ნათქვამია წარწერაში, იმპერატორმა ტიტემ და დომიციანე კეისარმა—ჩბერთა მეფეს მიტრიდატს, ფარსმანის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს—გაუმადრეს ეს ზღუდეო.

რომაელები იბერიას ანგარიშს უწევდენ იმიტომ, რომ სპარსეთის მეტოქეობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო. სპარსეთთან ბრძოლის დროს, იბერიას, როგორც ამიერ-კავკასიის შუაგულს, დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. ამითი აიხსნება ის არაჩვეულებრივი „მეგობრობა“, რომელიც დამყარებულიყო ძღვევამოსილ რომსა და პატარა იბერიას შორის. ამ მეგობრობის საბუთია ფარსმან მე-II-რის მეფობა.

ფარსმან მე-II-რე. ფარსმან მე-II-რე მეფობდა რომის იმპერატორების ადრიანეს (117—136) და ანტონინის (138—161) დროს. რომის ისტორიკოსები აღნიშნავენ: იმპერატორი ადრიანე ისე კარგად არც ერთს მფლობელს არ ეპყრობოდა, როგორც იბერიის მეფე ფარსმან მე-II, რომელსაც მრავალ ძღვენს უგზავნიდაო. ფარსმანიც აფასებდა რომაელთა კეთილგანწყობილებას იბერიისადმი და მათ მტრებთან დაუღალავად იბრძოდა. მაგალითად, მან დარიალის ხეობით გამოუშვა ალანები და შეუსია სომხეთს (რომელიც პართელებს ემორ-

ჩილებოდა) და პართელებს. ალანებმა სომხეთი დაარბიეს. პართელებმა თავი გადაირჩინეს შესევისაგან დიდძალი ფულის გაღებით. როდესაც პართელებმა გაიგეს ალანების თავდასხმა ფარსმან მე-II მოწყობილი ყოფილაო, რომის იმპერატორთან უჩვილეს. ადრიაანემ იბერიის მეფე თავისთან დაიბარა. 138 წელს ქრ. შ. ფარსმანი თავის ცოლ-შვილით და მხლებლებით იმპერატორთან გაემგზავრა. მან თავისი ლაპარაკით ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც რომის სენატსა, ისე თვით იმპ. ადრიაანეზე. ფარსმანს დიდი პატივისცემით მოეპყრენ და ნება მისცეს კაპიტოლიუმის ტაძარში მსხვერპლი შეეწირა ღმერთებისათვის. უცხოელისათვის ასეთი პატივი ფრიად იშვიათი იყო. ამას გარდა მარსის მოედანზე დასდგეს ფარსმანის ცხენიანი ქანდაკება. ამ დროს იყო, რომ ფარსმანის შვილმა რომაელებს გაუმართა მხლებელი აზნაურების სამხედრო თამაშობა-გარჯიშობანი.

კოლხეთი და იბერია მე-III საუკუნეში ქრ. შ. ზემოხსენებული კეთილგანწყობილება რომსა და იბერიას შორის არ შეცვლილა მე-3 საუკუნის დამლევამდე. იბერია წინანდებურად რომის მეგობარ ქვეყნად ითვლებოდა. რაც შეეხება კოლხეთს—იქ კვლავ რომაელების ძველი ბატონობა იყო და კოლხებს თავისი არჩეული მეფეები აღარ ჰყოლიათ.

მე-3 საუკუნეში გარემოება იცვლება. სასანიდების დინასტიის გაჩენისთანავე იწყება სპარსეთის სწრაფი გაძლიერება. ამ გვარეულობიდან გამოსული მეფე შაბური იპყრობს სომხეთს და სცდილობს თავის მხარეს გადებიროს იბერია და ალბანია (260 წ.). შაბურის მეტადღინეობა ამაო გამოდგება: როგორც იბერია, ისე ალბანია წერილობით შეატყობინებენ რომს—თქვენს ერთგულებად ვრჩებითო.

კოლხეთს ამ დროს სახელი ეცვლება. პირველობა უკვე სხვა ტომს, ლაზებს ეკუთვნის და ამიტომ მთელ დასავლეთ საქართველოს **ლაზიკა** ეწოდება. ლაზიკას სკვითები ხშირად ესხმიან თავს და სურთ მისი დამორჩილება. მათ რამდენიმეჯერ მოაოხრეს შავი ზღვის ნაპირები და დაარბიეს ქალაქები—ფასის (ფოთი) და პიტიუნი (ბიჭვინთა). ამ უკანასკნელ ქალაქში სკვითებმა მთლად ამოსწყვიტეს რომაელთა ერთი რაზმი. ლაზებისა და რომაელების შეერთებული ძალებით სკვითები მოგვრებულ იქნენ და კოლხეთი (ლაზიკა) ისევ რომაელებს დაემორჩილა.

სპარსეთი კვლავ განაგრძობდა იმ ბრძოლას, რომელსაც დიდი ხანია ეწოდებოდა რომის წინააღმდეგ კავკასიაში. ეს ბრძოლა განსაკუთრებით მე-3 საუკუნის დამლევს გაძლიერდა—რომის იმპერატორ

დიოკლეტიანეს (284—305) და სპარსეთის სახელგანთქმულ მეფრს ნარზესის (293—302) დროს. ნარზესმა მოინდომა არა მარტო იბერიის დაჭერა, არამედ რომაელების განდევნა მთელი ამიერ-კავკასიიდან. ბრძოლა სასტიკი იყო და რომაელების გამარჯვებით დამთავრდა. 298 წელს ქალაქ ნიზიბისში (მესოპოტამიაშია) დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მთელი მესოპოტამია და სომხეთი რომის ხელში გადადიოდა, ხოლო იბერია ხდებოდა რომის იმპერატორის მორჩილად (ვასსალად). იმ დროიდან იბერიის მეფენი სამეფო ნიშნებს რომისაგან ლებულობდნენ და მათ იმპერატორები ამტკიცებდნენ. ამნაირად მე-3-მე საუკუნის დამლევს მთელი საქართველო (კოლხეთი და იბერია) ემორჩილებოდა რომის იმპერიას ასეთი მდგომარეობა თითქმის ერთ საუკუნეს გრძელდება.

გვაროვნული წყობილება. იმ პერიოდში, რომელსაც ახლა გავვეცანით, ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილება იყო გამეფებული. ძირითად ერთეულს წარმოადგენდა „სახლი“ ანუ გვარი. საგვარეულოს ანუ სახლის საქმეებს უძღვებოდა „მამასახლისი“, რომელიც ხნითაც ყველაზე უფროსი იყო თავის გვარში და ყოველგვარი საქმე მას ეკითხებოდა. შემდეგ ხანებში, როდესაც რამდენიმე „სახლი“ შეერთდებოდა ხოლმე, გაჩნდა თემი, რომელსაც საკუთარი „თემის მამასახლისი“ ჰყავდა. თემის მამასახლისად ყველაზე ძლიერის და გავლენიანი „სახლის“ (გვარის) მამასახლისი ითვლებოდა. თემების კრებული უკვე ტომს შეადგენდა. ტომის მამასახლისად ყველაზე გამოჩენილი და მძლავრი თემის მამასახლისი იწოდებოდა. იგი ყველაზე მაღლა იდგა, ყველა დანარჩენების მბრძანებელი იყო და ამიტომ მას „მეუფე მამასახლისს“ ეძახდნენ (შემოკლებულად „მეუფე“ — „მეფე“).

„ქართლის ცხოვრება“ ქართველთა პირვანდელ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებას შედარებით სწორად გვიხასიათებს. იგი ამბობს: „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს არამედ ადგილ-ადგილად თავადნი (მეთაურები) იჩინიან: ხოლო რომელიცა იყვნის მცხეთას იგი იყვნის ყოველთა მათ სხვათა ზედა, და არცა სახელედების მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ და იგი იყვის გამზავებელ და ბჭე (განმსჯელი) სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქად“.

ბერძნის გეოგრაფმა სტრაბონმაც (დაიბ. 54. წ. ქ. წ.), რომელმაც თვითონ მოიარა იბერია, მისი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებას შესახებ ასეთივე ცნობები დაგვიტოვა.

ტომის მეუფე—მამასახლისი ანუ მეფე თავის ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი იყო. მას ეკუთვნოდა, როგორც საკანონმდებლო, ისე სამართლის უფლება. იგი ითვლებოდა აგრეთვე ჯარის უფროსად და ბრძოლის დროს მას წინამძღოლობდა. მეფეს ჰყავდა (მისივე გვარეულობიდან) თანაშემწე, რომელიც ეხმარებოდა სამართლის წარმოებაში და ომში ხშირად მის მაგიერობას ეწეოდა. ტახტი მეფის სიკვდილის შემდეგ გადადიოდა მეფის სახლის უფროს წევრზე. მეფე თანდათან ეს წესი შეიცვალა და სამეფო ძალა-უფლება პირდაპირ მამისაგან შვილზე გადადიოდა.

ქართველებს ამ დროს მუდმივი ჯარი არ ჰყოლიათ. თუ ქვეყანას რაიმე ხიფათი მოელოდა, ბრძოლის ველზე თვით შეიარაღებული ხალხი გამოდიოდა.

რა და რა წრისაგან შესდგებოდა ეს ხალხი? უმაღლეს გვარეულობად ითვლებოდა „სამეფო სახლი“, საიდანაც მეუფე მამასახლისები გამოდიოდნენ. სამეფო სახლის შემდეგ დიდი გავლენა ჰქონდა ხასულჩერი წოდებას. იგი მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდ მონაწილეობას იღებდა. სასულიერო პირები ახლანდელ დიპლომატების მაგიერობას ეწეოდნენ და უმათოდ ვერც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ვერ დაიდებოდა.

„მდაბიო ხალხს“ ეძახდნენ მეფის მონებს, რომელნიც მეფის მიწაზე სცხოვრობდნენ და სამეფოს სახლს პირადად ემსახურებდნენ. ყველა ზემოხსენებული წოდებანი ერის მცირე ნაწილს შეადგენდნენ. უდიდესი მისი ნაწილი კი წარმოადგენდა თავისუფალ გვარებს. ამ თავისუფალ გვარების მიწა, სათიბ-საძოვარი ადგილები, სამუშაო იარაღები, საქონელი მთელი გვარის საერთო საკუთრებას შეადგენდა. პირად, კერძო საკუთრებად მხოლოდ საომარი იარაღი და ტანისამოსი ითვლებოდა. გვარის ყოველ საქმეებს გვარში ყველაზე უფროსი—მამასახლისი განაგებდა. პირველ ხანებში წოდებრივი უთანასწორობა არ ყოფილა, შემდეგ დროებში იგი კი თანდათან გაძლიერდა. მე-II ს. ქრ. შ. წოდებრივი უთანასწორობა აშკარად სჩანს: ჩნდებიან აზნაურები ე. ი. დიდი გვარის შვილები. ამას სხვათა შორის ამოწმებენ რომაელთა ისტორიკოსები. ისინი აღნიშნავენ, რომ იბერიის მეფეს ფარსმან მეორეს რომში ჩასვლისას თან ჰყოლია აზნაურთაგან შემდგარი ამალა. აზნაურების გარდა—დანარჩენები უაზნოები ე. ი. უგვარი შვილონი იყვნენ. ეს უთანასწორობა რომაელთა ბატონობის ბოლო ხანებში თანდათან ძლიერდებოდა.

ძველი დროის ქართველთა მუშაობა ძველათგანვე ქართველი ტომის უმთავრეს სამუშაოს ხვნა-თესვა შეადგენდა. ვინაიდან

ჩვენი ქვეყნის ნიადაგი, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, პურეული-სათვის ფრიად ნაყოფიერი იყო,—აქ უმთავრესად ხორბლეულს სთესდენ. მიწას ხნავდენ უბრალო კავით, უფრო სწორად რომ ითქვას, ჩიჩქნიდენ, მაგრამ მოსავალი უხვი იყო.

ხენა-თესვის გარდა, განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და მეღვინეობა. სტრაბონის სიტყვით, კოლხეთი მდიდარი იყო ყოველგვარი მასალით, რომელიც გემების ასაშენებლად არის საჭირო (ხე-ტყე მდინარეებით ჩამოჰქონდათ). ჯერ კიდევ მეზუთე საუკუნეში ქ. წ. შორეულ ქვეყნებშიაც კი განთქმული იყო კოლხეთის სელი, რომელსაც ჰეროდოტეს მოწმობით, „სარდონულს“ უწოდებდენ. ბერძენთა მე-4 ს. მწერალი ქსენოფონტე აღნიშნავს: მოსინიკები (ჭანები) კარგი ზღვაოსნები არიან, ვაჭრობას მისდევენ და შორეულ ქვეყნებშიაც დადიან ზღვითაო*.

თავიდანვე განვითარებული იყო ქართველ ტომებში მადნეულობის დამუშავება. სხვათა შორის ბიბლიაში (დაბადებაში) ნათქვამია: „თობელი—მჭედელი რვალისა და რკინისაო“. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ენაში მადნეულების თითქმის ყველა სახელი ნამდვილი ქართულია და მრავალ ერს ჩვენგან (იაფეტელთაგან) აქვს მათი სახელი ნასესხები. ბერძნულად ფოლადს „ხალიფს“ ეწოდებოდა, რაც წარმომდგარია ქართველთა ერთ-ერთ ტომის—ხალიბების სახელიდან.

ქართველი ტომები რკინისა და სხვა ლითონების იარაღს, ჭურჭელს და სამკაულებს ამზადებდენ (განსაკუთრებით თობალნი და მოსოხები) და გასაყიდად შორეულ ქვეყნებშიაც გაჰქონდათ. მათი ხელოსნობა განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთსა და საბერძნეთში.

იმ ხანებში ვაჭრობას, როგორც ყველგან, სადაც გვაროვნული წყობილება იყო, უმთავრესად საგარეო ხასიათი ჰქონდა. ქართველი ვაჭრები შორეულ ქვეყნებშიაც დადიოდენ, ჰყიდდენ და ყიდულობდენ სხვადასხვა საქონელს, უმთავრესად ძვირფას ნივთებს. ბიბლიაში ნათქვამია: „თობელი და მოსოხ ვაჭრობდენ შენ შორის (ქალაქ ტვიროსში) სულთა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდაო“. მაშასადამე ქართველები მონებითაც ვაჭრობდენ ტვიროსში (ფინიკიაში).

თვით საქართველოში ვაჭრობა უმთავრესად შავი ზღვის ნაპირად გაშენებულ ქალაქებში სწარმოებდა. ბერძნების მოწმობით დიოსკურიაში (სოხუმში) გაისმოდა ლაპარაკი სამოცდა ათ სხვადასხვა ენაზე. ვაჭრობა იყო გაჩაღებული აგრეთვე დანარჩენ ქალაქებშიაც.

* ჭანები (ლახები) ახლაც განთქმულნი არიან თავის ზღვაოსნობით. ოსმალეთის ფლოტში ლახები საუკეთესო მეზღვაურებად ითვლებიან.

პიტუნსა, (ბიჭვინთა), ფაზისსა (ფოთსა) და ქუთაისში. აღმოსავლეთ საქართველოში შესანიშნავი იყო შემდეგი ქალაქები: არმაზი, მცხეთა და წიწამური, მესხეთში—იღესა. ქალაქები ერთ და იმავე დროს საადმინისტრაციო ცენტრებსა და გამავრებულ ციხეებს წარმოადგენდნენ. მისვლა-მოსვლა იმ დროის საქართველოში სწარმოებდა იმ დიდი გზებით, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზე გადიოდა დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. დადიოდნენ ურმებით, ტივებით და სხ.

სარწმუნოება და კულტურა. მე-5 საუკუნეში ქრ. წინ ქართველი ტომები ლურსმულის მაგივრად უკვე არამეულ ანბანს ხმარობდნენ. არამეული იმ დროს მცირე აზიის თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული, ხოლო მე-5 ს. ქ. წ. მისი ხმარება სპარსელებმაც დაიწყეს. ჩვენი ხუცუთრი ანბანი არამეულს დღესაც კი წააგავს. იმ დროს ქართველები წარმართები იყვნენ. თაყვანსა სცემდნენ მნათობებს, ცასა და დედამიწას. უმთავრეს ღვთაებად მთვარე ითვლებოდა, ხოლო მზე მის დათ მიაჩნდათ. ქართველებს მთვარე წარმოდგენილი ჰყავდათ ვაჟკაცად, ხოლო მზეო, ამბობდნენ ისინი, მთვარის დაი არის, სუსტია და ღამე სიარული არ შეუძლიაო. მთვარის სახელზე ძლიერ ბევრი ტაძარი იყო საქართველოს ყოველ კუთხეში. მთვარისა და საზოგადოდ მნათობთა თაყვანისცემა ძველი ქართველების ეროვნულ სარწმუნოებას წარმოადგენდა. თუ რამდენად ძლიერად იყო მიჩნეული მთვარის ღვთაება ძველ საქართველოში--ამას ჩვენი ხალხის ზოგიერთი ახლანდელი ჩვეულება ამატყობს. ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მთვარის ღვთაების თაყვანისცემა ფერი იცვალა და წმ. გიორგის კულტად იქცა. წმ. გიორგი კი, როგორც ვიცით, საქართველოში დღესაც ყველაზე სახელგანთქმული წმინდანია და ჩვენში მის სახელობაზე მრავალი ტაძარი მოიპოება. ქართველები სხვა შესაწირავთან ერთად ხანდახან ადამიანის მსხვერპლსაც მიუტანდნენ ხოლმე თავის ღმერთებს. ბერძენთა მწერალ სტრაბონს, რომელიც სცხოვრობდა 1-ლ ს. ქრ. წინ—თავის „გეოგრაფიაში“ აწერილი აქვს, თუ როგორ ჰხდებოდა ხოლმე ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ქართველ ტომების მიერ.

მარტო ცის მნათობთა თაყვანისცემა არ ყოფილა ქართველ ტომებში გავრცელებული. მეზობელ ერებსაც ჰქონდათ გავლენა ქართველების სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე, სპარსეთიდან შემოვიდა, მაგალითად, მაზდეიანობა (ცეცხლთაყვანისცემა), ზოროასტრის მოძღვრება ამ სარწმუნოების მიმდევართ სწამდათ, რომ ქვეყნად ორი ძალა ბოროტი და კეთილი. სიკეთის ღმერთი—ორმუხდია (აპურამაზდა

ხოლო ბოროტებისა—არიმანი. უკანასკნელი ყოველთვის ებრძვის დევების საშუალებით აპურამაზდასა და ადამიანებს. მაზდეიანობა საქართველოში საკმაოდ იყო გავრცელებული და არმაზის (ასე ეძახდნენ ქართველები აპურამაზდას) სახელობაზე რამოდენიმე ტაძარიც არსებობდა. თვით იბერიის სატახტო ქალაქს—არმაზის სახელი შერჩა, რადგან იქ ძველადგანვე იყო შესანიშნავი ტაძარი არმაზისა. ესევე სახელი შერჩა ქრისტიანობის დროს აგებულ მონასტერსაც, რომლის ნანგრევები დღემდე დამდგარა დაცული (არმაზის მონასტერი მცხეთასთან). მაზდეიანური სარწმუნოება მოითხოვდა მზის და ცეცხლის თაყვანისცემას, ვინაიდან მზე და ცეცხლი სინათლის (სიკეთის, არმაზის) მოციქულად ითვლებოდნენ. ცეცხლთაყვანისცემის ნაშთები ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებაში ზოგიერთგან აქამდია დაცული. დედამიწაც დიდ პატივისცემაში იყო ქართველების მიერ და ამიტომ მიცვალებულებს მიწაში არ ჰმარხავდნენ: ეშინოდათ ღვთაების წაბილწვისა. განსაკუთრებით კოლხები მისდევდნენ ამ რწმენას, მიცვალებულებს ხარის ტყავში ახვევდნენ და მალალ ხეებზე დადებულს სტოვებდნენ.

ქართველი ტომების ზნე-ჩვეულებანი. მთელი ძველი დროის განმავლობაში ქართველი ტომები ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად სცხოვრობდნენ და ერთმანეთთან ხშირად ცხარე ბრძოლა ჰქონდათ. საერთოდ ქართველებმა იარაღის ხმარება კარგად იცოდნენ და თავისუფლებისათვის როგორც მეზობლებს, ისე შორიდან მოსულ მტრებს—მედგრად ებრძოდნენ. ბერძენთა მწერალი ქსენოფონტე ამბობს ქართველთა ერთ-ერთ ტომზე: ომში ისე მიდიან, როგორც სანადიმოდაო, დაბრუნებისასაც მზიარული სიძლევა და ცეკვა-თამაში აქვთო.

მუდმივმა ბრძოლამ ქართველი ტომები გააკაჟა და გააღმასა. ამიტომ ისინი ფრიად სასტიკად ექცეოდნენ როგორც ერთმანეთს, ისე დამარცხებულ მტრებს. საერთოდ კი შეუპოვარნი, მედიდურნი არიანო, ამბობს იგივე ქსენოფონტე და გადმოგვცემს ქართველ ტომებთან (ხალიბებთან) ბერძენთა შეტაკების ერთ ამბავს. როდესაც ჩვენ, ამბობს იგი, ერთი მალალი ციხე ავიღეთ და შიგ შევიჭკერით, თვალწინ წარმოგვიდგა საშინელი სურათი: ქალები და ვაჟები კლდეზე ისროდნენ თავის ბავშვებს და შემდეგ თვითონაც ვარდებოდნენ, ოღონდ მტერს ხელთ არ ეგდო ისინიო. თუმცა ქართველი ტომები გარეშე მტრებს სასტიკად ებრძოდნენ, მაგრამ ეროვნული მთლიანობის შეგნება მაშინ ჯერ არა ჰქონდათ. ისინი ბრძოლაში არც ერთმანეთს აყრიდნენ ხერს.

საინტერესოა ჰეროდოტეს მოწმობა ძველი ქართველ ტომების ჩაცმა-შეიარაღებაზე. მოსოხებსაო, ამბობს იგი, თავს ხის ქუდი ჰხუ-

რავთ, ხოლო იარაღად პატარა ფარებსა და გრძელწვეტიან შუბებსა ხმარობენ. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები იმნაირადვე შეიარაღებული გამოდიან ბრძოლის ველზე, როგორადაც მოსოხები. კოლხებს კი თავს ხის მუხარადი ჰხურავთ, ხოლო იარაღად პატარა ფარებსა, დანებს და მოკლე შუბებსა ხმარობენო. ამას გარდა მაშინდელი ქართველების განუყრელი იარაღი მშვილდ-ისარი ყოფილა.

2. ქრისტიანობის მიღებიდან არაბთა შემოსევა- ვამდე.

ქართველთა მოქცევა. ქრისტიანობა საქართველოში პირველ საუკუნიდან ვრცელდებოდა, ხოლო მეფე მირიანის დროს 232—337 წლებში შან საბოლოოდ გაიმარჯვა და გაბატონებულ სარწმუნოებად გადაიქცა. ქრისტიანობის მიღება ფრიად დიდ მნიშვნელოვანი ამბავი იყო ქართველი ერის ისტორიაში და დიდი გავლენა მოახდინა მერმინდელ მის ცხოვრებაზე. ქრისტიანობამ საქართველო საბოლოოდ ჩამოაშორა აღმოსავლეთს და პირი აბრუნებინა დასავლეთისაკენ. მისი საშუალებით ქართველობა სულიერად დაუკავშირდა ჯერ რომის იმპერიას, მერე ბიზანტიას. ამ უკანასკნელს დიდი ხნის განმავლობაში (შუა საუკუნეთა ხანის დამლევამდე, როდესაც ბიზანტია ოსმალებმა დასცეს) უდიდესი გავლენა ჰქონდა ქართველ ერსა და მის კულტურაზე.

როგორ და რა პირობებში მიიღეს ქართველებმა ქრისტიანობა? ყოველი ხალხი თავისი ცხოვრების დიდ მოვლენებს თქმულებათა და ლეგენდების საგნად ხდის: ქართველებსაც ქრისტიანობის მიღების ამბავი სხვადასხვა ლეგენდების ბურუსში აქვთ გახვეული. ქრისტიანობა ქართველებმა მიიღეს წმინდა ნინოს ქადაგების გამო, და ამიტომაც წმ. ნინოს ეწოდება ქართველთა განმანათლებელიო, ამბობს საეკლესიო გადმოცემა. წმინდა ნინო მართლა ისტორიული პირია და ლეგენდა აქ ჭეშმარიტებას აღნიშნავს. ნინო ჰქადაგებდა ქრისტიანობას ჯერ უმთავრესად ქალებში, რადგან ეს წრე მისთვის უფრო მისაწოდში იყო. ეტყობა მას ჰქონდა ჩაგონების ნიჭი და ამის გამო ავადმყოფებს არჩენდა. მალე ნინოს სასწაულთმოქმედის სახელი გაუფარდა. როდესაც მან მირიანის მეუღლე ნანა მოარჩინა მძიმე ავადმყოფობისაგან, ნინოს ღმერთი ბევრმა იწამა და მრავალი გაკვირებული იყო. მაგრამ თვით მეფე მირიანმა და ხალხმა ქრისტიანობა მიიღეს უცნაურ შემთხვევის შემდეგ, მეფეს რომ დაემართა: ერთხელ მირიანი სანადიროდ წავიდა; ნადირის ღვინის დროს მეფე თავს

აპლას დაშორდა და გზა დაჰკარგა. ამასობაში საშინელი სიბნელო ჩამოვარდა. მირიანი გაჭირვების დროს „ნინოს ღმერთს“ შეევედრა: თუ ახლა დამისხნი, ყველაზე ძლიერი და უკეთესი ღმერთი შენ იქნები. მოხდა სასწაული: უცებ ინათლა, მეფემ გზა იპოვნა. ამის შემდეგ მირიანმა ახალი ღმერთი აღიარა. როგორც თვითონ, ისე მისმა ქვეშევრდომებმა მალე ქრისტიანობა მიიღეს. თითქმის ამნაირადვე გადმოგვცემს ამ ამბავს რომაელთა ისტორიკოსი რუფინი (მე-4 ს.), რომელსაც ქართველების გაქრისტიანების ისტორია იბერიის ყოფილი მეფის ბაკურისაგან გაუგონია.

ასეთია თქმულება. მაგრამ, რასაკვირველია ქრისტიანობის მიღება ქართველი ხალხისათვის მოულოდნელი რამ არ იყო და არც მართო წმ. ნინოს ქადაგება ყოფილა მიზეზი ქართველთა მოქცევისა. ქრისტიანობის გამარჯვებას იბერიაში ხელი შეუწყო როგორც შინაურმა, ისე საგარეო მდგომარეობამ: საქმე ისაა, რომ წოდებრივი უთანასწორობა მესამე საუკუნის დამლევს იბერიაში შესამჩნევად გაძლიერებულყო. ახალი მოძღვრება, ქრისტიანობა, ნუგეშისმცემლად ევლანებოდა ყველა ჩაგრულთა და მაშვრალებს ამიტომ იგი ძალიან ადვილად იბირებდა თავისკენ ხალხის ფართო წრეებს. ესაა მიზეზი, რომ ქრისტიანობის მოციქულებს იბერიაში სიამოვნებით ხვდებოდნენ და მათმა ქადაგებამ ადვილად გასჭრა.

ახალი სარწმუნოების გამარჯვებას საგარეო მდგომარეობაც ხელს უწყობდა: იმ დროს რომის იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილთა შორის გაცხარებული ბრძოლა იყო. ბრძოლას პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ გარეგნად სარწმუნოებრივი ელფერი ეძლეოდა: დასავლეთი ქრისტიანობას მფარველობდა (იმპერატორი კონსტანტინე), ხოლო აღმოსავლეთი—წარმართობას (ლიცინი). ბრძოლაში კონსტანტინემ გაიმარჯვა. იბერიის მმართველებმა მდგომარეობას ანგარიში გაუჭიეს და რადგან იბერია რომის მორჩილად ითვლებოდა, გამარჯვებულთა მხარე დაიჭირეს. ამით იბერიას უნდოდა თავისი პოლიტიკური მდგომარეობა გაემტკიცებინა და მიზანსაც მიაღწია.

დასავლეთ საქართველომ (ლაზიკამ) როდისღა მიიღო ქრისტიანობა? ლეგენდა ამის შესახებ არაფერს გვეუბნება. მაგრამ მე 5 ს. ისტორიკოსნი (ჟცხოელები) ლაპარაკობენ ლაზიკაზე, როგორც ქრისტიანულ ქვეყანაზე. ამიტომ საფიქრებელია, რომ დასავლეთ საქართველომ იბერიასთან ერთად, მე-4-ე საუკუნეშივე მიიღო ქრისტიანობა.

ქართველთა მოქცევის დროს იბერიაში, რასაკვირველია, ქრისტიანულ წესების მკოდნე პირების ნაკლებობა იყო. ახალი სარწმუ-

ნოება რომ გაემაგრებინა და რომ თანაც უფრო მჭიდრო კავშირად დაეჭირა, მეფე მირიანმა იმპერატორ კონსტანტინეს სთხოვა, სამღვდელლო პირები გამომიგზავნეო. კონსტანტინემ თავის მხრით ანტიოქიის პატრიარქს უბრძანა მირიანის თხოვნის ასრულება. პატრიარქმა ესტატემ გამოგზავნა იბერიაში ეპისკოპოსი იოანე და რამოდენიმე მღვდელ-დიაკვანი. ასე დაიწყო და მერე უფრო განმტკიცდა კავშირი იბერიის ეკლესიისა ანტიოქიის ეკლესიასთან.

ქრისტიანობის მიღებამ, სხვათა შორის, მწერლობის აყვავებასაც შეუწყო ხელი: ითარგმნებოდა საღმრთო წიგნები, ენა მდიდრდებოდა ახალი ცნება-სიტყვებით და გაჩნდა ყველა ტომთათვის ერთი სამწერლობო ნიშნები (ანბანი). საერთო ენისა და მწერლობის გაჩენამ გამოიწვია ეროვნული გრძნობის გაღვივებაც და აგრეთვე. მისწრაფება დაქსაქსულ ქართველ ტომთა გაერთიანებისაკენ. ქრისტიანობის მიღების მიზეზებითვე ბრძოლას სპარსეთის წინააღმდეგ სარწმუნებრივ ელფერი მიეცა და უფრო სასტიკი გახდა.

პრინციანობის მიღებიდან ვახტანგ გორგასლანამდე. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილებშიაც გაიმარჯვა, ბრძოლამ რომსა და სპარსეთ შორის სარწმუნოებრივი ხასიათი მიიღო. სპარსეთი განსაკუთრებით სცდილობდა სომხეთში გაბატონებას და იბერიაში თავის გავლენის განმტკიცებას; ერთხანს მან თითქო მიზანსაც მიაღწია: როცა სპარსელები რომს ებრძოდნენ, სომხეთი სპარსეთს მიემხრო და ამნაირად იგი სავსებით მის მორჩილებაში გადავიდა. სომხეთის დაპყრობის შემდგომ სპარსელებმა იბერიის წინააღმდეგ გამოილაშქრეს და რომაელების მომხრე მეფე საურმაგი ტახტიდან ჩამოაგდეს. საურმაგის მაგივრად ტახტზე ვარაზ ბაკური ავიდა. რომაელებმა ძალიან იწყინეს ეს ამბავი და საურმაგს საშველად ჯარი გამოუგზავნეს. საურმაგმა კვლავ იბერიის მეფობა მოიპოვა. 368 წელს სპარსეთი და რომი შეთანხმდნენ და იბერია ორ ნაწილად გაიყვეს: საურმაგმა, როგორც რომაელთა მფარველობის ქვეშ მყოფმა, მიიღო მტკვრის მარცხენა ნაპირი, ხოლო სპარსელების მომხრე ვარაზ-ბაკურს მტკვრის მარჯვენა ნაპირი ერგო. იმ ნაწილს იბერიისას, სადაც ვარაზ-ბაკური გამგებლობდა, დაერქვა ხაპიტიახში (პიტიახშია სპარსულად განაპირა ქვეყანას ჰქვია) ხოლო მისი მმართველი—პიტიახში სპარსეთის მეფის მონადგილედ ითვლებოდა.

ასეთი დანაწილება იბერიისა სპარსელებს არ აკმაყოფილებდა. მათ სურდათ მთელი იბერიის ხელში ჩაგდება, და ამიტომ რომ თან ბრძოლას განაგრძობდნენ. ამასთანავე სპარსეთი სცდილობდა საპიტია-

ახშო დაეკავშირებინა თავისთან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სულიერადაც. ამ მიზნით იგი ყოველ ღონეს ხმარობდა საპიტიახშოში თავისი სარწმუნოება—ცეცხლთაყვანისმცემლობა გაეგრეცლებინა. მეორე მხრით, სპარსელებისაგან თავისუფალ ნაწილში იბერიისა ფეხს იდგამდა და საბოლოოდ მტკიცდებოდა ქრისტიანობა. აღმოსავლეთ საქართველოს ორი ნაწილი ერთმანეთს ებრძოდა და ამ ბრძოლას სარწმუნოებრივი ხასიათი ეძლეოდა. ცეცხლთაყვანისმცემლობის გამარჯვება სპარსეთის გამარჯვებას უდრიდა. ამიტომ იყო ასე სასტიკი ბრძოლა ქრისტიანობასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას შორის მთელი მე-5 საუკუნის განმავლობაში. ის დევნა-წამება, ქართველები რომ განიცდიდნენ სპარსელებისაგან, როგორც ქრისტიანები, ხელს უწყობდა ეროვნულ გრძნობის გაღვივებას ქრისტიანობა და ქართველობა იმ დროს (და შემდეგაც) ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავდა. როდესაც იბრძოდნენ ქრისტიანობისათვის, ეს იყო ნამდვილად ბრძოლა ქართველობისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ბრძოლა ხანგრძლივი იყო და განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს.

ვახტანგ გორგასლანი. ვახტანგი ერთი გამოჩენილი ქართველი მუფეთაგანია. „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკაო“, ამბობს ხალხი თავის სიმღერაში. ვახტანგის ვაჟეკცობა, მისი ლაშქრობანი—ლეგენდების და ლექსების საგნად ქცეულია და ეს მეფე წარმოდგენილი ჰყავთ უძლეველად, გოლიათად, რომელიც ამარცხებს თავის ქვეყნის მტრებს. ამასთანავე ვახტანგი ბრძენიც იყო და სამეფო საქმეებს უნაკლოდ განაგებდაო. თვით სიტყვა „გორგასლანი“, რომელიც ვახტანგს დაერქვა, სპარსულია და მგლისთავიან კაცსა ნიშნავს. გორგასლანი ერქვა სპარსელთა თქმულების ერთ-ერთ გმირს და შეიძლება ამიტომ დაარქვეს ქართველ მეფეს ეს სახელი. რად აქვს ვახტანგს ასე დიდი სახელი ხალხში?

ვახტანგ გორგასლანი იყო სპარსეთის ერთი უდიდესი მოწინააღმდეგეთაგანი და ქრისტიანობის ერთგული დამცველი... მას კარგად ესმოდა რომ ქრისტიანობის განმტკიცებით იმ დროის საქართველო საკუთარ თავს, ეროვნულ თავისუფლებას იცავდა. ამიტომ ვახტანგი ებრძოდა ყველას, ვინც მამა-პაპათა რჯულს გაღუდგებოდა. საპიტიახშოში იმ დროს მმართველად ვარსკენი იყო. სპარსელებმა ვარსკენს მოსთხოვეს ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღო. ამნაირად მათ ჰსურდათ. საპიტიახშოში ისეთი მმართველი ჰყოლოდათ, რომელიც ყოველ მხრით მათთან იქნებოდა დაკავშირებული. ვარსკენი დათანხმდა. რჯული გამოეცვალა არა მარტო თვითონ, არამედ სპარსელებს

დაპირდა: ჩემს ცოლ-შვილსაც მივალე ბიწები ცეცხლთაყვანისმცემლობასო. წარმოიდგინეთ პიტიახშის გაკვირვება, როდესაც მისმა მეუღლე **შუშანიკმა**, არამც თუ აასრულა ქმრის ბრძანება, არამედ აღშფოთებული იყო ვარსკენის სულმდიბლობით; შუშანიკმა სახლი მიატოვა და შვილებიანად ახლობელ ეკლესიას შეეხიზნა. ვარსკენმა ჯერ ჰკვემა შუშანიკი, ხოლო შემდეგ საპყრობილეში ჩააგდო. შუშანიკი ექვსი წლის განმავლობაში ეწამებოდა და 472 წელს გარდაიცვალა: წმ. შუშანიკის ცხოვრება ასწერა მისმა მოძღვარმა **იაკობ ხუცესმა**. ეს თხუზულება ძველი ქართული მწერლობის პირველი ნიმუშია რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მას შემდეგ, რაც ვარსკენმა სპარსელთადმი ისეთი ერთგულება გამოიჩინა რომ მეუღლეს კი აწამა, სპარსეთი ყოველგვარად ხელს უწყობდა მის გაძლიერებას. ვახტანგ გორგასლანს კარგად ესმოდა რომ საპიტიახშოს გაძლიერება იბერიის საბოლოოდ დამონებას, დაღუპვას მოასწავებდა. ამიტომ მან ისარგებლა იმით, რომ სპარსელები ჰუნებთან ბრძოლაში იყვნენ გართულნი და მოულოდნელად ვარსკენს თავს დაესხა. ვახტანგმა გაიმარჯვა, ვარსკენი ტყვედ წამოიყვანა და 483 წელს სიკვდილით დასაჯა.

ეს იყო სპარსეთის ბრძოლაში გამოწვევა. ამას ანგარიშს უწევდა ვახტანგიც და ომისათვის ემზადებოდა. მას ჰსურდა მოკავშირე ეპოვნა ვინმე და ბიზანტიასთან დაიწყო მოლაპარაკება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სარაგურები იბერიას შეესივნენ. ბიზანტიელებს ვახტანგი ეუბნებოდა: სარაგურები თქვენთვისაც საშიშარი არიან, მოდით საერთო ძალით მოვიგერიოთ ისინიო. ბიზანტიამ პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა და ვახტანგთან იმჟამად დაკავშირება უარყო; გორგასლანი ამის შემდეგაც მაინც დასავლეთისაკენ, ბიზანტიისაკენ იყურებოდა და იქიდან მოელოდა შველას. მაგრამ ამ დროს უფრო დიდი ამბები დატრიალდა.

ვახტანგ გორგასლანმა მოლაპარაკება გამართა ჰუნებთან, რომელთა საშუალებითაც მას უნდოდა სპარსელების დამარცხება. ჰუნები რომ ვერ დაითანხმა, სპარსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ სომხეთს მიმართა. სომხები სპარსელებისაგან ძალიან შეწუხებული იყვნენ და მათ წინააღმდეგ აჯანყებებს დროშა ააფრიალეს. აჯანყებული სომხები თავის წინამძღოლ ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით ქართველ ჯარებს შეუერთდნენ. მოსალოდნელი იყო სისხლის მღვრელი ომი სპარსელებთან. მაგრამ საქმე ღალატმა ჩაშალა. ჯერ იყო და მამიკონიანის განზრახვები ერთმა სომხის მმართველმა სპარსეთს შეატყობინა. ბრძოლის წინა ღამით კი სომხებში ზოგიერთმა მოლა-

ლატეებმა დაიწყეს ქადაგება ომის წინააღმდეგ. ამ ქადაგებამ გასჭრა: მრავალმა სომეხმა ბრძოლის ველი მიატოვა და სპარსელთა მხარეს გადავიდა. სპარსელებს ისინი ეუბნებოდნენ: არავის ჩვენთაგანს თქვენს წინააღმდეგ ბრძოლა არა ჰსურს, ყველაფერი ვახტანგ მეფისა და მამიკონიანის ბრალია, მათ მოგვატყუესო. ამ მოულოდნელი ღალატის გამო ქართველ სომეხთა შეერთებული ლაშქარი და მარცხდა. ვახტანგ მეფე იძულებული გახდა იბერიიდან ლაზიკაში გადასულიყო, ხოლო ვაჰან მამიკონიანი სომხეთში იყო და ტყვეში იმალებოდა. სპარსელებმა იბერია მოაოხრეს. დაიწყო დევნა სარწმუნოების ნიადაგზე. ამ დროს მოხდა, სხვათა შორის, წამება წმ. რაჟდენისა. რაჟდენი ვახტანგ გორგასლანის მეუღლის ერთი მსლებელთაგანი იყო და ქრისტიანობის ერთგულებისათვის დაიღუპა.

მაღე სპარსეთში პოლიტიკური ცვლილება მოხდა. მეფე პეროზი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო ამხედრებული, ჰუნებმა ბრძოლაში მოჰკლეს. ახალმა მეფემ, ვალარშმა, მოინდომა მშვიდობიანობის დამყარება. მან შეირიგა ვაჰან მამიკონიანი და მარზპანობა (მოსაზღვრე ქვეყნების დამცველობა) უბოძა. ვახტანგ გორგასლანმაც ისარგებლა მომხდარი ცვლილებით, ლაზიკიდან იბერიაში გადმოვიდა და ამნაირად ტახტი დაიბრუნა. მან დროებით ხელი აიღო სპარსეთთან ბრძოლაზე და, როგორც მატთანე ამბობს, სპარსეთში ყოფილა და მრავალ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია.

ვახტანგს სიკვდილამდე არ მიუტოვებია აზრი ბერძნების საშუალებით სპარსელების დამარცხებისა. ამიტომ იგი მუდამ ბიზანტიისაკენ იყურებოდა. იმ დროს სპარსეთში მეფე კობადი ტახტიდან ჩამოაგდეს და იქ არეულობა იყო. ამ გარემოებით სურდა ესარგებნა საბერძნეთს. მას უნდოდა ზოგიერთი მოსაზღვრე ადგილების ხელში ჩაგდება. ამასობაში კობადმა კვლავ დაიბრუნა სამეფო ტახტი და გამარჯვებულმა საბერძნეთს ომი გამოუცხადა. მან წინადადება მისცა იბერიას—საბერძნეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. ვახტანგ გორგასლანმა ცივი უარი უთხრა. კობადმა ეს ძალიან იწყინა და იბერიის წინააღმდეგ დიდძალი ჯარით გამოილაშქრა. მოხდა დიდი ღმრთობის ბრძოლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა თვით მეფე ვახტანგი. მისი სიკვდილის შემდეგ საქართველოს დიდი ხნით ეპატრონებიან სპარსელები.

ვახტანგ გორგასლანის ხანა შესანიშნავი იყო სასტიკი ბრძოლით ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის. მის დროსვე ქართველთა ეკლესია განთავისუფლდა ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან: თვით აქ, საქართველოში დაარსდა ცალკე საკათალი-

კახია—493 წელს. პირველი კათალიკოსი იყო პეტრე. ქრისტიანობის გაფორმება ხელს უწყობდა ლიტერატურის აყვავებასაც. იგივე სარწმუნოება ჰქადაგებდა საქართველოს დაქსაქსული ნაწილების გაერთიანებას. აი, რატომ იყო, რომ ვახტანგის დროს ქართველებმა საბოლოოდ ზურგი უბრუნეს სპარსეთს და მთელ თავის პოლიტიკურ და საკულტურო იმედებს ბიზანტიაზე ამყარებდნენ.

მეფობის გაუქმება იბერიაში. ვახტანგ გორგასლანის სიკვდილის შემდეგ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოოდ სპარსეთი დაეპატრონა. ბრძოლა თავისუფლებისათვის იბერიაში არ შეწყვეტილა, მაგრამ სპარსეთის უღლის გადაგდება ძლიერ გაძნელდა. საკვირველი არაა, რომ ასეთ მძიმე პირობებში იბერიელები ბიზანტიასთან დაკავშირებას კვლავ სცდილობდნენ და მისი დახმარებით სპარსეთისაგან განთავისუფლებას ჰუიქობდნენ. როგორც ვიცით, საქართველოს ბრძოლას თავისუფლებისათვის გარეგნად სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდა. იბერიის სახით თითქოს ქრისტიანობა ებრძოდა ცეცხლთაყვანისმცემლობას (სპარსეთს). ამიტომ გასაგებია იბერიელთა მისწრაფება ერთმორწმუნე ქრისტიან ბიზანტიისადმი.

მეექვსე საუკუნის ისტორიიდან აღსანიშნავია ერთი ამბავი, რასაც დიდმნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: ესაა მეფე **გურგენის** მიერ 527 წ. მოწყობილი აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ. ამბოხების საბაბი იყო ქრისტიანების დევნა. ქრისტიანებს ძალას ატანდნენ სჯულისათვის ელაღატნათ და ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღოთ. მეფე გურგენის აზრი იყო იბერიიდან სპარსელების სრულიად განდევნა. აჯანყებულებს ბერძნების მცირე რაზმიც ეხმარებოდა, მაგრამ სპარსელებმა ისინი დაამარცხეს და იბერია დაარბიეს. გურგენი ცოლშვილით საბერძნეთს წავიდა. ამ აჯანყების ცოტა ხნის შემდეგ **სპარსელებმა იბერიაში მეფობა მთლად მოსპეს.** მთელი აღმოსავლეთი საქართველო მათ ორ ნაწილად გაჰყვეს: **სამამასახლისოდ და საპატიახშოდ.** როგორც მამასახლისი, ისე პატიახშები ქრისტიანები (ქართველები) იყვნენ, მაგრამ მათ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი პოლიტიკურ ხელისუფლებას თითქმის მთლად მოკლებული იყვნენ. ხელისუფლება ნამდვილად ეკუთვნოდა მარზპანს, სპარსეთის მეფეთა ნაცვალს, რომელიც ტფილისში იჯდა. ქრისტიანობის დევნა ამ ხნიდან უფრო და უფრო გაძლიერდა. ქრისტიანობის მიღებისათვის სიკვდილით დასჯა იყო მიჩნეული, მაგრამ იმათ, ვინაც ძველათგანვე ქრისტიანებად ითვლებოდნენ, ნება ჰქონდათ თავის სჯულზე დარჩენილიყვნენ. კათალიკოსი, როგორც ეკლესიის მეთაური, სპარსელებისაგანაც ასეთად იყო აღიარებული.

ბოლოს და ბოლოს სპარსელებმა მიზანს მიაღწიეს. იბერიაში თავისი მოწინააღმდეგენი დროებით ჩააჩუხეს და ყველა ამ ქვეყნის სიმაგრენი ხელთ იგდეს. მთელი აღმოსავლეთ საქართველო ფაქტიურად სპარსეთის პროვინციად გადაიქცა.

ლაზიკის მდგომარეობა. როგორც წინადაღენიშნეთ, დასავლეთ საქართველოში პირველობა ლაზებმა მოიპოვეს და ამიტომ ამ მხარეს სახელიც შეეცვალა: კოლხეთის მაგივრად მას ლაზიკა დაერქვა. ლაზიკა ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მის მეფეებს ბიზანტიის იმპერატორები ამტკიცებდნენ; უნდა ითქვას კი, რომ ბერძნების ბატონობა ლაზიკისათვის ნაკლებად იყო საგრძნობი. ამიტომ, როდესაც სპარსელებმა ლაზიკის დაპყრობაც მოიწადინეს (მეფე კობადმა 520 წელს) ბერძნების და ლაზების შეერთებულმა ჯარმა ისინი სასტიკად დაამარცხა. სპარსეთმა ღრობით ხელი აიღო ლაზიკის დაპყრობის აზრზე.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 532 წელს ბერძნებმა და სპარსელებმა ჩამოაგდეს ეგრედწოდებული „საუკუნო ზავი“. ამ ზავის პირობების მიხედვით იბერია სპარსეთს დარჩა და დაკანონდა ის უმეფობა, რომელიც იქ არსებობდა გურგენის მიერ მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ. სპარსეთმა ირგო აგრეთვე ლაზიკის საზღვრებზე ორი ციხე-სიმაგრე: შორაპანი და სკანდა. სამეფო ძალა-უფლება შერჩაბო ლაზიკის მმართველებს, რომელნიც ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყვნენ. ლაზიკის მოვალეობას ბერძნების წინაშე მხოლოდ ის შეადგენდა, რომ დაეცვა ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები ველური სკვითების და სხვათა თავდასხმისაგან. მაგრამ მალე საქმე საუარესოდ შეიცვალა.

მიუხედავად „საუკუნო ზავისა“, ბერძნებს სპარსეთის შიში მაინც ჰქონდათ და ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს. ბერძნების ჯარისკაცები და მათი უფროსები ლაზებს ძალიან აწუხებდნენ. ბერძენთა მთავარსარდალი ვაჭრობას ეწეოდა და მოგების მეტს არას დასცდევდა. ამას უნდა დაუმატოთ, რომ იმ დროს ლაზიკა ეკონომიურად ჩამორჩენილი და ღარიბი იყო. ხალხს მძიმე ტვირთად აწვა ბერძენთა მრავალრიცხოვანი რაზმების გამოკვება. საკვირველი არაა, რომ ასეთ პირობებში ლაზებმა ძალა-უნებურად სპარსეთისაკენ დაიწყეს ყურება. ბერძნები ამასობაში თანდათან გათამამდნენ, ლაზთა მეფეს გუბაზ მეორეს აღარავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და აღარ ეკითხებოდნენ. გუბაზმა გამართა მოლაპარაკება სპარსეთის მეფე ხოსროსთან: მოდი, ლაზიკა დაიჭირე, ბერძნებისაგან განათავისუფლეო. სპარსელები ისედაც საბაბს ეძებდნენ და, რასაკვირველია, გუბაზის წინადადება სია-

მოგნებით მიიღეს. 542 წელს ხოსრო მეფემ გაიარა იბერია და ლაზიკაში გადავიდა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით. აქ რამდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ მან სასტიკად დაამარცხა ბერძნების სარდალი იოანე ციბუსი, კაცი მარტოოდენ საპირადო საქმეებით გატაცებული, ადამიანი, რომლისთვისაც ვაჭრობა უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ომიანობა. მთელი ლაზიკა ბერძნებისაგან განთავისუფლებულ იქმნა. 543 წელს ბიზანტიელებმა სპარსეთთან დროებითი ზავი ჩამოაგდეს (ხუთი წლის ვადით). საზავო პირობების ძალით ლაზიკა სპარსეთს დარჩა. ამნაირად მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში მთელი საქართველო სპარსეთს ემორჩილებოდა. მაგრამ სპარსეთის ბატონობა არც ამ შემთხვევაში ყოფილა ხანგრძლივი.

არეულობა ლაზიკაში. ბიზანტიისა და სპარსეთის მიზანი საქართველოს მიმართ ცხადი იყო. ხოსრომ მოინდომა ლაზიკაშიც მოესპო მეფობა, როგორც ეს მოხდა იბერიაში. ლაზების უკმაყოფილება კიდევ იმან გაამწვავა, რომ სპარსელებმა საწმენოებრივ ნიადაგზე ხალხს დევნა დაუწყეს. ლაზებმა მოიწვიეს სპარსელები როგორც მოკავშირენი. რასაკვირველია, არ უფიქრიათ, რომ სპარსეთი თავის ბატონობის ლაზიკაზე გავრცელებასაც მოინდომებდა. როდესაც ლაზიკას დაეპატრონა სპარსეთი—შეირყა ლაზიკის ქონებრივი მდგომარეობაც. ხალხს სავაჭრო ურთიერთობა უმთავრესად ბიზანტიასთან ჰქონდა: იქიდან შემოდისოდა ხორბალი, მარილი. ლაზიკიდან მიდიოდა: თაფლი, ტყავეულობა და სხვ. საერთოდ ლაზები ეკონომიურად დასავლეთთან იყვნენ დაკავშირებული. სპარსელების გაბატონების შემდეგ, ცხადია, ძველი ურთიერთობა და ვაჭრობა დასავლეთთან შეუძლებელი იყო. ამას ხოსროს ბოროტი განზრახვაც ზედ დაემატა: მას უნდოდა ლაზები რაც შეიძლება დაესუსტებინა და ლაზიკაში თავისი ერთგული სპარსელები დაესახლებინა. ამ განზრახვას მედგრად ეწინააღმდეგებოდა ლაზიკის მეფე გუბაზი. ხოსრომ მისი მოკვლევინება განიზრახა. შეთქმულება გამომჟღავნდა. ლაზები ძლიერ აღშფოთებული იყვნენ და იწყეს ლაპარაკი, რომ ახლა ბერძნების დახმარებით სპარსელები განედევნათ თავის ქვეყნიდან.

გუბაზმა იმპერატორ იუსტინიანეს ჯარი სთხოვა. იმპერატორმა მართლაც რვა ათასი კაცი გამოუგზავნა. მათ შეუერთდნენ ლაზები და დიდი ჯარი შესდგა. ბრძოლა დაიწყო ქალაქ პეტრას გარემოცვით. ხოსრომ თავის რაზმებს მაშველი ჯარი გაუგზავნა. ასე დაიწყო ცხარე და ხანგრძლივი ბრძოლა ლაზიკის განთავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა ხუთ წელიწადს (549—554 წ.) გაგრძელდა. მოკავშირეთა

ბანაკში არ სუფევდა მდგომარეობის შესაფერი თანხმობა. ბერძენთა ჯარის უფროსები კვლავ ანგარიშს არ უწევდენ მეფე გუბაზს და ყველაფერი თავის ნებაზე სურდათ გაეკეთებინათ. უსიანოვნებამ იქამდე მიიღწია, რომ ბერძენთა ჯარის უფროსების მარტინეს და რუსტიცის მეოხებით მეფე გუბაზი მოჰკლეს. გუბაზის მოკვლამ ლაზებში დიდი მღელვარება გამოიწვია, იმდენად დიდი იყო აღშფოთება მეფის მოკვლის გამო, რომ ზოგიერთები აშკარად ამბობდნენ: ყოვლად შეუძლებელია ამიერიდან ჩვენი და ბერძენების კავშირიო. ლაზიკის მცხოვრებთა მრავალრიცხოვან კრებაზე გამოვიდა ორი ორატორი—აეტი და ფარტაცი. პირველი თავის ლამაზ სიტყვაში ურჩევდა ლაზებს ხელი აეღოთ ბერძენების მომხრეობაზე—მუხანათი ხალხიარო. იგი იცავდა სპარსელებთან ყოფნის საჭიროებას, გუბაზის მკვლელებს სამაგიერო უნდა გადაუხადოთო. ფარტაცი საკითხს უფრო დინჯად, დამშვიდებულად არჩევდა: მართალია, ამბობდა ის, გუბაზის მოკვლას ყველანი ჩვენ აღუშფოთებივართ და აუცილებლად უნდა მის მკვლელებს მივაგნოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დასძინდა იგი, ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ ქრისტიანულ ბიზანტიასთან კავშირზე, იმ ბიზანტიასთან, რომელიც დაგვეხმარა სპარსელების დამარცხებაშიო. სპარსელები კი, ხომ იცით როგორ გეჩაგრავენ, რანაირად სდევნიან ჩვენს სჯულსა. ვსთხოვო, იმპერატორს და მე მწამს, იგი აუცილებლად დასჯის გუბაზის მკვლელებსაო.

ფარტაციმ გაიმარჯვა. ლაზებმა მკვლევლობის გამოძიება იმპერატორს სთხოვეს. გუბაზის დაღუპვის ამბავი წინად მას ისე ჰქონდა გაგებული, თითქოს ლაზთა მეფე ვითომ იმიტომ მოეკლათ, რომ ბერძენების ღალატი დაეპირებინოს. როდესაც იმპერატორმა საქმის ნამდვილი ვითარება გაიგო, გამოძიება დანიშნა და გუბაზის მოკვლის მომწყობნი იონე და რუსტიცი სიკვდილით დასაჯო. ბერძენების თანხმობით ლაზების სამეფო ტახტზე წათე მე-II ავიდა. ამასთანავე 559 წელს სპარსელები ლაზიკის ყველა ციხე-სიმაგრეიდან განდევნილ იქნენ და მალე მთელი ლაზიკაც დასცალეს.

563 წელს სპარსეთმა და ბიზანტიამ ერთხელ კიდევ დასდევს საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ლაზიკა საბერძნეთს (ბიზანტიას) დარჩა, ხოლო სვანეთის საკითხი გამოურკვეველად აღიარეს. ამასთანავე სპარსეთში მცხოვრები ქრისტიანები თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი სარწმუნოებრივი დევნისაგან. ხსენებული ხელშეკრულების ვადად ორმოცდაათი წელი იქნა დადებული ლაზიკაში არეულობა მაინც დიდხანს არ შეწყვეტილა. ამ არეულობის გამო ქვეყანა დაუძლიურდა, გაღარიბდა. მალე იგი ოთხ სამ-

თავროდ გაიყო და ამ სამთავროებში ყველაზე მეტად აფხაზეთი გაძლიერდა.

იმპერატორ ჰერაკლეს ბრძოლა სპარსეთთან. იბერიაში სპარსელები სარწმუნოებრივ დევნას განაგრძობდნენ. ქართველებმა სკადღეს აჯანყება და სპარსელების განდევნა იბერიიდან, მაგრამ დამარცხდნენ. 591 წელს იბერია კვლავ ორად გაჰყვეს: მოუძღვრებული სპარსეთი იძულებული გახდა იბერიის დასავლეთი ნაწილი, თითქმის ტფილისამდე, ბიზანტიისთვის დაეთმო. მალე ბიზანტიის ხელში გადავიდა მთლად საქართველოც. ეს მოხდა ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ.

ჰერაკლემ (610-641) დაუძღვრებული ბიზანტია კვლავ ფეხზე წამოაყენა. მან კავშირი შეჰკრა ხაზარებთან და მათის დახმარებით მოარბია ჩრდილოეთი სპარსეთი. ცოტა ხანს შემდეგ ჰერაკლე იბერიისაკენაც გამოელაშქრა, რათა იქედან სპარსელები განედევნა. ამ ლაშქრობის დროს მან მიიმხრო ზოგიერთი იბერიელი ერისთავიც. ქართველებში ერთსულოვნობა არ ყოფილა: ზოგი სპარსეთისაკენ იყო, ზოგი ბიზანტიელებისაკენ. ამიტომ მოხდა, რომ ქართველები ერთადე ლაშქარში იბრძოდნენ. ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჰერაკლემ ტფილისი აიღო და სიკვდილით დასაჯა როგორც სპარსეთის მეფის ნაცვალი, ისე ქართველი ერისთავი სტეფანოზი. სპარსელები განდევნილ იქნენ იბერიიდანაც. ამნაირად მთელი საქართველო ბერძნებს დაემორჩილა. ბიზანტიის გავლენა იმ ხნიდან ფრიად ძლიერდება, რასაც ხელს უწყობს ერთმორწმუნეობა ორივე ერის — ქართველების და ბერძნებისა. საქართველოს ეკლესიაც ბერძნებისას ემორჩილება. პოლიტიკური ხელისუფლება ეკუთვნის რამდენსამე ერისთავს, რომელნიც ბიზანტიის იმპერატორს ემორჩილებიან და მათ შიერ ბოძებულ სხვადასხვა ხარისხს ატარებენ.

არც ბერძნების ხელში ყოფილა აღმოსავლეთი საქართველო დიდხანს. მე-7 საუკუნეში გაძლიერდნენ არაბები და მალე იბერიის საზღვარსაც მოადგნენ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ვითარება ძველი ხანის დასახრულს. ძველი ისტორიის ხანაში ქართველმა ტომებმა ვერ მოახერხეს გაერთიანება და მთლიან სახელმწიფოს შექმნა. ჯერ არსებობდა იბერია და კოლხეთი, შემდეგ იგივე იბერია და ლაზიკა. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ცალცალკე პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა, რასაც ხელს უწყობდა ბიზანტიისა და სპარსეთის ერთმანეთთან ბრძოლა. დასავლეთი საქართველო ამ ბრძოლის დროს ხშირად ბიზანტიის ხელში იყო, აღმო-

სავლეთი—სპარსელებისა. თუმცა ქართველობა უფრო ბიზანტიისაკენ იწეოდა, როგორც ერთმორწმუნე ქვეყნისაკენ, მაგრამ მას არასოდეს ავიწყლებოდა უმთავრესი თავისი მიზანი: დამოუკიდებლობის დაცვა. ქართველების ეს მისწრაფება სრულს დამოუკიდებლობისაკენ მშვენივრად არის გამოხატული იმ სიტყვაში, რომელიც კოლხების კრებაზე ორატორმა აეტმა წარმოსთქვა გუბაზე მეფის მოკვლის გამო.

„ჩემი სურვილი და ნატვრა ის არის—სთქვა აეტმა,—კოლხიდელების სამეფო ისევე ყოვლად ძლიერი იყოს, როგორც წინად ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოელთა არ ესაჭიროებოდეს და რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროსა. მაგრამ რაკი დროთა ბრუნვის გამო, ან ბედის დაუდგრომლობის გამო, ან, შესაძლოა, ამ ორსავე მიზეზით ერთად—ასე დაეუძღურდით და თვითონ ჩვენ ჩაუვარდით ხელში სხვებს, გონიერება ის იქნება, იმათ ხელში ვირჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერები და მართლის მოყვარულნი არიან და უფრო გატანა იციან თავიანთ მომხრეებისა“.

ასეთ „გამტანად“ ორატორს სპარსელები მიაჩნდა, რომელნიც, მისი აზრით, უფრო დაიცავდნენ დამოუკიდებლობას, ვიდრე ბერძნები. ამნაირად, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქართველები ხშირად იძულებული იყვნენ მიემართნათ ხან სპარსეთის, ხან ბიზანტიისათვის.

რანაირი პოლიტიკური წესწყობილება იყო იმ დროის საქართველოში? ლაზიკაში ყოველ ტომს ცალკე მეფე ჰყვანდა; ეს მეფეები ლაზიკის საერთო მეფეს ემორჩილებოდნენ. სპარსელებისა და ბერძნების გავლენით მემკვიდრეობის წესი თანდათან იცვლება: ტახტი გადადის არა გვარეულობის უფროსზე, არამედ მამისაგან შვილზე. მთელი ძალა-უფლება მეფის ხელშია: მას ეკუთვნის საკანონმდებლო, სამართლის უფლება. მეფევე არის მთავარსარდალი ჯარისა და საერთაშორისო საქმეებში სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი. სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას იღებდნენ მსხვილი აზნაურები. მათი გავლენა განსაკუთრებით ძლიერდება იბერიის მეფობის მოსპობის შემდეგ: ჩნდებიან „ერისთავები“ და „მთავრები“. პიტიანშეზადაც ხშირად მსხვილი ქართველი აზნაურები ინიშნებიან.

ბიზანტიელ ისტორიკოსთა მოწმობით, ლაზიკაში კარგად ყოფილა მოწყობილი გადასახადთა აკრეფის საქმე: ჰქონიათ სიები, არქივები და სხვ. სწარმოებდა აგრეთვე ფულის მოჭრაც: მე 6 საუკუნეში მოჭრილ რამდენსამე ფულს ჩვენამდისაც მოუღწევია. საერთოდ კი ძველი საუკუნეების დამლევეს საქართველოს ეკონომიური

მდგომარეობა გაუარესდა: ამის მიზეზი ის დაუსრულებელი ბრძოლა იყო, ბიზანტია და სპარსეთი რომ აწარმოებდნენ საქართველოს გამო. ამ ბრძოლის განმავლობაში ქართველი ხალხი ხშირად ხდებოდა არბევის საგნად, ღარიბდებოდა და რიცხვითაც მცირდებოდა.

ძველი ხნის დასასრულს გაძლიერდა წოდებრივი უთანასწორობა, რაიც შედეგი იყო გვაროვნული წყობილების თანდათან რღვევისა. როგორც ვიცით, გვაროვნული წყობილობის დროს მიწა და სამუშაო იარაღები საერთო საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ გვარების თანდათან გამრავლებისა და ახალ-ახალი მიწების დაჭერის დროს თანდათანვე განვითარდა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრების გაჩენამ თავისი მხრით ხელი შეუწყო წოდებრივ უთანასწორობის გაძლიერებას. თვით ცალკე წოდებათა შორის გაჩნდა დანაწილება. „შუშანიკის წამებაში“ იაკობ ხუცესი ამბობს: „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეჴპურნი დედანი (კეთილიშობილი ქალები), აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდესო“. მაშასადამე უბრალო აზნაურთა გარდა ყოფილან „აზნაურნი დიდ-დიდიც“, რომელთაც დანარჩენები ემორჩილებოდნენ. ამნაირად ჩაისახა ფეოდალური წყობილება, რამაც შემდეგ საუკუნეებში უკვე ფეხი მოიდგა და განსაკუთრებით გაძლიერდა სპარსელების მიერ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის, მოსპობის შემდეგ.

უაზნოები თავის მხრით შესდგებოდნენ შემდეგი წრებიდან: ყველაზე დაბლა იდგნენ მონები, შემდეგ ყმები და მსახურნი. ვაჭრები და ხელოსნები ცოტანი იყვნენ. უმთავრესად გავრცელებული იყო შემდეგი ხელობა: მეჭურჭლეობა, გეხამლეობა (ფეხსაცმლის კერვა) და სხვა. მონები ჰყავდათ არა მარტო აზნაურებს, არამედ ზოგიერთ ხელოსნებსაც.

საქართველოში ამხანადაც უმთავრესად მიწის მუშაობას და მევენახეობას მისდევდნენ. დასავლეთ საქართველოში ხორბალს ნაკლებად სთესდნენ: იკვებებოდნენ უფრო ღობით. ახლანდელი შორაპნის მაზრის მიდამოებში მევენახეობასაც მისდევდნენ. რაც შეეხება მანეთების დამუშავებას და ხელის ქსოვას, რაზედაც ოდესღაც ბერძენთა ისტორიკოსი ჰეროდოტე სწერდა, ძველი დროის დამლევეს თითქმის სრულიად აღარ ჰქონდა ადგილი.

ვაჭრობის დაცემამ ხელი შეუწყო გზების გაფუჭებასაც, რომელთათვის უკვე ძლიერ ნაკლებად ზრუნავდნენ. მიუხედავად ვაჭრობის შესუსტებისა, ქალაქები საქართველოში მაინც მრავლდებოდა: ქუთაისი, ფაზისი (ფოთი), ცხუმი (სოხუმი, პეტრა (შავ ზღვაზე), პიტუნნი (ბიჭვინთა) და ახლანდელი ნაქალაქევი (სამეგრელოში) თან-

დათან იზრდებოდნენ. მხოლოდ მცხეთა და არმაზი დასუსტდა და პირველობა ტფილისს დაუთმო. ტფილისი იმ დრომდე მარტოდენ ციხე სიმაგრეს წარმოადგენდა, ხოლო როდესაც იგი სპარსელების მარზპანებმა თავის ცენტრად აარჩიეს, ტფილისი მალე გადაიქცა საქართველოს სატახტო ქალაქად.

სარწმუნოება და კულტურა. საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობის ნაშთებს ახლაც შეხვდებით ზოგიერთ მივარდნილ კუთხეებში. თუ რაგვარის გზითა და საშუალებით ვრცელდებოდა ეს სარწმუნოება სპარსელების მიერ და რანაირ ძალადობას ხმარობდნენ ისინი მის გასამარჯვებლად, ეს ცხადად სჩანს შუშანიკის, რაქდენის და ესტატეს მოწამებრივი სიკვდილით მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა მალე ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა და თანდათან სპობდა ცეცხლთაყვანისმცემლობას. ამიტომ საქართველოს ეკლესიას ჰქონდა მნიშვნელობა არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც. როგორი იყო ამ ეკლესიის წესწყობილება?

საქართველოს ეკლესიას ძველთაგანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთის ეკლესიასთან: პირველი სასულიერო პირები იბერიაში ანტიოქიიდან მოვიდნენ. მე-5 საუკუნის დამლევეს აღმოსავლეთის ეკლესიაში გაჩნდა უთანხმოება. ორი მიმართულება იბრძოდა: მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა. მონოფიზიტები ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტე ერთბუნებოვანი, მხოლოდ ღმერთი იყო; ხოლო დიოფიზიტების აზრით ქრისტეში ორი ბუნება ჰსუფევდა: ღვთიური და ადამიანური. ხალკიდონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დიოფიზიტობამ გაიმარჯვა და იგი აღიარებულ იქნა ბიზანტიაშიც. პოლიტიკურმა მოსაზრებებმა ბოლოს და ბოლოს ქართველებს უკარნახა დიოფიზიტობა აღეარებინათ და ამნაირად ბიზანტიას არ დაშორებოდნენ, თუმცა ქრისტეს ბუნების შესახებ ქართულ ეკლესიაში სხვადასხვა აზრი ტრიალებდა. დიოფიზიტობა მიიღო მთელმა აღმოსავლეთის ეკლესიამაც. მონოფიზიტობაზე დარჩენ მარტო სომხები, რის გამო კათალიკოს კირიონის დროს (607 წ.) მოხდა განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებსა. ამის გამო სომხის კათალიკოსმა მიმართა მოწოდებით მთელ თავის სამწყსოს, სადაც აღნიშნავდა: „ქართველები და ალბანელები ბერძნეზივით მწვალებლები არიან, მათთან არაფერი საზიარო არა გქონდეთ, — არც ლოცვასა, არც სასმელ-საჭმელში, არც მეგობრობასა, არც შვილების აღზრდაში, არც ცოლ-ქმრობაში; შეგიძლიათ მხოლოდ ივაჭროთ მათთან, როგორც ურიებთანაო“ (ივ. ჯავახიშვილი).

ქართულ-სომხურ ეკლესიათა განშორებას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. კერძოდ მას შემდეგ იყო საქართველოს ის ნაწი-

ლი, სომხეთს რომ ეკვრის (დღევანდელი ბორჩალო) სომხის ეკლესიის გავლენას დაემორჩილა და ამის გამო შემდეგ თავისი ეროვნული სახეც დაჰკარგა.

წინააღმდეგობით, რომ ქრისტიანობის მიღებამ ძალიან ხელი შეუწყო სწერლობის ზრდა-განვითარებას. მე-5 საუკუნეშივე ყველა საღმრთო წიგნი უკვე გადათარგმნილი იყო ქართულ ენაზე. რაც შეეხება ორიგინალ ნაწარმოებთ, ამ ხანის მხოლოდ ორს ნიმუშს მოვლწევია ჩვენამდე: ესაა „წამება წმ. შუშანიკისი“ და „ევესტატი მცხეთელის მარტილობა“. პირველი დაწერილია თვით შუშანიკის ზოდღერის იაკობ ხუცესის მიერ და შესანიშნავია თავისი სადა სტილით, ხოლო მეორე—ეკუთვნის მეექვსე საუკუნეს. სამწუხაროდ, მხოლოდ ორ ზემოხსენებულ ნაწარმოებს მოვლწევია ჩვენამდე; მიუხედავად ამისა, მაგრამ იმათშიაც საკმაო ცნობები მოიპოება იმდროინდელი საქართველოს გასაცნობად. ამასთანავე ორივე ეს ნაწარმოებთ ცხადად მოწმობს, რომ უკვე მე-5 საუკუნეში ყველა ტომის საერთო სალიტერატურო (სამწერლო) ენა—ქართული ყოფილა.

ლიტერატურის გარდა თანდათან ვითარდება ხელოვნების სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით ხუროთმოძღვრება. თავდაპირველად ქართული ხუროთმოძღვრება მხოლოდ ბიზანტიურის წაბაძვა იყო, მაგრამ მალე დამოუკიდებელ გზას დაადგა და ფრიად დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ქართული ხუროთმოძღვრების სიდიადეს მოწმობს ის მრავალი ტაძარი და ეკლესია, საქართველოში ასე ბლომად რომ არის და ხელოვნათ აკვირვებს თავის საოცრად ლამაზი ჩუქურთმებით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბიზანტიას დიდი გავლენა ჰქონდა მთელ საქართველოზე, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილზე. კოლხის აეტიისა და ფარტაცის მკვერმეტყველება ამტკიცებს, რომ ბიზანტიის სარიტორო სკოლებს ბევრი ქართველი შეგირდიც ჰყოლიათ.

არაბთა გაბონობა საქართველოში. ფოლ-ლიზმი.

არაბები და მაჰმადი. ძველი საუკუნეების დამლევამდე ჩვენს ქვეყანას უმთავრესად ურთიერთობა ჰქონდა ორ თავის მეზობელთან, რომელნიც გამუდმებულ ბრძოლას ეწეოდენ ერთმანეთის წინააღმდეგ საქართველოს დასამორჩილებლად. ეს მეზობლები იყვნენ ქრისტიანული ბიზანტია და წარმართობაზე მდგარი სპარსეთი. მე-7 საუკუნეში კი ჩნდება ახალი საშიში ძალა, არაბები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელ წინა აზიის და შემდეგ კიდევ ევროპის ისტორიაში. არაბებმა, სხვათა შორის, დაიპყრეს სპარსეთი და მალე იბერიის საზღვრებსაც მოადგნენ. ვინ იყვნენ არაბები და რამ შეუწყო ხელი მათ გაძლიერებას?

სემიტურ ტომის ხალხი—არაბები სცხოვრობდენ არაბეთის უდაბნო ნახევარ კუნძულზე. ისინი მომთაბარე, ველურ, მაგრამ მეომარ ხალხს წარმოადგენდენ. არაბები უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდენ და და მე-7 საუკუნემდე თითქმის ყველასათვის უცნობნი იყვნენ. მათი არსებობა იცოდენ უმთავრესად იმ ევროპიელმა ვაჭრებმა, რომელნიც ინდოეთს გამგზავრებულნი, არაბეთის მიწა-წყალზე გაივლიდენ ხოლმე, რადგან მაშინ ევრიპიდან აზიისაკენ უმთავრესი გზა სწორედ არაბეთის ნახევარ კუნძულზე გადიოდა. მაინცადამაინც ეს ვაჭრები კარგი წარმოდგენისა როდი იქნებოდენ არაბებზე, ვინაიდან ძალიან ხშირად ხდებოდენ მსხვერპლნი მათი თავდასხმის და ძარცვა-გლეჯისა. ასეთები იყვენ არაბები. მე-7 საუკუნემდე, როდესაც მათი წარსკვლავი აღმობრწყინდა. ამ ხნიდან კი დაქსასული ტომები არაბებისა გაერთიანდენ ახალ სარწმუნოების—ისლამის და მისი წინასწარმეტყველის მაჰმადის დროშის ქვეშ და ძლიერი სახელმწიფო დაარსეს. მათ ჯერ არაბეთის ნახევარი კუნძული დაიმორჩილეს, შემდეგ მალე მეზობლებსაც სწვდენ და შორეული ქვეყნებიც დაიპყრეს.

წინასწარმეტყველ მაჰმადამდე არაბებს ჩამოყალიბებული, ეროვნული სარწმუნოება არა ჰქონიათ. სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლებთან ურთიერთობამ, რომელნიც არაბებზე კულტურით მაღლა იდგენ, დიდი გავლენა იქონია მათზე და მათ სარწმუნოებასაც ქრელი ხასიათი მისცა. არაბთა ტომებში გავრცელებული იყო როგორც სპარ-

სული მაზღეიანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა), ისე ებრაელთა ერთ ღმერთიანობა. ცის მნათობთა თაყვანისმცემლობის აღმსარებელიც მრავალი იყო. სართოდ კი არაბებს 300 სხვადასხვა კერპი ჰყავდათ, რომელთაც უდაბნოელთა შორის გასავალი ჰქონდა.

მექქაში იყო ადგილი, სადაც მოეგროვებინათ ყველა კერპი. ამ ადგილს ქააბა ერქვა. იქვე იყო წმინდა ქვა, არაბების გადმოცემით მთავარანგელოზ გაბრიელისაგან ციდან ჩამოტანილი. ეს ქვა შავი იყო და არაბები ამბობდნენ: წინათ თეთრი ყოფილა, მაგრამ მრავალი ცოდვილი მთხვევია და ამიტომ გაშავებულაო.

მე-7 საუ. უნის დამდეგს არაბთა შორის გამოჩნდა შესანიშნავი პიროვნება მაჰმადი, რომელმაც ახალი სარწმუნოების, ისლამის ქადაგება დაიწყო. მაჰმადი გამოვიდა კორეიშიტთა (ვაჭართა) წრიდან. იგი დაიბადა 571 წელს, დედ-მამა ადრე გარდაეცვალა და ობლად დარჩენილს ბიძა მისი ინახავდა. პატარა მაჰმადი ჯერედ მწყემსად იყო, ხოლო მერე ქარავნებს დასდევდა. ამ მოგზაურობის დროს იგი ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა ერის შვილებს და მათ სარწმუნოებასაც ეცნობოდა. უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადი არაჩვეულებრივი აგებულებითა იყო, ეპილეპსია (ბნედა) სჭირდა და ხშირად მოჩვენებებსაც ჰხედავდა. ამ მოჩვენებათა და ჩაგონებათა გავლენით მან ერთხელ გამოაცხადა, რომ იგი წინასწარმეტყველი და მქადაგებელია ახალი სარწმუნოებისა. ეს ახალი სარწმუნოება ებრაელთა ერთღმერთიანობისა და ქრისტიანობის შეზავებას წარმოადგენდა. თავის მოძღვრების ძირითად აზრად მაჰმადმა მართლაც ერთღმერთიანობა აღიარა და ეს შემდეგ დებულებად ჩამოაყალიბა: „არა არს ღმერთი, გარდა ღმერთისა, და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველი“. ამასთანავე იგი ქრისტესაც და მოსესაც წინასწარმეტყველად სთვლიდა, ოღონდ მეორე ხარისხოვანად მიიჩნდა. მაჰმადს თავისი მოძღვრება არ დაუწერია: იგი მხოლოდ გატაცებით ჰქადაგებდა მას ზეპირად. მისმა მოწაფეებმა მისი ნააზრევნი დააკრვეს და შემდეგში წიგნიც შეადგინეს. ამ წიგნს კურანი ეწოდება და ისეთივე ადილი უჭირავს მუსულმანთა ცხოვრებაში, როგორც ქრისტიანობაში სახარებას.

მაჰმადის მოძღვრება თავის დროისთვის შესაფერი და არაბთათვის მისაღები იყო. იგი ჰქადაგებდა სათნოებას პირად ცხოვრებისათვის, ღვთისმოსავობას, უკრძალავდა თავის მიმდევრებს ამქვეყნიური სიტკბოებით ძლიერ გატაცებას და ღვინის სმას. მაჰმადს სწამდა ბედისწერა, მისი აზრით ყოველი ადამიანის ცხოვრება ღვთისაგან წინდაწინვე განსაზღვრულია. ამან წარმოშვა ის ფატალიზმი, რაიც აღმოსავლეთის და საერთო მაჰმადიანების დამახასიათებელი თვისებაა.

მაჰმადიანობას პირველ ხანებში მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მერე შეიცვალა და მებრძოლი ელფერი მიიღო. მაჰმადმა და იწყო შეუბრალებელი ბრძოლის ქადაგება. ყველა არა მართლმორწმუნე, ე. ი. არა მაჰმადიანების წინააღმდეგ. ამ ქადაგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: იმ ხნიდან თვით არაბებში ახალი სარწმუნოება ცეცხლითა და მახვილით ვრცელდება, ხოლო ერთი სარწმუნოების გამარჯვება ხელს უწყობს არაბების პოლიტიკურად გაერთიანებას და ძლიერ სახელმწიფოს შექმნას. მაჰმადი იყო იმ დროს არა მარტო ახალი მოძღვრების წინასწარმეტყველი, არამედ არაბების სამხედრო და პოლიტიკურ ეროვნულ მეთაურადაც გადაიქცა. მებრძოლი მაჰმადიანობა მარტო არაბეთის უდაბნოს აღარ დასჯერდა და მალე მეზობლებს შეესია: მაჰმადის მემკვიდრები, ხალიფები, იწყებენ დამპყრობელ ომებს. ამ ხანგრძლივ ომიანობის ხანაში მაჰმადიანობის შინაგანი სიმტკიცე თანდათ ირღვევა: ჩნდებიან სხვადასხვა მწვალებლობანი (სექტები): ზოგიერთნი ამბობენ, უნდა გვწამდეს მხოლოდ კურანი, სხვა არაფრის დამატება არ შეიძლებაო. ამ სექტას ერქმევა შიიტების სექტა. ზოგიერთებს კურანს გარდა წმინდა გადმოცემანი და თქმულებანი „სუნნაც“ სწამთ, და ამიტომ მათ სუნიტებს უწოდებენ. ამ ორ მიმართულების შორის ჩაღდება ფიცხელი და შეუბრალებელი ბრძოლა, რომელიც დღევანდლამდისაც არ მიწყნარებულა. ამჟამად სუნიტები მაჰმადიანებში ყველაზე მძლავრნი არიან (არაბები, ოსმალონი) ხოლო შიიტობა უმთავრესად სპარსეთშია გავრცელებული.

არაბების მიერ იბერიის დაპყრობა. არაბებმა გაერთიანების შემდეგ შეჰქმნეს მშვენიერი ჯარი, რომელმაც თავის ძლევამოსილებით სახელი გაითქვა. მათ დაიპყრეს სპარსეთი, სირია, ეგვიპტე, იერუსალიმი, ხოლო შემდეგ ჩრდილო აფრიკიდან ესპანიას შეესივნენ. როდესაც არაბებმა სომხეთი დაიჭირეს, ჯერი საქართველოზე მიდგა.

იბერია იმ დროს ბიზანტიას ემორჩილებოდა. რაც სპარსელებმა მენ საუკუნეში იბერიაზე შეფოთა მოსპეს, მას შემდეგ არც ბიზანტიელების დროს აღდგენილა იგი. აღმოსავლეთ-საქართველოს ჰელობდენ და ჰმართავდენ ბიზანტიის იმპერატორის მორჩილებაში მყოფი ერისთავები. უნდა ითქვას, რომ ბერძნებისაგან იმჟამად ხალხი ძალიან იყო შეწუხებული არა მარტო იბერიაში, არამედ მთელ აღმოსავლეთში.

ქართველები, ბერძნების სისასტიკით თავმოებზრებულნი, უბრძოლველად დაემორჩილნენ არაბებს. რასაც ვიკრველია, მარტო ბერძნებისადმი უკმაყოფილება არ ყოფილა ამის მიზეზი: კარზე მომდგარი მტერი ძლიერი იყო, შესანიშნავი და მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა.

ხოლო იბერია დაქსაქსული, დაუძღურებული იყო შინაურ და გარეშე ძალთა მეოხებით. ამიტომ, როდესაც 643 წელს არაბთა ჯარი ჰაბიზის მეთაურობით, საქართველოს საზღვრებს მოადგა, ქართველებმა მათთან მოლაპარაკება გამართეს. დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით ქართველები რჩებოდნენ თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელნი; ხელუხლებელი რჩებოდა აგრეთვე ქართველთა სარწმუნოებაც. იბერიელებმა მხოლოდ ყოველწლიური ხარკის გადახდა იკისრეს.

თანახმად ხელშეკრულებისა, თავის ბატონობის პირველ ხანებში არაბები მართლაც როდი ერეოდნენ იბერიის შინაურ საქმეებში. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ არაბები იმ დროს გართული იყვნენ ხაზარებთან ბრძოლაში, რომელნიც თავს ესხმოდნენ მათს სამფლობელოებს. ამასთანავე სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა ბიზანტიასთანაც, რომელიც არაბების ძლიერი მეტოქე იყო მთელ კავკასიაში. ესმოდათ რა იბერიის წნიშენელობა, როგორც ამიერ-კავკასიის შუაგულისა, არაბები ბევრ წვრილმანს პირველ ხანებში ყურადღებას არ აქცევდნენ. იბერია შედარებით თავისუფლად გრძნობდა თავს. მისი ნამდვილი დამორჩილება შემდეგ დროებში მოხდა. როდესაც არაბებმა კავკასიაში ფეხი მაგრად მოიკიდეს და მათში გაღვივდა სარწმუნოებრივი ფანატიზმი, გამძლავრებული არაბები ჰფიქრობენ უკვე დასავლეთ-საქართველოს დამორჩილებასაც და საამისოდ ემზადებიან.

არაბების გალაშქრება დასავლეთ საქართველოზე. დასავლეთ-საქართველო კვლავ ბიზანტიის ხელში იყო და იქაური მეფეები სამეფო ნიშნებს მისგან ღებულობდნენ. თანდათან ბიზანტიელთა ბატონობამ წინანდელი ხასიათი დაჰკარგა და მხოლოდ გარეგანი ბატონობის იერი მიიღო. ბიზანტიის იმპერატორები აჯილდოებდნენ დასავლეთ-საქართველოს მეფებს საკარისკაცო ხარისხებით: უბოძებდნენ ხოლმე კუროპალატობას, მაგისტროსობას, შინაურ საქმეებში კი ნაკლებად ერეოდნენ.

ასეთ მდგომარეობაში იყო დასავლეთ-საქართველო, როდესაც არაბებმა დაიპყრეს იბერიის ჩრთილოეთად მდებარე ციხე-სიმაგრენი, დაამარცხეს ხაზარები, განამტკიცეს იბერიაში თავისი ბატონობა და დასავლეთისაკენ ჰქნეს პირი. მათ ჰსურდათ იქიდან თავისი მეტოქე ბიზანტიელები განედევნათ და ამნაირად მთელი საქართველო დაემორჩილებინათ. იმ ხანებში არაბთა მმართველობის წესი იბერიაშიც შეიცვალა. სხვადასხვა სექტების ბრძოლაში თანდათან ძლიერდებოდა სარწმუნოებრივი შეუირგებლობა, ფანატიზმი. განსაკუთრებით აბასი-

ღების გვარეულობის გამეფების შემდეგ გაიზარდა ეს ფანატიზმი. ამას სარწმუნოებრივი ღვეწაც მოჰყვა.

სწორედ ამ დროს მოეგლინა საქართველოს ღვთის რისხვად მურვან-ყრუ, სასტიკი, შეუბრალებელი ადამიანი, რომელმაც ჯერ იბერია მოაოხრა, ხოლო მერე დასავლეთ საქართველოს დაეცა მებად. მან დაამარცხა იქაური ჯარი და საშინლად დაარბია ქვეყანა. მურვანთან ბრძოლაში დაილუპნენ არგვეთის (ზემო-იმერეთის) მთავრები დავით და კონსტანტინე. მურვან-ყრუს გალაშქრება იმერეთზე 737 წ. მოხდა. იგი დიდი უბედურობა იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის, რომელიც ამის შემდეგ საბოლოოდ უძლურდება: იბერიას ჰმართავს არაბთა მიერ დანიშნული ამირა, ტფილისში მჯდარი. იმერეთის მეფეები ნამდვილად უბრალო მოხელეებად გადაქცევიან და ერისთავის ან მამფალის ხარისხს ატარებენ. ბიზანტიაც მოუძლურებულა და არაბებთან ბრძოლა არ შეუძლია. დაიწყება არაბთა ამირების განუსაზღვრელი და განუკითხავი ბატონობა. ამას ზედ ერთვის სარწმუნოებრივი ღვეწაც. ამ დროს აწამებენ აბო ტფილილელს, ჩამომავლობით არაბს, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. აბოს ცხოვრება ასწერა იოანე საბანისძემ.

ერისთავნი ჯუანშერ, ნერსე და სტეფანოზი. ამ ერისთავების დროს ქართლის მდგომარეობა ძლიერ უნუგეშო იყო, რამაც იძულებულჰყო ერისთავები საერისთავო მიეტოვებინათ. არაბების ბატონობას ხაზარების ხშირი თავდასხმაც დაერთო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მურვან-ყრუმ ჩრდილოეთს მიაშურა და დარიალი და დარუბანდი აიღო.

ერისთავ ჯუანშერის დროს ხაზარები თავს დაესხნენ ტფილისს (764 წ.) და მოსრნეს იგი. მემატიანის აზრით, ეს ამბავი შემდეგს გარემოებას გამოუწვევია: ხაზართა ჰაკანს მოუნდომებია ჯუანშერის დის—შუშანის ცოლად შერთვა. ჯუანშერს უარი უთქვამს—არა ქრისტიანს დას ვერ მივათხოვებო. ხაზარებს სწყენიათ და ამიტომ დაურბევიათ ჯერ იბერია და შემდეგ ტფილისი. აქედან მათ ტყვედ წაუყვანიათ ჯუანშერის და შუშანი, რომელსაც გზაშივე თავი მოუწამლავს. მთელი ეს ამბავი აშკარად მოწმობს, თუ რაგვარ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მე-8 საუკუნის ქართველები ქრისტიანობას და როგორ მზად იყვნენ სჯულის გულისათვის მრავალი უსაამოვნება გადაეტანათ.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ხაზართა და ქართველთა ურთიერთობა, რასაკვირველია, მუდმივ მტრული არ ყოფილა. ქართველები ხანდახან სარგებლობდნენ იმით, რომ არაბები და ხაზარები ერთმა-

ნეთს ეტოკებოდნ და გაჭირვების დროს თავს შეაფარებდნ ხოლმე თავის ჩრდილოელ მეზობლებს. ამ მხრით აღსანიშნავია ერისთავ ნერსეს ამზავი. როდესაც დაიწყო დევნა ქრისტიანობისა და საერთოდ არა-მაჰმადიანებისა, ბაღდადის ხალიფმა მანსურმა, ნერსე, ქართლის ერისთავი, თავისთან დაიბარა და ციხეში ჩასვა. საპყრობილეში ნერსემ სამ წელიწადს დაჰყო. მანსური რომ მიიცვალა, ნერსე ქართლში დაბრუნდა და კვლავ ერისთავობა მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ მან ხელმეორედ გამოიწვია არაბების უკმაყოფილება, იგი კვლავ ბაღდადს დაიბარეს. რასაკვირველია, ნერსე იქ არ წასულა, მაგრამ იძულებული კი გახდა ქართლი მიეტოვებინა. იგი გადავიდა ხაზარებში, ხოლო ცოლ-შვილი აფხაზეთს გაგზავნა. ხაზარებმა ნერსე ძალიან კარგად მიიღეს და საშუალება მისცეს აფხაზეთს გადასულიყო.

ნერსეს შემდეგ არაბებმა ქართლის ერისთავად დანიშნეს მისივე ნათესავი სტეფანოზი. რამდენისამე ხნის შემდეგ ქართლს დაბრუნდა ნერსეც, მაგრამ ხელისუფლება კი საბოლოოდ დაჰკარგა. სტეფანოზის მმართველობა დიდით არაფრით ყოფილა შესანიშნავი. კვლავ გრძელდებოდა სარწმუნოებრივი დევნა არაბთა მხრით და სწორედ მის დროს (785 წ.) აწამეს ზემოხსენებული აბო ტფილელი.

არაბთა პოლიტიკის შეცვლა. მურვან-ყრუს დროიდან არაბთა პოლიტიკა საქართველოში ძირითადად იცვლება. არაბების ჯარბნობით თავს ესხმის ქართულ სოფლებსა და ქალაქებს, არბევს და სძარცვავს მათ. შეწუხებული, გაღარიბებული და გამწარებული ხალხი გარბის მთებისაკენ, ან გადადის დასავლეთ საქართველოში. დარბევა — თარეშთან ერთად არაბები ჰფიქრობენ იმ თავის ოცნების განხორციელებას, რასაც ეტოფოდნ თავიდანვე: მათ ჰსურთ გამაგრდნ კავკასიაში არა მარტო პოლიტიკურად. ისინი ჰლამობენ ცეცხლითა და მანგილით გაამაჰმადიანონ მთელი კავკასია და კერძოდ ქართლი. იწყება ქართველთა სარწმუნოების შევიწროება.

ქრისტიანებისათვის წირვა-ლოცვა არ აუკრძალავთ, მაგრამ სხვაფრივ სდევნიდნ. მაგალითად, ვინც ერთხელ რაიმე მიზეზის გამო ისლამს (მაჰმადიანობას) აღიარებდა, აღარავითარ შემთხვევაში უფლება აღარა ჰქონდა სარწმუნოება გამოეცვალა. ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ მუსულმანობამ მიიღო სახე გაბატონებული სარწმუნოებისა. მუსულმანებს ყოველთვის და ყოველგან დიდი უპირატესობანი ეძლეოდათ, ხოლო დანარჩენი მცხოვრებნი მძიმე ხარკის გადახდით ძლიერ შეწუხებული იყვნენ. ქრისტიანობიდან გადადგომა, ლალატი თავის სარწმუნოებისა გახშირდა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თავის დაღწევა პრავალ მოულოდნელ ხეტათისა და ჩაგვრისაგან.

სარწმუნოებრივ დევნასთან ერთად სწარმოებდა დევნა ყველა იმ პირებისა, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ სახელმწიფო მართვა-გამგეობასთან. თუ რომელიმე ერისთავი ხალხში სახელს და პატივისცემას მოიხვეჭდა, ეს არაბებისათვის უკვე საშიში ამბავი იყო. ისინი სცდილობდნენ ამასთანა მმართველსათვის სამფლობელო ჩამოერთვათ ან მთლად განედევნათ საქართველოს საზღვრებიდან. ამის ერთგოდა კიდევ ის, რომ ხარკის აკრეფას არაბები აწარმოებდნენ ძველად შედგენილი სიების მიხედვით. ამის გამო ხშირად სოფლებს უხდებოდათ ხარკის გადახდა არა მარტო გაქცეულ, არამედ გადაშენებულ ოჯახთა მაგიერადაც.

ტფილისში მყოფი არაბთა ამირები მე-8 საუკუნეში უკვე მოურიდებლად ერეოდნენ ქართლის შინაურ საქმეებში. თავის სურვილისამებრ ისინი გადააყენებდნენ ხოლმე ურჩ ერისთავებს და მათ მაგივრად თავის ხალხს ჰნიშნავდნენ. მთელ აღმოსავლეთ-საქართველოში მუსულმანთა რიცხვს ხელოვნურად ზრდიდნენ, ქრისტიანების რიცხვი კი კლებულობდა. გამუდმებულმა დარბევა-თარეშებმა მთლად მოსრნეს მცხოვრებნი და აღმოსავლეთ-საქართველო თითქმის განახევრდა.

არაბთა ბატონობის შედეგები. არაბთა ბატონობამ შეაჩერა აღმოსავლეთ საქართველოს ქონებრივი კეთილდღეობის ზრდა. ერი დასუსტდა პოლიტიკურად. ეკონომიურის მხრით განსაკუთრებით მაზარალებელი იყო ის გარემოება, რომ ქართველები იძულებულნი იყვნენ დიდი ოჯახებად ეცხოვრათ. არაბებმა ხარკი გააწესეს კომლობრივ და ამიტომ გაყრას ყველა ერიდებოდა იმ შემთხვევაშიაც, როცა ეს აუცილებელი იყო. ეს ხელოვნურად ამაგრებდა დრომოქმულ გვაროვნულ წყობილებას. ქრისტიანობის დევნამაც ძალიან ცუდად იმოქმედა ხალხზე და მისი სულიერი ცხოვრება შეარყია. ქრისტიანობის ლაღატი—არსებითად ქართველი ერის ლაღატი იყო. მოწინავე პირები ქართველობისა ამიტომ გააფთრებით იბრძოდნენ იმ ჰოლაღატეთა წინააღმდეგ, რომელნიც გადაუდგებოდნენ ხოლმე მამაპაპათა სარწმუნოებას და ამითვე გადაუდგებოდნენ თავის ერსაც. ამ მოწინავე პირთა ქადაგება ხალხს აღვიძებდა, ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. სასულიერო მწერლები ძალა-უნებურად პოლიტიკურ მებრძოლებად გადაიქცნენ. მე-8 საუკუნის მწერალი თეანე ხაზანაძე, ასწერს რა თავის მეგობრის აბო ტფილელის წამებას, მოუწოდებს ერს ქრისტიანობის მტკიცედ დაცვისათვის: აი, აბო არაბი იყო, ქრისტიანობა ახლა აღიარა და მისთვის ეწამა. მრავალნი ქართველნი კი, რომელთაც ქრისტეს სჯული აბოზე ხუთი საუკუნით აღრე მიუღიათ, ტორტმანობენ, ირხვეიან, ვითა ქაოისაგან ლერწამი, ეშინიანთ მამა-პაპათა სჯულის მცნებას მტკიცედ მისდიონო.

მტკიცედ დაცვა კი მამა-პაპათა სჯულისა არსებითად ეროვნული თავისუფლების და სიცოცხლის დაცვა იყო, ვინაიდან მაშინ სარწმუნოებასა და ეროვნებას არ აცალკევებდენ.

მაგრამ არაბებს მარტოდენ დამლუპველი გავლენა არ ჰქონიათ ქართველებზე. არაბთა მწერლობამ, რომელშიც მე-8 საუკუნის დამლევიდან საერო კილო სჭარბობდა, კეთილი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე. არაბთა ენა ძლიერ გავრცელდა განსაკუთრებით ქართველობის უმადლეს წრეებში: მრავალი არაბული სიტყვა შემოვიდა ხმარებაში და მრავალი მათგანი დღევანდლამდეც მოიპოვება ქართულ ენაში.

არაბებმავე ააგეს ტფილისში პირველი ობსერვატორია და მსდევდენ ცის მნათობთა შესწავლის საქმეს. მათ დროსვე გაჩნდა ეგრედწოდებული დავთარხანები, სადაც სახელმწიფო საბუთები ინახებოდა. არაბებმავე მოახდინეს აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა აღწერა, რათა ხარკი ყველასათვის გაეწერათ. საინტერესოა ამ აღწერის შედეგი: მისი მიხედვით მარტო აღმოსავლეთ-საქართველოში ყოფილა 4 მილიონ სულამდე მცხოვრები. დაბოლოს უნდა ითქვას, რომ საკულტურო დარგში არაბთა ბატონობა არ ყოფილა ისეთი დამლუპველი, როგორც საზოგადოდ დამლუპველია ერისთავის სხვისი ბატონობის ქვეშ ყოფნა. პოლიტიკურად დამორჩილებულმა ქართველობამ კულტურის მხრით მაინც წინ წაიწია: მან შეითვისა ყველაფერი კარგი, რაც მაშინ თვით არაბებს მოეპოვებოდათ.

საქართველოს ეკლესია. სწავლა-განათლების და მრწერლობის დარგის საუკეთესო მუშაკნი იმ დროს სასულიერო პირები იყვნენ. საკულტურო მუშაობა მე-8 საუკუნეში სწარმოებდა უმთავრესად მონასტრებში. ამიტომ სამღვდლოებას ქართველ ხალხში დიდი გავლენა ჰქონდა. გარდა სარწმუნოებრივ-საკულტუროსი, მონასტრებს სამეურნეო მნიშვნელობაც ჰქონდათ.

საქმე ისაა, რომ მონასტრები უმთავრეს შემთხვევაში უდაბურ და მივარდნილ კუთხეებში შენდებოდა. ასეთი კი მაშინ არაბების მიერ დარბეული ადგილები იყო. მონასტრის დაარსებისთანავე მის გარშემო იკრიბებოდენ მცხოვრებნი, ჩნდებოდა შენობება, მიყუჩებული და მიმქრალი ცხოვრება კვლავ იწყებდა სიცოცხლეს, მონასტრები ჰხდებოდენ ახალ მოსახლეობის ცენტრად. „ამნაირად სამონასტრო მოძრაობამ საქართველოს უდაბურ და უშენ ადგილებში მოსახლეობის გაჩენას და ახალშენობას ხელი შეუწყო“ (ივ. ჯავახიშვილი).

ეკლესიის გავლენის ზრდას, სხვათა შორის, ისიც შეელოდა, რომ იგი იმ დროს თითქმის სავსებით განთავისუფლდა ანტიოქიის

პატრიარქის მორჩილებისაგან. საქართველოს ეკლესიას არ მიუღია მონაწილეობა იმ ბრძოლაში, ბიზანტიას რომ ასუსტებდა: მთელს აღმოსავლეთში თითქმის მარტოდენ ქართულმა ეკლესიამ აიცდინა თავს ზატების საკითხის გამო ატეხილი უთანხმოება. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ანტიოქია არაბებმა დაიპყრეს. ქართველი უმაღლესი სამღვდელთა პირების გაგზავნა დასამტკიცებლად და ხელდასასმელად ანტიოქიაში თითქმის შეუძლებელი გახდა. ამიტომ ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს (744—751) ქართველებმა მის დამოუკიდებლად აირჩიეს კათალიკოსად იოანე. ამ ნაბიჯს ანტიოქიის არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. ეს კი არა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საქართველოს კათალიკოსი ამტკიცებდა თავის ხელდასმით მეზობელ ერების ეპისკოპოსებსაც. მაგალითად ასე მოხდა ხელდასმა ხერსონესის ეპისკოპოს იოანესი (გოთებისა).

ფეოდალური წყობილება და მისი განმტკიცება. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ძველი საუკუნეების დამლევს საქართველოში გვაროვნული წყობილება და მასზე დამყარებული სახელმწიფოებრიობა რღვევას განიცდიდა. საერთო ხელისუფლების მოსპობას და ტერიტორიის საბოლოოდ დაქსაქსვას გარეშე ძალებმაც შეუწყვეს ხელი. როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოში მეფის („მეფე მამასახლისის“) თანამდებობა ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში სპარსელებმა მოსპეს. არაბების შემოსვლის დროს იბერია დანაწილებული იყო ცალკე საერისთაოებად. რასაკვირველია, არაბები ხელს არ შეუწყობდენ ამ ცალკე ხეობათა თუ თემთა გაერთიანებას ერთ რომელსამე ქართველი მმართველის ხელში. ამიტომ 6-დან მოყოლებული მე-9 საუკუნემდე საქართველოში ხდება ეკონომიური და პოლიტიკური ფეოდალიზაცია და ბოლოს საბოლოოდ იმარჯვებს კიდევ ფეოდალური წყობილება. მაშასადამე ფეოდალიზმი, როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც, შუა საუკუნეების აღრინდელ ხანაში გაჩნდა და თითქმის ევროპის ფეოდალიზმთან ერთად განვითარდა.

მაგრამ რა არის ფეოდალიზმი? გვაროვნულ წყობილების დროს თემის თუ გვარის წევრნი ყველანი ეკონომიურად თანასწორნი იყვნენ. როდესაც ახალ-ახალი მიწები გაჩნდა და ცალკე პიროვნებებში დაეპატრონენ ცარიელ ტერიტორიას—გაჩნდა აგრეთვე მიწის მესაკუთრე. სიმდიდრის უთანასწორო განაწილებამ წარმოშვა მემამულე-არისტოკრატია, რომელსაც ღარიბი მასა დაემოჩილა. მიწის (ფეოდის) მესაკუთრე ბატონად ითვლებოდა, ხოლო მოსახლეობა მისი ყმები (ვასალები) იყვნენ. ცალკე პირთა ხელში დიდძალი მიწების დაგ

როგებას ხელს უწყობდა პირველ ხანებში ეგრედწოდებული მეფის თუ სახალხო კრების მიერ „წყალობა“ მიწისა რომლისაზე გამოიჩინო პირისადმი. ეს მიწები პირველ ხანებში საკუთებად არ ითვლებოდა, მაგრამ რაკი მემკვიდრეობით გადადიოდა, მფლობელ-მემამულე მისი ნამდვილი ბატონ-პატრონი იყო. ამ ეკონომიური ცვლილების მიხედვით მოხდა პოლიტიკური ცვლილებაც. უზენაესი ხელისუფლება დანაწილდა: სათემო კრებისა თუ მეუფე-მამასახლისისაგან იგი თანდათან მიწის მსხვილ შესაკუთრეთა ხელში გადავიდა.

მემამულე-ბატონი თითქოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი იყო თავის გლეხთა წინაშე და ყველაფერზე ხელი ჰქონდა. ყმების რიცხვს ამრავლებდა შემდეგი გარემოება. მუდმივ-შფოთისა და ომიანობის დროს ძნელი იყო თავდაცვა და თავისი სარჩოს შენარჩუნება. ამისთანა შემთხვევაში სუსტი მოდიოდა უფრო ძლიერ თან და მფარველობას სთხოვდა. ეს ძლიერი მას შეიწყნარებდა და მართლაც მტრებისაგან იცავდა. ყმად ქცევა შეიძლებოდა იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ვინმე ვალს ვერ გაისტუმრებდა და სხვა.

აზნაური-მემამულე ნაკლებად ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და სცდილობდა სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო რასაკვირველია, იგი სცდილობდა თავის სამფლობელოს გაფართოებასაც. ამ შემთხვევაში მას შეტაკება უზღებოდა მეზობელთან, რომელსაც ან იმორჩილებდა, ან თვითონ ემორჩილებოდა უფრო მძლავრი მეზობლისაგან საერთო ძალით თავდაცვის მიზნით. მოზრდილი ტერიტორიის მფლობელი ღებულობდა ერისთავის ხარისხს. ერთი სიტყვით, კიბისებურ წყობილება დამყარდა. კიბის სათავეში ერისთავი იდგა (აზნაური დიდ-დიდი), მის დაბლა უბრალო აზნაური, რომელიც მის ყმად ითვლება, ამ აზნაურს თავის მხრით მსახურნი ჰყავს ყმად, ხოლო ყველაზე დაბლა მიწის მუშები, გლეხები დგანან. მე რ საუკუნიდან საქართველოში სწორედ ასეთი წყობილება განმტკიცდება და ცენტრალური ხელისუფლება უკვე აღარ არსებობს. „ვინათგან მოაკლდა მეფობა შეილთა გორგასლისათა, მით ჟამიდგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე, (ბაგრატიონამდე)“—ამბობს მემამტიანე.

ფეოდალური ერთეულები პოლიტიკურად და ეკონომიურად კარდახშულნი იყვნენ. მათი დამახასიათებელი იყო ნატურალური მეურნეობა: ყველაფერს, რაც კი სჭირდებოდათ, თვითონვე ამზადებდნენ და მეზობელთან ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ. თვითეულ ბატონის კარზე უქველად იყო მჭედელი, მეხამლე ან სხვა ხელოსანი.

ფეოდალური ერთეულების ჩამოყალიბების ნათელსაყოფად სა-

ყოფილიყო შავშეთ-კლარჯეთის მამფალთა გაძლიერების ამბავი. ქართლიდან არაბთა მიერ დევნილი ერისთავები და ხალხი, ან დასავლეთს გარბოდა, ან შავშეთ-კლარჯეთში. აშოტზე მემატინე ამბობს: „დაემკვიდრა მუნ (შავშეთში) და მისცან ღმერთან გამარჯვება. და ახელმწიფა იგი შავშეთ კლარჯეთსა ზედა და მან სოფლები იყიდა საფასითა და ზოგი ოხერი ალაშენა და განამრავლა სოფელი აშოტ კურატპალატმან ქვეყანათა მათ შინა და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა ქმედისათა“ და სხვა. რასაკვირველია აშოტის მიერ დასახლებულნი მისი ყმანი იქნებოდნენ. რამდენადაც იგი გაძლიერდებოდა, მით უფრო მეტი ხალხი მიაშურებდა მის სამფლობელოს. ასე განვითარდა ამ კუთხეში მამფლობა, რამაც საქართველოს მერმინდელ ისტორიაში დიდი როლი ითამაშა.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ ფეოდალებს ერთმანეთის დასამორჩილებლად გამოუდგებულნი ბრძოლა ჰქონდათ. ამ ბრძოლის შედეგი იყო მათი სამფლობელოების უფრო მეტი კარჩაკეცვა, ციხე კოშკების ჩაკეცვა და საზღვრების სასტიკად დაცვა. ფეოდალები პირველობისათვის იბრძოდნენ. ობიექტიურად ეს იყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ვინაიდან ერთი ფეოდალის სამფლობელოს გაფართოება და დანარჩენების მისადმი დამორჩილება საქართველოსათვის ცენტრალური ხელისუფლების შექმნას ნიშნავდა. ასეთი იყო მოღვაწეობა ტაო-კლარჯეთის მამფლებისა აღმოსავლეთ საქართველოში და აფხაზეთის ერისთავების ბრძოლა დასავლეთში. ეს ბრძოლა სამ საუკუნეზე მეტს ხანს გრძელდება.

ბრძოლა გაერთიანებისათვის.

აფხაზეთის სამეფო. მე-9 საუკუნის დამდეგს მთელი საქართველო შემდეგს სურათს წარმოადგენს: ტფილისი და მისი მიდამოები არაბთა ამირას ხელშია. ამირა იმავე დროს აღიარებულია მთელი ქართლის მფლობელად, მაგრამ ტფილისშივე იმყოფებიან ქართლის ერისთავებიც. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი არაბთა ბატონობის გარეშეა და ითვლება ბიზანტიის მორჩილად. კახეთიც თითქმის დამოუკიდებელია და თავის მმართველები ჰყავს.

ვისი მეთაურობით და ვის ხელში გაერთიანდება საქართველო? აი რა იყო სადაო. ხანგრძლივ შეხლა-შემოხლის შემდეგ პირველობას ამ საქმეში დასავლეთ-საქართველო შესძლებს და მისი მეოხებით გაერთიანდებიან ერთ სამეფოდ საქართველოს დაქსაქსული ნაწილები.

დასავლეთ-საქართველო (იმერეთი) ბევრად უფრო ნაკლებად დაზარალდა გარეშე მტრებისა და კერძოდ არაბთა შემოსევისაგან,

ვიდრე ამერეთი. მისკენ მიეპყრათ თვალები ყველა მათ, ვისაც აწუხებდა არაბთა ძალადობა, ვინც გაუზრბოდა მათ ბატონობას. იქ პოულობდნენ მშვიდობას და მოსვენებას ამერეთიდან დევნილნი. ამიტომ იყო რომ ერთხანს დასავლეთ-საქართველო აღთქმის ქვეყნად ეჩვენებოდათ ჩვენი სამშობლოს დანარჩენ ნაწილებს.

იმერეთი ითვლებოდა ბიზანტიის მორჩილად, მაგრამ ეს მორჩილება მხოლოდ გარეგნად არსებობდა. ნამდვილად იმერეთი თითქმის დამოუკიდებელი იყო. ბიზანტია იმ დროს იწვევებოდა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ბრძოლით. ამგვარ პირობებში მყოფს, რასაკვირველია, მას საქართველოსთვის არ ეცალა. ამ მდგომარეობით სარგებლობდნენ იმერეთის მეფე-მმართველნი და თავიანთ საქმეებს აკეთებდნენ. მეორეს მხრით, ბიზანტიის სახელი და მდგომარეობა არაბებს მადას უკვეცდა. მათ არ შეეძლოთ, თვითონაც იმ დროს დაუძლურებულეებს, დასავლეთისაკენ გალაშქრება, ერიდებოდათ ბიზანტიისა, ამიტომ საკვირველი არაა იოანე საბანისძის აღტაცება და სიტყვები: დასავლეთ-საქართველოში სრული მშვიდობა და სიწყნარება, იქ ყველანი ქრისტეს თავისუფლად აღიარებენო.

მე 8 საუკუნის შუა საქართველოს პატარა კუთხე—აფხაზეთი, რომელიც არაბთაგან არასოდეს შეწუხებულა, ბიზანტიელთა მეტოქე ხაზარების დახმარებით ბერძნების ბატონობისაგან სრულიად განთავისუფლდა. აფხაზეთის ერისთავმა ლეონ მე-II ცოტა ხანს შემდეგ დაიჭირა სამეგრელო და შემდეგ იმერეთიც ლიხის მთამდე. ამ დროიდან მთელი დასავლეთი-საქართველო გაერთიანდება ლეონ მე-II (786—806) ხელში და მას ერქმევა აფხაზეთის სამეფო. ამ დროიდანვე დიდი ხნის განმავლობაში, საქართველოს მეფენი იწოდებიან აფხაზეთის მეფეებად, ხოლო მათ სატახტო ქალაქად ქალ. ქუთაისია. აფხაზეთის სამეფოს გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ საქართველოსათვის, მით უმეტეს, რომ გაერთიანება ცალკე ნაწილებიდან იმავე დროს ამერეთშიც ჰხდებოდა.

აღმოსავლეთ-საქართველო. მე-8 საუკუნის დამლევადან არაბთა ბატონობა ჩვენს ქვეყანაში თანდათან სუსტდება. მცირდება არაბთა რიცხვიც, ვინაიდან ის ტალღა გადმოსახლებულთა, რომელიც საქართველოს მოაწვა პირველ ხანებში, მალე მიიღო და შეჩერდა. ტფილისში კვლავინდებურად არაბთა ამირა იჯდა, რომელიც ამასთანავე მთელი ქართლის მფლობელად ითვლებოდა. მაგრამ იგი ნამდვილად მარტო ქალაქის ბატონი იყო. მას დიდ მეტოქეობას უწევდნენ ქართლის ერისთავები, რომელთაც თავის ადგილ-სამყოფელოდ ხშირად იგივე ტფილისი ჰქონდათ. ქართლი უფრო ამ ერისთავებს ემორჩი-

ლებოდა, ვიდრე არაბთა ამირას. არაბთა ბატონობის ამ შესუსტებას შრავალი მიზეზი ჰქონდა. უმთავრეს მიზეზად მაინც ის უთანხმოება და შინაური ბრძოლა უნდა ჩაითვალოს, რაიც ჰსუფევდა როგორც თვით სახალიფოს, ისე საქართველოში მყოფ არაბთა შორის. ტფილისის ამირებს, მაგალითად, არაფრად ეპიტნავენბოდათ, რომ ისინი ხალიფას ხელქვეითებად ითვლებოდნენ. ზოგიერთი მათგანი სცდილობდა ხალიფას ბატონობისაგან განთავისუფლებას და ქართლის დამოუკიდებელ მმართველად ყოფნას. ამ ნიადაგზე ხშირი იყო ბრძოლა ამ ბრძოლით ქართლის ერისთავები სარგებლობდნენ და თავის სამფლობელოს თანდათან აფართოებდნენ. ამირებს მარტოოდნენ ტფილისი რჩებოდათ ხელში.

ამ დროს ძლიერდება საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც არსდება ტაო-კლარჯეთის სამფლობელო. მურვან-ყრუს შემოსევის დროს ეს კუთხე ძალიან დაზარალდა და თითქმის მოსახლეობისაგან დაიცალა. რადგან ტაო-კლარჯეთზე ყოველთვის თვალი ეჭირა ბიზანტიას და იქიდან ხშირად ებრძოდა არაბებს, ამ კუთხეს მალე დიდი მნიშვნელობა მიეცა. საქართველოს ყოველ მხრიდან დევნილი ქართველები ტაო-კლარჯეთში გადადიოდნენ. ეს კუთხე ყველა უკმაყოფილოთა თავშესაფარად იქცა. ბიზანტიასთან მუდმივი ურთიერთობა და მფარველობა ხელს უწყობდა აგრეთვე ამ კუთხეში კულტურის განმტკიცებას.

სხვათაშორის, ტაო-კლარჯეთშივე გამოჩნდნენ პირველად ბაგრატიონები, რომელთა გვარეულობა მეფობდა საქართველოში მე-18 საუკუნის დამლევამდე. ბაგრატიონები თავის თავს სთვლიდნენ ებრაელთა მეფის დავითის ჩამომავლად და ამიტომ სამეფო გერბიც ამის შესაფერისი ჰქონდათ: მასზე გამოხატული იყო შურდული, რომლითაც დავითმა გოლიათი მოჰკლა, დავითის ქნარი, სასწორი და კვართი უფლისა, რომელიც, როგორც გადმოცემა, მოგვითხრობს, საქართველოში ერთს ებრაელს მოუტანია. ბაგრატიონები მთლად გაქართველდნენ ტაო-კლარჯეთში და შემდეგ მთელი საქავთველოს მეფეთა გვარეულობაც იმათგან წარმოსდგა. როგორც დასავლეთ-საქართველოში გაერთიანება მოხდა პატარა აფხაზეთის მეოხებით, ისე აღმოსავლეთში გაერთიანება ტაო-კლარჯეთის მამფლებმა (მმართველებმა) მოახდინეს. ეს იყო აშოტ კუროპალატის დროს.

აშოტ კუროპალატი თავდაპირველად ქართლის ერისთავად იყო და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. რასაკვირველია, არაბებს ეს არ მოსწონდათ, აშოტს ერისთაობა ჩამოართვეს და ქართლიდანაც განდევნეს. ამიტომ იგი წავიდა არტანუჯს და ბერძენთა დახმარებით

ამ კუთხის გამგებლობა ჩაიბარა. ბერძნებისაგანავე მიიღო მან ხარისხი კუროპალატობისა. როგორც არაბთა მოწინააღმდეგე და ენერგიული მმართველი, აშოტი სცდილობდა თავის სამფლობელოს გაფართოვებას. მალე, მან დაიპყრო ქართლის უდიდესი ნაწილი. ასე დაიწყო გაძლიერება ტაო-კლარჯეთისა, რომელშიც შედიოდა არა მარტო ქართლის სამხრეთ-დასავლეთი, არამედ იმერეთის სამხრეთი-ნაწილიც.

კახეთს იმ დროს მთავარი გრიგოლი განაგებდა. ესეც ენერგიული ადამიანი იყო და თავის სამთავროს გაძლიერებას სცდილობდა. მან დაიპყრო ქსნის ხეობა და თავის სამთავროს შეუერთა. აშოტ კუროპალატი მთელ ქართლს თავისად სთვლიდა და გრიგოლის საქციელი ძალიან იწყინა. მან გაილაშქრა კახელების წინააღმდეგ და ქსნის ხეობა გრიგოლს წაართვა. ამის შემდეგ აშოტს უკვე აღმოსავლეთ-საქართველოს დიდი ნაწილი ეჭირა. მისი სამფლობელო გადაჭიმული იყო ტაოდან მოყოლებული ტფილისამდე, რომელიც ისევ არაბებს ეკუთვნოდა. ამნაირად, საქართველოს სხვადასხვა ნაწილი გაერთიანდა ორ სამთავროს გარშემო—აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთისა. საჭირო იყო ამ ორი კუთხის შეერთებაც და გაერთიანების საქმეც დამთავრებული იქნებოდა. ეს გაერთიანება საქართველოს განათავისუფლებდა გარეშე მტრისაგან და შეჰქმნიდა ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც ადვილად ვერავინ დაიპყრობდა. მაგრამ ქვეყნის გაერთიანება კარგა ხნით შეფერხდა ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზის გამო; კერძოდ ბულა-თურქის შემოსევამ დააუძლურა და ააოხრა მთლად ჩვენა ქვეყანა.

ბაგრატ აშოტისძე და ბულა-თურქის შემოსევა. აშოტის სიკვდილის შემდეგ კი ქართლის უდიდესი ნაწილი კვლავ არაბებმა დაიბრუნეს. ბაგრატმა, აშოტის მემკვიდრემ, ტაო-კლარჯეთის სამფლობელო ტერიტორიალურად შემცირებული მიიღო. რასაკვირველია, ბაგრატი ამას ვერ ურიგდებოდა. იგი ხშირად თავის მეზობელთა საქმეებში ერეოდა და ყოველი საშუალებით სცდილობდა ტაო-კლარჯეთის კვლავ გაძლიერება-გაფართოვებას.

ბაგრატის დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელშიც იგი ჩაერთა და ისარგებლა კიდევაც: ტფილისის ამირა საჰაკმა მოინდომა სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და ხალიფას მორჩილებაზე უარი სთქვა. საჰაკი მოურიგდა კახეთის მმართველს, რომელიც დახმარებას დაჰპირდა. არაბებმა ურჩი ამირას წინააღმდეგ გამოჰკზნავენს ჯერ ხალილ იაზიდის ძე (რომელიც ჯავახეთში მოჰკლეს). შემდეგ საჰაკის წინააღმდეგ მაჰმადი წამოვიდა. სწორედ ამ მაჰმადს მიემხრო ტაო-კლარჯეთის მამულნი ბაგრატ აშოტისძე და ისარგებლობასაც

მოელოდა. ქ. გორთან მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ საჰაკის ჯარი და კახელები ერთის მხრით, ხოლო მაჰმადის და ბაგრატ აშოტის ძის ლაშქარი მეორეს მხრით. ომი ძლიერ ფიცხელი იყო, მაგრამ მებრძოლნი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ არც ერთი არ გრძნობდა თავს გამარჯვებულად. ურჩი ამირა საჰაკი დაუსჯელი დარჩა და ტფილისის დამოუკიდებელი მფლობელი შეიქნა. ბაგრატმა კი მაჰმადის დახმარებისათვის ჯილდო მიიღო: მადლობის ნიშნად არაბებმა მას მისცეს ქართლი. ამხაირად, ტაო-კლარჯეთის ძველი საზღვრები თითქმის კვლავ აღსდგა.

არაბთა ხალიფას, რასაკვირველია, არ შეეძლო შეჰპირებოდა ტფილისის ამირას განდგომას და მის დასამორჩილებლად გამოჰგზავნა ბულა-თურქი, ფრიად სასტიკი, შეუბრალებელი ადამიანი.

851 წელს ბულამ ჯერ სომხეთი დაიმორჩილა, მერე ქართლს მოადგა. 853 წელს მან აიღო ტფილისი და საშინლად დაარბია. არაბთა მეისტორიეს ცნობით ამ დროს ტფილისში დაღუპულა 50 ათასამდე ქალი და კაცი. ბულა-თურქმა მოაკვლევინა აგრეთვე ურჩი ამირა საჰაკიც. ამ ლაშქრობაში ბულას ეხმარებოდა ბაგრატ აშოტის ძე და აქაც სცდილობდა თავის სამფლობელოსათვის რაიმე მიემატებინა. ბულამა და ბაგრატმა დაამარცხეს აგრეთვე აფხაზთა მეფე თეოდოსი და მისი წინსვლა აღმოსავლეთს საქართველოსაკენ შეაჩერეს. ბულა-თურქის ლაშქრობის შემდეგ საქართველოში ორი დიდი სამეფო-ლა იყო: ტაო-კლარჯეთის და აფხაზეთისა. კახეთი ცალკე არსებობდა, ხოლო ტფილისი და მისი მიდამოები კვლავ არაბთა ხელში დარჩა.

საჰაკის განდგომა და არაბთა ბრძოლა ურთიერთშორის აშკარად მოწმობს, რომ იმ დროს მათი მზე უკვე ჩადიოდა. საჭირო იყო ამით სარგებლობა და მთლად საქართველოს განთავისუფლება. ამ საქმეს თითქოს ისევე აფხაზეთის სამეფო კისრულობს და აღმო-სავლეთ-საქართველოს დაპყრობისათვის მზადებას იწყებს.

ქართლის დამორჩილება გიორგი I-ლის მიერ. აფხაზთა სამეფო ძლიერ გაფართოვდა მეფე გიორგი I-ლის (957) დროს. მან დაიპყრო ქართლი და მისი გამგებლობა თავის შვილს კონსტანტინეს, ჩააბარა. საუბედუროდ, ქართლის შეერთება ხანმოკლე აღმოჩნდა. კონსტანტინემ მოინდომა მამის მორჩილების უარყოფა და მის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. ამ საქმეში კონსტანტინეს დიდ დახმარებას უწევდნენ ქართლის ფეოდალები. მათ ესმოდათ, რომ გაერთიანებულ საქართველოს მეფე ძლიერი იქნებოდა და ფეოდალები თავის წინანდელ გავლენას დაჰკარგავდნენ. გაერთიანებულთათვის

ბრძოლა ამიერიდან ხასიათს იცვლის: უწინ თუ პირველობისათვის ერთმანეთს ედავებოდნენ ცალკე კუთხეთა მმართველები, აფხაზეთის გაძლიერების შემდეგ, გაერთიანების წინააღმდეგ უმთავრესად ფეოდალები გამოდიან.

კონსტანტინეს მიერ დაწყებული აჯანყება დამარცხებით გადავდა. ქართლი კვლავ აფხაზეთის მეფეთა ხელში დარჩა.

ქართლის შემდეგ ჯერი კახეთზე მიდგა. აფხაზეთის მეფეები გიორგი, ლეონ, დიმიტრი და თეოდოსი სცდილობენ მის დამორჩილებას და ერთხანად თითქმის მიზანსაც აღწევენ—კახეთი უერთდება დანარჩენ საქართველოს, მაგრამ არა ხანგრძლივად. კახეთის მმართველებს ეხმარებიან არა მარტო იქაური, არამედ ქართლის ფეოდალებიც. მე-10 საუკუნის დამდეგსაც საქართველოში ერთ-მეფობა ჯერ არ არსებობს. მეორე მხრით აღსანიშნავია, რომ გამაერთიანებელი ძალები ბოლოსდაბოლოს კვლავ აღმოსავლეთს, ტაო-კლარჯეთში იყრიან თავს, და იქიდანვე გამოდის გაერთიანებულ საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III, შვილობილი ტაო-კლარჯეთის შესანიშნავ მმართველის, დავით კუროპალატისა. საქართველოს გაერთიანების საქმეში დავით კუროპალატს დიდი ამაგი მიუძღვის და ამიტომ ჯერ მისი მოღვაწეობა გავიცნოთ.

დავით კუროპალატი. (+ 1001 წლ.) დავით კუროპალატი ტაო-კლარჯეთის ისეთი მმართველი იყო, რომელსაც კარგი განწყობილება ჰქონდა ბიზანტიელებთან და ერთხელ დიდი დახმარებაც გაუწია მათ. დავითი გამოჩენილი მხედართმთავარი, მეომარი იყო და არააზრებს შიშის ზარსა სცემდა. ტაო-კლარჯეთი მის დროსაც ბიზანტიის სავასალოდ ითვლებოდა, მაგრამ ეს სრულიად ხელს არ უშლიდა დავითს გაეფართოვებინა ხოლმე თავისი სამფლობელო როგორც არაბების, ისე თვით ბიზანტიელთა ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ბერძნები დიდ ანგარიშს უწყევნენ დავითს და კუროპალატობა უზოძეს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დავით კუროპალატი ერეოდა ბერძნების შინაურ საქმეებში და იქ წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა. ასე მოხდა, მაგალითად 978 წ. ამ დროს მცირე აზიაში იმპერატორის წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო იქაურ სამფლობელოთა მმართველმა ბარდა სკლიაროსმა. იმპერატორმა დავითს დახმარება სთხოვა. ქართველთა ჯარმა, თორნიკე ერისთავის წინამძღოლობით, სასტიკად დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. * მად-

* ეს ამბავი აკაკი წერეთელს თავის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მშვენიერათ აქვს აწერილი.

ლიერმა იმპერატორმა დავით კუროპალატს უბოძა ის მოსაზღვრე ადგილები, რომელიც იქამდე ბერძენთა და ქართველთა შორის სადაოდ განხდარიყო. ამნაირად ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალი თანდათან ფართოვდებოდა.

მაგრამ დავით კუროპალატის ოცნება უფრო დიდ საგანს დასტრიალებდა: მას უნდოდა მთელი საქართველო გაერთიანებია თავის ხელში და ამიტომ ხშირად ერეოდა აფხაზეთის სამეფო საქმეებში. ამ ჩარევისათვის კი დავითს ძალიან ბევრი საბაბი ჰქონდა: მის დროს აფხაზეთის სამეფო დაუძღვრებული და შინაურ უთანხმოების ასპარეზად იყო გადაქცეული. დავითის ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე განდგომილი კახეთი და საქართველოს სხვა კუთხენი. მას ჰყავდა გამოჩენილი მრჩეველი, ქართლის ერისთავი იოანე მარუშიძე, იოანე მარუშიძის ჩაგონებით დავით კუროპალატმა გადასწყვიტა ქართლის დაჭერა და თავის შვილობილ ბაგრატის იქ გამეფება. ეს ბაგრატი ქართლის მეფის შემკვიდრე იყო, აგრეთვე დისწული აფხაზეთის მეფის, თეოდოსი უსინათლოსი. იოანე მარუშიძის საიდუმლო მოსაზრება შემდეგი იყო: ბაგრატი, როგორც შვილი ქართლის მეფის გურგენისა, დისწული აფხაზეთის მეფისა და შვილობილი დავით კუროპალატისა—სამ სამეფოს შემკვიდრება, მას შეუძლია მთელი საქართველო შეერთოსო. ამიტომ იყო მარუშიძისათვის ბაგრატი სასურველი მმართველი. დავით კუროპალატმა ისმინა იოანე მარუშიძის რჩევა, ქართლის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაიპყრო იგი. ქართლის მმართველად დავითმა დანიშნა ბაგრატი, რომელიც შენდევ მეფობდა ბაგრატი III (980—1014) სახელით. რადგან ბაგრატი ჯერ მცირე წლოვანი იყო, ქართლის მართვა-გამგეობა ნამდვილად დავით კუროპალატს უხდებოდა. ქართლის ფეოდალები, რასაკვირველია, ვერ ეგუებოდნენ დავით კუროპალატის ბატონობას. მათ მოაწყეს ამბოხება და მცირე წლოვანი ბაგრატი მისი დედ-მამითურთ დაატყვევეს. ამბოხებულებს რატიორბელიანი მეთაურობდა. ეს ამბავი რომ დავით კუროპალატმა გაიგო, მყისვე გაილაშქრა ქართლის ფეოდალების წინააღმდეგ, გაანთავისუფლა ბაგრატი და ყველანი დაიმორჩილა. ამავე დროს იყო, რომ კახელებმა მოინდომეს ქართლის ზოგიერი კუთხეების დაჭერა, მაგრამ დავით კუროპალატის მიერ ადვილად იქნენ მოგერებულნი.

დასავლეთ საქართველოში იქამად ცუდი ამბები ტრიალებდა. აფხაზეთის მეფე, თეოდოსი უსინათლო, ურიად სუსტი მმართველი აღმოჩნდა და ქვეყნის არეულ-დარეული საქმეები კიდევ უფრო აიწიწდა დაიწიწა. აფხაზეთის სამეფოს კეთილდღეობის მსურველებმა თავის სამეფოს გარეშე დაიწყეს მხსნელის ძებნა. მისი მეოხებით აფხაზეთის

მოწინავე პირებმა თეოდოსი უსინათლო გადააყენეს და, დავით კუროპალატის თანხმობით აფხაზეთის სამეფო ტახტი ბაგრატ მე-III შესთავაზეს. ეს მოხდა 980 წელს. ამ ხნიდან ბაგრატი იწოდება აფხაზეთის მეფედ და ქართლისა კუროპალატად. მისი ტახტზე ასვლა უდიდესი ამბავი იყო და მისითვე იწყება საქართველოს ისტორიაში ხანა გაერთიანებისა და გაძლიერებისა. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ბიზანტიის და განსაკუთრებით არაბთა მოუძღვრება.

საქართველოს საზოგადოებრივ კულტურული ვითარება მე-9 — მე-10-ე საუკუნეებში.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეთა განმავლობაში საქართველო განიცდიდა ბიზანტიისა და არაბთა დიდ გავლენას. დასავლეთ-საქართველო და ტაო-კლარჯეთი დიდ ხანს ითვლებოდა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ მყოფად. ბერძნები იშვიათად ერეოდნენ საქართველოს შინაურ საქმეებში. ბიზანტიის მფარველობის ქვეშ ყოფნა გამოიხატებოდა უმთავრესად იმით, რომ დასავლეთ საქართველოს და ტაო-კლარჯეთის მმართველები იმპერატორისაგან იღებდნენ სამეფო ნიშნებს და საკარისკაცო ხარისხებს: მაგისტროსის, კუროპალატისას და სხვა. ბერძნები განგებ არჩევდნენ ქართველ მეფეებისათვის ისეთ ხარისხს, რომელსაც, მათი აზრით, ყველასათვის უნდა ეჩვენებინა, რომ ქართველი მეფეები იმპერატორის ტოლნი როდი იყვნენ. მაგალითად, ბიზანტიელები ქართველ მმართველებს არასოდეს არ უწოდებდნენ „ბაზილევს“ (მეფე) — არამედ „არხონ“, ან კიდევ „არხონტეს-არხონტონ“ (ერისთავთ ერისთავი). სხვა მხრივ დასავლეთი საქართველო და ტაო-კლარჯეთი თითქმის სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ, თუმცა იქაური მმართველები სიამოვნებით ატარებდნენ ბიზანტიურ საკარისკაცო ხარისხებს.

ერთი ამბავი, რომელიც მოხდა იმპერატორ რომანოზის (920—944) დროს, ძალიან კარგა ახასიათებს ურთიერთობას, იმ ხანებში ქართველებსა და ბერძნებს შორის რომ არსებობდა. აშოტ კისკასმა, სხვა ქართველ მმართველთა ჯიბრით, არტანუჯის ციხე ბერძნებს გადასცა. ბერძნებმა თავისი დროშა ააფრიალეს ხსენებულ ციხეზე. ამან ქართველების ძლიერ დიდი აღელვება გამოიწვია. მათ გადაქრით მოსთხოვეს ბერძნებს, არტანუჯი დაეცალათ და წასულიყვნენ. თუ თქვენ ამას არ იზამთ, შეუთვალეს მათ იმერატორს, საბოლოოდ დაეშორდებიო ერთმანეთს, და ჩვენ საკინოზებს (არაბებს) შეეფურთდებითო. ჩვენ გვაქვს იმდენი ღონე, ფასქნდნენ ისინი, რომ დავიბრუნოთ არამც თუ არტანუჯი, არამედ გავილაშქროთ თვით „რომელების“ (ბიზანტიელების) სამეფოზნედაცაო. იმპერატორმა ამ მოთხოვნების შემდეგ

ფიცხლავ ბრძანება გასცა არტანუჯის დაცლის შესახებ, ხოლო ქართველ მთავრებს შეუთვალა: ყველაფერი ჩემს დაუკითხავად და უცოდინარად მოხდა, უბრალო გაუგებრობა იყო. არტანუჯი მართლაც ამის შემდეგ ქართველებს დაუბრუნეს.

საკითხავია, რატომ უწევდნენ ბერძნები თავის ფასალებს ასეთ დიდ ანგარიშს? ბიზანტია საქართველოს ელოლიაგებოდა იმდენად, რამდენადაც ქართველებს შეეძლოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდათ ბიზანტიასა და არაბთა შორის მუდმივ ბრძოლისა და მეტოქეობის დროს. ბერძნებისათვის საზარალო იქნებოდა ქართველების გადაკიდება და ამით არაბების გაძლიერება. ქართველებსაც კარგად ესმოდათ თავიანთი ჭანსაკუთრებული მდგომარეობა და, გარემოებების მიხედვით, ხან ერთ მეტრძოლ მხარეს ემხრობოდნენ, ხან მეორეს. ბერძნებს რომ მარტოოდნენ პოლიტიკური ანგარიში ამოქმედებდათ, ეს შემდეგი ხანის ისტორიიდანაც აშკარად სჩანს: როდესაც საქართველო გაერთიანდა, გამაგრდა და რამდენადმე საშიში შეიქმნა თვით ბიზანტიისათვის, ბერძნები მხარს უჭერდნენ და ყოველგვარად ეხმარებოდნენ ქართველ ფეოდალებს მეფეებთან ბრძოლაში.

როგორი იყო არაბებთან ურთიერთობა? როგორც წინათ აღვნიშნეთ, არაბების ბატონობა საქართველოში თანდათან სუსტდებოდა. ტფილისის საამიროს თუმცა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოს ცხოვრებისათვის, მაგრამ იგი უკვე ნაკლებად იყო დაკავშირებული ხალიფებთან და უფრო დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. იმ ბრძოლის დროს, რომელიც გაჩაღდა ტფილისის ამირებსა და ხალიფებს შორის ქართველები ხან ერთ მხარეს ემხრობოდნენ, ხან მეორეს—იმისდამიხედვით, თუ ვისთან ყოფნა უფრო ხელსაყრელი იყო იმჟამად. ამ საშუალებით ზოგიერთი კუთხის მმართველებმა თავისი სამფლობელოები გააფართოვეს, საკმაოდ გაძლიერდნენ და თითქმის სრულიად დამოუკიდებელნი შეიქმნენ. მიუხედავად ამისთანა მდგომარეობისა, უნდა ითქვას, რომ არაბები ქართველებისაგან ხარკს მაინც მეცხრე საუკუნის დამლევამდე იღებდნენ.

რანაირი იყო საზოგადოებრივი წესწყობილება საქართველოში, მე-9—10 საუკუნეში?

ამ საგნის შესახებ ისტორიას ნაკლები მასალები მოეპოვება. ერთი რამ კი ცხადია: ამ დროის ფეოდალიზმი აყვავების ხანას განიცდიდა. ყოველ კუთხეს ჰყავდა საკუთარი მთავარი ან ერასთავი, რომელთა ხელქვეითებად ითვლებოდნენ დანარჩენნი თავადნი და აზნაურნი. ერისთავები და მთავრები თავის მამულის სრული ბატონპატრონები იყვნენ და საკვირველი არაა, რომ ისინი მთელი თავისი

ძალ-ლონით ეწინააღმდეგებოდნენ ერთმეფობის დამყარებას, აფერხებდნენ საქართველოს გაერთიანების საქმეს. ერთმეფობა, საქართველოს დაქსაქსული ნაწილების შედუღება და მეფის გაძლიერება ხომ მათი ბატონობის ფრთების შეკვეცა, მოსპობა იქნებოდა. ფეოდალებს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი არ აუღიათ არც გაერთიანების ხანაში და უცხოელებთან კავშირსაც არ ერიდებოდნენ.

რაც შეეხება საკულტურო მუშაობას ამ ხანაში, როგორც წინადაც იყო აღნიშნული, იგი უმთავრესად მონასტრებში სწარმოებდა. მე-8—10 საუკუნეში მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო წოდებას ჰქონდა საშუალება საკულტურო და სალიტერატურო მუშაობის წარმოებისა. საკვირველი არაა, რომ ამის გამო ეკლესიას და მის მსახურთ იმ დროს დიდი სახელი და გავლენა ჰქონდათ საქართველოში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია დიდად უწყობდა ხელს ეროვნულ გრძნობის გაღვივებას. ეკლესიის გაერთიანება ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებაზე უფრო ადრე მოხდა.

ცნობილია აგრეთვე ის სამეურნეო მნიშვნელობა, რაიც მონასტრებს ჰქონდათ იმ ხანებში. მონასტრები შენდებოდა უმთავრესად მივარდნილ და არაბებისაგან დარბეულ კუთხეებში, რის გამოც ისინი ხელს უწყობდნენ მოოხრებულ, გაპარტახებულ ადგილების კვლავ გამოცოცხლებას. როგორც ეს, ისე პოლიტიკური მდგომარეობა ერისა — ეკლესიის სახელსა და გავლენას ზრდიდა. ამ დროს დაიწერა ქართველთა განმანათლებელის ნინოს ცხოვრება. მისი ავტორი ამტკიცებდა, რომ ქართველებმა ქრისტიანობა მივიღეთ პირველ წყაროდან, საბერძნეთიდან და არა სხვისაგანაო.

სასულიერო მწერლობა იმ ხნისა თანდათან ვითარდება: იწერება ახალახალი წიგნები, ითარგმნება მრავალი ნაშრომი ბერძნულიდან და სხვ. კათალიკოსი ანტონი სწერს გამოკვლევას ქართველ-სომეხთა ეკლესიის გაყოფის შესახებ და ასაბუთებს საქართველოს ეკლესიის სიმართლეს. ამავე დროს შემოიღეს ახალი წესი: მირონისათვის უკვე იერუსალიმს წასვლა აღარაა საჭირო, მას თვით საქართველოში (მცხეთაში) ამზადებენ და იქვე აკურთხებენ. ამას მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ამით დამთავრდა საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება და შემდეგ ეს მდგომარეობა უფრო განმტკიცდა.

ეკლესიის მსახურნი მე-8—10 საუკუნეში თვით სახელმწიფოს საქმეებშიც ერეოდნენ და მეფეებზე დიდი გავლენა ჰქონდათ. ამას აშკარად მოწმობს ცნობილი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის (759—861) ცხოვრება. აშოტ კუროპალატმა მოინდომა მეორე

ცოლის შერთვა, თუმცა პირველი ცოლი ცოცხალი ჰყავდა. გრიგოლ ხანძღვთაძემ გადაჭრით გაილაშქრა აშოტის წინააღმდეგ და მისი საჰციელი სასტიკად დაჰკო. აშოტმა მოინდომა გრიგოლის დაყაბულება, რაზედაც ამ უკანასკნელმა უპასუხა: „შენ ქვეყნისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქვეყნისა და ქვესკნელთა“. რადგანაც ორ მეფეს არ შეიძლება დავემორჩილო, ამიტომ მე ქრისტეს ვემორჩილებო. აშოტი იძულებული გახდა დაეთმო: „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულიერად ძლიერთა კაცთა სძლეს“, ამბობს ამის გამო გრიგოლ ხანძღვთაძის ცხოვრების აღმწერი გიორგი მერჩული.

საერთოდ, ეკლესიაც ძლიერი იყო არა მარტო იმიტომ, რომ ქართველები არაჩვეულებრივად ერთგული მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, არამედ სხვა მრავალ ისტორიულ და პოლიტიკურ მიზეზთა გამოც. ეკლესიის გავლენას უნდა მიეწეროს აგრეთვე ისეთ დაწესებულებათა დაარსება, რომელთა მიზანი იყო ქვრივ-ობოლთა დახმარება. არსებობდა განსაკუთრებული გადასახადი „გლახაკთა ნაწილი“. როგორც სჩანს „ღარიბ-უძღურთა შესახებ ზრუნვა სახელმწიფოს მოვალეობად იყო ცნობილი“ (ივ. ჯავახიშვილი).

ფეოდალური მონარქიის ხანა.

მონარქიის წარმოშობა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მე-6 საუკუნიდან მოყოლებული თითქმის მე-10 დამლევამდე საქართველოში ფეოდალური სისტემა იყო გამეფებული როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. საქართველო ცალ-ცალკე საერისთაოებს წარმოადგენდა და ეროვნულ-პოლიტიკურ ცენტრს მოკლებული იყო. ფეოდალებს, ცალკე კუთხეების მმართველებს, გამუდმებული ბრძოლა ჰქონდათ პირველობისათვის. ერთი რომელისამე მათგანის გამარჯვება საქართველოს ტერიტორიალური გაერთიანება იქნებოდა. მაგრამ თუ რომელიმე მთავარი ან ერისთავი იმდენად გაძლიერდებოდა, რომ მეზობლების დამორჩილებას შესძლებდა, მას საქმე უნდა ჰქონოდა არა მარტო ცალკე ფეოდალებთან, არამედ გარეშე ძალასთან, არაბებთან. ცენტრალურ ხელისუფლებად საქართველოში არაბები თავის ხელისუფლებას სთვლიდნენ, ამიტომ ისინი ვერავის სხვის გაძლიერებას ვერ შეურიგდებოდნენ.

მგათე საუკუნეში მდგომარეობა ძირითადად შეცვლილი იყო. არაბები იმდენად მოუძღურდნენ, რომ მხოლოდ ტფილისის საამიროს და შერჩათ. ამიტომ მათ თითქმის ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს არტანუჯიდან გამოსულ მამფლებს ბაგრატიონებს. ცალკე ფეოდალების დახმარებით ბაგრატიონებმა, ყველაზე დიდმა ფეოდა-

ლებმა გაიმარჯვეს და ამერეთ-იმერეთის სამეფო ტახტი ხელთ იგდეს, საქართველო ტერიტორიალურად გააერთიანეს. ეს გაერთიანება არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ახლა გვესმის. ცალკე საერისთაოები თუ სამთავროები კვლავ დარჩა. გაერთიანება იყო, როგორც ვსთქვით, ტერიტორიალური—ფეოდალურ სისტემის ნიადაგზე. მეფე არის პრიმუს ინტერ პარეს—პირველი თანასწორთა შორის. იგი ყველაზე დიდი ფეოდალია და სხვები მის ყმებად ითვლებიან. ამნაირად თავისი წარმოშობით მონარქია, ერთგამგეობა საქართველოში—ფეოდალური იყო, ისევე როგორც წინანდელი მეფობა („მეფე მამასახლისობა“) გვაროვნულ წესზე იყო დამყარებული.

მაგრამ რაკი ერთმეფობა ფაქტი გახდა, მას არ შეეძლო ერთწერტილზე გაჩერებულიყო და ფეოდალების დამოუკიდებლობა მოეთმინა. ტერიტორიალურად გაერთიანებულმა საქართველოს მეფეები მიისწრაფვიან აბსოლიუტიზმისაკენ, ე. ი. ნამდვილ და სრულ ბატონობისაკენ. ისინი მედგრად ებრძვიან ცალკე ფეოდალების ცენტრიდან მსრბოლ მისწრაფებას და ნამდვილი მონარქიის განმტკიცებას სცდილობენ. ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II-ის ხანა—ეს არის ხანა მონარქიის განმტკიცებისათვის. ბრძოლისა. აშ ბრძოლაში საერთოდ მონარქები არიან გამარჯვებულნი, მაგრამ ზოგჯერ ფეოდალებიც მძლავრობენ. ასეთი იყო, მაგალითად, ლაპარიტ ორბელიანის ხანა, როდესაც ეს მსხვილი ფეოდალი თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველოს მბრძანებელი ხდება და ბაგრატს გააძევებს. ფეოდალური მონარქიის გაძლიერებას ხელს უშლიან აგრეთვე გარეშე ძალები, რომელთათვისაც საქართველოში ერთგამგეობის დამყარება ხელსაყრელი არაა.

ბაგრატ მე-III (980—1014). ეს იყო ამერეთ-იმერეთის პირველი მონარქი. ბაგრატი ენერგიული, მტკიცე ხასიათის კაცი იყო და სახელმწიფოს მთლიანობის დამრღვევ ძალებს სასტიკად ებრძოდა.

1001 წელს გარდაიცვალა დავით კუროპალატი და თავის სამფლობელო ტაო-კლარჯეთი თავის შვილობილს ბაგრატ მე-III დაუტოვა. საქართველოს უნდა შეერთებოდა აგრეთვე ის ადგილებიც დავითმა ბერძნებისაგან რომ მიიღო ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში დახმარებისათვის. ბაგრატს და მის თანაგამგე გურგენს (ბაგრატის მამას, ქართლის მეფედ წოდებულს) კარგად ესმოდათ, რომ ბერძნები უბრძოლველად არ დასთმობდნენ ზემოხსენებულ ადგილებს. ამიტომ ბაგრატმა გაილაშქრა ტაო-კლარჯეთს, ომიც უნდა დაწებებულიყო, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. იმპერატორ ვასილმა სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო და აშვე დროს ერთ

წაირ ხერხს მიმართა: ბაგრატს კუროპალატობის ხარისხი უბოძა, მამა მისს გურგენს კი—მაგისტრობა. კუროპალატობა მაგისტრობაზე უფრო მაღალი ხარისხია. გურგენს ეწყინა, რომ ბიზანტიის იმპერატორმა მის შვილს უფრო მეტი პატივი სცა. ბერძნების საიდუმლო მიზანიც ამ შურის ჩამოგდება იყო. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატმა იმპერატორის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი აიღო, გურგენი განაგრძობდა ლაშქრობას და სცდილობდა სადაო მიწა-წყალის დაქერას. რასაკვირველია, მართო გურგენი ბერძნებთან გერაფერს გააწყობდა, მაგრამ მისმა ბრძოლამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ბიზანტიამ საქართველოს რამდენიმე უმნიშვნელო ადგილი მაინც დაუთმო.

გურგენი ბაგრატის თანაგამგედ ითვლებოდა და ქართლი ებარა. მისი სიკვდილის შემდეგ (1008 წ.) ეს გარეგანი დაბრკოლებაც მოისპო და მთელი საქართველო ბაგრატის ხელში გაერთიანდა. ამიერიდან, იგი აღარ იწოდება კუროპალატად, არამედ აფხაზთა და ქართველთა მეფედ. ბაგრატის გამგებლობის გარეშე დარჩენილია მხოლოდ კახეთის და ტფილისის საამირო. ბაგრატი ამიერიდან სცდილობს ამ განდგომილ კუთხეთა შემოერთებას, შიგნით კი ფეოდალების თავგასულობის აღაგმვას.

1010 წელს ბაგრატმა დაამარცხა კახეთის ქორიკოზი (ასე იწოდებოდნენ იქაური მმართველები) დავითი და შემდეგ კვირიკეც. ეს კუთხე იმზნიდან დანარჩენ საქართველოს შეუერთდა, თუმცა ეს შეერთება არც იმჟამად ყოფილა მკვიდრი. ამის შემდეგაც საქართველოს ეს კუთხე ხან შორდებოდა, ხან ემორჩილებოდა გაერთიანებულ ქვეყნის მეფეს და მრავალ ცვლილებას განიცდიდა. კახეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატმა ყურადღება ტაო-კლარჯეთს მიაპყრო. მიუხედავად იმისა, რომ კლარჯეთი დავითმა მას დაუტოვა, იქ ადგილობრივი მმართველები მაინც იყვნენ. ბაგრატმა ეს მმართველნი—გურგენი და სუმბათი, თავიდან მოიშორა და ტაო-კლარჯეთის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა.

ბაგრატმა განძის ამირა ფადლონი, რომელიც თავის ლაშქრობით კახეთს ძლიერ აწუხებდა, დაამარცხა, დაიმორჩილა და ხარკი დაადო. მემატიანის სიტყვით, ბაგრატისათვის ხარკი უძლევია. სომხის მეფე გაგიკსაც, რომელსაც საქართველო ხშირად მფარველობდა.

ბაგრატ მეფე თავის დროისთვის განათლებულ ადამიანი იყო და სწავლა-განათლებლასაც ხელს უწყობდა. მის დროს ააგეს ქუთაისში შეხანიშნავი ტაძარი, რომელსაც „ბაგრატ მე-III ტაძარი“ ეწოდება. იგი ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია ქართულ ხუროთმოძღვრების და მისი სიდიადისა.

ბაგრატი გარდაიცვალა 1014 წელს და ტახტზე მისი შვილი გიორგი ავიდა.

გიორგი I-ლი (1014—1027 წ.) გიორგი ტახტზე თექვსმეტი წლისა ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ხასიათის და მოუხვენარი ადამიანი იყო, მან მაინც ვერ შესძლო ნიჭიერ მამის მაგიერობა: მის დროს საქართველოს სხვადასხვა ნაწილებმა განზე გაიწიეს და მეფეს ხელიდან გაუსხლტდნენ. არ სთვლემდნენ ფეოდალები: მათ სურდათ გამოუტყდელ მეფისათვის ძალა-უფლება გამოეგლიჯათ და ათასგვარ ბრძივებს მიმართავდნენ მის დასაუძღურებლად. ფეოდალების დახმარებით კახეთის ყოფილმა მმართველმა კვლავ დაიბრუნა კახეთი. მორჩილებაზე ხელი აიღო განჯის ამირა ფადლონმაც. გიორგიმ სცადა მისი დამორჩილება სპარსელების დახმარებით, მაგრამ ამით საქმე უფრო წაახდინა. იმპერატორმა ვასილმა ძალიან იწყინა, გიორგიმ სპარსეთთან დაახლოვება რომ მოინდომა და იმ დროიდან გიორგის მეფობის უდიდესი ხანა ბერძნებთან ბრძოლას მოუწია. ამ ბრძოლის მიზეზი, რასაკვირველია, მარტო-ოდნენ სპარსეთთან დაახლოვება არა ყოფილა. საქმე ისაა, რომ საქართველო თანდათან განთავისუფლდა ბიზანტიისაგან და მძლავრ სახელმწიფოდ გადიქვა. მისი ძლიერებისა თვით ბიზანტიასაც ერიდებოდა. საბუთიც ჰქონდა შიშისა: გიორგიმ, მაგალითად, ისარგებლა იმით, რომ იმპერატორი ვასილი ბულგარელებს ებრძოდა, გაილაშქრა ბერძნების წინააღმდეგ და ტაოს ის ნაწილი დაიპყრო, რომელიც დავით კუროპალატმა გიორგის მამას—ბაგრატ მე-III უანდერძა. იმპერატორმა ბულგარებთან ომი რომ მოათავა, საქართველოს მოუბრუნდა და გიორგი I-ლს მოსთხოვა ტაოს ახლად დაქვრილ ნაწილის დაბრუნება. გიორგიმ უარი შეეთვალა და ბრძოლისათვის მზადება იწყო. იმპერატორის ჯარი მოულოდნელად საქართველოს საზღვრებს მოადგა. 1021 წელს არტანის მხარეს, სოფ. შირიმნთან მოხდა ბრძოლა და ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გიორგიმ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება განიზრახა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბერძნებმა ქართველები საბოლოოდ დაამარცხეს 1023 წელს. გიორგის ხელი მოაწერინეს საზავო ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც ბიზანტიას გადაეცა ყველა ის ციხე-სიმაგრენი, ოდესლაც დავით კუროპალატი რომ ჰფლობდა. იმპერატორმა ვასილმა, გარდა ამისა, მძევლად წაიყვანა სამი წლის ვადით გიორგის მცირეწლოვანი შვილი ბაგრატ.

ასეთი უბედური აღმოჩნდა გიორგი I-ის ხანმოკლე მეფობა. აგრემობა ისე მოეწყო, რომ მის დროს საქართველოს რამდენიმე

კუთხე ჩამოშორდა. აღსანიშნავია, რომ გიორგის ბერძნებთან ბრძოლაში ხელს უშლიდნენ ფეოდალებს ვარდა—სხვა ქართველებიც. ბიზანტიის საკულტურო გავლენა საქართველოზე მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ფრიად მძლავრი იყო და საკვირველი არაა, რომ ქართველი ერის უმაღლეს წრეებში ბევრი იყო ბერძნების მათაყვანებელი და მომხრე. სწორედ ამ წრეების ქადაგება ანელებდა ბერძნებთან ბრძოლის სურვილს.

გიორგი შედარებით სულ ახალგაზრდა (29 წლისა) გარდაიცვალა—1027 წელს.

ბაგრატ IV (1028—1072) და ბრძოლა ბიზანტიასთან. ბაგრატ IV გაერთიანების ხანის ერთი დიდი შეფეთავანია. ბაგრატი რომ ტახტზე ავიდა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ამიტომ მცირეწლოვან ბაგრატს სამეფო მართვა-გამგეობაში დედამისი მარიამი ეხმარებოდა.

საბერძნეთში იმ დროს ცვლილება მოხდა. ახალმა იმპერატორმა იოანემ უმთავრესი ყურადღება საქართველოს მოსაზღვრე ადგილებს მიაქცია და მალე ომიც გაჩაღდა. ბიზანტიელები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ქართველი ფეოდალები მეფის წინააღმდეგ აემხდრებიათ და არევ-დარევის დროს ქართლის დასავლეთ-სამხრეთი ნაწილი (ზემო-ქართლი) ხელთ ეგდოთ.

1028 წელს განდგენ ტაო-კლარჯეთის ფეოდალები და ბერძნების დახმარებით ჰლამობდნენ ქართველთა მეფის ბატონობისაგან განთავისუფლებას. განდგომილებს მეთაურობდნენ ერისთავი ვაჩე კარიჭიძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე. იმპერატორმა კონსტანტინემ მუამბოხეებს თავისი ჯარი მიაშველა, ტაო დაიჭირა და ქართლის ნაწილი მოაოხრა. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ კლდე-კარის ციხესთან ქართველებმა, ლიპარიტ ორბელიანის მეთაურობით, ბერძნები და მუამბოხენი დაამარცხეს და მათი წინსვლა შეაჩერეს (1028 წ.).

ბრძოლა ამით არ გათავებულა. ცოტა ხანს შემდეგ შავშეთის ერისთავმა ჩანჩუხამ ბერძნებისაგან მოსყიდულმა, გადასცა მათ ციხე წერებთისა. ბერძნების დაპყრობისაგან შავშეთი იმუამად ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ გადაარჩინა. მას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, შემოიკრიბა მებრძოლნი და თავისავე მონასტერში გამაგრდა. ბერძნებმა ვერაფერი გააწყვეს და იძულებული იყვნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.

ბიზანტიისათვის მარტო ფეოდალების დახმარება არა კმაროდა. იმათ ისარგებლეს შემთხვევით და ქართლის დასაქერად გამოგზავნეს კლარჯეთის ყოფილი მმართველის გურგენის შვილი დემეტრე, რომელიც მამის მემკვიდრეობას ეძებდა. დემეტრემ პირველ ხანებში

მართლაც შესძლო მომხრეების შოვნა, ვინაიდან ფეოდალები ყოველ ისეთს ძალას ემხრობოდნენ, რომელიც მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, ბაგრატმა ეს განსაკუთრებით თავიდან აიცილინა. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი იმპერატორი კონსტანტინე იმ დროს მიიკვალა და ახალმა იმპერატორმა კი ბერძნების ჯარი საქართველოდან უკან გაიწვია. ბაგრატი იმ დროიდან სცდილობს რომანოზთან დაახლოვებას, მორიგებას და მასთან მოსალაპარაკებლად ჰგზავნის კათალიკოს მელქისედეკს, რომელსაც იმპერატორი დიდი პატივით იღებს. ორი წლის შემდეგ (1030 წ.) ბიზანტიას წავიდა აგრეთვე ბაგრატის დედა მარიამი. მან მოახერხა ბერძნებთან მორიგება და დამოყვრებაც კი: ბაგრატმა ცოლად მოიყვანა იმპერატორის ასული ელენე. დამოყვრება თითქოს იმის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ ბერძნებსა და ქართველებს შორის სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა. მაგრამ ეს იმედი არ გამართლებულა.

ბერძნებმა დროებით თავი დაანებეს საქართველოს მეფეებთან აშკარა ბრძოლას, მაგრამ იღუმალად ემხარებოდნენ ფეოდალების ყოველგვარ განდგომას. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ბაგრატ მე-IV ჰყავდა ძმა (გიორგი I-ლის ძე მეორე ცოლისაგან) დემეტრე, რომელიც დედასთან ერთად ანაკოფიაში (აფხაზეთშია) ცხოვრობდა. ფეოდალებმა მოინდომეს დემეტრეს სახელით სარგებლობა და ბაგრატის წინააღმდეგ ამბოხების მოწყობა. მეფის მტრებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, ბაგრატი ტახტიდან ვერ ჩამოაგდეს, მაგრამ საქართველო კი დააზარალეს. საქმე ისაა, დემეტრე რომ ბიზანტიას წავიდა, ანაკოფია ბერძნებს გადასცა. ამნაირად საქართველოს ტერიტორიას ბიზანტიელები რკალივით შემოერტყნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთით.

ბაგრატის ბრძოლა არაბებთან. ბაგრატის მეფობის ეამს თითქმის მთელი საქართველო უკვე გაერთიანებული იყო. მხოლოდ ტფილისი და დარჩენილიყო განცალკევებულად და მშობელი ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობას ვერ იღებდა. უკვე დაუძლურებული არაბები ტფილისს მაინც ყოველი საშუალებით იცავდნენ, თუმცა იქაურ ამირებს თითქმის აღარავინ უწევდა ანგარიშს. 1032 წელს, რატი ორბელიანმა, მაგალითად სოფ. მუხათ-გვერდში დაიჭირა ამირა ჯაფარი. ბაგრატ მეფემ იგი გაანთავისუფლა. ეტყობა, ქართველები ჯერ კიდევ ბრძოლისათვის მომზადებულნი არ ყოფილან და ნაადრევად მისი დაწყება არა სურდათ.

დიდ ხანს არ გაუვლია ზემოხსენებულ შემთხვევიდან, როდესაც ბაგრატმა მოლაპარაკება გამართა კახეთის მმართველ—გაგიკთან და

ორთავეს მოკავშირე ჯარი ტფილისს გარს შემოერთა. ქართველთა ლაშქარს ლიპარიტ ორბელიანი სარდლობდა და დედა-ქალაქის მალე აღების დიდი იმედი ჰქონდა. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან, ამბობს მემატიანი, ტფილისს მიადგა კახელთა ჯარი, ხოლო მარჯვნიდან „აფხაზთა მეფის ლაშქარნი“ (იგივე ქართველები). ტფილისი კარგად იყო გამაგრებული და თუ არა გარემოცვით, მისი აღება ძნელი იყო. ეს გარემოცვა გაგრძელდა ორ წელიწადს (1037—1039 წ.) არაბები დიდ გაკირვებაში ჩავარდნენ, სურსათ-სანოვანე შემოაკლდათ და ცხენის ხორცსა სკამდენ. ამირა ჯათარმა ერთმორწმუნე აზერბეიჯანს სთხოვა დახმარება, მაგრამ ამოოდ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯათარი მოემზადა ქალაქიდან გასაქცევად და ლაშით ტივით ჩუმად გაპარვას აპირებდა. ტფილისი მოკლე ხანში ქართველებს უნდა დაჰნებებოდა, მაგრამ ბაგრატმა სწორედ იმ დროს სრულიად მოულოდნელად მიიტოვა ქალაქის გარემოცვა და ჯარი სხვაგან წაიყვანა. სამხრეთით გამოჩნდნენ ახალი და თავზარდამცემი მტრები—თურქ სელჩუკები, რომელთა მოსაგერებლად საჭირო გახდა მთელი ლაშქრის ფეხზე დაყენება. მხოლოდ ერთად ერთი ლიპარიტ ორბელიანი იყო გარემოცვის მოხსნის წინააღმდეგი, რადგან მეუფე ეს საქმე თავიდანვე მისი დაჟინებითი რჩევით დაიწყო. გაიმართა თათბირი; სხვა ფეოდალები მეფეს მიემხრნენ, და ბაგრატმა ბრძანა ტფილისის მიტოვება. სწორედ ამ დროიდან იწყება ლიპარიტ ორბელიანსა და ბაგრატს შორის უთანხმოება, რომელმაც შემდეგში სისხლის ღვრაც გამოიწვია.

თავნება ლიპარიტმა ფრიად იწყინა ბაგრატის საქციელი და აგრეთვე მტრობა იმ ფეოდალებისა, რომელნიც მას შესაფერის ანგარიშს არ უწყევდნენ. დაიწყო იღუმალი მუშაობა. ლიპარიტმა გაჰმართა მოლაპარაკება ბიზანტიელებთან, რომელთა ჯარიც მალე გაჩნდა ქართლის სამხრეთად და ჰსურდა ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდება. ლიპარიტს მიემხრნენ ზოგიერთი ფეოდალებიც, მაგრამ საქმე ბოლოს და ბოლოს მორიგებით გათავდა. ბაგრატმა აპატია ლიპარიტს საქციელი და ქართლის ერისთაობაც კი უბოძა. ეს შემთხვევა ნათლად მოწმობს, რომ მეფის ძალა-უფლება საქართველოში ჯერ კიდევ სავსებით მტკიცე არ იყო: ადამიანი, რომელმაც უცხო ჯარი მოიწვია თავისავე სამშობლოს დასამხობად, ინიშნება მეფის მიერვე ერისთავად!

1042 წელს გარდაიცვალა ტფილისის ამირა ჯათარი. ქალაქის ზოწინავე პირებმა და სამღვდლოებამ ბაგრატს სთხოვეს ქალაქის დაქვერვა და სამეფოსთან შეერთება. მართლაც ბაგრატი მალე შევიდა ტფილისში, მცხოვრებნი დიდი ზეიმით შეხვდნენ. ურჩობა გასწია მხოლოდ ერთმა მისმა ნაწილმა—ისანმა (ავლაბარმა), მაგრამ

დამორჩილებულ იქნა. ტფილისი არც იმ დროს დარჩენილა დიდხანს ბაგრატის ხელში. ისევ ლიპარიტ ორბელიანის ურჩობის გამო, ბაგრატი იძულებული შეიქნა ტფილისი მიეტოვებინა: საქართველოს დედა-ქალაქი კვლავ თავის ქვეყნის გარეშე რჩება.

ლიპარიტ ორბელიანის განდგომა. ბაგრატის მეფობის დროს მეზობელ სომხეთში არევ-დარევა იყო: ბიზანტიელები ცდილობდნენ სომხეთის მთლად დამორჩილებას და მის ტახტზე თავისი კაცის დანიშნას. თვით სომხებში ამ საკითხზე ერთი აზრი არ ყოფილა. ზოგი ბიზანტიელებს ემხრობოდა, ზოგი ხსნისათვის სხვა გზას ეძებდა. საქართველოსთან შეერთების მსურველნიც ბლომად იყვნენ და ბაგრატს სომხეთის ტახტი შესთავაზეს. ბაგრატმა ქ. ანისის დასაჭერად გაჰგზავნა არტანუჯის ერისთავი—აბუსერი. აბუსერმა შეასრულა მეფის ბრძანება და ანისი დაიპყრო. ლიპარიტ ორბელიანმა ძალიან იწყინა ეს გარემოება: მეფემ მე რატომ არ მომანდო ანისის ბატონობაო. ბერძნებზე დახმარებით აბუსერი ლიპარიტმა ანისიდან განდევნა. განდგომილ ლიპარიტს სხვა ფეოდალებიც მიემხრნენ, ბაგრატი დაამარცხეს და იმერეთში გააქციეს. ქართლის ბატონად ლიპარიტ ორბელიანი შეიქნა. ბაგრატ მეფემ ლიპარიტს თავი მიანება და მოლაპაკება პირდაპირ მის მფარველ იმპერატორ კონსტანტინე მონომახთან დაიწყო. კონსტანტინემ ჯარი გაიყვანა ქართლიდან და ფეოდალები ულაშქროდ დარჩნენ. ბაგრატმა ლიპარიტი და მისი მომხრეები დაამარცხა და ქართლი კვლავ დაიბრუნა. თავის გამგებლობის დროს ლიპარიტმა ისე მოიმდურა და გადაიკიდა ხალხი, რომ დაპატიმრების დროს იგი კინალამ ჯვარს აცვეს. ბაგრატი მოერიდა ლიპარიტის სიკვდილით დასჯას და მხოლოდ ქართლიდან განდევნა. ორბელიანი წავიდა ბიზანტიას და იქ ბერობაში მიიცვალა (1059 წ.).

ლიპარიტის დამარცხებით ბაგრატმა დიდი ბოროტება მოიშორა და გამარჯვებას დღესასწაულობდა. მალე მან კახეთის ციხე-სიმაგრეებიც აიღო. თითქმის მთელი საქართველო გაერთიანდა მის ხელში (ტფილისის გარდა). მაგრამ ყველაფერი დაანგრია და მოსპო ახალმა ბარბაროსმა მტერმა, თურქ-სელჩუკთა ურდოებმა, რომელთაც მოაოხრეს საქართველო და მისი სრული გამთლიანებაც შეაფერხეს.

თურქ-სელჩუკები. თურქ-სელჩუკები ველური, მომთაბარე და მეომარი ხალხი იყო და კავკასიაში შუა აზიიდან მოვიდა. ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ისინი დაიძრნენ აღმოსავლეთ-აზიიდან ჩინელების მოწოდების გამო და მალე დაიჭირეს თურანი (თურქესტანი). თურქების ტომები იქ კარგა ხნით შეჩერდნენ და მუდმივ ურთიერთ-შორის ბრძოლას უნდებოდნენ. ამ ბრძოლის დროს გაიმარჯვა ერთ-ერთ ტომის

მეთაურმა—სელჩუკმა და მას შემდეგ მთელს იქაურ თურქობას თურქ-სელჩუკებს უწოდებდნენ.

მე-XI საუკუნეში თურქ-სელჩუკები თურქესტანიდან დაიძრნენ და მალე სპარსეთი, სომხეთი და ქურთისტანი დაიპყრეს. შემდეგ დროებში მათ ხელთ იგდეს სირია და ეგვიპტე და კარს მიადგენ ბიზანტიას. 1065 წელს სელჩუკები საქართველოსაც შემოესიენ, ტფილისი აიღეს და შეუბრალებლად დაარბიეს. საერთოდ თურქ-სელჩუკების თავდასხმა ყველასთვის დიდ უბედურებას წარმოადგენდა. სადაც კი გაივლიდნენ მათი ველური ურდოები, ქალაქებს და სოფლებს ნაცარტუტას ადენდნენ. ამასთანავე ერთად თურქ-სელჩუკები სხვათა სარწმუნოებასაც სასტიკად სდეენიდნენ: ისინი ანგრევდნენ, ჰბილწავდნენ ქრისტიანობის ტაძრებს, ჰხოცავდნენ ეკლესიებში მღვდელთმსახურთ, მლოცველებს და ყოველგვარ ძალადობას მიმართავდნენ.

აი, ასეთი ველური ხალხი შემოესია ბაგრატის დროს საქართველოს ალპ-არსლანის მეთაურობით. განსაკუთრებით სასტიკად ააოხრეს თურქებმა ჩვენი ქვეყანა მეორე შემოსვლაზე 1068 წელს. ქართლი და ტფილისი მათ თითქმის მთლად მოსრეს, კახეთი მოსწყვიტეს დანარჩენ საქართველოს და მისი მმართველი აღსართანი აძძულეს გამაჰმადიანებულყო. თურქები მარტო ხალხის ხოცვა-ჟლეტას არ კმაყოფილდებოდნენ. მათ წაართვეს მცხოვრებლებს მთელი იმ წლის მოსავალი და რაკი ზამთარმა მოაწია, სამხრეთისაკენ გაბრუნდნენ: თბილ ქვეყნებს შეჩვეულმა თურქებმა ვერ აიტანეს ჩვენი ქვეყნის ჰავა. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს აოხრება სელჩუკებმა მოახდინეს გზადაგზა, გავლით. ნამდვილად ისინი დასავლეთისაკენ, უფრო ბიზანტიის დასაპყრობად მიემართებოდნენ. ამით აიხსნება, რომ თუმცა მათი თავდასხმა რამდენჯერმე განმეორდა, მაგრამ პოლიტიკურად საქართველო მაინც არ დაუმონავებიათ; მოდიოდნენ, აოხრებდნენ, სძარცვავდნენ ქვეყანას და ისევ უკან ბრუნდებოდნენ ალაფით.

ასე მოიქცნენ ტფილისის აოხრების შემდეგაც. ალპ-არსლანი მალე გაბრუნდა უკან და ტფილისის გამგებლობა აზერბეიჯანის ამირა ფადლონს მიანდო. ქართველებმა ძალა მოიკრიბეს, შეებრძოლნენ ამირას, დაამარცხეს და ქალაქში არ შეუშვეს. ტფილისი კვლავ ბაგრატ მეფის ხელში გადასულად ითვლებოდა, მაგრამ რადგან იმ დროს მეფეს საკმაო ძალა არ შესწევდა მის ნამდვილად დასაქერად, ადგილობრივ მკჰმადიანებს ანგარიში გაუწია და ამირად მაჰმადიანი დანიშნა. ამიერიდან ჩვენი დედა-ქალაქი თავისისავე ქვეყნის ვასალად ჰხდებოდა და ბაგრატ მეფეს ხარკს აძლევს...

თურქ-სელჩუკების თარეშმა და ხშირმა თავდასხმამ საქართვე-

ლოს კეთილდღეობა ძლიერ დააქვეითა და მისი ძლიერებაც დასცა. მიუხედავად ამ გაჭირვებისა, ბაგრატ მეფე შაინც არ დასთანხმდა თურქებისათვის ხარკი ეძლია.

ბაგრატი მიიცვალა 1072 წელს. ტახტზე ადის მისი შვილი გიორგი. სელჩუკებთან ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა.

გიორგი მე II (1072—1089). ქვეყნის საქმეების მოსაგვარებლად და წარმატებით წასაყვანად გიორგი მეფეს ხასიათის სიმტკიცე და შედგრობა აკლდა. ეს სიმტკიცე კი განსაკუთრებით იმ გაჭირვების დროს იყო საჭირო: სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრებოდნენ როგორც გარეშე მტრები, ისე შინ—ფეოდალები. განდგნენ ფეოდალები: ქობულძე, იოანე ორბელიანი და სენანეთის ერისთავი—ვარდან. გიორგი მეფემ ვერ შესძლო შეამზობხეთა დამარცხება და საქმე მორიგებით ვაათავა, რამაც განდგომილები უფრო გაათამამა. ივანე ორბელიანმა ისიც კი გაჰბედა, რომ თავისი ნებით განჯის ამირას გაგის ციხე გადასცა (ბორჩალოში იყო).

მაგრამ ყველაზე დიდ უბედურებად საქართველოს კვლავ თურქ-სელჩუკების შემოსევა მოეწვინა. 1074 წელს მრავალრიცხოვანმა ურდოებმა მთელი აღმოსავლეთი საქართველო მოაოხრეს და შემდეგაც არ დაუშლიათ თავდასხმა. განსაკუთრებით ის სელჩუკები აწუხებდნენ ჩვენს ქვეყანას, რომელნიც დაბანაკებული იყვნენ ტფილისსა და განჯას შუა. გიორგიმ ვერ მოახერხა მტრის მოგერება და მელიქ-შაჰთან მოლაპარაკება გამართა. მეფე ეახლა სულთანს, რომელმაც დიდის პატივით მიიღო იგი. მელიქ-შაჰის გიორგისადმი ასეთი მოპყრობა იმით აიხსნება, რომ გიორგი დათანხმდა იმაზე, რასაც გადაჭრით უარჰყოფდა მისი თავმოყვარე მამა (ბაგრატ IV): იგი მელიქ შაჰს დაპირდა ხარკის ძლევას. სულთანისათვის ეს ძალიან ხელსაყრელი იყო, რადგან უწესრიგო თავდასხმის დროს მას ერგებოდა ხოლმე ალაფის მხოლოდ მებრთველი, დანარჩენს ჯარი და მისი წინამძღოლები იყოფდნენ. ეხლა კი ეს ხარკი პირდაპირ სულთანის ხაზინაში შევიდოდა. მელიქ შაჰი დათანხმდა აგრეთვე გიორგის გეგმას კახეთის შემოერთებაზე და ჯარით დახმარება აღუთქვა. გიორგიმ, მიუხედავად თურქების დახმარებისა, ვერ მოახერხა კახეთის შემოერთება, ხოლო საქართველოს ეს კუთხე კი უცხო ჯარის მიერ აოხრებულ იქნა. კახეთის მმართველი აღსართანნი იძულებული გახდა პირდაპირ თურქებთან დაეწყო მოლაპარაკება, მოურიგდა მათ და აღიარა მათი ბატონობა.

გიორგის მეფობის ყველა ზემოხსენებულ გართულებებს ზედ ერთვის სტიქიური უბედურებაც: მიწის ძვრისაგან ნადგურდება დაბაქალაქები. ფეოდალებს საბაზი ეძლევათ მეფის წინააღმდეგ მუშაობა

აწარმოონ და ხალხი აამხედრონ. მეფის უკმაყოფილონი არიან მოწინავე პირებიც, რადგან კარგად ჰხედავენ, რომ გიორგის სისუსტის გამო საქართველოს მთლიანობის დამრღვევი ძალები თავისუფლად პარპაშობენ. ბოლოს და ბოლოს გიორგი მეფე იძულებული ჰხდება (1089 წ.) ტახტი დაუთმოს თავის შვილს—დავითს, რომელსაც შემდეგში აღმაშენებელი ეწოდება.

დავითის გამეფებით იწყება ფეოდალური მონარქიის გაძლიერება და აყვავება, რასაც ხელს უწყობს როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა ქვეყნისა. მაგრამ ვიდრე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის აღწერას შეუდგებოდეთ, საქიროა გავიცნოთ მე X—XI საუკუნეთა საქართველოს საკულტურო და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

საზოგადოებრივი წყობილება და სწავლა-განათლება გაერთიანებულ საქართველოში. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება გაერთიანების ხანაშიაც თითქმის უცვლელი რჩება: მთელი საქართველო ითვლება ერთ მეფის მორჩილად. მსხვილი ფეოდალები მეფის ყმებად, ხელქვეითებად ითვლებიან, მაგრამ თვით ამ მსხვილ „ყმებს“ ჰყავთ საკუთარი ყმები, წვრილი აზნაურები. აზნაურებს თავის მხრით ემორჩილებიან—გლეხები და სხვ. ერთი სიტყვით დამოკიდებულებათა ისეთივე იერარქიული კიბე იყო, როგორც არსებობდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაცკი ფეოდალური წესწყობილება იყო როდისმე.

რაც შეეხება სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებას— იგი სავსეა ფეოდალებსა და მეფეთა შორის წარმოებულ მუდმივ ბრძოლის ამბებით. ფეოდალები თავის სამფლობელოში სრულიად დამოუკიდებელი ბატონები იყვნენ და დიდძალი მამულიც ჰქონდათ ხელთ. რაკი მეფის უფლება განმტკიცდა და საქართველოს დაქსაქსული ნაწილებიც გაერთიანდა, ფეოდალებს ფრთები უნდა შეჰკვეცოდათ. ფეოდალები, რასაკვირველია, ამას ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ. მათ ჰსურდათ მეფის უფლებების შეკვეცა თავისდა სასარგებლოდ. მათ ურჩევნოდათ უძლური მეფე, ვინაიდან მაშინ უფრო ადვილად შესძლებდნენ თავიანთ მამულში ყველაფრის ბატონ პატრონი ყოფილიყვნენ. თუ რამდენად ძლიერი იყო ფეოდალების თავგასულობა და რამდენად დიდი გავლენა ჰქონდათ მათ, ამას მოწმობს თუნდა ლიპარიტ ორბელიანის განდგომის და ბაგრატ მე-IV ბრძოლის ამბავი. ლიპარიტი აწარმოებდა არა მარტო შინაურ, არამედ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკასაც. ის არ მოჰრიდებია უცხო ძალის, ბერძენების შემოყვანასაც. ერთხელ ხომ აღმოსავლეთ-საქართველოს სრული ბატონ-პატრონიც შეიქნა.

სახელმწიფოს ისუსტებდა სხვა გარემოებანიც. საქმე ისაა, რომ კავკასია საერთოდ და კერძოდ საქართველო ყოველთვის პირველი მსხვერპლი ჰბდებოდა აზიიდან წამოსულ სხვადასხვა ველურ ურდოებისა. არაბები, თურქ-სელჩუკები, შემდეგ მონგოლები—აი, ვინ გადაიარა საქართველოს ტერიტორია. ყველა მათგანმა მოაოხრა, დაარბია ჩვენი ქვეყანა და ყველა მათი მოგერება სჭირდებოდა ქართველ ხალხს. რასაკვირველია, ეს ძალიან აფერხებდა ერის მოლონიერებას, მაგრამ საქართველომ მაინც შესძლო როგორც პოლიტიკურად გაძლიერება, ისე სწავლა-განათლებლის დარგში წინსვლა.

საკულტურო მოძრაობის განვითარების საქმისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიასთან დაახლოვებას და მის გავლენას საქართველოზე. ეს გავლენა დაიწყო ქრისტიანობის მიღების დროიდანვე და არ შეწყვეტილა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ბერძნულიდან ითარგმნებოდა ყველა სამღვრთო წიგნი და სახარება. ბიზანტიასთან ერთმორწმუნეობა ამ მხრით ძალიან რგებდა საქართველოს. მაშინ ხომ კულტურა და განსაკუთრებით მწერლობა, უმთავრესად სასულიერო ხასიათისა იყო; ამიტომ სწავლა-გაეათლების კერადაც ისევ ის მონასტრები გახდნენ, რომელნიც ძალიან მომრავლდნენ როგორც თვით საქართველოში, ისე მის გარეშე.

ყველაზე შესანიშნავი მონასტერი, სადაც სწარმოებდა დაულაღვი საკულტურო მუშაობა და წიგნების თარგმნა, მთაწმინდაზე გაშენებული ათონის მონასტერი იყო (საბერძნეთში). იგი დააარსეს ქართველმა ბერებმა მე-10 საუკუნეში. იქ მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი პირი, მაგალითად, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ეკლესიის მსახურნი და ბერები, როგორც მაშინდელი დროის ინტელიგენცია, ხელს უწყობდნენ აგრეთვე ეროვნულ თავმოყვარეობის გაღვივებას, იკვლევდნენ საქართველოს წარსულს და მრავალაზხალი წიგნი შესძინეს ქართულ მწერლობას.

იოანე, ექვთიმე და გიორგი თავის დროისთვის ძალიან განათლებული და დაულაღვი მუშაკები იყვნენ. მათ ბერძნულიდან გამოთარგმნეს ორასამდე სხვადასხვა წიგნი, შეასწორეს ძველი თარგმანები და საერთოდ ქართულ ლიტერატურას დაუფასებელი ღვაწლი დასდეს.

გიორგი მთაწმინდელი სცდილობდა ქართული ეკლესიის გარდაქმნას. ბაგრატ მეოთხის თხოვნით გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოვიდა და, როდესაც ეკლესიის ცხოვრებაში მრავალი ნაკლი შეამჩნია, მის გასწორებისათვის მედგრად იბრძოდა. იგი არ ვრიდებოდა თვით მეფის მხილებასაც და აშკარად აღნიშნავდა ყო-

ველ მის შეცდომას. იმ დროს ფეოდალური წყობილება ეკლესიის ცხოვრებაშიაც მძლავრად შექრილიყო. თუ არ მდიდარი და მემამულე, უმაღლეს სასულიერო ხარისხს სხვა ვერავინ მიიღებდა. ეპისკოპოსი ამასთანავე დიდმამულიანი ფეოდალი იყო და სააერთო საქმეებში ხშირად პირდაპირ მონაწილეობას იღებდა. ერთი სიტყვით, პირად ნიჭსა, დამსახურებას ნაკლები გასავალი ქონდა, ხოლო უმაღლეს საეკლესიო სამსახურს ის იღებდა, ვინც შეძლებული იყო და გავლენა ჰქონდა. გიორგი მთაწმინდელი მთელი ძალღონით შეებრძოლა ამისთანა წოდებრიობას და მისი მეოხებით დაბალ წრეებიდან გამოსულ პირებსაც მიეცათ საშუალება უმაღლეს სასულიერო ხარისხის მიღებისა. ამნაირად გიორგიმ ეკლესიის ცხოვრებაში მთაწმინდა საჭირო ცვლილება და ახლანდელი სიტყვით რომ ვსთქვათ, დაამყარა იქ დემოკრატიული წყობილება. მოათავა რა საქმეები, გიორგი დაბრუნდა ათონის მონასტერში და თან წაიყვანა აღსაზრდელად 80 ღარიბი დედმამის შვილი. ამ ბავშვებმა სწავლა-განათლება ათონის მონასტერში მიიღეს, გიორგი მე II მეფობის ჟამს საქართველოში დაბრუნდნ და სამშობლოს ეხმარებოდნ მისი ცხოვრების ყოველ დარგში. გიორგი მთაწმინდელი მიიცვალა 1066 წელს.

როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელი მონარქიის გაძლიერების მომხრენი და ფეოდალების მოწინააღმდეგენი იყვნენ. ბერ-მონაზვნები მაშინდელი დროის ინტელიგენციას წარმოადგენდნ, ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდათ. ამიტომ მათ სიტყვას და ქადაგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფეოდალებთან ბრძოლის დროს მეფეები სცდილობენ სარწმუნოება მოშველიონ. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ ხელისუფლება ღვთისაგან აქვთ მინიჭებული. გიორგი მეორე ერთ სიგელს იწყებს: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაო“. ამნაირად ღვივდებოდა აბსოლიუტური მონარქიის ტენდენციები. ეკლესიაც თავიდანვე ადასტურებდა ამას. გრიგოლ ხანძთელმა, მაგალითად, ასე დალოცა აშოტ კუროპალატის შვილები: „ქეშმარიტად სამართალ არს სიტყვა ესე: სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმერთებისა, რამე თუ თქვენ ხელმწიფენი უფალ გყვნა ღმერთმან ქვეყნისა განგებისა“. ასეთი აზრი ეკლესიამ თავიდანვე შეითვისა და მონარქიის გაძლიერებას, მაშასადამე საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანებას, ხელს უწყობდა.

მე-XI საუკუნეშივე წარმოიშვა ცნება „საქართველო“. ამ დრომდე მთლიანი საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი არ არსებობდა. ფრიად დამახასიათებელია ერთ-ერთი ლოცვა, რომელიც

მე-XI საუკუნეში ეკლესიებში წარმოითქმოდა ხოლმე და რომლის ტექსტსაც ჩვენამდე მოუღწევია: საქართველოს საზღვრების განმტკიცებისათვის, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ქრისტიანობის განმტკიცებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთო, ნათქვამია ხსენებულ ლოცვაში. ეს ლოცვა აშკარა ჰყოფს, რომ საქართველოს მთლიანობის შეგნება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული და ეროვნული გრძნობაც საკმაოდ იყო გაღვივებული მაშინდელ მოწინავე პირთა შორის.

ფეოდალური მონარქიის კლიერებისა და საქართველოს აყვავების ხანა.

ფეოდალური მონარქიის განმტკიცება. მე-XI საუკუნის დამლუღეს ბრძოლა ფეოდალებსა და მეფის ხელისუფლებას შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით თავდება. დავით აღმაშენებლის დროს მეფე თითქმის განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობს. ცენტრალური ხელისუფლება იმდენად ძლიერდება, რომ იგი იმორჩილებს მთელ ტერიტორიას, მას გარეშე მტერისაგან ანთავისუფლებს და ერთდ სახელმწიფოებრივი წყობილებით აკავშირებს. ამ წყობილების საფუძველი იგივე ფეოდალიზმია, მაგრამ უფრო სოციალური ხასიათისა, ვიდრე პოლიტიკური. ფეოდალები თავისი ვასალების სრული ბატონ-პატრონი არიან, მაგრამ მეფის ხელისუფლების ურჩობას და გარეშე ძალებთან დაკავშირებას ვეღარ ბედავენ. რა იყო ამის მიზეზი?

უპირველესად ყოვლისა, ფეოდალური მონარქის ხელისუფლების განმტკიცებას და მისი პრესტიჟის მაღლა აწევას ხელს უწყობდა ორი გარემოება: საგარეო და შინაური მდგომარეობა. მე-XI საუკუნის დამლუღვიდან ევროპაში იწყება ეგრედწოდებული „ჯვაროსანთა“ ომების ხანა. ევროპელები აღმოსავლეთისაკენ მოიწვიენ და მუსულმანურ ქვეყნებს გაქარვებული ხანა უდგებათ. ისინი იძულებულნი არიან მთელი თავისი ძალები ევროპელებისაგან თავის სამშობლოს დაცვას მოანდომონ. საქართველოს მეფეები სარგებლობენ ამ შემთხვევით და თავის ქვეყანას მუსულმანებისაგან ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან ანთავისუფლებენ (დავით აღმაშენებელი). ისინი არ კმაყოფილდებიან მარტოოდენ თავდაცვითი ომებით და შეტევაზე გადადიან. საქართველო ამ ხანებში არა მარტო თვითონ არის პოლიტიკურად გავრთიანებული, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც (ებლანდელ აზერბეიჯანის და სომხეთის ტერიტორიასა) შემოიერთებს. მრავალი ამ დროს დაშქრობა. ქართული დაშქრობა იმ ხანებში სპარსეთის შორეულ კუთხეებსაც კი მისწვდება. უამრავი ალაფი, -სხვადა-

სხვა რაღბთან შეხვედრა—საქართველოში ეკონომიურ დოვლათიანობას ჰქნის და ქართველების ჰორიზონტს აფართოებს. იბადება ახალ-ახალი ეკონომიური წრეები და ვითარდება ვაჭრობა.

მეფის ხელისუფლება სცდილობს ფეოდალების გავლენისაგან მთლად განთავისუფლებას და ახალ დასაყრდნობ ძალას ეძებს თავისი ქვეყნის შიგნითვე. დავით აღმაშენებელი ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას და ტფილისში ამ მიზნით მუსულმან სოფდაგრებსაც შფარველობს. დაპყრობილ ანისიდან (სომხეთის დედა-ქალაქიდან) მას შემოჰყავს სომხის ვაჭარ-ხელოსანი, გორში ასახლებს და მათაც დახმარებას უწევს. დავითივე სცდილობს ფეოდალებისაგან დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალა შექმნას. იგი ამ შემთხვევაში არ ერიდება ჩრდილოეთიდან ყივჩაღების მოწვევას და მათგან მუდმივი ჯარის შექმნას. ამასთანავე მეფის გარშემო თავს იყრიან ახალი წრეების წარმომადგენელი, რომელნიც დიდგვარიანები არ არიან, მაგრამ მონარქიის მომხრეობით აღმაღლებულან და მის უერთგულეს დამცველებად გამოდიან.

მაშასადამე, საგარეო მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვია საქართველოს განთავისუფლება გარეშე მტრებისაგან. დინასტიურმა იმპერიალიზმმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორია გააფართოვა და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ახალი წრეები ჩაითრია. ამან განამტკიცა ფეოდალური მონარქია, რაიც ფეოდალების ცენტრიდან მსრბოლ მისწრაფებასთან შედარებით დიდად პროგრესიული მოვლენა იყო. ფეოდალები იბრძვიან ხელისუფლებაში მონაწილეობისათვის და ერთნაირად მიზანსაც აღწევენ. არსებობს ეგრედწოდებული „დარბაზი“, ფეოდალების წარმომადგენელთაგან შემდგარი პარლამენტი. ფეოდალები სცდილობენ ეს „დარბაზი“ მპრძანებელ, საკანონმდებლო დაწესებულებად გადააქციონ. მეფეები კი მას მხოლოდ სათათბირო უფლებას ანიჭებენ.

ფეოდალური მონარქიის განმტკიცების ხანა—ეს არის ხანა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურად გაძლიერების, ეკონომიურად მოლონიერების და კულტურულად აყვავებისა. ამიტომ უწოდებენ მე 11—12. საუკუნეს საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას.

დავით აღმაშენებელი (1089—1125). დავით აღმაშენებელი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში ერთი შესანიშნავი მეფეთაგანია. მან სავსებით გაამართლა იმ მოწინავე პირების იმედი, რომელნიც გიორგი მეფას გადადგომას და ახალგაზრდა დავითის ტახტზე ასვლას მოითხოვდენ.

თავის დროისდა მიხედვით დავითი ფრიად განათლებული ადა-

მიანიც იყო: ქართულს გარდა იცოდა სომხური, ბერძნული და არაბული ენები.

ესმოდა რა სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობა დავითი დიდ მფარველობას უწევდა მაშინდელ მონასტრებს და იქ მყოფ მოღვაწეებს, რადგან იმ დროს საკულტურო მუშაობა უმთავრესად მონასტრებში სწარმოებდა. იქ იყო სწავლა-განათლების კერა. ამასთანავე ერთად მეფე დახმარებას უწევდა არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მეცნიერებსა და მწერლებსაც.

ასეთი მტკიცე, ენერგიული და თანაც განათლებული, საქმის მცოდნე მეფე დიდი ხანი საქართველოს ტახტზე არ მჯდარიყო. მისი მტკიცე ხელი და გამჭირაობა სჩანდა სახელმწიფოს ყოველ დარგში და ყველა გრძნობდა, რომ საქართველოსათვის მეფის დავითის დროს ახალი ხანა იწყებოდა.

დავახასიათოთ მისი ღვაწლი საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

ცვლილებანი შინაურ ცხოვრებისათვის. დავით მეფეს კარგად ესმოდა, რომ გაერთიანებულ საქართველოს და მისი მშვიდობიანობის უდიდესი მტრები ფეოდალები იყვნენ. მათი ბრძოლა მეფეებთან, როგორც გამაერთიანებელ ხელისუფლებასთან, ქვეყნისათვის დამღუპველი გამხდარიყო. ამიტომ დავითი მათთან ბრძოლაში შეუბრალებელი იყო. იგი არ ერიდებოდა არავითარ ზომას, ოღონდ კი მეფის უფლების გაფართოების და განმტკიცების მოწინააღმდეგენი საბოლოოდ დაემარცხებინა. ზოგიერთი მეფის სისუსტე ფეოდალებთან ბრძოლაში, მორიგება და თუნდ დროებითი შეთანხმება მტრებთან— დავითისათვის უცხო რამ იყო. მისი რკინის ხელი ყოველთვის სასტიკად პრისხავდა ურჩ ფეოდალებს. როდესაც ცნობილი ლიპარიტ ორბელიანის შვილეს შვილმა— ლიპარიტმა მოინდომა მეფესთან ბრძოლა და განდგა კიდევაც, დავითმა იგი დაიჭირა, ჯერ ღრი წელიწადი ციხეში ჰყვანდა, ხოლო მერე საქართველოდან მთლად განდევნა.

დავითს ისიც კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ფეოდალების ბრძოლა მეფეებთან შემთხვევითი ხასიათის არ იყო, რომ ამ ბრძოლას თავისი ღრმა მიზეზები ჰქონდა. მან იცოდა, რომ ქვეყნის დანაწილება და დიდმამულიანობა იყო მიზეზი ფეოდალების ძლიერებისა და სწორედ ამ საფუძვლის მოსპობას სცდილობდა. საერთოდ, როგორც კი მეფე შეამჩნევდა, რომ რომელიმე პირი, თუნდ მას სკეროდეს უმაღლესი თანამდებობა, ურჩობას იჩენდა, მყისვე დაითხოვდა, ან ჩამოაქვეითებდა. დავითი ამ მხრით ანგარიშს ნაკლებად უწევდა წოდებრიობას და დიდგვარიანების წყენინებას არ ერიდებოდა. მის დროს მრავალი ისეთი მოღვაწე გამოჩნდა სახელმწიფო ასა

პარეზზე, რომელთაც პატივი და დიდება მიანიჭა არა გვარიშვილობამ, არამედ საქმის სიყვარულმა, ნიჭმა და ცოდნა-გამოცდილებამ. ამ ახალმა ხალხმა დიდი ღვაწლი დასდო სამშობლოს სხვადასხვა დარგში და თანაც უერთგულესი მომხრე იყო მეფისა ფეოდალებთან ბრძოლაში. სწორედ ამ ახალი პირების საშუალებით შესძლო დავითმა ფეოდალების დამორჩილება და სახელმწიფო საქმეებზე მათი გავლენის საგრძობლად შესუსტება.

დიდგვარიშვილების და დიდმამულისშვილების გავლენა უნდა შესუსტებულიყო არა მარტო სახელმწიფოს გამგებლობის, არამედ სამეფოს ცხოვრების დანარჩენ დარგებშიც. ამიტომ დავითმა დაამთავრა ის რეფორმა ეკლესიისა, რომელიც დაწყებული იქნა ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელის მიერ და რომლის განხორციელებას აპირებდა ბაგრატ მე-IV. ამ მიზნით მეფის ბრძანებით, 1102 წელს მოწვეულ იქმნა რუიხ-ურბნისის საეკლესიო კრება. საჭირო იყო მთლად მოსპობა თუ არა, შესუსტება მაინც იმ წოდებრიობისა, რაიც დიდ ბოროტებას წარმოადგენდა და რასაც მტკიცედ გაედგა ფესვები საეკლესიო ცხოვრებაშიც: თუ არ მდიდარი (მაშინ კი სიმდიდრეს თითქმის მარტოოდენ შამული შეადგენდა) სხვა ვერავინ მიიღებდა უმაღლეს სასულიერო თანამდებობას. გარდა ამისა, თანამდებობაზე დანიშვნის დროს ადგილი ექონდა ხოლმე გავლენიან პირთა მოსყიდვას და მრავალ სხვა ბოროტებას; გავრცელებული იყო სასულიერო წოდებაში ბევრი გამრყენელი ჩვეულებანი და მორწმუნენი იტანჯებოდნენ ზოგიერთ ურწმუნო და გათახსირებულ ღვთისსახურთაგან.

რუიხ-ურბნისის კრებამ ამას ყურადღება მიაქცია. მან გადააყენა მრავალი ეპისკოპოსი, რომელთაც თავიანთი ადგილები პირადო ღირსებისათვის კი არა, სიმდიდრის და კაი გვარიშვილობის გამო ჰქონდათ მიღებული. ამასთანავე კრებამ მოსპო იმ თულის გაღება, რომელსაც იზდიდენ დაბალი სასულიერო პირები უმაღლესთა სასურგებლოდ, როდესაც ამ უკანასკნელთაგან რაიმე თანამდებობას ღებულობდნენ.

რამდენადაც მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილება ამის ნებას იძლეოდა დავით მეფე თართო წრეებისათვისაც ზრუნავდა. სახელმწიფო ენმარებოდა თურქების შემოსევითა და მეფე გიორგის დროს მომხდარი მიწის ძვრისაგან დანგრეულ კუთხეებს, იგი ხელს უწყობდა მათ კვლავ გაშენებას, მოსახლეობის მდმრავლებას და მოწყობას. მფარველობას უწევდნენ მის დროს აგრეთვე ვაჭრობის, აღებ-მიცემობის საქმის განვითარებას, აკეთებდნენ სავაჭრო გზებს და მისვლა-მოსვლის გასაადვილებლად ახალი გზებიც გაჰყავდათ. მრავალ-

გან გაიხსნა ქსენონები და საავადმყოფოები. გლახკთა და დავროლო-შილთათვის ზრუნვა თვით სახელმწიფომ იკისრა. სამართლის საქმესაც დიდი ყურადღება მიაქცია. დაარსა სამართლის ცალკე უწყება. ეს ფრიად დიდი ნაბიჯი იყო გადადგმული. შეძლებულთა გავლენისაგან თანდათან განთავისუფლებისაკენ.

სახელმწიფოს გაძლიერებისა, სწავლა-განათლებისა და საქართველოს მთლიანობისათვის ზრუნვა—აი, რამ მოუპოვა დავითს სახელი. ახალი ტაძრების და შენობების აგებამ (სხვათა შორის, დავითის დროს დაიწყო ცნობილ გელათის ტაძრის შენება)—ხალხში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და დავით მეფის დრო დაახსომა. ამიტომ არის, რომ ხსენებულ მეფეს ისტორიაში აღმშენებელი ეწოდება.

მუდმივი ჯარის შედგენა. ყველაზე შესანიშნავი საქმე დავით აღმაშენებლისა მუდმივი ჯარის შექმნა იყო. ამ ჯარის ყოლამ საქართველოს საშუალება მიისცა თავი დაეცვა გარეშემტერთა შემოსევისაგან, აელაგმა შინაური გამთიშავი ძალები და სახელმწიფოს ფარგლებიც გაეფართოებინა. მეფის უნუგეშო მდგომარეობა წყვიდალბებთან თუ გარეშე მტრებთან ბრძოლაში წინაღ უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მას არა ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ძალა, რომელიც დაიცავდა სახელმწიფოს შინაურ თუ გარეშე მტერთაგან. ჯარი წინაღ გამოჰყავდათ ფეოდალებს და ისინივე იყვნენ თავის მამულში შეგროვილ რაზმების სარდლებიც. საქირო იყო ისეთი შეიარაღებული ძალის შექმნა, რომელიც ცალკე ფეოდალებს კი არა, არამედ უშუალოდ სახელმწიფოს დაემორჩილებოდა. დავით აღმაშენებელს ამის მნიშვნელობა კარგად ესმოდა მაგრამ საქმის სიძნელეიც ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული. დავითი გაბედულ ნაბიჯის გადადგმასაც არ დაერიდა: ჩრდილოეთ კავკასიიდან მეფემ ჩამოიყვანა ყივჩაღები, რომლებიც სიამოვნებით დათანხმდნენ საქართველოში წამოსვლას, რადგან იმ დროს რუსის ბთავარი ვლადიმერ მონომახი მათ ძლიერ აწუხებდა. სულ გადმოსახლდა ორასი ათასამდე სული (ყივჩაღები მთელი თავისი ოჯახებით წამოვიდნენ.) და საქართველოში დაბინავდა. დავითის აზრით, ყივჩაღების ჩამოსახლება სახიფათო სრულიად არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ახლად მოსულნი ქართველებზე კუდტურულად ბევრად დაბლა იდგნენ. მართლაც, ყივჩაღები მალე მთლად გაქართველდნენ, ადგილობრივ მცხოვრებლებში გაითქვიფნენ და სახელმწიფოსაც ერთგულ სამსახურს უწევდნენ. ისინი ვალდებულნი იყვნენ სამეფოსათვის დაწესებული რიცხვი ჯარის-კაცებისა მიეცათ, რასაც პირნათლად ასრულებდნენ. სამაგიეროდ, სახელმწიფომაც ყივჩაღები გადასახადებისაგან გაანთავისუფლა. დასახლების პირველ ხანებში მათ სხვა მხრივაც ეხმარებოდნენ.

მუდმივი ჯარის შექმნას უდრდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ ქამს მტრების მოგერიებაში მყოფ საქართველოსათვის. განსაკუთრებით მისი მნიშვნელობა გაიზარდა, როდესაც დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა შეტევითი ომების წარმოება დაიწყეს.

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა. დავით მეფის დროს იწყება ის ხანა საქართველოს გაძლიერებისა და აყვავებისა, რასაც მოჰყვა ეგრეთ წოდებული „ოქროს ხანა“ თამარ მეფისა. ჩვენი ქვეყნის მოლონიერებას ხელს უწყობდა იმ უამარ საერთაშორისო მდგომარეობაც: ტფილისის საამირო, რომელიც არაბებს თურქებმა წაართვეს, თანდათან უძღურდებოდა; 1097 წელს კა მაჰმადიანთა მთელი ყურადღება ჯვაროსნებთან ბრძოლამ მიიზიდა. იმ ხანებში ევროპიდან წამოსულმა ქრისტიანებმა მოიწადინეს წმინდა ადგილებიდან „ურჯულოების“ (მაჰმადიანების) განდევნა და, მართლაც იერუსალიმი აიღეს. მაჰმადიანების საუკეთესო მებრძოლი ძალები ამიტომ პალესტინისაკენ იქნა გაგზავნილი. მაჰმადიანთა ტალღა, საქართველოს რომ აწვებოდა, მინელდა. დასუსტებულმა თურქებმა თავდასხმებზე სელი აიღეს და თავდაცვას კმაყოფილდებოდნენ. რასაკვირველია, საქართველომ ისარგებლა მტერთა უძღურებით, ფეხზე წამოდგა, წელში გასწორდა და მალე მთელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

1097 წელს დავით აღმაშენებელმა გადიგლო ის სამარცხვინო უღელი, მამამისის გიორგის დროს რომ დაადევს კისრად: მან უარი სთქვა თურქების სასარგებლოდ ხარკის გადახდაზე. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის: ამ დროიდან საქართველო საბოლოოდ დამოუკიდებელი შეიქნა, ახლა საჭირო იყო შემოერთება იმ კუთხების, მაჰმადიანთა რომ ეპყრათ, ან ნახევრად დამოუკიდებულ ცხოვრებას ეწეოდნენ. მართლაც, დავით მეფემ სასტიკად დაამარცხა განჯის ამირა კახეთიდან მთლად განდევნა. ამ გამარჯვებით დავითმა ორ მიზანს მიაღწია: კახეთი შემოიერთა და თანაც აზერბეიჯანი დააშინა, ვინაიდან იგი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს ეპოტინებოდა.

1118 წელს დავით აღმაშენებელმა ყურადღება მიაქცია ოსეთსაც, რომელიც საქართველოსაგან ყოველთვის დიდ დახმარებას იღებდა თურქებთან ბრძოლის დროს. ოსეთი იქამდისაც საქართველოს მორჩილებაში იყო, მაგრამ მისი საბოლოოდ შემომტკიცება მხოლოდ დავით მეფის დროს მოხდა. იმ ხანიდანვე ოსებში ფართოდ ვრცელდება ქართული კულტურა, და ისინი მონაწილეობას იღებენ ქვეყნის დაცვაშიც. საჭიროების დროს ოსები ვალდებული იყვნენ ხუთი ათასი

კაცი გამოეყვანათ. ოსეთის შემოერთებით საქართველოს ჩრდილო-ეთი საზღვრებიც განმტკიცებულ იქნა. გაერთიანებულ საქართველოს გარეშე მხოლოდ ტფილისი დარჩენილიყო. მეფემაც მას მიაქცია გულისყური.

მაჰმადიანთა მმართველები კარგად ჰხედავდნენ, თუ რაოდენ საშიში შეიქნებოდა მათი ბატონობისათვის საქართველოს გაძლიერება და ამიტომ დავითის დამარცხება განიზრახეს. 1121 წელს მაჰმადიანთა შეერთებული დიდძალი ჯარი წამოვიდა საქართველოზე სამის მიმართულებით: ტფილისის, დიგორის და მანგლისისა. ფიცხლავ განემზადა მეფე ბრძოლისათვის, თვითონ უწინამძღოლა ჯარს და კარს მომდგარი მრავალრიცხოვანი მტერი სასტიკად დაამარცხა. დავითის ამ გამარჯვებამ მაჰმადიანები საბოლოოდ უკუაქცია და თანაც ტფილისის ბედი გადასწყვიტა. შემდეგ, 1122 წელს დავითმა ტფილისი „ოთხას წელ ქონებული სპარსთა (მაჰმადიანთა)“ მტრებს ხელიდან გამოჰკლიჯა. იმ დროიდან ტფილისი რუსეთთან შეერთებამდე კვლავ სატახტო ქალაქად ითვლება და დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ყურადსაღებია, რომ ქალაქის აღების დროს დავითი იქ მცხოვრებ მუსულმანებს დიდის ღმობიერობით მოეპყრა. იგი მეჩეთშიც კი დადიოდა, მუსულმანებს საერთოდ მფარველობდა. კერძოდ პოეტებს და მეცნიერებს ჯლუფა დაუნიშნა და ყოველ მხრით მფარველობდა.

ტფილისის შემოერთების შემდეგ უკვე მთელი საქართველოს ტერიტორია საბოლოოდ გაერთიანებულია დავით აღმაშენებელის ხელში. საჭირო ხდება საზღვრების განმტკიცება. დავითს ამისათვის მრავალი ბრძოლის გადატანა უხდება.—იგი ამ ბრძოლის დროს ხშირად მეზობლების საქმებშიაც ერევა და შეტევილი ომებს აწარმოებს.

უბედურ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო იმჟამად სომხეთი: თავისთავე სახლში სომხები სტუმრებად გრძნობდნენ თავს და გარეშე მტრებისაგან იწეწებოდნენ. თვით სატახტო ქალაქ ანისს მუსულმანი აბულსოვარი განაგებდა, კაცი ფრიად სასტიკი, ფანატიკოსი და ქრისტიანობის მდევნელი. სომხის კათალიკოსი იძულებული იყო ტყეში დამალულიყო, ამისთანა პირობებში საკვირველი არაა, რომ სომხებმა დააპირეს დახმარება ეთხოვათ დავით აღმაშენებელის, როგორც მეზობელ ქრისტიან მეფისათვის. დავითს კარგად ესმოდა სომხეთისა და განსაკუთრებით მისი დედა-ქალაქის ანისის სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის. სამოცი ათასი ჯარით მეფემ გაილაშქრა სომხეთზე, ანისიდან აბულსოვარი განდევნა და მის მაგივრად გამა-შვილი—აბულეთი და ივანე დანიშნა. სომხთა სიხარულს საი

ღვარი არა ჰქონდა, რადგან სომხის ერი სარწმუნოებრივ დევნისაგან განთავისუფლდა: „მივიდეს მეფე და კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა, ახლად წესი აუგეს და თვითონ მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი ურჯულოთა ხელთაგან“-აო, გადმოგვცემს მემათიანე. დავით აღმაშენებელი ყოველმხრით სცდილობდა, სომხების იმედი გაენართლებინა, დიდად მფარველობდა მათ და მრავალს ნება ისცა საქართველოში გადმოსახლებულიყო (გორსა და სხვაგან).

ანისის აღების შემდეგ დავით აღმაშენებელს შირვანის და ქ. შემახიას დაჭერა მოუხდა (შარვანი ახლანდელი ბაქოს გუბერნიის დასავლეთი ნაწილი იყო). იმავე დროს მოუხდა მას ლეკებთან შეტაკება და დარუბანდის პატრონის დამარცხებაც. შირვანის სამხედრო დაცვა დავითმა კახელებს მიანდო, ხოლო მმართველობა მთავარ ეპისკოპოსსა და ფრიად განათლებულ ადამიანს სვიმონ ჭყონდიდელს ჩააბარა. მართვა-გამგეობასთან ერთად სვიმონ ჭყონდიდელი ქრისტიანობის გავრცელებასაც უწყობდა ხელს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: შირვანი საბოლოოდ უკავშირდებოდა საქართველოს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სარწმუნოებითაც.

დავითის მეფობის ბოლო ხანებში საქართველო გადაჭიმული იყო ორ ზღვას შუა: მისი საზღვრები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით დარუბანდს აღწევდა, დასავლეთით—ტუაფსეს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით—ყარსსა და არზრუმს. მეზობლები მას უკვე დიდ ანგარიშს უწყევდენ. საქართველო იმ დროიდან გადამწყვეტ როლს თამაშობს თითქმის მთელ აღმოსავლეთში. ამის შემდეგ საქართველოს მართლაც ჰქონდა ის, რასაც ყოველთვის ეძებდა ჩვენი ქვეყანა: „აქენდა ყოვლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა“. დავითი ჯერედ კიდევ ჯანღონით აღსავსე გარდაიცვალა ტფილისს—1125 წლის იანვარს.

დავითის შემდეგ ტახტზე ადის ძე მისი დიმიტრი I-ლი, რომელსაც დააწვება მძიმე ტვირთი სახელოვანი მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ღირსეულად გაძლოის და სახელმწიფოს საზღვართა დაცვისა.

დავით აღმაშენებელიდან თამარ მეფემდე. დავითის მემკვიდრე დიმიტრი I-ლი (1125—1156) ენერგიული, მამაცი ადამიანი იყო და გაერთიანებულ საქართველოს საზღვრებს მედგრად იცავდა. ძნელი შეიქნა მაშინ ამ ბრძოლის წარმოება: ერთსა და იმავე დროს დიმიტრის უბედობდა ომიანობა გარეშე და შინაურ მტერთა შინააღმდეგ.

მუსულმანები კვლავ არ ისვენებდნენ. ისინი ვერ შერიგებოდნენ საქართველოს გაძლიერებას და განსაკუთრებით იმ კუთხეებს ესხმოდნენ თავს, რომელნიც საქართველოს შეერთებინა. რამდენიმეჯერ მოახდინეს მათ დარბევა შირვანისა, სომხეთისა და სხვა კუთხეებისა. ისეთი დროც კი იყო, რომ დიმიტრი იძულებული გახდა ანისის მმართველობა ჩაებარებინა აბულსოვარის შვილებსათვის, ვინაიდან შეიძლებოდა ეს ქალაქის საბოლოოდ დაკარგოდა საქართველოს. აბულსოვარის შვილებმა დიმიტრის აღუთქვეს ერთგულება და მართლაც ფიცი არ გაუტეხიათ. მიუხედავად ამისა, ანისისათვის ბრძოლა დიდხანს არ შეწყვეტილა. მუსულმანთა შეერთებული ჯარები ხშირად ესხმოდნენ თავს ამ ქალაქს და თითქმის განუწყვეტელი შეტაკებანი ქონდათ ქართველთა ლაშქართან. დიმიტრიმ ბოლოს მტრების ალაგმა მაინც მოახერხა.

1139 წელს მან განჯა აიღო, რადგან იქაური ამირა ხშირად შირვანს აწუხებდა. მეფემ იქედან წამოიღო რკინის კარები, რომელიც გელათში ინახება. განჯის აღებით დიმიტრიმ სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვრები უზრუნველყო და შემდეგში სხვა მტრებისათვის მოიცალა. 1154 წელს დიმიტრიმ ანისთან სასტიკად დაამარცხა მუსულმანთა შეერთებული ჯარი, დომელსაც აზრუმის ბატონი—სალიხი წინამძღოლობდა.

დიმიტრი განაგრძობდა იმ ფეოდალებთან ბრძოლასაც, რომელთაც ჯერ კიდევ იარაღი არ დაეყარათ და ყოველ შემთხვევის გამოყენებას სცდილობდნენ მეფეთა დასამარცხებლად. ფეოდალები არ დაერიდნენ დიმიტრის საოჯახო საქმეშიც ჩარევას. მეფეს ორი შვილი ჰყავდა: დავით და გიორგი. დიმიტრის შემდეგ, როგორც უფროსი, დავითი უნდა გამეფებულიყო. მაგრამ მეფე ტახტის მემკვიდრედ გიორგის ამზადებდა. შეურაცხყოფილ დავითის გარშემო შეკრბნენ ყველა უკმაყოფილონი, დაიწყეს ბრძოლა დიმიტრისთან და მალე ტახტიდანაც ჩანოაგდეს. გამეფდა დავითი, ხოლო დიმიტრი ბერად აღიკვეცა. არც დავითის გამგებლობა ყოფილა ხანგრძლივი, ექვსი თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა. ცოტა ხნით მეფობას კვლავ დიმიტრი დაუბრუნდა. მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა გიორგი, რომელიც მეფობდა გიორგი მე-III სახელით.

გიორგი მე-III (1156—1184), მამა თამარ მეფისა, ენერგიული, შეუპოვარი და მამაცი ადამიანი იყო. პირველად მას მოუხდა შეტაკება იმავე მუსულმანებთან, რომელთაც კვლავ დაეპყროთ ანისი. გიორგიმ დადბრუნა ანისი და საზღვრებიც უფრო გააფართოვა: მან შეიერთა დვინი, არარატთან მდებარე ქალაქი. მუსულმანები კვლავ

განემზადენ საქართველოს ასალაგმავად: მათს შეერთებულს ჯარს ხელმძღვანელობდა სპარსეთის შაჰი ელდიგუზი. საქართველოზე შეტევა სამხრეთიდან დაიწყო. გიორგი მომზადებული ვერ იყო ბრძოლისათვის და დამარცხდა. 1165 წელს გიორგიმ ხელი მოაწერა საზავო პირობებს, რომლის ძალითაც ანისის მმართველად ინიშნებოდა მუსულმანი არსლანი, იმ პირობით კი, რომ თვით ქალაქი კვლავინდებურად საქართველოს მორჩილებაში მყოფად აღიარებულიყო. მაგრამ გიორგიმ მალე მოიკრიბა ძალ-ღონე, 1178 წელს ანისიდან არსლანი განდევნა და ქალაქის გამგებლობა სომხის ეპისკოპოს აპირატს ჩააბარა.

1167 წელს გიორგიმ შირვანის ერთ მმართველთაგანს აღსართანს დიდი დახმარება გაუწვია ხაზარებთან ბრძოლაში. იმ დროს ქართველთა ლაშქარმა დარუბანდს მიაღწია და დიდძალი ალაფით დაბრუნდა უკან.

გარეშე მტრებთან ბრძოლასთან ერთად გიორგი სამეფოს შინაურ ცხოვრების მოწესრიგებასაც აქცევდა ყურადღებას. მან მოიწვია იმ დროის მოწინავე პირთა კრება, რომელთაც შეიმუშავეს ავაზაკებ-ქურდებისათვის სასტიკი სასჯელი. ეტყობა ეს სენი იმ ჭამად გავრცელებული ყოფილა, რაკი მის წინააღმდეგ საგანგებო ზომებს ღებულობდენ. გიორგი მეფეს ბრძოლა მოუხდა ფეოდალებთანაც, რომელთაც მოინდომეს გიორგის ძმისწულის—დემნას გამეფება. ფეოდალებს იმედი ჰქონდათ, რომ დემნა მათი სრული მონაპორჩილი იქნებოდა. განდგომილებმა მუსულმანთა ჯარის მოხმარებაც განიზრახეს. გიორგიმ დაამარცხა მეამბოხენი და თავის მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა: დემნას თვალები დასთხარა, ხოლო მისი მომხრე ორბელიანთ გვარეულობა თითქმის მთლად ამოსწყვიტა. ხსენებულ ამბოხების შემდეგ მეფე ფრიად დიდი ეჭვით უყურებდა დიდგვარიანებს და ისეთი პირები დაიახლოვა, რომელნიც თუმცა გვარიშვილობით ცნობილნი არა ყოფილან, მაგრამ მეფეს ერთგულად ემსახურებოდენ.

თავის მეფობის უკანასკნელ ხანებში გიორგი თითქოს მოიდალა და სახელმწიფო სააქმეებს მარტო ველარ ასდიოდა. ამიტომ მან 1178 წელს ტახტზე აიყვანა თავისი ასული თამარი, რომელსაც სამეფო ჩააბარა. გიორგი მაინც განაგრძობდა გამგებლობას და თამარს ბევრს რამეში რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა. ტახტიდან გადადგომის შემდეგ, გიორგის დიდხანს აღარ უცოცხლნია. იგი 1184 წელს მიიკვალა და თამარი დიდის ზეიმით მეფედ აკურთხეს.

თამარ მეფე (1184—1212 წ.) თამარი ტახტზე ავიდა ჯერ

კიდევ თავის მამის, გიორი მესამის დროს (1178 წ.), ხოლო მეფედ ხელმეორედ აკურთხეს 1184 წელს. კურთხევამდე დიდებულნი და გამოჩენილნი პირნი შეიყარნეს და თათბირი ჰქონდათ. მრავალი იმათგანი რყევაში იყო: არასოდეს საქართველოში მეფედ ქალი არ ყოფილიყო: შესძლებს კი იგი სახელმწიფოს ღირსეულად გაძლოლას? ფიქრობდნენ ზოგიერთნი. ბოლოს ყველამ აღიარა, რომ თამარი ღირსეული მემკვიდრე იქნებოდა თავის წინაპრებისა და დიდის ხენივით აკურთხეს მეფედ.

კურთხევის დროს თამარს წელს შემოარტყეს ოქროს ხმალიც. ეს იმის ნიშანი იყო, რომ თამარი ისეთივე უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი, როგორც სხვა მეფეები: იგი ჩაითვლებოდა ქართველთა მთელი ლაშქრის უფროსად და წინამძღოლად.

შალე თავი წამოჰყვეს ფეოდალებმა. მათ ეგონათ, რომ თამარი, როგორც ქალი, ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მათ მოთხოვნებს. ამიტომ ფეოდალები გაიფიცნენ და შეფეს მოსთხოვეს ზოგიერთი მოხელის გადაყენება. ამ მოთხოვნას სარჩულად ჰქონდა ძველი წოდებრივობის საფუძვლით აღდგენის და ფეოდალების კვლავ გაძლიერების სურვილი. ჩვენ აღარ დავემორჩილებით ძველ ხელისუფლებას, ვინაიდან გვარიანნი და მსახურეულნი ხალხნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულვართ უგვართა და უხმართაგანაო, სჩიოდენ უკმაყოფილო ფეოდალები.

დიდგვარიანთა გაფიცვა მიმართული იყო იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლის გამო წოდებრიობა თანდათან სუსტდებოდა. გვარიშვილობას იმ დროს უკვე ძველა პატივი აღარა ჰქონდა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობდნენ თუმც არა დიდგვარიანნი, მაგრამ პირად ღირსებითა და ნიჭიერებით ცნობილი, მეფის ერთგული პირები. ფეოდალების გაფიცვა ისეთი მოულოდნელი იყო თამარისათვის, რომ იგი იძულებული გახდა დათმობის გზას დასდგომოდა: მან გადააყენა ამირ-სპასალარი (ჯარის უფროსი) ყუბასარი, ოდესღაც გიორგი მეფის ახლობელი და აგრეთვე აფრიდონი—მსახურთ-უზუცესი. ორივე ესენი პირადი ღვაწლისა და საქმიანობის გამო ამაღლებულიყვნენ. ამიტომ სძულდათ ისინი დიდგვარიანთა ვადებს და აზნაურებს.

ღარბაზი. თამარ მეფისავე დროს ჰქონდა ადგილი პოლიტიკურ მოძრაობას, რომლის მონაწილენი მიზნად პარლამენტის მსგავს დაწესებულების შემოღებას მოითხოვდნენ.

იქამდისაც არსებობდა საქართველოში პარლამენტის დაგვარი დაწესებულება. ეს იყო ეგრეთ წოდებული ღარბაზი. ღარბაზს დრო

და ღრო თვითონ მეფეები იწვევდნენ დიდს საკითხებზე გადასაწყვეტად. მის წვრებად ითვლებოდნენ დიდებულნი და გამოჩენილნი, მეფესთან დაახლოებული პირები. დარბაზი თითქმის მუდმივი დაწესებულება იყო, მაგრამ საკანონმდებლო, მეფისათვის სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანის უფლება არ ჰქონდა. ეს იყო უფრო თათბირი მოწინავე პირებისა, რომელთა რჩევას მეფე — უნდოდა დაემორჩილებოდა, უნდოდა უარს ჰყოფდა.

თამარის დროს კი ახალი მოთხოვნა გაჩნდა. 1186 წელს მეჭურჭლეთ-უხუცესმა ყურთუ-ასლანმა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონია ზოგიერთ წრეებზე, მეფეს წარუდგინა პოლიტიკური მოთხოვნა: ისანსა (ავლაბარსა) და საგოდებელთან (სასაფლაო) უნდა დაედგათ კარავი და იქ დამსხდარიყვნენ დიდებულები. მათ უნდა ჰქონოდათ უფლება ბრძანების, ხარჯების, მოხსენებებისა და უმაღლესი მართლმსაჯულებისა. რასაც „კარავში დასხდომილნი“ გადასწყვეტდნენ, მისი დამტკიცება მეფისთვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო. ამნაირად ყურთუ-ასლანის წინადადება შეიცავდა მეფის უფლების, თვითმპყრობელობის შეზღუდვის მოთხოვნას.

დანამდვილებითი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რომელი წრეები ემხრობოდნენ ყურთუ-ასლანს. თვითონ ყურთუ-ასლანი ნაყიფჩალარი, თუმც მდიდარი, მაგრამ უგვარიშვილო იყო. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სათავეში ჩაუდგა იმ მოძრაობას, რომელმაც შეაერთა ფეოდალები და მდიდრები. მათ სურდათ მეფის უფლება თავის სასარგებლოდ შეზღუდვათ. ყურთუ-ასლანის მოძრაობა სახუმარო არ ყოფილა და თამარს შიში ჰქონდა სისხლის ღვრისა, ვინაიდან წამოყენებულ მოთხოვნათა ასრულება შეუძლებლად მიჩნდა. მაგრამ საქმე მშვიდობიანად გათავდა: თამარმა დაიწყო მეგობოხეებთან მოლაპარაკება. ამ მიზნით მათთან მაშინდელი გამოჩენილი მანდილოსნები, ქართლის ერისთავის დედა ხვაშავი და ჯაყელის მეუღლე გაგზავნა. მოლაპარაკებამ გასჭრა, შეამხოხენი თამარს დამორჩილდნენ. ყურთუ-ასლანი დააპატიმრეს, მაგრამ დანაშაული აპატიეს. ამნაირად მეფის უფლების შეზღუდვა ვერ მოხერხდა. თამარი ამ შემთხვევის შემდეგ მაინც იძულებული იყო შესაფერისი ანგარიში გაეწია დიდებულთა რჩევისათვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უმაღლეს თანამდებობაზე ნიშნავდა ვისმე. ზემოხსენებული პოლიტიკური მოძრაობა მალე მიწედა, ვინაიდან მრავალმა ძლევამოსილმა ლაშქრობამ შინაური უთანხმოებანი დაჩრდილა.

გიორგი რუსთან ბრძოლა. როდესაც დიდებულებმა დაიწყეს დედოფლისათვის ღირსეულ მეუღლის ძებნა, მოთხოვნილი ქლიერ მრავალი აღმოჩნდა.

მაგრამ დიდებულთა ბჭობამ უპირატესობა მისცა რუსის მთავრის შვილს გიორგის, რომელიც თავის სამშობლოდან განედევნათ და იმ უამად ჩრდილოეთ კავკასიაში სცხოვრობდა. მისი დასიძება სურდათ ორნაირის მოსაზრებით: ჯერ ერთი—გიორგი ქრისტიანი იყო, მეორეც როგორც შორეულ ქვეყნის შვილი, პოლიტიკურად საქართველოსთვის საშიში არ უნდა ყოფილიყო.

გიორგი პირადად ვაჟკაცი იყო და მონაწილეობდა თურქებთან ბრძოლაში, რომელნიც იმ დროს ძლიერ აწუხებდნენ საქართველოს ზოგიერთ კუთხეებს: ქართლის დასავლეთ ნაწილს, შავშეთს და მესხეთს. ქართველებმა არამც თუ მოიგერიეს თურქები, არამედ მათ მიწა-წყალზედაც გადავიდნენ და ბასიანამდე სდიეს. ამ გამარჯვებით საქართველოს დასავლეთი სამხრეთის საზღვრები რამდენიმე ხნით უზრუნველყოფილ იქნა. ამავ დროს ქართველმა ლაშქარმა ალაგმას ბრძოლები, რომელნიც ხშირად თავს ესხმოდნენ სახელმწიფოს სამხრეთით. თანდათან გარეშე მტრებთან ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ქართული ლაშქარი უკვე აღარ კმაყოფილდებოდა თავდაცვას, გადაიდო თავდასხმაზე, არბევდა სხვის მიწა-წყალს და გამოჰქონდა იქიდან აუარებელი სიმდიდრე.

ყველა ზემოხსენებულ ბრძოლაში გიორგი რუსი უახლოეს მონაწილეობას იღებდა და ლაშქრის ნდობაც დაიმსახურა. 'მაგრამ გიორგიმ თანდათან ლოთობას მიჰყო ხელი, კერძო ცხოვრებაში ცუდად იქცეოდა და თამარს თავი მოაძულა. დიდებულთა თათბირმა ნება მისცა თამარს ქმარს გაჰყოლოდა. მართლაც „უბედური რუსი“ როგორც უწოდებს მას მემართიანე, საქართველოდან განდევნეს. იგი ბიზანტიას წავიდა.

გიორგი ვერ შერიგებოდა ტახტის დაკარგვას და რამდენისამე ხნის შემდეგ ბერძნების საშუალებით საქართველოში დაბრუნება მოინდომა. მას ეხმარებოდნენ ზოგიერთი ფეოდალებიც, რომელთაც იგი ჰპირდებოდა: თქვენს ძალა-უფლებას სავსებით დაგიბრუნებთო. როდესაც გიორგი საქართველოში შემოვიდა, მას მიემხრენ შავშეთ-კლარჯეთის მმართველი ხუზანი და იმერეთის მფლობელი ვარდან-დადიანი. ქართველთა ლაშქარმა გამრეკელის და მხარგძელების მეთაურობით მემბოხენი სასტიკად დაამარცხა. მეთაურები და თვით გიორგიც თამარის ჯარმა ტყვედ იგდო, მაგრამ მეფისაგან თითქმის ყველანი პატიებულ იქნენ. გაანთავისუფლეს „გიორგი რუსიც“. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ დაწყენარებულა და მეორედ სცადა ბედი. მას კვლავ იმედი ჰქონდა საქართველოში დაბრუნებისა, მაგრამ მეორეთაც დამარცხებულ იქნა. ამის შემდეგ გიორგი საბოლოოდ მოშორდა საქართველოს და შემდეგ აღარსად გამოჩენილა.

თამარმა გიორგის შემდეგ ქმრად შეირთო დავით სოსლანი, რომელსაც ბავშობიდანვე კარგად იცნობდა და უყვარდა კიდევაც. დავითი ღირსეული მეუღლე აღმოჩნდა თამარ მეფისა: იგი ნამდვილი მისი თანამემცხედრე და გამოჩენილს. მეომარი იყო.

შამქორის ბრძოლა. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროსაც ვე საქართველო არამც თუ ერეოდა მეზობელ ხალხთა შინაურ საქმეებში, არამედ გადამწყვეტ როლს თანაშობდა მათი ურთიერთობის მოწესრიგებაში. თანაც მუდმივ ჯარს კვება, ჩაცმა-დახურვა და გაძლოლა უნდოდა. იმ ეპოქაში შეუძლებელი იყო ასეთი ჯარი დიდხანს უსაქმოდ დარჩენილიყო. ამიტომ იმ დროს მრავალი შემთხვევა იყო მეზობლებისადმი უმიზეზოდ მიხტომისა და დარბევისა. მაგალითად, გიორგი ლაშას დაბადების სადღესასწაულოდ ქართველი ჯარი შეესია შეზობლებს და დიდძალი ალაფი აიღო. მემათიანის სიტყვით, ლაშქრობიდან დაბრუნებულ ქართველებს გაუნთავისუფლებიათ 30.000 ტყვე. მარტო ამ რიცხვის დასახელება საკმარისია იმის დასახასიათებლად, რომ ხშირად იმართებოდა ისეთი ლაშქრობა, რბევა, რასაც არც სახელმწიფოებრივი, არც სხვა რაიმე ინტერესი არ მოითხოვდა.

მაგრამ შამქორის ბრძოლა სულ სხვა ხასიათისა იყო (1202 წ.) ამ ბრძოლაში გამარჯვებამ საქართველოს გავლენა მთელ კავკასიაში წინანდელზე მეტად ზანამტკიცა. შამქორის ბრძოლა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია. განჯის ამირა აბუბაქარი ძალიან აწუხებდა მეზობლებს, კერძოდ შირვან-შაჰს (შირვანის მმართველს) და მის სიძე ანიმირმანს. შირვანი ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდანვე საქართველოს მორჩილად ითვლებოდა. ამიტომ სიძე-სიმამრმა თამარს სთხოვეს დახმარება აბუ-ბაქარის წინააღმდეგ. მოსალაპარაკებლიდ შირვან-შაჰ და ანი-მირმანი ტფილისს ჩამოვიდნენ. თამარს უნდოდა უცხო სტუმრებზე ჯეროვანი შთაბეჭდილება მოეხდინა და დიდი ზეიმით შეხვდა: „შეიქნა დარბაზობა, დასხდნენ ტახტსა ზედა ოქროქედილსა თვით თამარ, დავით და ძე მათი“. ამასთანავე თამარი რომისათვისაც ემზადებოდა. აბუ-ბაქარიც გულხელდაკრეფილი არ ყოფილა, რადგან თამარის განზრახვა გაეგო.

ქართველთა მრავალ-რიცხოვანი ლაშქარი დაბანაკდა ტფილისსა და შამქორს შუა (აქსტაფის ახლო). ქართველებს თვით დავით სოსლანი წინამძღოლობდა. აბუ-ბაქარსაც დიდძალი ჯარი შეეგროსებინა. თავის ლაშქრის გასამხნეველად მას გამოეტანა ხალიფას მწვანე დროშა, რომლის წინაშე მიწას ჯანერთხმის ყოველი მუსულმანი. მალე დაიწყო ფიცხელი ბრძოლა. ქართველებმა აბუ-ბაქარი სასტიკად დაამარცხეს და გააქციეს. დარბეულ იქნა თითქმის მთი-

ლი აზერბეიჯანი. მალე დავით სოსლანმა განჯაც აიღო და სულთნთა ტახტზე დაჯდა. განჯის მმართველად ქართველებმა გაქცეულ აბუ-ბაქარის მაგივრად ამი-მირმანი დანიშნეს. მეფეთიანე გადმოგვაცემს: ქართველთა ლაშქარმა ხელთ იგდო 20.000 ცხენი, 7.000 ჯორი, 15.000 აქლემი და მრავალი ტყვეო. ეს რიცხვი გაზვიადებულია, მაგრამ მემატიანის მოწმობა დაახლოვებით მაინც აღნიშნავს იმ აუარებელ სიმდიდრეს, რაიც ქართველებს შამქორის ბრძოლის დროს დარჩენიათ.

აბუ-ბაქარი არც შამქორში დამარცხების შემდეგ დაწყნარებულა. მან ამი-მირმანი მოაწამვლინა და კვლავ განჯაში დაბრუნებას ჰკლამობდა. ქართველთა ლაშქარმა ხელმეორედ დაარბია არა მარტო ამი-მირმანის ყოფილი საბრძანებელი, არამედ მუსულმანთა მომიჯნავე შიწა-წყალიცა და ცეცხლით და მახვილით დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი.

შამქორის ბრძოლამ მეზობლები დაარწმუნა, თუ რა საშიში იყო მათთვის საქართველო თავისი ძლიერებით. ამიტომ მათ იწყეს ომისთვის მზადება. ის მრავალი ლაშქრობანი და შეტაკებანი, რომლითაც საეგეა თამარის მეუობის დრო, სწორედ იმით აიხსნება, რომ თურქები სცდილობდნენ საქართველო დაესუსტებინათ, კვლავ თავის გაფლენისათვის დაემორჩილებინათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს იმ ხანებში ბრძოლა მარტო თურქ მუსულმანებთან, მარტო აღმოსავლეთის საზღვრებზე როდი ჰქონდათ. მალე ომიანობა გაჩაღდა სამეფოს დასავლეთს მხარესაც. მოხდა შეტაკება ბერძნებთან.

ტრაპიზონის იმპერია. ბერძნები თავიდანვე ყოველთვის ეხმარებოდნენ საქართველოს ფეოდალებს და ხელს უშლიდნენ ამით ქართველ შეფეებს ქვეყნის გაერთიანების და გალონიერების საქმეში. ეს ჰხდებოდა იმიტომ, რომ გაძლიერებული საქართველო ბოლოსდაბოლოს ბერძნებს თავისთვისაც საშიშრად მიაჩნდათ. ბერძნებმა დახმარება გაუწიეს გიორგი რუსსაც, რომელმაც თამარის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ამან ძლიერ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოში. ამას ზედ დაერთო ბერძნების მიერ ათონსა და სხვა ადგილებში ქართველ ბერების შევიწროება; თამარმა ისარგებლა იმით, რომ ბერძნები ჯვაროსანთა ლაშქრობამ დაასუსტა და ბიზანტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ქართველის ჯარმა დაიპყრო შავი ზღვის სამხრეთი ნაპირი—ლაზისტანი (ქანეთი) და ქ. ტრაპიზონი, ლიმანი, კერასუნდი, სამსუნი, ჰერაკლია და სხვ. ეს დაპყრობილი ადგილები შეერთებულ იქნა და 1204 წელს მათგან დაარსდა ტრაპიზონის იმპერია. იგი არსებობდა მე-15 საუკუნემდე, ვიდრე იგი ოსმალებმა არ მოსპეს.

ტრაპიზონის იმპერიის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის: იგი ერთნაირ ღობეს წარმოადგენდა ბერძნებისათვის იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ჩვენს ქვეყანაზე გამოლაშქრებას მოინდომებდნენ. ეს კი ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებს მტრის მოულოდნელ თავდასხმიდანაც ასე თუ ისე უზრუნველჰყოფდა.

კარის აღება ჯა ომი რუქნადინთან. 1206 წელს ქართველებმა, ხანგრძლივ გარემოცვას შემდეგ, ქ. კარი (ყარსი) თურქებს წაართვეს და იქ მმართველად ივანე ახალციხელი დანიშნეს. ივანემ მალე შემოიერთა კარის მომიჯნავე სხვა ადგილებიც. თურქები, რომელნიც საქართველოს კვლავ ძველ კალაპოტში ჩაყენებას სცდილობდნენ. ბრძოლის დაწყება თავს იღვა ქალ. ალექს (სირიაშია) სულთანბარუქნადინმა. მან თამართან ბრძოლას სარწმუნოებრივი ხასიათი მისცა ჯა საქართველოს დედოფალს თავხედური წერილი გამოუგზავნა. შენ გიბრძანებია ქართველებისათვის, სწერდა თამარს რუქნადინი, ალილონ ხმალი მუსულმანთა დასახოცად. ამიტომ „აწ მე წარმოშვლენია ყოველი მხედრობა ჩემი და აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგა ქვეყნისა. ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა-მომეგებოს, თაყვანი სცეს ჩადრსა... ჯვარი წინაზე ჩემსა დაღეწოს ჯა მაჰმადი აღიაროს“.

რუქნადინის წერილი აშკარა ჰყოფს, რომ ჯერ კიდევ ყველა მებრძოლს კარგად არ ჰქონოდა წარმოდგენილი საქართველოს ძლიერება. ამიტომ, ზოგიერთი მათგანი ძველებურად მადლიდან დაჰყურებდა ჩვენს ქვეყანას, და მისი მორევა ადვილი საქმე ეგონა. მაგრამ რუქნადინი სცდებოდა. თამარს მისი თავდასხმის ლოდინა არ დაუწყია—იგი ფიცხლავ თვით განემზადა ომისათვის.

ქართველთა ლაშქარი მალე გაემართა მტრისაკენ და ბოლოსტიკეს მიაღწია (აზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით). აქვე იყო დაბანაკებული რუქნადინის ჯარი, რომელსაც შეერთებოდა ერჯინჯანის ბარამ-შაჰიც. მემათიანის სიტყვით, რუქნადინს 400 ათასამდე მებრძოარი ჰყოლია. იგი იმდენად დარწმუნებული იყო ქართველთა სისუსტესა და მომავალ გამარჯვებაში, რომ სიფრთხილიც დაჰვიწყებოდა. რუქნადინის ჯარს დარაჯებიც კი არ დაეყენებინა, რომ მტრის მიახლოვება დროზე შეეტყო. ქართველმა ლაშქარმა ისარგებლა ამით—უცებ დაესხა თავს თურქებს და განადგურებას უჰადოდა. მაგრამ თურქებმაც მალე მოიკრიბეს ძალ ღონე და დაიწყო ფიცხელი ომი. ბრძოლის დროს იყო ისეთი მდგომარეობა, რომ მრავალრიცხოვანი მტრის მოწოლით შეძრწუნებულნი ქართველნი კინადამ უკუ იქცნენ. საქმე მაინც მალე გამოსწორდა: ფრონტი ხელახლად გაიშა.

ლა და ქართველებმა შეტევა განაახლეს. ახლა კი თურქები ჩავარდნენ ცულ მდგომარეობაში და იძლივნენ კიდეც. ქართველთა ლაშქარი გამოედევნა უკუქცეულს მტერს და დიდ-ძალი დავლა იგდო ხელთ. მებატიანის სიტყვით, ტყვეთა სიმრავლე ისეთი დიდი ყოფილა, რომ თითო ქრისტიანზე (ქართველზე) ასი მოდიოდაო. სამხედრო დავლის გარდა ქართველებს დიდძალი ოქრო-ვერცხლი, ქურქული, საქონელი, ძვირფასი ქსოვილები და შესამოსელი ჩაუფარდათ ხელთ. ტფილისში რუქნადინზე გამარჯვება დიდის ზარ-ზეიმით იღესასწაულეს. მართლაც, ამ გამარჯვებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კავკასიის სამხრეთის საზღვრებზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთით, არც დასავლეთით საშიშარი მეტოქე აღარ ჰყავდა“ (ჯავახიშვილი).

საერთოდ ბოლოსტიკეს ბრძოლამ საქართველო მეზობლების თვალში საბოლოოდ აამალა და ყველას მისი ძალა აგრძნობინა. ცოტა ხანს შემდეგ (1207 წ.) გარდაიცვალა ტყენებული ბრძოლის გმირი დავით სოსლანი, რამაც, ცოტა არ იყოს, შეანელა მეფის სახლობის სიხარული და ზეიმი.

არდებილხა და სპარხეთზე ლაშქრობა. ქართველების შეტაკებას მეზობლებთან არასოდეს სარწმუნოებრივი მიზანი არ ჰქონია. მაგრამ რაკი ხსენებული მეზობლები თითქმის ყველანი მუსულმანები იყვნენ, მათსა და ქართველებს შორის წარმოებულ ომებსაც სარწმუნოებრივი ხასიათი მიეცა. ეს სჩანს კერძოდ თუნდ იმ საქციელიდან, არდებილის სულთანმა ანისზე თავდასხმის დროს რომ ჩაიღინა: სულთანი ქალაქში შეიჭრა აღდგომის შაბათს და ეკლესიებში მყოფი მლოცველები დაჭოცა. ამოკლელთა იქნა 12 ათასამდე სომეხი, ქალაქი კი სასტიკად დაარბიეს. ქართველებმა სულთანს ძლიერ მალე ვადაუხადეს სამაგიერო: ზაქარია მზარგრძელის წინამძღოლობით ქართველთა ლაშქარმა მუსულმანები ქალ. ანისიდან განდევნა, არდებილი აიღო, არდებილის სულთანი სიკვდილით დასაჯა, ხოლო მისი ცოლ-შვილი საქართველოში გამოგზავნა, (1207 წელს).

სამი წლის შემდეგ (1210 წ.) ქართველებმა გაილაშქრეს სპარსეთზედაც. ხშირმა ომიანობამ წარმოშვა მთელი წრე ისეთი ადამიანებისა, რომელნიც მოსვენებასა და გართობას მეზობლებზე თავდასხმასა და რბევაში ჰპოებდენ. აღსანიშნავია ამ მხრით სიტყვები რომლითაც ჯარის უფროსებმა თამარს მიმართეს: შენს ჯარში მრავალი შამაცი მოიპოება, რომელთა დამარცხება არავის შეუძლია. გვიბრძანე სპარსეთზე გალაშქრება, რათა არა ცულად დავიწყებასა მიეცეს სიმ-

ბნე სპათა (ჯართა) შენთაო“—ეუბნებოდენ თამარს ჩეომარნი. ასეთი სულიერი განწყობილება ჯარის უფროსებსა და სამხედრო წრეებში თამარამდისაც ძლიერი ყოფილა. გიორგი მეფეს, მაგალითად, ლაშქრის წარმომადგენელნი შესჩიოდენ: მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლია — „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერა (გარეშე) ლაშქრობისა და რბევისაო“. მართლაც, ეს „ლაშქრობა და რბევა“ სამხედრო წრეების გავლენით ისე გახშირდა, რომ თითქმის არც ერთი მეზობელი მას არ აცდენია. ერთ ხანს ჯარმა და მისმა უცროსებმა ძლიერ დიდი გავლენა მოიპოვეს სახელმწიფოს პოლიტიკაზე და ამ მხრივ რომაელ პრეტორიანელებს დაემსგავსნენ.

თამარი დასთანხმდა ლაშქრის უფროსებს სპარსეთზე ვალაშქრებაზე და საამისო მზადებაც დაიწყო. ქართველებმა ცეცხლითა და მახვილით განვლეს სპარსეთის მრავალი ქალაქ-სოფელი და დიდძალი დავლა იგდეს ხელთ. ამ ლაშქრობის დროს ისედაც დაუძღურებულს სპარსეთზე, ქართველმა ჯარმა აიღო მარანდა, თავრიზი, ყაზვინი და სხვ. ლაშქრობიდან დაბრუნებულებმა აუარებელი სიმდიდრე ჩამოიტანეს საქართველოში. ეს სიმდიდრე ზოგი თვით ჯარს ერგო, ზოგიც სახელმწიფოს ხაზინას. მაგრამ ხსენებულ მუდმივ ომიანობას თავისი ბნელი მხარე ჰქონდა. მეზობლებში თანდათან იზრდებოდა საქაროველოსადმი შუღლი და მტრობა. დამარცხებულნი დროს უცდიდენ და შურისძიების გრძნობა უღვივდებოდათ.

თამარის მეფობის დასასრული. მეფობის უკანასკნელ წლებში თამარის საბრძანებელი თითქმის მთელ ამიერ-კავკასიას შეიცავდა— შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. საქართველოს იმ დროს გადაწვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კავკასიას, არამედ მთელს წინა აზიაში. საქართველოს დიდ ანგარიშს უწევდენ. იგი თავის მდგომარეობით იმ დროს შეიქმნა მთელ აღმოსავლეთში ქრისტიანების მფარველად. თამარმა, მაგალითად, პირობა ჩამოართვა დამასკოს სულთანს, რომ იქიდან გამგზავრებულ ქრისტიანობისათვის არავის რა ევნო. საკვირველი არაა, რომ მაშინდელი საქართველოს ძლევამოსილობის ხსოვნა აქამდე დარჩენილია არა მარტო ქართველთა შორის. რუსის მეფე იოანე შრისხანე თავის ჯარს თამარის მაგალითით ამხნევებდა: მოიგონეთ ხოლმე ივერიის ბრძენი და ძლევამოსილი დედოფალი, მისი საქმენი და უსჯულო სპარსელებზე გამარჯვებაო, ეუბნებოდა იგი თავის ლაშქარს.

თამარი 1212 წელს გარდაიცვალა და გელათის ტაძარშია დამარხული. მისი მეფობის დროს საქართველოს ისტორიაში ცნობილია როგორც „ოქროს ხანა“. მართლაც, მე-12 საუკუნე იყო საქართვე-

ლოს არა მარტო სამხედრო ძლიერების, არამედ საკულტურო გზაზე წინსვლის და აყვავების დროც. ამ საკულტურო მოძრაობასა და მწეწლობის განვითარებაზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

წინააღმდეგობა და კულტურა ძლიერებისა და აყვავების ხანაში.

სახელმწიფოებრივი ძლიერება. მე-X და მე-XI საუკუნეში საქართველოს დასავლეთი მეზობელი ბიზანტია უკვე საკმაოდ მოუძღურებელი იყო. დაიქსაქსნენ მუსულმანთა ძალებიც, რომელთაც ხანგრძლივი და სასტიკი ომი ჰქონდათ ევროპიელ ჯვაროსნებთან.

ამ გარემოებამ საქართველოს საშუალება მისცა გარეშე მტრებისაგან თავსებით განთავისუფლებულიყო და ძლიერი სახელმწიფო შეექმნა. ქართველთა მაშინდელი ძლიერება აღნიშნული აქვთ ევროპიელ მოგზაურებსაც, რომელთაც წმინდა ადგილები მოიარეს და თავისი შთაბეჭდილებანი დასწერეს. ის უპირატესობანი, ქართველებს ძლიერებისა და აყვავების ხანაში რომ მოეპოვებინათ, დიდხანს შეინარჩუნეს. ჯვაროსანთა ისტორიკოსი **სანუტი** (მე-XIII საუკ.) აღნიშნავს: „ქართველები მეომარი და ბრძოლაში მებრძოლი ხალხია. მათ ციხე-სიმაგრეები აქვთ და ძლიერი ჯარიც ჰყავთ. ისინი ძლიერ სიშიშნი არიან და დიდ ზარალს აყენებენ სარკინოზებს (არაბებს), სპარსელებს, ლიდელებს და ასირიელებს (სირიელებს) რომელთა მეზობლებად ისინი ითვლებიან, მათ მიერ გარშემორტყმულნი არიან და რომლებთანაც მუდმივი ბრძოლა აქვთ... ქართველები მოდიან ქრისტეს საფლავის თაყვანსაცემად გაშლილი დროშებით და წმ. ქალაქში (იერუსალიმში) შემოსასვლელად არავითარ გადასახადს არ იხდიან. სარკინოზები (არაბები) მათ შეწუხებას ვერა ჰბედავენ, რადგან შინ დაბრუნებისას ისინი (ქართველები) ჯავრს თავის მეზობლებზე (მუსულმანებზე) უფრო სასტიკად იყრიან“. ასეთისავე სიტყვებით ახასიათებს ქართველების მდგომარეობას ბართლომე დე-სოლინიაკი, რომელიც იერუსალიმს იყო რამდენისამე საუკუნის შემდეგ (1522 წელს). როდესაც ქართველები იერუსალიმს მოდიანო, ამბობს იგი, თურქთა სულთანს არავითარ გადასახადს არ აძლევენ. ისინი ცხენებითა და აქლემებით, გაშლილი დროშით, ზემით შემოდიან იერუსალიმში. სულთანსა და თურქებს მათი ძლიერ ეშინიათო.

მე-XV და მე-XVI საუკუნეში ეს მდგომარეობა ინერციით გრძელდებოდა. მაშინ ხომ საქართველო, დაქსაქსული, მოუძღურებელი იყო და ძველი დიდების აჩრდილსა წარმოადგენდა!

პოლიტიკურმა ძლიერებამ ხელი შეუწყო საქართველოს ქონებ-

რვიად მოლონიერებასა და სიმდიდრის დაგროვებასაც; სიმდიდრემა და ღოვლათიანობამ კი ნიადაგი მოუმზადა სწავლა-განათლების კარგად დაყენებას, საერთოდ კულტურის, კერძოდ კი მწერლობის განვითარება-აყვავებას. სანამ მწერლობის დახასიათებას შევეუდგებოდეთ, გავეცნოთ ხსენებულ დროის საზოგადოებრივ წესწყობილებას.

საზოგადოებრივი წესწყობილება. მთელი შუა საუკუნეების ეპოქასა და შემდეგში საქართველოში ფეოდალური წესწყობილება სუფევდა. პირველ ხანებში ფეოდალურ წესწყობილებას პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა: ცალკე—კუთხეებს თავისი მმართველნი ჰყავდათ. თავიანთ ოლქებში ერისთავები ყველაფრის ბატონ-პატრონნი იყვნენ. მდგომარეობა არც მაშინ შეცვლილა, საქართველო რომ გაერთიანდა და ერთმეფობამ გაიმარჯვა. ფეოდალები ყოველთვის მხარს უჭერდნენ ყოველგვარ გამთიშავ ძალას და გაშმაგებით ებრძოდნენ მეფეებს. მათ სურდათ მეფეთა უფლების თავის სასარგებლოდ შეკეცვა. ამ დროის ფეოდალიზმი წინანდელს მაინც ჰგავდა: საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეთა მეურნეობა ვერ აძლევდა მეფეს საშუალებას ქვეყნის ნამდვილი თვითმპყრობელი და გამგებელი ყოფილიყო. სახელმწიფო სამსახურისათვის მეფეები იძულებულნი იყვნენ ცალკე პირებისათვის გადაეცათ საკუთრებად ან სასარგებლოდ დიდძალი მამული მთელი მოსახლეობითურთ. ახლად შემოერთებულ: მიწა-წყალიც მეფის ერთგულ და ახლობელ პირებს ეძლეოდათ სამფლობელოდ. რასაკვირველია, არსებითად-ახალი მდგომარეობა ძველისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ძველი სახის ფეოდალიზმმა, სახელმწიფოსაგან სრულიად ჩამოშორებას რომ სცდილობდა, ადგილი დაუთმო ახალს: ახალი ფეოდალები საქართველოს დაქსაქსვასა და ტერიტორიის დაქუცმაცებისაკენ კი არ მიისწრაფოდნენ, არამედ მხოლოდ მეფის უფლების შეკეცვას და თავისთვის მეტს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. ამიტომ იყო, რომ მე-XI და მე-XII საუკუნეებში ფეოდალები გარეშე მტრებთან ბრძოლაში საზოგადოთ სახელმწიფოსთან იყვნენ და მას ეხმარებოდნენ.

როგორი წესწყობილება და რა წოდებანი იყო მაშინდელ საქართველოში? ქვეყნის უმაღლეს გამგებლად მეფე ითვლებოდა. სახელმწიფოს მართველობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ თავადებს. ესენი იყვნენ დიდგვარიანთა წარმომადგენელნი და უმათოდ სახელმწიფოს ცხოვრების დიდი საკითხები ვერ გადასწყვდებოდა. შემდეგ წოდებას „აზნაურნი“ შეადგენდნენ. აზნაურები იყვნენ სხვადასხვა გვარისა: „ნათესავით აზნაურნი“ (ე. ი. ჩამომავლობით), რომელნიც მემკვიდრეობით მამა-პაპათა მამულს ღებულობდნენ. „აზნაურნი მოსა-

კარგავენია“, უფრო მოხელეებს შეადგენდენ და გადასახადებს ჰკრებდენ. „აზნაურნი საზვერელნი“, საბაჟოს საქმეებს უძღვებოდენ და სხვ.

აზნაურთა დაბლა მდგომ წრეს „მსახურნი“ შეადგენდენ. ისინი სხვებთან რაიმე საქმის შესასრულებლად, „მსახურად“ იყვნენ და სასყიდელსაც იღებდენ. ვაჭრობა-მრეწველობა მაშინდელ საქართველოში იმდენად არ იყო განვითარებული, რომ ვაჭრებს სახელმწიფო საქმეებზე საგრძნობი გავლენა ჰქონოდათ. ვაჭრებში იყვნენ „დიდვაჭარნი“ და ხელოსნები. „დიდ ვაჭრები“ თავისუფალნი იყვნენ, ხოლო დანარჩენნი ყმობას განიცდიდენ. ამ წოდებას ჰყავდა თავისი „ვაჭართ-უხუციკი“.

წოდებრიობის უმდაბლეს საფეხურზე გლეხნი იდგნენ. სხვანაირად მათ „ქვეყანისა მომქმედნი“ (მიწის მომუშავენი) ეწოდებოდათ. გლეხები ყველაზე მრავალრიცხოვან წოდებას წარმოადგენდენ და თავის შრომით არჩენდენ სახელმწიფოს.

ყველა ზემოხსენებული წოდებანი ურთერთს შორის ბატონყმურ განწყობილებაში იყვნენ. აზნაურები, მაგალითად, ზოგი „მეფის აზნაურად“ ე. ი. ყმად ითვლებოდა, ზოგი თავადებისა. გლეხები, ვაჭართა და ხელოსნების ნაწილი-აზნაურთა ყმები იყვნენ. ისეთი ვაჭარნი და ხელოსნებიც იყვნენ, რომელთაც თვით ჰყავდათ ყმები.

„დიდებულები“ უმთავრესად თავადთაგან გამოდიოდნენ. „დიდება“ წოდებას კი არ ნიშნავს, არამედ უმაღლეს თანამდებობას. ყოველი თავადი „დიდებული“ არ ყოფილა და არც ყოველი „დიდებული“ იყო თავადი. „ერისთავობაც“ და „მთავრობაც“ თანამდებობის აღმნიშვნელი სახელებია.

მთელი სახელმწიფოს მიწა წყალი სიტყვით მეფის საკუთრებად ითვლებოდა, ნამდვილად კი იგი აზნაურებს, დიდებულებს, თავადებს ეკუთვნოდა. გლეხოზა განიყოფებოდა: 1) მეფის ყმებად, 2) მეფის აზნაურის ყმებად, 3) თავადთა ყმებად და 4) თავადთა აზნაურების ყმებად.

გაერთიანების და აყვავების ხანაში ვაჭრობა აღორძინდა, მაგრამ საქართველო საერთოდ მთელი თავის დამოუკიდებელ ცხოვრების განმავლობაში მიწადმოქმედთა ქვეყნად დარჩა. მიუხედავად ამისა, საქართველოში დიდი სიმდიდრე ტრიალებდა: ხშირი და ძლევა-მოსილი ომიანობის წყალობით ჩვენს ქვეყანაში აუარებელი სიმდიდრე შემოიზიდა დავლის სახით. ბევრი იყო ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები და ქსოვილები და სხვ. მემატიანე, ასწერს რა აყვავების ხანის საქართველოს კეთილდღეობას, ამბობს: გააზნაურდნენ ქვეყანისა მომქმედნი (გლეხები) და გადიდებულდნენ აზნაურნიო...

როგორი იყო სამხედრო წყობილება? ყოველი ქართველი ვალდებული იყო განსაზღვრულ დროის განმავლობაში ჯარში ემსახურნა. ტყვეებისაგან ცალკე რაზმებს აღგენდენ, რომელთაც მონათ-სპას ეძახდნენ. მთელი ჯარის უფროსს ამირ-სპასალარი ეწოდებოდა, ხოლო ცალკე ნაწილთა წინამძღოლებს—სპასპეტეხი. ცალკე კუთხეთა მმართველნი ვალდებული იყვნენ თავის მიწა-წყალზე ჯარი შეეგროვებინათ. საქმის გასაადვილებლად ყოველი პროვინცია რამდენსამე სადროშიდ იყოფოდა. ყოველს სადროშოს ჯარის სასტიკად განსაზღვრული რიცხვის გამოყვანა ჰქონდა დავალდებული.

სწავლა-განათლება და მწერლობა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო უმთავრესად ერთ-მორწმუნე ბიზანტიისაკენ მიისწრაფოდა და მისი კულტურის უდიდეს გავლენას განიცდიდა. ამასთანავე ერთად ქართველობამ ბევრი რამ შეიძინა არაბთა კულტურიდანაც და მათაც თავისი გავლენის დიდი კვალი დასტოვეს საქართველოში.

გაძლიერებისა და აყვავების ხანაში გამრავლდა სკოლები, როგორც დაბალი, ისე საშუალო. საშუალო სკოლის მსგავსი სასწავლებელი არსებობდა მაგალითად იყალთოსა და გრემში (კახეთში). ამ უკანასკნელში სწავლობდა ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. ტფილისში არსებობდა საღვთისმეტყველო სასწავლებელი. შესანიშნავი სასწავლებლები იყო აგრეთვე დასავლეთ-საქართველოში მარტვილსა (სამეგრელო) და გელათის მონასტერთან (იმერეთი). პირველდაწყებითი საპრევიო სკოლები კი თითქმის ყველა მოზრდილ დაბაში არსებობდა: იმ დროის სკოლებში ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, რიტორიკას, სამშობლოს და მსოფლიოს ისტორიას, ფიზიკას, გეოგრაფიას და სხვა. ამ სკოლების მომვლელ-გამძღოლნი ძველებურად ისევ მონასტრებიდა იქაური მოღვაწენი იყვნენ და სწავლაც სარწმუნოებრივი ხასიათისა იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ კერძოდ მწერლობაზე და პოეზიამ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის „ოქროს ხანა“—იმვე დროს ქართულ მწერლობის ოქროს ხანადაც გადაიქცა. საერო მწერლობა განიცდიდა უმთავრესად არაბთა და სპარსეთთა გავლენას, ხოლო სასულიერო სფეროში—ბიზანტიური კილო ბატონობდა. პირველ ხანებში ეს ორმხრივი გავლენა იმით გამოიხატა, რომ მრავალი წიგნი ითარგმნებოდა. მაგრამ მე-XI და XII საუკუნოებში ქართული მწერლობა საკუთარ ფეხზე დადგა და ორიგინალური შემოქმედების საუცხოო ნიმუშები მოგვცა.

ნათარგმნ წიგნებში შესანიშნავია „ვისრამიანი“. ეს ნაწარმოებში, ამბავი ვისისა და რამინის სიყვარულისა, მე-IX საუკუნეში ხარგის თმოგველმა გადმოიღო სპარსულიდან. „ვის-რამიანის“ ენა საუცხოვო და სანიმუშოა. მე-IX საუკუნევე ეკუთვნის ორიგინალური საგმირო თქმულება მოხე ხონელიხა—„ამირან-დარეჯანიანი“. მაგრამ აყვავების ხანის საუკეთესო პოეტები იოანე შავთელი და ჩახრუხაძეა. შავთელმა დასწერა „აბდულ-მესია (ქრისტეს მონა), რომელშიაც შეაქებს დავით აღმაშენებელს. ჩახრუხაძემ კი თავის „თამარიანში“ შეაქო თამარი იშვენიერი და მუსიკალური ლექსებით. ორთავე შემოხსენებული პოეტის ნაწარმოებმა ჩვენამდე მოაღწია.

„ვეფხის ტყაოსანი“. „ოქროს ხანის“ ლიტერატურის უშესანიშნავესი ნაწარმოები და გვირგვინი—შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანი“. ეს პოემა სავსეა მაღალ პოეტურ ღირსებით და აგრეთვე ბრძნულ აზრებით, რომელნიც ხალხში ანდაზებად არის გავრცელებული. ქართულ მწერლობაში იშვიათად მოიპოვება მეორე ისეთი პოეტი, რომელიც ისე ახლობელი და საყვარელი იყოს ქართველებისათვის, როგორც შოთა რუსთველი. შეიღმა საუკუნემ განვლო „ვეფხვის ტყაოსანის“ დაწერიდან, მაგრამ მისი ავტორისადმი ინტერესი ახლაც დიდია. არიან წერა-კითხვის უცოდინარნი გლეხებიც, რომელთაც რასაკვირველია არ წაუკითხავთ „ვეფხვის ტყაოსანი“, მაგრამ მისი ნაწილები ზეპირად იციან, მის ბრძნულ ანდაზებს მოგიყვებიან.

სამწუხაროდ, შოთა რუსთველის ცხოვრების შესახებ უტყუარი ცნობები ჯერ არ მოგვეპოება. ვიცით მხოლოდ, რომ რუსთველი თამარის თანამედროვე იყო და მისი ახლობელიც. თავის ვინაობის შესახებ რუსთველი პოემის ბოლოში სწერს: „ვსწერ ვინმე ნესხი მელექსე მე რუსთავისა დამისაო“. მაშასადამე რუსთველი მესხეთიდან ყოფილა. ხალხური თქმულება კი შემდეგ ამბავს უმატებს: შოთას გაგიჟებით უყვარდა თამარი. უიმედო მიჯნურობით დატანჯულმა მგოსანმა თავისი „ვეფხვის ტყაოსანი“ თამარის საქებრად დასწერა და ალეგორიულად გამოხატა შიგ თავისი დროის, თამარის შეფობის ამბებიო. ეს სავსებით სწორი არაა, ვინაიდან თვით შოთა თავის პოემის შესავალში ამბობს:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...

ვპოვე და ლექსად გადავსთქვი, საქმე ვქმენ საქოჭმანებით.

ისტორიამ არ იცის ნამდვილად სიღალიზარდა რუსთველი. ლე

გენდა გადმოგვეცემს—საბერძნეთში განისწავლაო. ერთი რამ კი ცხადია: „ვეფხვის ტყაოსნის“ დამწერი ყოფილა არა მარტო მაღალნი

ვიერი პოეტი, არამედ ფრიად განათლებული ადამიანიც. მისი ბრძნული გამოთქმანი და ანდაზები, როგორც უკვე აღვნიშნეთ. მთელ ქართველ ხალხშია გავრცელებული და მას ხალხი თავისად სთვლს.

ზოგიერთს სადაოდ მიაჩნია—ორიგინალურია თუ ნათარგმნი „ვეფხვის ტყაოსანი“. თავის ეჭვს ზოგნი იმ სიტყვებზე ამყარებდენ, ზემოდ რომ მოვიყვანეთ: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად ვადავსთქვი, საქმე ვქმენ სიჭოჭმანებში“. ბევრი ეძებეს, მაგრამ სპარსულ მწერლობაში „ვეფხვის ტყაოსნის“ მსგავსი ვერა ნახეს რა. ეხლა თითქმის ყველასაგან მიღებულია ის აზრი, რომ შოთას პოემა ორიგინალურია, ქართულია. შეიძლება რუსთველმა „ვეფხვის ტყაოსანი“-სათვის ისარგებლა რაიმე არაკით, ზღაპრით ან თქმულებით, რომელიც ოდესღაც სპარსეთიდან მოსულიყო, ხალხში იყო გავრცელებული და უკვე გაქართულებულიყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქამდე დარჩენილა ლექსები და თქმულებანი ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობაზე, ავთანდილსა და თინათინზე. რუსთველმა ხალხისაგან ისესხა პოემის სიუჟეტი, ჩონჩხი. ამ ჩონჩხს თავისი უკვდავი ნიჭიერებით ხორცი შეასხა, გაალამაზა, მაღალ-პოეტური სული ჩაუდგა და ასე გამშვენიერებული დაუბრუნა იმავე ხალხს, რომლის თქმულებითაც მან ისარგებლა. ხალხურმა ფანტაზიამ გააცხოველა რუსთველის პოეტური შემოქმედება, შემდეგ დროებში თვი ი ხალხმა განიცადა უდიდესი გავლენა დაწერილი პოემისა. ამიტომ უყვარს ქართველ ხალხს „ვეფხვის ტყაოსანი“, ამიტომ არის იგი მის სულთან ახლო.

„ვეფხვის ტყაოსნის“ შინაარსი მოკლედ ასეთია: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქართ-მრავალი, ყმიანი“. მოხუცებულობაში რომ შევიდა და სიკვდილის მიახლოება იგრძნო, თავის ერთად-ერთი ასულის თინათინის გამეფება მოინდომა. თინათინ ისეთი ლამაზი იყო, რომ „მზესა სწუნობდა“. დიდებულებმა მოხუც მეფეს განზრახვა მოუწონეს და თინათინის გამეფებას სიხარულით დათანხმდნენ. „ლეკვი ლომისა სწორია, სუ იყოს გინდა ხვადიაო“, სთქვეს მეფის მრჩეველებმა. თინათინი მეფედ აკურთხეს და გაიმართა ნადიმი.

უცებ მეფემ თავი ჩაჰკიდა და მოიწყინა. ახლობლებმა მიზეზი ჰკითხეს. მეფემ სთქვა: მე იმასა ვწუხვარ, რომ ჩემს შემდეგ ისეთი გმირი, ყოჩაღი შემკვიდრე არ მრჩებაო, რომ ჩემოდენობა შესძლოსო. ამაზე სპასპეტს (ჯარის უფროსს) ახალ-

გაზრდა ავთანდილს ჩაეცინა. აღმოჩნდა, რომ ავთანდილს მეფის ღირსეულ მეტოქედ თავის თავი მიაჩნდა. გაიმართა შეჯიბრება ნადირობაში. მეფეს ავთანდილმა აჯობა, რითაც მოხუცი ძლიერ გაახარა. ნადირობის დროს ერთი უცნაური ამბავი შეემთხვათ. მეფემ და მისმა მხლებლებმა

„ჰნახეს უცხო მოყმე ვინმე,
სჯდა მტირალი წყლისა პირსა.
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.
ხშირად ესხა მარგალიტი ლავამ-აბჯარ-უნაგირსა,
კრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა.
მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა.
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარკველი თავისა.
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა.
ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“.

მეფემ მოინდომა იმ უცნობის მოყვანა და ამისათვის მხლებლები გაჰგზავნა. უცნაური რაინდი ისე იყო ფიქრებში გართული, რომ ვერც მათი ძიახლოება გაიგო, ვერც ლაპარაკი. მეფემ ბრძანა უცნობის ძალით მოყვანა. ვეფხის ტყაოსანს რომ იარაღის ჯღარუნი შეესმა, ფიქრიდან გამოერკვა, ცხენს მოახტა და გზას გაუდგა. მეფის მხლებელნი დასაჭერად გამოუდგნენ, მაგრამ უცნობმა ისე მაგრად დაჰკრა მათრახი, რომ თავები გაუჩხება და უკვალოდ გადიქარგა.

როსტევეანი შეწუხდა. თინათინი მის გართობას სკდილობდა, მაგრამ ამოდ. გაჰგზავნეს უცნაურ ვეფხის-ტყაოსანს საძებნელად კაცები, მაგრამ ისინიც ხელცარიელი დაბრუნდნენ. ბოლოს იფიქრეს, ალბად მოჩვენება იყო რამეო. მიუხედავად ამისა, თინათინი შინც სკდილობდა მამის სურვილის ასრულებას და ვეფხის-ტყაოსანის აღმოჩენას. მან თავისთან მიიწვია ავთანდილი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა იგი და უცნობი გმირის მოძებნა დაავალა.

„სამსა სძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი:
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარული მოუბარი;
ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი
კოკობი და დაუფრჩქენელი ვარდი დაგზვდე, დაუმკნარიო“.

ეუბნება თავის მიჯნურს თინათინი. ავთანდილმა მისი თხოვნა აღასრულა და ვეფხის-ტყაოსანის საძებნელად წავიდა.

მთელი ქვეყანა მოიარა, სამ წელიწადს რამდენიმე თველა უკლდა და ზიმედოდ ქმნილი ავთანდილი შინ დაბრუნებდას აპირებდა. მას ვეფხისტყაოსნის ასავალ-დასავალიც ვერსად გაეგო. სრულიად შემთხვევით ავთანდილი შეხვდა რამდენსამე კაცს, რომელთაც ენახათ უცნობი ადამიანი. აღწერილობით იგი ვეფხისტყაოსანს ჰკავდა. ავთანდილმა კვალს მისდია და ბოლოს მის ბინასაც მიაგნო. ვეფხისტყაოსანი ერთ გამოქვამულში სცხოვრობდა. მასთან მხოლოდ მოახლე ასმათი იყო. სხვას იგი არავის ნახვას ნდომობდა. ავთანდილმა გაიცნო ვეფხისტყაოსანი, რომელიც აღმოჩნდა ინდოეთის ერთ-ერთი მეფის შვილი—ტარიელი. მანა მისი თურმე ჰვლობდა ინდოეთის სამეფოს მეშვიდედს, მაგრამ ბოლოს თავისი სამფლობელო დანარჩენი ინდოეთის მეფეს—ფარსადანს დაუთმო. ავთანდილი მალე დაუახლოვდა ტარიელს და მანაც დაწვრილებით მოუთხრო თავისი ცხოვრების ამბავი.

მამის გარდაცვალების შემდეგ ტარიელი ფარსადან მეფესთან იზრდებოდა და მის მემკვიდრედ ითვლებოდა. ფარსადანს ჰყავდა მწვენიერი ასული ნესტან-დარეჯანი, რომელიც ტარიელს გაგიყვებით შეუყვარდა. იგი იწვოდა მიჯნურობის ცეცხლით და ნესტანის ხშირად ნახვის სურვილით. ბოლოს ტარიელი ნესტანსაც ჩაუყარდა. გულში და წერილით თავისთან მიიხმო. პირველ შეხვედრაზე შეყვარებულნი იმდენად აღელვებულნი იყვნენ, რომ ერთმანეთს ვერა უთხრეს რა, მაგრამ შემდეგ ისინი დაახლოვდნენ და ცოლ-ქმრობის პირობა დასდეს. მოხდა უბედურება. ფარსადან მეფემ გადასწყვიტა ნესტან-დარეჯანის გათხოვება ხვარაზმის (სპარსეთის ნაწილის) ბატონი-შვილზე. ტარიელმა ნესტანის ჩაგონებით თავისი მეტოქე მოჰკლა და ამნაირად ყველას გააგებინა, რომ ჯერ ერთი,—ნესტანს არავის დაუთმობდა, მეორეც—რომ ერთად-ერთი მემკვიდრე ინდოეთის ტახტისა იგი უნდა ყოფილიყო. ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბავი რომ გაიგო დავარმა, ფარსადანის დამ და ნესტანის აღმზრდელმა,—მეფის რისხვის მოლოდინში ძლიერ შეშინდა. მან ნესტანი დასაჯა და შემდეგ ორ ზანგს კიდობანში ჩააგდებინა: წაიყვანეთ, ზღვაში დაახრჩვეთო. ნესტანი რომ ზანგებმა წაიყვანეს, დავარმა თავი მოიკლა. ის დღეა და ეს დღე—ტარიელს ნესტანის ამბავი არა გაუგია რა. სამი წელიწადია დადის, ეძებს თავის მიჯნურს. მოიარა მთლად ქვეყანა, და თავის მიჯნურის კვალს ვერ მიაგნო. სევდა, კაეზანი დაეუფლა ტარიელს. იგი მოშორდა ხალხს, ველოდ გაიჭრა

და გამოქვაბულში განმარტობით სცხოვრობდა თავის ერთგულ მოახლე-ასმათთან.

ავთანდილს, თვითაც შეყვარებულს, ძლიერ კარგად ესმის ტარიელის ტანჯვის სიმწვავე. იგი თანაუგრძნობს ვეფხის-ტყაოსანს და ჰპირდება, ნესტანის მოძებნაში დაგეხმარებით. ავთანდილი დროებით სცილდება ტარიელს, რომელსაც ძლიერ დაუმეგობრდება და არაბეთს ბრუნდება. თინათინი მოუთმენლად ელოდა თავის მიჯნურს და ეშინოდა, ვაი თუ დაიღუპაო. დიდ ზანს არ დარჩენილა ავთანდილი თინათინთან. მეგობრისათვის მიცემული სიტყვა მისთვის წმინდაა. მეფის ნებადაურთველად იგი არაბეთიდან შიდის კვლავ ტარიელთან, რათა სატრფოს მოძებნაში დაეხმაროს. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ავთანდილი ტარიელს იპოვის შამხნარში გულშეწუხებულს, მოკლულ ვეფხისა და ლომის გვერდით. ავთანდილი შეუთანხმდება ტარიელს და ნესტანის საქებნელად წავა.

ზღვის სამეფოში მისვლისას ავთანდილი შეხვდება ერთ ვაჟკრის ცოლს,—ფატმანს, რომელსაც ავთანდილი შეუყვარდება. მისგან ავთანდილი გაიგებს, რომ ნესტან-დარეჯანი ცოცხალია. იგი ერთხანად ფატმანს ჰყოლია. ზღვათა მეფეს რომ გაუგია უცნობი ქალის სიტურფის ამბავი, თავისთან წაუყვანია და შვილისთვის ცოლად ნდომებია. ნესტანი ძლიერ იტანჯებოდა თურმე მეფესთან ყოფნის ჟამსა და ბოლოს სასახლიდან გაპარულა კიდევაც. გზაში ნესტან-დარეჯანს ახალი უბედურება შემთხვევია. იგი ხელთ უგდიათ ქაჯებს და მიუვალ კოშკში დაუმწყვდევიათ. ფატმანის დახმარებით ავთანდილი მოახერხებს და ტყვეობაში მყოფ ნესტანს წერილს გაუგზავნის. შეატყობინებს მისი მიჯნურის ტარიელის ამბავს და ნესტანისაგან პასუხს მიიღებს. იგი ტარიელს სწერს: „ციხეს ვზი ვგზომ მაღალსა, თვალნი ძლივ შემოსწვდებიან... დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა (დარაჯობას) არ დასცდებიანო“. იმედი აღარა მაქვს შენი შეხვედრისა, იქნებ დამივიწყო როგორმე, ჩემი სიყვარული გულიდან ამოიღო და ტყუილ-უბრალოდ არ იტანჯებოდეთ. მიუხედავად ამისთანა სევდიანი კილოსი, ტარიელი თავის მიჯნურის წერილმა და მისი ამბის გაგებამ აღაფრთოვანა. ტარიელი, ავთანდილი და მათი მეგობარი, მულღან ზანზარის მეფე ფრიდონი ერთად იერიშს მოიტანენ ქაჯეთის ციხეზე. ციხის მცველნი ვერ გაუძლებენ სამი უებარი გმირის ძაღვონებას და დამარცხდებიან. ტარიელი ნესტანს შეხვდება და

ორივენი ყელი-ყელს გადააქდობენ. ხანგრძლივმა დაშორებამ მათი აღტაცებული სიყვარული არამც თუ ვერ შეანეღა, არამედ უფრო გააცხოველა.

გამარჯვებული გმირები წავლენ. ჯერ არაბეთის სამეფოში. აქ მოხდება ავთანდილის და თინათინის ქორწინება. შემდეგ სამივე გმირი, ინდოეთისაკენ გაემართება. ტარიელი დიდი ზემოთ აქორწინებს ნესტან-დარეჯანზე და ყველანი ბედნიერად იცხოვრებენ.

ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს;
ობოლ-ქვრივნი დამდიდრნეს და გლახაკი არ ითხოვდეს;
ავის მქნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს...

გასრულდა ესე ამბავი ვითა სიზმარი ღამისაო, ამთავრებს მგოსანი თავის პოემას ნესტან-დარეჯანის და ტარიელის წმიდა მიჯნურობაზე.

„ვეფხის ტყაოსანი“ არის ქებათა-ქება რაინდული, იდეალური სიყვარულისა და ასეთისავე მეგობრობისა. მეგობრობისათვის ავთანდილი მზადაა თავი გასწიროს. პოემა საერთოდ უმშვენიერესი გრძნობების, იდეალისადმი განუსაზღვრელი მისწრაფების გალობაა. ამიტომ არის „ვეფხის ტყაოსანი“ ყოველი ქართველისათვის ძვირფასი და საამაყო. ამასთან ერთად მკითხველი პოემაში ჰპოებს არა მარტო მაღალ გრძნობათა აღწერას, არამედ მრავალ ბრძნულ აზრებსაც, რომლითაც „ვეფხის ტყაოსანი“ სავსეა.

რუსთველის ნაწარმოები გადათარგმნილია მრავალ უცხოენაზე: ინგლისურს (მარჯორი უოდროპის მიერ), ფრანგულ, რუსულ (ბალმონტისა და სხვებისაგან) პოლონურ, გერმანულ და სომხურზე. ყველგან „ვეფხის ტყაოსანმა“ ლიტერატურის და პოეზიის მცოდნეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ოქროს ხანის საფილოსოფიო თხზულებანი. საქართველოს ძლიერების ხანაში აყვავებას მარტო პოეზია როდი განიცდიდა. იწერებოდა და ითარგმნებოდა აგრეთვე მრავალი თხზულება საისტორიო და საფილოსოფიო ხასიათისა. სწავლულ-მეცნიერთა შორის აღსანიშნავი არიან ეფრემ მცირე, არხენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. პეტრიწი ნეოპლატონიკოსი იყო და სხვათა შორის სთარგმნა ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ამ ცამეტი წლის წინად გა-

მოიცა ტფილისში. საზოგადოდ ქართველებს იმ ხანებში მეცნიერებისადმი და ფილოსოფიისადმი დიდი ინტერესი ემჩნეოდათ. ენა ვითარდებოდა, მდიდრდებოდა ახალ-ახალი ცნების გამომხატველი სიტყვებით. ქართველი მეცნიერები ფეხდაფეხ მისდევდნენ თანადროის ფილოსოფიას, და თუმცა ბერძნების დიდ გავლენას განიცდიდნენ, ზოგიერთი მათგანი თვით ჰბდებოდა ბერძნებისათვის მისაბაძი (იოანე პეტრიწი) და სამეცნიერო საკითხების გარკვევაში ისინი უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ.

მაგრამ საქართველოს ძლიერებას სასიკვდილო შიზვილი ჩასცეს მონგოლთა ველურმა ურდოებმა. მათმა შემოსევამ მოსპო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა და ქართველი ხალხის ქონებრივი, საკულტურო და გონებრივი წარმატება დიდი ხნით შეაფერხა.

მონგოლთა შამოსავა და ფეოდალური მონარქიის დაშლა.

მონგოლები (თათრები). თამარის დროს ფეოდალურმა მონარქიამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. მის შემდეგ, უკვე მე-13 საუკუნის დამდეგიდანვე საქართველოს მთლიანობა კვლავ ირყევა. საქართველოს მოადგებიან ახალი მტრები—მონგოლები, რომელნიც თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიოს ნახევარს დაიპყრობენ.

მონგოლები ველური, მომთაბარე ხალხი იყო. ისტორიის ასპარეზზე ისინი პირველად მე-13 საუკუნეში გამოვიდნენ თავის ბელადის თემუჩინის მეთაურობით, რომელმაც თავის თავს ჩინგისყაენი (დიდი ყაენი) უწოდა. საინტერესოა, თუ როგორ ასწერს „ქართლის ცხოვრებაში“ მემატნიანე ამ ამბავს: „ქვეყანასა მზისა აღმოსავლეთისასა, კერძოსა, რომელსა ეწოდების ჩინმანჩინი, გამოჩნდეს კაცი ვინმე საკვირველნი, ადგილსა ყარყურუმად წოდებულსა, უცხო და უცხო სახითა, წესითა, ქცევითა და შესახედავითა. რამეთუ არცა ძველთა წიგნთა შინა სადმე იპოების ამბავი მათი: რამეთუ არიან უცხო ენა, უცხო სახე, უცხო ცხოვრება, პურისა გემო არა იცოდინან, ხარცითა და პირუტყვთა რძითა იზრდებოდეს. ხოლო იყვნეს... თვალთა მცირედ ქვრიტ და გვრემან, განზიდულ და საჩინო. თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლ ბრტყელ, ცხვირითა მდაბალ, ესოდენ რომელ ლაწვნი უმაღლეს იყვიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტენი ჩნდიან ცხვირთა... ხოლო ამასთან მოეგოთ სიმხნე და მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერა რამან საჭურველმან (იარაღმა) დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მხნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის“-ო.

ჩინგის-ყაენი მონგოლების უდიდესი მოღვაწე და რეფორმატორი იყო. მან დაიმორჩილა დაქსაქსული თათრის (მონგოლების) ტომები, ერთი სახელმწიფოებრივი წყობილება დაამყარა და შესანიშნავი ჯარი შექქმნა. ჩინგის-ყაენმა სწავლულებს შეადგენინა კანონთა კრებული და ამნაირად მონგოლთა სახელმწიფოებრივი კულტურას საძირკველი ჩაუდგა. ჩინგის-ყაენის შვილი-შვილმა ბათუმ მონგოლთა სამფლობელო უფრო გააფართოვა. მან დაიპყრო და დაარბია რუსე-

თი, პოლონეთი, ჰუნგრეთი, სილეზია და მორავია. მონგოლების სასპარძანებელი ერთ დროს გადაჭიმული იყო აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვიდან პოლონეთამდე და ჰიმალაის მწვერვალიდან ციმბირის ველამდე. თავის შრავალი ლაშქრობის დროს მონგოლებმა დაიპყრეს სპარსეთი, ხოლო შემდეგ სომხეთი და საქართველოც იგდეს ხელთ.

მონგოლების მიერ საქართველოს დაპყრობა. მონგოლებმა ხეარაზმის (სპარსეთის ნაწილი) სულთანის ჯელალედინის დამარცხების შემდეგ საქართველოზე გამოილაშქრეს. ამ დროს სამეფო ტახტზე თამარის მემკვიდრე გიორგი ლაშა იჯდა (1212—1223). გიორგი ნამდვილი შვილი იყო თავის დროისა. საქმე ისაა, რომ მუდმივმა ომიანობამ, ხშირმა გამარჯვებებმა და აუარებელმა დავლამ; უცხო ქვეყნებიდან რომ შემოდოდა საქართველოში, ქართველი უმაღლესი წრეები გაანებივრა. სიმდიდრე მათ ნებას აძლევდა უზრუნველად ეცხოვრათ, დრო პირად სიამოვნებასა და ქეიფში ეტარებინათ. ამ გარემოებამ ქართველი საზოგადოების მოზრდილი ნაწილი დაუდევრობას, ფუქსავატობას მიაჩვია და ზნეობაც შეუსუსტა. უმაღლესი წრეების ამ ჩვეულებებისათვის არც გიორგი ლაშას უღალატნია. იგი ძლიერ დიდ დროს ანდომებდა ქეიფსა და პირად ჟინთა დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, გიორგი პირადად ვაჟკაცი და კარგი მეომარი იყო. როდესაც განჯის ამირამ უარი სთქვა, საქართველოსათვის ხარკი ეძლია, გიორგი ლაშამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაიმორჩილა და მის მეზობლებს საქართველოს ძლევამოსილების აჩრდილი კვლავ მოუვლინა. მაგრამ მონგოლებთან ბრძოლაში იგი დამარცხდა (სომხეთის საზღვართან). ეტყობა ეს იყო შეტაკება მონგოლთა მხოლოდ მოწინავე ლაშქართან, ვინაიდან გამარჯვებულები ჩვენს ქვეყანაში არ შემოსულან. ისინი გაემართნენ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ, „გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შირვანშა წინააღმდეგა და ვერცა დარუბანდელნი“—ამბობს მემათიანე. თუ რამდენად უკმაყოფილონი იყვნენ მოწინავე პირები მაშინდელი საზოგადოების ფუფუნება-გარყვნილებით, ამას ნათლად მოწმობს სიტყვები, რომელსაც მემათიანე ამბობს ზემოხსენებული დამარცხების გამო: „ვინათგან ჩვენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, ეგრეთვე ღმერთმან აღავსო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩვენთა სირცხვილეულ გეყოვო“.

მონგოლებს გარდა ამ ხანებში ჩვენს ქვეყანას რისხვად მოევლინა ხეარაზმის სულთანი **ჯელალ-ედინი**, როგორც ვთქვით, დამარცხებული მონგოლების მიერ.

დევნილი ჯელალი ჯერ აზერბეიჯანს შეეხიზნა. აქედან იგი

სცდილობდა საქართველოსთან დაკავშირებას. იმ დროს გიორგი ლაშა უკვე გარდაცვლილიყო და რადგან მისი მემკვიდრე—დავითი მცირეწლოვანი იყო, სამეფოს გიორგის დაჟ რუსუდანი განაგებდა. ჯელალ-ედინს ჰსურდა რუსუდანი შეერთო, ამნაირად საქართველოს მმართველი გამხდარიყო და შემდეგ გაძლიერებული ენერგიით მონგოლებთან ბრძოლა განეგრძო. ჯელალ-ედინის შემოსვლა საქართველოში, მისი დამოუკიდებლობის მოსპობას, უცხოელებისადმი დამორჩილებას ნიშნავდა. ამიტომ რუსუდანი უარყო ჯელალის წინადადება. სულთანმა სცადა ძალით საქართველოში შემოქრა, მაგრამ დამარცხებული უკუქცეული იქნა. ბოლოს მან წადილი მაინც აღისრულა.

1227 წელს ჯელალ-ედინი წამოვიდა ტფილისისაკენ ათარგებელი ჯარით. ქალაქის დამცველ ქართველებს ადგილობრივმა მუსულმანებმა უღალატეს და მტერი ტფილისში შემოიქრა. ფანატიკოსმა და უღმობელმა ჯელალმა ამოსწყვიტა არა მარტო მოწინააღმდეგენი, არამედ მშვიდობიანი მცხოვრებნიც. ტფილისი სასტიკად დაარბიეს. სიონის ტაძარს მოხსნეს გუმბათი. გამარჯვებული ჯელალი იქ ტახტზე იჯდა და აოხრებულ, ცეცხლწაკიდებულ ქალაქს დაჰყურებდა. ბევრი ქართველი ამოჟლიტეს, ვინც კი სჯულზე ხელის აღება არ მოინდომა.

საბედნიეროდ, ჯელალ-ედინი აღმოსავლეთ-საქართველოს არგასცილებია. იმერეთი, სადაც იმჟამად იმყოფებოდა რუსუდანი, მტრისაგან აოხრებას გადაარჩა.

სულთანმა ტფილისის მმართველად მამელიუკი ახანგორი დანიშნა, ხოლო თვითონ ქალაქიდან მალე წავიდა. ქართველებმა სცადეს ჯელალ-ედინის უღლის მოშორება, მაგრამ გაშმაგებული სულთანი მეორედ შემოესია ტფილისს და კვლავ სასტიკად დაარბია (1229 წ.). მიუხედავად ამისა, სულთანი იძულებული იყო საქართველოს მოშორებოდა. მონგოლებისაგან დამარცხებული ჯელალი გადავიდა მცირე აზიაში. 1230 წელს იგი მოჰკლეს ქურთისტანში. რუსუდანი ტფილისში დაბრუნდა.

როგორც უკვე ვიცით, რუსუდანი გიორგი ლაშას ძის, მცირეწლოვან დავითის მაგივრად განაგებდა სამეფოს. როდესაც დავითი დაჰასაკდა, რუსუდანი იგი საქართველოს შოაშორა და ტახტზე თავისი შვილი დავითი აიყვანა. ამ ამბავმა შინაური ბრძოლა და განხეთქილება გამოიწვია. ზოგნი დავით გიორგის ძის ნომზრენი იყვნენ, ზოგი კიდევ რუსუდანს და მის შვილს ემხრობოდა. ამ შფოთიანობასა და ქიშპობაში იყვნენ ქართველი დიდებულები, როდესაც სამე-

ფოს კვლავ კარს მოადგნენ მონგოლები. შინაური განხეთქილება სულ მთლად დაჭვარა შემოსულ მტერთან ბრძოლამ და ქიშპობაც თითქმის ყველას მიავიწყდა.

1236 წლიდან მონგოლებმა საქართველოს მიწა-წყალზე შემოსევა გააჩაღეს. ამ დროს მათ უკვე აზერბეიჯანი ეპყრად და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებთან შეჩერებულიყვნენ. როდესაც მონგოლებმა ტფილისს წიაღწიეს, რუსუდანი იძულებული გახდა დასავლეთ-საქართველოში გადასულიყო. ქართლის ერისთავები და დიდებულები მტერს დაემორჩილნენ (1239 წ.) ქართლ-კახეთი მონგოლების საბრძანებელი შეიქნა. მონგოლები თავდაპირველად ქართველებს შედარებით კარგად ექცეოდნენ, მათ სარწმუნოებას არ სდევნიდნენ და საქართველოს შინაურ საქმეებში ნაკლებად ერეოდნენ. ქართველებს მათ დაადევს განსაზღვრული ხარკი და აგრეთვე დააფარეს ჯარში გასვლა. რუსუდანი მთელი ამ ხნის განმავლობაში იმერეთში იყო. მან დახმარება სთხოვა, სხვათა შორის, რომის პაპს გრიგოლს მე-9 (1249 წ.), რომელმაც მხოლოდ ის შესძლო, რომ მისიონერები გამოუგზავნა.

მონგოლების მიერ დადებული ხარკი ხალხს ძლიერ აწუხებდა. ხარკი ედვა თითქმის ყველაფერს, რაზედაც კი შეიძლებოდა მისი დადება. აღსანიშნავია ერთი გარემოება; მონგოლებმა ჯარის მოგროვების საქმის კარგად დასაყენებლად მთელი აღმოსავლეთ-საქართველო აღწერეს. ამ აღწერის მიხედვით იმ დროს ქართლ-კახეთში ოთხ მილიონამდე მცხოვრები ყოფილა. ცხადია, ამოდენა მცხოვრებთაგან მონგოლებს საგრძნობი შემოსავალი ექნებოდათ.

თავის სამეფოს გარეშე მყოფმა რუსუდანმა ბოლოს გადასწყვიტა მონგოლებს რამენაირად მორიგებოდა. მან თავის შვილი დავითი მონგოლთა სატახტო ქალაქ ყარაყორუმს გაგზავნა. იქ დავითს უნდა გამოეთხოვა თავისთვის მეფობა და უკანვე დაბრუნებულიყო. რუსუდანის შვილის დაბრუნებას ვერ მოესწრო და 1245 წელს გარდაიცვალა. ქართველმა ერისთავებმა მონგოლებს სთხოვეს გიორგი ლაშის ძის—დავითის მეფედ დამტკიცება. ეს დავითი რუსუდანმა გაუგზავნა თავის სიძეს, იკონიის სულთანს. სულთანმა, თანახმად რუსუდანი სურვილისა და დაბეზლებისა—დავითი საპყრობილეში ჩააგდო. რუსუდანი დავითს იმიტომ ემტერებოდა, რომ იგი როგორც ტახტის მაძიებელი, თავის შვილის მეტოქედ მიაჩნდა. საქართველოში დავით გიორგის ძის ჩამოსვლის შემდეგ, რასაკვირველია, მონგოლებმა არც დავით რუსუდანის ძე დამტკიცეს მეფედ. დაიწყო ეგრეთწოდებული ხანა უმეფობისა. ამ ხანაში გაძლიერდნენ და ხალხზე დი-

დი გავლენა მოიპოვეს ზოგიერთმა ფეოდალებმა. ამასობაში ბრძოლა დავით გიორგის ძის და ნარინის (რუსუდანის ძეს მონგოლებმა ნარინი ე. ი. გონიერი უწოდეს) მომხრეთა შორის არ შეწყვეტილა. მონგოლებმა ვერაგობა იხმარეს და ორთავე დავითი მეფედ დააპტკიცეს. რასაკვირველია, ერთსა და იმავე დროს ორი მეფის არსებობა ერთს ქვეყანაში შეუძლებელი იყო. ამიტომ დავით ნარინი მალე იმერეთს გადავიდა, სადაც მას სიხარულით მიეგებნენ. დავით ნარინი მთლად საქართველოს მეფედაც ითვლებოდა. დავით გიორგის ძე ტფილისს იარჩა. ამნაირად საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ორ მთავარ ნაწილად დაყოფას, ტფილისის და ქუთაისის ერთსა და იმავე დროს სატახტო ქალაქებად მიჩნევას. შემდეგში ამას მეტი დაქუცმაცება მოჰყვა და თვითეული შემოხსენებული ნაწილი ცალ-ცალკე სამთავროებად დაიყო. ქვეყნის დაქსაქსვას ხელს უწყობდნენ გაძლიერებული ფეოდალებიც. ისინი ნაკლებად ემორჩილებოდნენ მეფეებს და ქვეყნის დამპყრობელ უცხო ძალასთან—მონგოლებთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ.

დავით გიორგის ძის მონგოლებისადმი ურჩობა. ქართველობის მდგომარეობა მონგოლთა ხელში თანდათან უფრო და უფრო უარესდებოდა. ყოველწლიური ხარკი ძლიერ მძიმე ტვირთად აწვებოდა ხალხს. ხარკის ამკრებნი ხომ ყველას სულს უწუხებდნენ. განსაკუთრებით სასტიკი იყო ერთი მათგანი—ხოჯა-აზიზი. ვინც ხარკის გაღებას ვერ შესძლებდა, ხოჯა-აზიზი შვილებს ართმევდა ხოლმე. განაწამები ქართველები სკდილობდნენ მონგოლთა მოშორებას და რამდენჯერმე შეთქმულებაც მოაწყვეს. შეთქმულთა მეთაურები იყვნენ მაშინდელი მოწინავე პირები: ცოტნე დადიანი, ჯაყელი და სხვ. მონგოლებმა ხსენებული შეთქმულებანი აღმოაჩინეს და მონაწილენი სიკვდილით დასაჯეს. ბოლოს ურჩობა გაჰხედა თვით დავით გიორგის ძემაც. მას მიემხრო ჯაყელი. შეთქმულებმა გადასწყიტეს მონგოლთა ბატონობისაგან განთავისუფლება და იწყეს საამისო მზადებაც. მაგრამ მეფის განზრახვა მონგოლებმა შეიტყვეს. დავით გიორგის ძე იმერეთს, დავით ნარინთან გაიქცა. აღელვებული ქართლ-კახეთი არა წყნარდებოდა. ამიტომ მონგოლებმა ხერხი იხმარეს და დავით გიორგის ძესთან მოლაპარაკება დაიწყეს. მეფემ მოითხოვა ხოჯა-აზიზის მისთვის მიცემა. მონგოლები დათანხმდნენ და დავით გიორგის ძეც ქართლს დაბრუნდა. მან სიკვდილით დასაჯა ხოჯა-აზიზი და ამით ცოტაოდენი მალამო დასდო ხალხის მღელვარებას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დასავლეთი საქართველო მონგოლების ბატონობის გარეშე იყო. თუმცა რაჰის ერისთავმა კახა-

ბერმა ორჯერ შეიყვანა მონგოლთა ჯარი იმერეთს, მაგრამ დავითმა ორჯერვე უკუაქცია, ხოლო ურჩი ერისთავი საზაგალითოდ დასაჯა: მისი ბრძანებით კახაბერს თვალები დასთხარეს.

1269 წელს გარდაიცვალა დავით გიორგის ძე. რამდენისამეზნის არეულობისა და ურთიერთის ბრძოლის შემდეგ ტახტზე დიმიტრი მე-II ავიდა (1272 წ.)

დიმიტრი თავდადებული. (1272—1289 წ.) დიმიტრის დასუსტებული სამეფოს მართვა-გამგეობა ჰხვდა წილად. მონგოლებს უკვე მთლად მოესპოთ საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა და ქვეყანა გაეძარცვათ. გათამამებული ფეოდალები ცენტრალურ ხელისუფლებას ანგარიშს აღარ უწევდენ. ფაქტიურად საქართველო აღარ წარმოადგენდა მთლიან სახელმწიფოს. იგი დაყოფილი იყო მრავალ საერისთაოდ, რომელთა მმართველნი თითქმის სავსებით დამოკიდებულნი იყვნენ. აი, ასეთ უბედურ დროს მოუხდა დიმიტრის მეფობა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევდა მონგოლთა მოთხოვნათ და ხმა-შეუბრუნებლადაც ასრულებდა მათ ბრძანებებს, დიმიტრი მაინც მათი ექვიანობის მსხვერპლი გახდა. იმ ხანებში საქართველოს მონგოლთა მმართველებმა (ნოინებმა) არლუნ-ყაენის ურჩობა იწყეს და მის ბრძანებას აღარ ემორჩილებოდენ. უკანასკნელმა დიმიტრის ნოინებისადმი თანაგრძნობა დააბრალა და თავისთან დაიბარა. დიმიტრის კარგად ესმოდა, თუ რა მოელოდა არლუნ-ყაენთან, მაგრამ ისიც კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, უარს ქვეყნის როგორი აოხრება მოყვებოდა. ამიტომ დიმიტრიმ ანლობლებთან და დიდებულებთან თათბირის შემდეგ არლუნთან წასვლა გადასწყვიტა. მეფის წინათგრძნობა გამართლდა. 1289 წელს არლუნ-ყაენის ბრძანებით დიმიტრის თავი მოჰკვეთეს. ამიტომ უწოდებენ მას დიმიტრი თავდადებულს.*)

დიმიტრის შემდეგ საქართველოში რამდენიმე მეფე იყო, მაგრამ ყველანი მცირე ხნით განაგებდნენ ქვეყანას. აღსანიშნავია რომ საქართველო 1258 წლიდან აღარ გაერთიანებულა, თუმცა ერთხელ საამისო პირობები იყო. ჩვენი ქვეყანა ფეხზე წამოდგა მხოლოდ გიორგი მე-IV დროს, რომელმაც დროებით გააერთიანა საქართველოს დაქსაქსული ნაწილები და პოლიტიკურადაც გაამაგრა.

გიორგი ბრწყინვალე (1313—1346). გიორგი ბრწყინვალე დიმიტრი თავდადებულის შვილი იყო და თავის დროის და მიხედვით

* ეს ამბავი აქვს აწერილი ილ. ქავკავაძეს თავის პოემაში: „დიმიტრი თავდადებული“.

კარგო სწავლა-განათლებაც ჰქონდა მიღებული. იგი რომ გამეფდა, საქართველო მოუძღვრებულ იყო. მეზობლები (ოსები, ლეკები), წინად საქართველოს რომ ემორჩილებოდნენ, გათამამდნენ და ქართველ მოსახლეობას თავს ესხმოდნენ. მონგოლების მიერ ხალხის შეწუხებას—ხსენებულ მეზობლების თარეშიც ემატებოდა. მაგალითად, ოსებმა ქართლის შუაგული დაარბიეს და ქ. გორი აიღეს. გიორგიმ დაამარცხა ოსები, გორიდან გარეკა, ოსეთი დაიმორჩილა და მმართველად იქ თავისიანი დანიშნა.

მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა. საჭირო იყო დასავლეთ-საქართველოსთან კავშირის დაქერა და საერთო ძალით მონგოლების უღლის გადაგდება. გარეუბაც გიორგის ხელს უწყობდა. აბუსაიდ-ხანის შემდეგ მონგოლებში უთანხმოება და ქიშპობა დაიწყო. ნოინები ერთმანეთს სასტიკად ებრძოდნენ და ამით თავის ბატონობას თვითონვე ძირს უთხრიდნენ. ამით ისარგებლა გიორგიმ, დაეცა საქართველოს ციხე-სიმაგრეებში დაბანაკებულ მონგოლებს და ყველგან ისინი მოსპო. მალე გიორგიმ მთელ საქართველოდან განდევნა მონგოლები და ამნაირად სამეფო გარეშე მტრისაგან გაანთავისუფლა. გიორგი ამაზე არ შეჩერებულა და თავის მინაღწევიარის შესანარჩუნებლად ხშირი ომიანობა და ლაშქრობა უხდებოდა.

საქართველომ მის დროს დაიბრუნა სომხეთი, რანი, ყარაბაღი და განჯა, შირვანი და მის ჩრდილოეთით ტერიტორია—დარუბანდამდე. თამარის დროს ხსენებული მიწა-წყალი საქართველოს ეკუთვნოდა. მაგრამ მონგოლების შემოსევის შემდეგ, როდესაც დაიმსხვრა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ეს ოლქები მას ჩამოშორდნენ. გიორგი ბრწყინვალეს მეცადინეობით საქართველომ აღმოსავლეთით თავისი ძლიერების ხანის საზღვრები აღადგინა. მონგოლების ბატონობის შავ-ბნელ დროს, მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის დროს ამოისუნთქა ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლად. ჯერ იმერეთის შემოერთებამე მიღდა.

დავით ნარინის მეფობის შემდეგ იმერეთში არეულობა დაიწყო. მეფის უფლება თითქმის მოისპო. ყველაფერი ერისთავების და მთავრების ხელში იყო. მეფე-ბაგრატი მთლად მათ ემორჩილებოდა. გიორგი ბრწყინვალემ ისარგებლა ამით, ბაგრატ მეფე გადააყენა და შორაპნის ერისთავობა უბოძა (1230 წ.). ფეოდალები დაწყნარდნენ და იძულებულნი გახდნენ აღეარებინათ გიორგი „მეფედ იმერეთისა და სრულიად საქართველოსი“.

იმერეთიდან რომ ბრუნდებოდა, გიორგიმ სამცხე-საათაბეგოში შეიარა. თამარის შემდეგ, მონგოლების მეოხებით, რომელნიც საქართველოში შემოვიდნენ, მათი მოკლევადიანი მმართველობა იმერეთშიც დასრულდა. საქ. მოკლე ისტორია. გამომ. თ. ჩიქვანია. 8

თველოს ამ კუთხეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, სამცხე თითქმის ჩამოშორდა სამეფოს. იქაური ათაბაგები (მმართველები) საქართველოს მეფეზე თითქმის არაფრით იყვნენ დამოკიდებულნი. სამცხის საათაბაგო იმ დროს შეიცავდა ტერიტორიას ბორჯომის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე ყარს-აზრუმამდე (მესხები, ლაზები, აქარლები). გიორგი რომ სამცხეში ჩაყიდა, ათაბაგი სარგისი ახლად გარდაცვალებული იყო (1334 წ.). გიორგიმ ათაბაგად დასვა ყვარყვარე. და ამნაირად ეს კუთხე სამეფოს კვლავ დაუკავშირა.

აზერბეიჯანის ბატონი შიშით უყურებდა საქართველოს გაძლიერებას და თავდასხმისათვის ემზადებოდა. გიორგიმ მომზადება არ აცალა, განჯას დაეცა, მტერი დაამარცხა და ხსენებული ქალაქი დაიმორჩილა. ამის შემდეგ მან მოიგერია აგრეთვე მცირე-აზიელ სულთანის ორხანის შემოსევა, რომლის დროს მოწინააღმდეგეს კლარჯეთი დაეპყრო. გიორგიმ ორხანი სასტიკად დაამარცხა და ხსენებული ოლქი საქართველოს დაუბრუნა.

საგარეო საქმეებს რომ მორჩა, გიორგიმ საშინაოს მიაქცია უმთავრესი ყურადღება. მან ლაგამი ამოსდო გათამამებულ ფეოდალებს და იწყო მუშაობა კანონთა შედგენისათვის. მისი ბრძანებით, სამართლის მცოდნეებმა ბეჟამ და აღბულამ შეადგინეს კანონთა კრებული, რომლითაც მოსამართლეებს საქმის გარჩევის დროს უნდა ეხელმძღვანელათ. მეფემ ყურადღება მიაქცია საქართველოს ეკლესიის მდგომარეობასაც. 1334 წელს მისი თაოსნობით მოხდა ეკლესიის წარმომადგენელთა კრება. ამ კრებაზე გამოტანილ იქნა მრავალი დადგენილებები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ იმ უწყესობათა მოსპობა, მონგოლების ბატონობის და სხვა მიზეზთა გამო რომ დაებუნდა ქართულ ეკლესიის ცხოვრებაში.

გიორგის მზრუნველობის საგანს შეადგენდა განაპირა ქვეყნების მდგომარეობაც. მეფეს კარგად ესმოდა, რომ განაპირა კუთხეები (ერეთი, შირვანი და სხვ.) დანარჩენ საქართველოსთან აუცილებლად კულტურულ-სარწმუნოებრივი მხრით უნდა დაეკავშირებინა. ამ მიზნით მან ხელი შეუწყო კათალიკოს-ექვთიმეს, რომელმაც მოიარა ქრისტიანობის ქადაგებით სანეფოს აღმოსავლეთ-ჩრთილოეთის საზღვრები. იმ დროიდან ქართული ენა და კულტურა ფრიად სწრაფად ვრცელდებოდა მთიელთა შორის. მაგრამ საქართველოს ეს მუშაობა მალე გაახივდა თემურ-ლანგმა (1387 წ.) რომელმაც ჩვენს ქვეყანას სასიკვდილო ლახვარი ჩასცა და მისი წინსვლა შეაჩერა.

გიორგი მე-IV-მ თავის მოღვაწეობით თანამედროვეთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომ მას **ბრწყინვალე უწოდეს** და იგი ისტორიაშიც ამ სახელით არის ცნობილი.

ბაგრატ მე-V, გიორგი მე-VII და თემურ-ლანგი. გიორგი ბრწყინვალეს შვილი—დავითი სამეფოს განაგებდა 1346 წლიდან 1360-მდე. საქართველოს ძლევამოსილების მოგონება მეზობელთა შორის ჯერ კიდევ ცხოველი იყო და ამიტომ დავითის მეფობამ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ ბაგრატ მე-V (1360—1395) და გიორგი მე VII (1395—1407) დროს საქართველოს რისხვად თავს დაატყდა კვლავ მონგოლების შემოსევა, რამაც ჩვენი ქვეყნის ბედი თითქმის გადასწყვიტა—საქართველო საბოლოოდ დაიქსაქსა, დანაწილდა რამდენსამე სამეფოდ, რომელნიც ასე მე-18 საუკუნის დამლევამდე არსებობდნენ.

თემურ-ლანგმა (თემურ-ლენკი—„თემურ-კოქლი“) ხელახლა გამოიყვანა მონგოლები ისტორიის ასპარეზზე. მან გააერთიანა მონგოლთა შუა-აზიელი ტომები, უდიდესი სახელმწიფო შექმნა და სამარყანდი სატახტო ქალაქად გამოაცხადა. 1380 წლიდან დაწყებული, თემურ ლანგმა 35 ლაშქრობა მოახდინა, დაიპყრო სპარსეთი, რუსეთში შეიჭრა და 1394 წელს მოსკოვამდე მიადგინა. მან დაიპყრო ინდოეთი მდ. ინდიდან მოყოლებული ვიდრე განგის სათავემდე. როდესაც თემური ბიზანტიას დაემუქრა, ბიზანტიის იმპერატორმა შეველა ოსმალთა სულთან ბაიაზეთ I-ს სთხოვა. თემურმა ბაიაზეთი 1402 წელს ანგორასთან სასტიკად დაამარცხა, ტყვედ ჩაიგდო, გალიაში ჩასვა და ისე ატარებდა. შეუბრალებელი, ღლმობელი იყო თემურ-ლანგი და, სადაც კი გაივლილა თავის ურდოებით, დაბა-ქალაქებსა და მცხოვრებლებს ნაცარ-ტუტას ადენდა.

თემური რომ საქართველოს მოადგა, სამცხის ათაბაგმა, ბეჟამ მეფეს უღალატა და მონგოლეთს დაემორჩილა. მიუხედავად ამით გამოწვეული მძიმე მდგომარეობისა, ბაგრატ მე-V მაინც მტრის დასახვედრად მზადება იწყო და ტფილისი გაამაგრა. ქართველები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ურიცხვი მტრის წინააღმდეგ ვერას გახდნენ. მონგოლებმა ტფილისი აიღეს 1387 წელს და ბაგრატ მეფე ოჯახობით ტყვედ იგდეს ხელში. თემურმა მოაოხრა ქართლ-კახეთი, დაანგრია ტაძრები (ქვაბთახევის, მცხეთის, რუისის). მონგოლებმა დაიპყრეს შირვანი და დაღესტანიც.

დამახასიათებელია იმ დროისათვის ერთი ეპიზოდი, რომელსაც შემბატინებულმა გადმოგვცემს. ტყვეობაში მყოფ ბაგრატს თემურ ლანგმა ბოსთხოვა მაჰმადიანობის მიღება. ბაგრატი ჯერ არ თანხმდებოდა, მაგრამ ბოლოს მაჰმადიანობა მაინც მიიღო. მიუხედავად ამისა, თემურ-ლანგი მაინც არ უშვებდა მას საქართველოსაკენ და თავისთან ჰყავდა. მაშინ ბაგრატმა ხერხს მიმართა: რაკი მაჰმადიანობა მივიღე,

მსურს ჩემმა ქვეყანამაც თქვენი რჯული მიიღოს. გამატანე ცოტადენი ჯარი და მთელ საქართველოს გავამაჰმადიანებო. თემურს გაეხარდა ასეთი განზრახვა და ბაგრატი თორმეტი ათასი საუკეთესო ჯარით საქართველოსაკენ გამოჰზავნა. უნდა ითქვას, რომ თემურლანგს სხვა უფრო დიდი გეგმები ჰქონდა, იგი უფრო დასავლეთისაკენ მიიწევდა და საქართველოში მხოლოდ დასამორჩილებლად შემოდიოდა, იქ დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ამიტომ იყო, რომ ბაგრატის ტყვეობის დროს საქართველოში, წინააღმდეგ თემურის სურვილისა, მეფობა არ მოსპობილა. ბაგრატის მაგივრად ტახტზე მისი შვილი გიორგი ავიდა. სწორედ ამ გიორგის შეატყობინა ბაგრატმა: მოვიდვარ, თორმეტი ათასი საუკეთესო ჯარი მომყავს აუარებელი სიმდიდრით, აბა დამიხვდი და ჩვენს მტრებზე შური ვიძიოთო. გიორგი მართლაც გადმოვიდა ლიხთ-იმერეთით და ბაგრატთან შეთანხმებით წინასწარ არჩეულ ადგილას ჩაუსაფრდა მონგოლების ჯარს. მონგოლები სასტიკად დამარცხდნ და თითქმის არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გადარჩენილა*). ეს იყო ძლევამოსილი მტრის ხელახლა ბრძოლაში გამოწვევა. გამძვინვებული თემური კვლავ შემოიჭრა საქართველოში და, როგორც იყო, ბაგრატი კვლავ დაიმორჩილა.

ბაგრატის მემკვიდრე გიორგი მე-VII დროს მონგოლები ხუთჯერ შემოესიენ საქართველოს. მტრის თავდასხმის მუდმივმა შიშმა ხალხში გახრწნილება შეიტანა. ზოგიერთი წირეები, განსაკუთრებით ფეოდალები, მონგოლების მხარეზე გადადიოდნენ და ამით თავის სამფლობელოს ხელუხლებლობას აღწევდნ. სამეფოში ერთნაირი ხელისუფლება უკვე აღარა არსებობდა. ყოველი ცალკე კუთხის მმართველი თავს იცავდა დამოუკიდებლად და ამნაირად აწარმოებდა დამოუკიდებელსავე საგარეო პოლიტიკას. გიორგის დროს იმერეთი კინალამ მთლად ჩამოშორდა აღმოსავლეთ საქართველოს. თავისი მეფეებიც კი ჰყავდათ—ჯერ ბაგრატი, შემდეგ გიორგი და კონსტანტინე. იმერეთის მოწინავე პირთა დახმარებით გიორგი მე-VII ურჩები დაიმორჩილა და იმერეთი კვლავ დანარჩენ საქართველოს შემოუერთა. მაგრამ არც ეს გაერთიანება აღმოჩნდა მკვიდრი და ხანგრძლივი.

თემურ-ლანგის შემოსვლა საქართველოსთვის ისეთი საბედისწერო გამოდგა, რომ ჩვენი ქვეყნის საქმე დიდხანს აღარ გამობრუნებულა. მიუხედავად გარეგანი ერთობისა, საქართველო არსებითად დაქსაქსული, დანაწილებული იყო. ახალ საუკუნეთა საზღვარზე ეს მდგომარეობა თითქმის იურიდიულადაც ჩამოყალიბდა და დაცანონდა.

*) ეს ამბავი აწერილი აქვს აკაკი წერეთელს პოემაში „ბაგრატი დიდი“.

ამას ხელი შეუწყო იმან, რომ მე-13 საუკუნის დამლევს გაძლიერდნენ თურქ-ოსმანები და საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს მტრად იქცნენ.

თურქ-ოსმალები. შუა საუკუნეების დასასრულს, გარდა მონგოლების შემოსევისა, იყო ერთი გარკმობა, რამაც საქართველოს დაცემას ხელი შეუწყო და მერმინდელ მის ისტორიაშიაც დიდი როლი ითამაშა. ეს იყო თურქ-ოსმალების (ოსმანების) გაძლიერება. მონგოლებმა სელჩუკები დამარცხეს და მცირე აზიისაკენ გადარეკეს. ხორასანიდან დევნილი ერთ-ერთი ტომი თურქებისა მე-13 ს. დასახლდა იკონიაში. კარგა ხნის შინაური ბრძოლის შემდეგ ერთ-ერთმა მათმა წინამძღოლმა ოსმანმა (1288—1236) გაიმარჯვა, გასულთანდა და დაქსაქსული თურქები თავის ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა. ამიტომ ოსმანი თურქთა იმპერიის დამაარსებლად ითვლება. მან სხვათა შორის დაიპყრო ქ. ბრუსა და იგი სატახტო ქალაქად გამოაცხადა. ოსმანით იწყება ახალი დინასტია, ხოლო თურქები მას შემდეგ იწოდებიან თურქ-ოსმანებად (ოსმალებად).

1356 წლიდან თურქ-ოსმალებმა დაიწყეს შეტევით ომები. სულთანმა ურხანმა მალე ნიკეა და ნიკომიდია დაიპყრო და ჰელესპონტის ევროპიულ ნაპირზე გამაგრდა, სადაც ოსმალებმა მალე დაიჭირეს გამაგრებული პუნქტი გალიპოლი. 1389 წელს ოსმალებმა კოსოვის ველზე დაამარცხეს სერბიელები, ხოლო 1393 წ. ბულგარელებიც დაიპყრეს. ამნაირად ოსმალებმა ხელთ იგდეს ბალკანეთის ნახევარ კუნძული. მონგოლების ძლიერების დაცემის შემდეგ ოსმალებს უკვე მეტოქე აღარავინ ჰყავდათ და თავის დროისათვის უძლიერესი იმპერია შეჰქმნეს. მალე მათ ხელთ იგდეს კონსტანტინეპოლიც (1453 წ.), ხოლო 1462 წელს თამარ მეფის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერიაც მოსპეს და შეიერთეს. ყველაფერმა ამან საუბედურო გავრენა მოახდინა საქართველოზე.

ალექსანდრე I (1414—1442) მეფობა. ალექსანდრე I მეფობა შუა საუკუნეების დასასრულის ერთი გამოჩენილი მეფობათაგანია. ამ დროს საქართველომ ცოტა ხნით კიდევ წელი მოიმაგრა და თითქოს მთლიანობაც აღადგინა. ეს იმით აიხსნება, რომ მონგოლების ძლიერების მზე მაშინ უკვე ჩასვენებული იყო და საქართველოც მათგან მექანიკურად განთავისუფლდა. ქვეყნის გარეშე მტერთაგან განთავისუფლებას ალექსანდრე თავის თავს მიაწერს: „ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ მზღვართაგან ჩვენთა და ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებას მიეცნესო.“ ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ ამ მეფის დროს დიდი მუშაობა იქნა გაწეული

თემურ-ლანგის მიერ აოხრებული საქართველოს ციხე-სიმაგრეების განსაახლებლად, დარბეული ხალხის კვლავ დასასახლებლად და მშენებლობის განსაცხოვლებლად. მაგრამ ამ დროს თურქ-ოსმალებმა იწყეს საქართველოზე ლაშქრობა და განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთს ნაწილს აწუხებდნენ.

ალექსანდრე სცდილობდა საქართველოს ცალკე ნაწილები შემოემტკიცებინა და ურჩებს სასტიკად სდევნიდა. როდესაც ოსმალების იმედით მესხეთის ათაბაგი ივანე განდგა და აჯანყება მოაწყო საქართველოსაგან ჩამოშორების მიზნით, ალექსანდრემ იგი ასპინძის ახლოს სასტიკად დამარცხა (1415 წ.) „შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორია ჰქნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი.“

ალექსანდრე I სიბერის ჟამს იძულებული გახდა ტახტი მიეტოვებინა და სამეფო ხელისუფლება თავის შვილ კონსტანტინესთვის გადაეცა. ვახტანგს ძლიერ უჭირდა გაერთიანებულ სახელმწიფოს გაძლოლა, რომელშიც გამთიშავს ძალებს თავი წმმოეყოთ. ამიტომ ალექსანდრემ ვახტანგს დამხმარედ მიუჩინა თავისი დანარჩენი შვილებიც. იმერეთი დიმიტრის ჩააბარეს, კახეთი-გიორგის. ეს ფორმალური დადასტურება იყო იმისა, რაც ცხოვრებაში უკვე განხორციელებულიყო: ზემოხსენებული კუთხეები ალექსანდრეს შემდეგ არსებობდნენ უკვე როგორც ერთმანეთზე დამოუკიდებელი სამეფონი. ამას დაერთო ბიზანტიის დაცემა, რის გამოც საქართველო განათლებულ ევროპას მოსწყდა და ოსმალ-სპარსთა საჯიჯგნად გადაიქცა.

საქართველო ახალ საუკუნეთა პირველ პერიოდში.

საქართველო ახალ საუკუნეთა დამდეგს. ახალი საუკუნეები ევროპისათვის აღორძინების და წინასვლის, ფეოდალიზმის თანდათან მოსპობის ხანად ითვლება. საქართველოსათვის კი ახალი საუკუნეების პირველი ნახევარი დაქსაქსვის, ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად ჩამორჩენის ხანად გადაიქცა. ამ დაცემას ბევრი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ უმთავრესს მათგანს შევხებით.

საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობას და ფეოდალურ მონარქიას უძლიერესი მახვილი პირველად მონგოლებმა ჩასცეს. მონგოლთა დაპყრობამ და შემდეგ თემურ-ლანგის შემოსევებმა ჩვენი ქვეყანა მთლად გაანადგურა და წელში გასტეხა. ფეოდალური მონარქიის სახელმწიფოებრივი აპარატი დაიღწეა, ფეოდალობამ კვლავ თავი წამოაჩყო და საქართველო ისევ სამთავროებად დაიყო. ეკონომიურად გალატაკეებულ ქვეყანა ყოველი მხრით უკან მიდიოდა და მრავალი კუთხე თითქმის გაუკაცრიელდა.

მეორე ისტორიული მოვლენა, საქართველოს ბედზე დიდი გავლენა რომ მოახდინა,—ეს ბიზანტიის დაცემა და მის ნანგრევებზე ოსმალეთის იმპერიის გაჩენა იყო. შუა საუკუნეებში სამი კულტურა განვითარდა: ბიზანტიური, არაბული და ევროპიული. საქართველო პირველ ორთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მათი დიდი გავლენა განიცადა. არაბთა კულტურის გავლენა მთელ აღმოსავლეთზე ფრიად დიდი იყო განსაკუთრებით ბაღდადის ხალიფატის დარსებიდან. არაბებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კულტურის ისტორიის მხრით შუამავლის როლი ითამაშეს. აღმოსავლეთში არაბების ძლიერების დაცემის შემდეგ ბიზანტიური კულტურა ერთადერთი კულტურა იყო, რომელიც საქართველოზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ კულტურის ეს ცენტრი ჩვენი ქვეყნისათვის დაიხშო და ევროპის კულტურასთან დამაკავშირებელი გზები მთლად დაიკეტა.

ბიზანტიის მაგივრად საქართველოს დასავლეთ მეზობლად ოსმალეთი აღიმართა. ოსმალეთი დაპყრობილ ერებზე კულტურულად ბე-

ვრად დაბლა იდგა და უმთავრესად სამხედრო სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი იმპერიალიზმი დანასტიური და სარწმუნოებრივი ხასიათისა იყო და თანაც მტაცებლურ იერს ატარებდა. შავმა ზღვამ, რომელიც ოსმალებმა ხელთ იგდეს, თავისი ეკონომიური მნიშვნელობა დაჰკარგა. იქური სავაჭრო ცენტრები მალე მოისპო. ოსმალეთის ხელში ეს ცენტრები მხოლოდ სტრატეგიულ ბაზებს წარმოადგენდნენ და სხვას არაფერს. საზოგადოდ ოსმალთა მიერ მცირე აზიის დაქვერამ იგი ეკონომიურად დააქვეითა, ხოლო სპარსეთთან გამუდმებულმა ომიანებმა მთელი წინა-აზია საბოლოოდ დასცა და გააველურა.

შუა საუკუნეებში ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ურთიერთობა ასეთი იყო: აღმოსავლეთიდან ევროპიელებს გაჰქონდათ ლითონისა და შუშის ნახელოვნები, სხვადასხვა ქსოვილები, ხალიჩები, ძვირფასი თვლები, ოქრო-ვერცხლი და სხვა. სამაგიეროდ ევროპა აზიას ნედლე მასალას აწვდიდა. ინდოეთში მომავალი გზა მაშინ რამდენიმე იყო. ერთ ერთი გზა ხმელეთით შავი ზღვიდან კასპიის ზღვისა და შემდეგ ამუ დარით და სირ-დარით ზემო ინდამდე და თვით ჩინეთამდე მიდიოდა. ვენეციელების და გენუელების სავაჭრო რესპუბლიკებს ამ გზების საშუალებით აზიასთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. ხსენებულს რესპუბლიკებს თავისი სავაჭრო პუნქტები ჰქონდათ შავ ზღვაზედაც და რაკი ეს უკანასკნელი ოსმალებმა იგდეს ხელთ, რასაკვირველია მათ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაჰკარგეს.

ინდოეთისაკენ მიმავალმა გზამ სამხრეთისაკენ გადიწია და დიდი როლი მიეკუთვნა ჰალეპოს (სირიაში), ისპაჰანს და ბასრას. ამნაირად, საქართველო კულტურულის გარდა, ეკონომიურადაც გარიყული დარჩა. იგი პატარა კუნძულს წარმოადგენდა მუსულმანების დიდ ზღვაში და საკუთარ ძალას უნდა დაყრდნობოდა იმ დიდი ბრძოლის დროს, ოსმალეთი და სპარსეთი ერთმანეთს შორის რომ აწარმოებდა.

ოსმალ-სპარსთა ბრძოლას გარეგნად სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდა, იბრძოდნენ თითქოს შიიზმის და სუნიზმის (მუსულმანური სექტებია—შიიტები სპარსელები არიან, სუნიტები—ოსმალნი) მომხრენი. მამდვილად კი ეს იყო პოლიტიკური ქიშპობა მთელ წინა-აზიაზე ბატონობისათვის. ბრძოლას ეკონომიური საფუძველიც ჰქონდა. როგორც ოსმალეთი, ისე სპარსეთი იმხანად დიდ მატერიალურ ნაკლებობას განიცდიდნენ და მდგომარეობის გამოსწორებას ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას და მათ ძარცვაში ეძიებდნენ.

როგორც ვიცით, თითქმის ყოველთვის სპარსეთ-ოსმალეთის შეტაკების დროს საქართველოს ტერიტორია ომის ასპარეზად ჰხდებოდა.

ბოდა. დასავლეთი საქართველო ოსმალეთის კერძო იყო ხოლმე, აღმოსავლეთი-სპარსეთისა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ხსენებულ სახელმწიფოებს სავსებით თითქმის არასოდეს დაუპყრიათ. ეს მათი ლაშქრობის საერთო ხასიათით აიხსნება: როგორც ერთი, ისე მეორე სახელმწიფო მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში დროებით. მათს ლაშქრობას ვუდამ შემოსევის, დარბევის. ხასიათი ჰქონდა, გაიმარჯვებდნენ, ააოხრებდნენ ქვეყანას, დიდძალ დავლას წაიღებდნენ თან და მხოლოდ ის ეინტერესებოდათ, რომ მეორედ შემოსევის საშუალება მისცემოდათ. ამიტომ იყო, რომ არც სპარსეთი, არც ოსმალეთი ძალიან არ ცდილან საქართველოს ყველა ნაწილი ფაქტიურად და პოლიტიკურად უექველად მათ დამორჩილებოდა. შინაურ წესწყობილებას შემოსეული მტერი ითქმის ხელუხლებლად სტოვებდნენ. ისინი იმიტაც კმაყოფილნი იყვნენ, ქართლ-კახეთის, იმერეთის და სხვა კუთხის ტახტზე მათი მომხრე თუ იჯდა და ნაკისრ ხარჯს დროზე იძლეოდა. ხარჯი მძიმე იყო, ქონებრივი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, სახელმწიფო ამის გამო ყველაფრისაგან იცლებოდა.

ამნაირად საქართველოს ისტორიის ახალ საუკუნეთა პირველ დიდს პერიოდს (15-17) შეიძლება ეწოდოს პერიოდი სპარსეთსა და ოსმალეთთან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლისა.

საქართველოს სამეფონი. ახალ საუკუნეთა დამდეგს საქართველო ყვევ საბოლოოდ დაყოფილი იყო შემდეგ ერთეულებად:

ქართლის სამეფოდ, რომლის დედა ქალაქი ტფილისი იყო.

კახეთის სამეფოდ, რომელშიაც შედიოდა დაღესტანის მომიჯნავე ადგილებიც სატახტო ქალაქად ითვლებოდა ზაგემა (ყარაღაჯი).

იმერეთის სამეფოდ, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს შეიცავდა. მასში შედიოდა სამეგრელოს და გურიის სამთავროები, რაჭის საერისთვო, სვანეთ-ლეჩხუმი და ახლანდელი ბათუმის ოლქი. სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო.

სამცხე-საათაბაგოდ, რომელსაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთა ნაწილი ეჭირა. იგი შეიცავდა ტერიტორიას ბორჯომის ხეობიდან მოყოლებული ყარს არზრუმამდე.

საზოგადოებრივი წესწყობილება კვლავ ფეოდალური დარჩა. მყფეებთან ბრძოლა ფეოდალებს იმ დროს, წინანდელთან შედარებით, გაუადვილდათ. პატარა კუთხის მეფეებს მთავარნი და ერისთავნი უფრო გაბედულად და წარმატებით ედავებოდნენ. ფეოდალების გაძლიერება თავის მხრით ხელს უწყობდა ქვეყნის უფრო და უფრო დაქსაქსვას.

ყველა სამეფოში მეფენი და ათაბეგიც დამოკიდებული იყვნენ დიდ გვარიშვილთა წარმომადგენლებზე. თავადთა ყოველ გვარეულობას საკუთარი მეთაური ჰყავდა, რომელიც მეფის წინაშე მთელი გვარეულობის წარმომადგენლობას ეწეოდა. დანარჩენი ძველებურად იყო: მეფე ყველას ბატონად ითვლებოდა, თავადებს აზნაურები ემორჩილებოდნენ, აზნაურებს მსახურნი. ყველაზე დაბალ საფეხურს ბატონ-ყმობის მძიმე უღელში შებმული გლეხობა წარმოადგენდა.

საქართველოს დანაწილებამ ეკლესიის მდგომარეობაზედაც იმოქმედა: იგიც ორ საკათალიკოსოდ გაიყო. ქართლის კათალიკოსი განაგებდა ქართლ-კახეთის და სამცხის ეკლესიას. „აფხაზეთის“ კათალიკოსს მთელი დასავლეთი საქართველო ემორჩილებოდა. იგი იჯდა ბიქვინთაში.

კონსტანტინე მეფის მოღვაწეობა (1476—1504). კონსტანტინე ქართლის ერთი გამოჩენილი მეფეთაგანი იყო. იგი სცდილობდა საქართველოს კვლავ გაერთიანებას. ცოტა ხნით ეს მოახერხა კიდეც. იმერეთში მომხდარი არეულობით ისარგებლა, თავისი ჯარით იქ გადავიდა და ეს მხარე თავის სამეფოს შემოუერთა. მაგრამ კონსტანტინე დამარცხდა სამცხის ათაბაგ ყვარვარესთან შეტაკების დროს. ს. არადეთთან. ეს ბრძოლა იმან გამოიწვია, რომ ათაბაგი თავს დამოუკიდებელ მმართველად სთვლიდა, ხოლო მეფეს და საქართველოს გაერთიანების მომხრეებს იგი ქართლის მეფის ქვეშევრდომად მიაჩნდათ. მოსალაპარაკებლად გაგზავნილმა მროველმა ეპისკოპოსმა ათაბაგს პირდაპირ განუცხადა თურმე: „ანუ მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩვენსა ვინაიდგან ხარ მკვიდრი, ანუ შეგიპყრობთო“. მეფის შემოსხენებული დამარცხებით ისარგებლა იმერეთის ტახტის მადიებელმა ალექსანდრემ, შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმი, აიღო ქუთაისი და იმერეთში გამეფდა. თუმცა კონსტანტინემ კვლავ დაიპყრო იმერეთი, მაგრამ ქართლში სპარსეთის შემოსევამ ხელი შეუშალა და დასავლეთ საქართველოში ისევ ალექსანდრე ბაგრატიის ძე დარჩა მეფედ.

კონსტანტინეს ამის შემდეგაც არ დაუნებებია თავი ქვეყნის გაერთიანებაზე ზრუნვისათვის. მას შეუკრებია „კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი“ და უმსჯელნიათ, თუ როგორ მოსპონ „განდგომილება ქვეყანათა“. ბოლოს იმ დასკვნამდე მისულან, რომ მშვიდობიან გზას დასდგომოდნენ და ქართველ მმართველებს დაზავებოდნენ. მართლაც კონსტანტინე დაეზავა კახთა ბატონს ალექსანდრეს, სამცხის ათაბაგს და იმერეთის მეფეს.

საინტერესოა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის გრძნობდნენ, თუ რა დიდს საფრთხეს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისა-

თვის კონსტანტინეპოლში გამაგრებული მაშინდელი ოსმალეთი. რომის პაპები და საერთოდ ოსმალეებისაგან შეშინებული ევროპა ერთ ხანს ჰუიქრობს ქრისტიან ქართველების დახმარებით ოსმალთა დამარცხებას. ქართველები აღფრთოვანებულნი არიან ამ გეგმით. გიორგი მეფე და ყვარყვარე ათაბაგი ბურგუნდიის მთავარს ატყობინებდნენ: ჩვენ, ყველანი ქრისტიანები აქ შევეთანხმდით, მთელი საქართველო გამოვა საბრძოლველად, 120 ათასს მხედარს გამოვიყვანთო. ეს გეგმა მაშინ ვერ განხორციელდა, მაგრამ თავი კვლავ წამოჰყო კონსტანტინეს დროს.

როდესაც ქართველმა პოლიტიკოსებმა გაიგეს, რომ ესპანეთის დედოფალ იზაბელას დროს არაბები ესპანეთიდან საბოლოოდ განდევნეს—ძლიერ გახარებულნი იყვნენ. კონსტანტინემ საგანგებო ელჩი გაუგზავნა ძლიერამოსილ დედოფალს და რომის პაპს. დედოფალთან მინაწერი წერილი მეფისა (1495 წ.) ფრიალ დამახასიათებელია იმ დროისთვის. გამარჯვების მილოცვის შემდეგ მეფე ამბობს:

„... რა იქმნა სიდიადე და დიდება ქრისტიანეთა, რა მოუვიდა მათ პატივსა და იმედს, დიდსა და სახელოვან ქალაქს კონსტანტინეპოლს? სად არიან მართლ-მადიდებელი მეფეები, მათი სიხარული და განცხრომა? სიხარული მწუხარებად და ვებად შეიცვალა, დიდება დამცირებად. ოდესღაც გაბრწყინებულნი. ახლა წყვილია ვიწყოვებით. ოდესღაც ჩვენ პატივისცემით მოსილ ხელმწიფესთან გექონდა ხოლმე ურთიერთობა, ახლა მწუხარებისა და ცრემლების გარდა არასა ვხედავთ. ჰოჲ, რაოდენ სიკეთეს არის მოკლებული ნათესავი ჩვენი? სად არიან ტრაპიზონის ხელმწიფეები ან სხვები, რამოუვიდა სერბთა ქვეყანას და მრავალ სხვასაც?!“

... იმის გარდა, რაც ამ ეპისტოლეშია დაწერილი, ჩვენი დესპანი ბევრს სხვასაც რასმე პირადად სიტყვიერად მოგახსენებთ იმით, რომ გზაზე მრავალი მტერია, უსჯულო სპარსელები ხომ, როგორც იცით, უწყალოდ გეტანჯავენ. ამ ჩვენს მტრებს ბევრი უბედურობა მოუყენებიათ ჩვენთვის და სამს რამესა გვახზოვენ ხოლმე: გადაიხადეთ დიდი ხარკი, იბრძოლეთ მუდამ ჩვენთან ერთად და გამაჰმადიანდითო. ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ჩვენ-კი ტრაპიზონის, კონსტანტინოპოლის და სხვა ქრისტიანეთა დაცემის შემდგომ მარტოდ მარტონი და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით. მაგრამ აწ ურიცხვნი ერნი აგარიანთა, სპარსთა და არაბთა, შერცხვენიალშფოთებული არიან. დროც მოახლოებულია. სახელითა ღვთისათა, გვედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქროთ. აიღეთ ფარად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარი და

მაცხოვარი ჩვენი თქვენს სურვილს ხელს შეუწყობს. მეც პირადად შეილებითურთ და მთელი ლაშქრით, რომლის შეყრასაც კი შევსძლებ, დაბრუნდება თუ არა ჩემთან შენი დესპანი, არ დავიყოვნებ და შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნებიო“.

ეს სასოწარკვეთილების ხმა უნაყოფო გამოდგა. ევროპას სხვა საქმეებიც ბევრი ჰქონდა და ისეთი ლაშქრობისათვის, როგორც ქართველი მეფეების გეგმით იყო გათვალისწინებული, ვერავინ იფიქრებდა. საქართველო კვლავ მარტო დარჩა.

ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ საქართველოს განაწილება. მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში აღსანიშნავია იმერეთში ბაგრატ მე-II (1510—1565) ხოლო ქართლში ლუარსაბ I-ის (1526—1557) მეფობა. ორივე ეს მეფე მიისწრაფოდა საქართველოს გაერთიანებისაკენ და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთად მოქმედებისაკენ.

იმერეთში იმ დროს ძალიან გახშირდა ოსმალთა შემოსევა. ამ შემოსევას წინააღმდეგობის მაგივრად ხელს უწყობდნენ სამცხის ათაბაგები. მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლაში ისინი გარეშე ძალას ეყრდნობოდნენ და სრულ დამოუკიდებლობის მოსპობას სცდილობდნენ. ამას ვერ შეურიგდებოდა ვერც ქართლის, ვერც იმერეთის მეფე. 1535 წელს ბაგრატ მე-III დიდძალი ჯარით გადავიდა სამცხეს, დაამარცხა ყვარყვარე ათაბაგი და ეს მხარე თავის სამეფოს შემოუერთა. ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო სტამბოლს ჩავიდა და ოსმალებს დახმარებას სთხოვდა. ოსმალეთისათვის სამცხეს ავანპოსტის მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იგი ყოველთვის ხელს უწყობდა ათაბაგებს მეფეებთან ბრძოლაში. მაგრამ იმჟამად ოსმალეთი უფრო დიდი საქმეებით იყო გართული და ბაგრატის წინააღმდეგ გამოლაშქრება დროებით გადასდო.

ქართლის მტერი—სპარსეთი იყო. სპარსეთი სცდილობდა ქართლ-კახეთი სავსებით დაემორჩილებინა, ვინაიდან ამას მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთთან შეტაკების დროს. ჯერ კიდევ დავით მეფის დროს ქართლ-კახეთი იძულებული იყო (1518 წ.) შაჰ-ისმაილისათვის მორჩილება განეცხადებინა და ყოველწლიური ხარკის გაღება ეკისრნა. ლუარსაბ I ამას ვერ ურიგდებოდა. მან კავშირი შეჰკრა კახეთის ბატონ ლევანთან და იმერეთის მეფე ბაგრატ მესამესთან და ხარკის გადახდაზე უარი სთქვა. ამას მოჰყვა შაჰ-თამაზის შემოსევა. სპარსელებმა დაიპყრეს ტფილისი და თავისი ჯარი ჩააყენეს. ქართლის მეფეს დროებით სატახტო ქალაქად იმ დროიდან გორი გახდა.

ლუარსაბ I ჰფიქრობდა, რომ შუაგულ საქართველოს, კერძოდ

ქართლისთვის შორეული ოსმალნი იმდენად საშიში ვერ იქნებოდნენ. ამიტომ მან მოინდომა ოსმალთა დახმარებით ახლობელი მტრების, სპარსელების ალაგმვა. ლუარსაბმა რამდენიმეჯერ სცადა სპარსელებისაგან ტფილისის განთავისუფლება, მაგრამ ვერას გახდა. მან უარი სთქვა აგრეთვე იმ ხარკის გაღებაზე, დამპყრობელებმა რომ დაადევს მის ქვეყანას. ამისთანა ურჩობისათვის სპარსელებმა რამდენიმეჯერ გამოილაშქრეს, მაგრამ მთელი ქართლის დამორჩილება მაინც ვერ შესძლეს. ისინი ტფილისის მიდამოებს ვერა სცილდებოდნენ.

სპარსეთი და ოსმალეთი კვლავ განაგრძობდნენ მცირე აზიისათვის ბრძოლას, ომიანობის დროს საქართველო ხელიდან ხელში გადადიოდა.

1553 წელს მათი ბრძოლა დროებით შესწყდა. ჩამოგდებულნი იქმნა ზავი, რომლის პირობების მიხედვით ქართლი, კახეთი და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი—სპარსეთის გავლენის ქვეშ უნდა დარჩენილიყო, ხოლო იმერეთი, გურია-სამეგრელოითურთ და სამცხის დასავლეთი—ოსმალეთს რჩებოდა.

მიუხედავად ასეთის გაყოფისა, საქართველოს ყოველ კუთხეში ხელისუფლება ფაქტიურად მაინც ქართული იყო. ლუარსაბ I—1553 წლის შემდეგაც არავისადმი დამორჩილებას არ ჰფიქრობდა და დამოუკიდებლობას თავგამოდებით იცავდა. იგი განაგრძობდა პარტიზანულ ბრძოლას შაჰ-თამაზთან, რომელმაც ტფილისი ააოხრა. ქალაქ გორთან ლუარსაბმა 1557 წელს სპარსელები დაამარცხა, მაგრამ ბრძოლაში თვითონაც დაიღუპა. მის შემდეგ ტახტზე ავიდა ძე მისი—სიმონი.

სიმონ I (1557—1599). სიმონ მეფე განაგრძობდა იმ ბრძოლას, მისი მამა რომ ეწეოდა ქვეყნის მტერთა წინააღმდეგ. ოსმალეთი და სპარსეთი საქართველოს დასასუსტებლად, ყურ-მოჭრილ მონად გასახდომად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. ისინი იქრთამავდნენ გავლენიან პირებს, ერთმანეთს უსისიანებდნენ საქართველოს ცალკე კუთხეთა მმართველებს და თავის განუკითხველი ბატონობის განმტკიცებას ჰფიქრობდნენ. როგორც შაჰები, ისე ოსმალეთის სულთნები ცდილობდნენ საქართველოს სამეფოთა ტახტზე თავისიანები ჰყოლოდათ. რათა მათი ერთგულება უეჭვო გაეხადათ, ისინი მოითხოვდნენ ქართველ მეფეთაგან მუსულმანობის აღიარებას. იმ დროს საკუთარ სჯულზე ხელის აღება პოლიტიკურ რენეგატობასაც ნიშნავდა. რასაკვირველია, სჯულ გამოცვლილი მმართველები ქართველ ხალხში გავლენას ვერ მოიპოვებდნენ და პოლიტიკურად მთლად თავის ბატონებზე დამოკიდებულნი ჰხდებოდნენ.

სიმონ I, სპარსელების მედგარი მოწინააღმდეგე, სპარსეთს ფრიად საშიშრად მიაჩნდა. ამიტომ სპარსელებმა ხერხს მიმართეს. მათ თავის მიზნის მისაღწევად სიმონის უღირსი ძმა დავითი გამოიყენეს. ამ დავითმა სპარსეთში მუსულმანობა მიიღო და დაუთ-ხანის სახელწოდებით არის ცნობილი. შაჰ თამაზმა მისცა მას ჯარი და ქართლის დასაპყრობად, სიმონ მეფის ჩამოსაგდებად გამოგზავნა.

მთელი ორი წლის განმავლობაში (1567—69) ებრძოდა დაუთ-ხანი სიმონს, მაგრამ ვერას გახდა. საქმე წაახდინეს ისევ ზოგიერთმა ფეოდალებმა. ისინი დაუთ-ხანს მიემხრენ; სიმონ მეფე დამარცხებულ იქმნა და სპარსეთს ტყვედ წაიყვანეს. ქართლის ტახტზე დაუთ-ხანი ავიდა. ზოგიერთი ფეოდალები, რომელნიც თავიდანვე ეწინააღმდეგე-გებოდნენ დაუთ-ხანს და რომლებშიაც ეროვნულმა თავმოყვარეობამ გაიღვიძა—სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ და ძალიანაც აწუხებდნენ მტერს (საჩინო ბაჩათაშვილი და სხვ.). ბოლოს და ბოლოს სპარსეთ-ოსმალეთის ქიშპობამ კვლავ საქმე ისე წაიყვანა, რომ სიმონ I საქართველოს ტახტს დაუბრუნდა.

1553 წლის საზავო ხელშეკრულების მიუხედავად, ოსმალ-სპარსელები კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას. დაწყებულ ომის დროს ოსმალთა ჯარმა მუსტაფა ლალა-ფაშის მეთაურობით გამოიარა სამცხე და სპარსეთისაკენ მიეშურებოდა. 1578 წელს არტაანის ოლქში, ჩილდირთან მოხდა ბრძოლა, რომლის დროსაც ოსმალებმა სპარსელნი სასტიკად დაამარცხეს. ჩილდირის ბრძოლამ სპარსეთის ბედნი საბოლოოდ გადასწყვიტა. ოსმალებმა დაიჭირეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო, ერევანი, თავრიზი და თითქმის მთელი ჩრდილოეთი აზერბეიჯანი. დაუთ-ხანი ტყვედ ჩაიგდეს და სტამბოლს გაჰგზავნეს.

მაშინ კი მოაგონდათ სპარსელებს მათთან ტყვეობაში მყოფი სიმონ მეფე და მისი გამოყენება მოინდომეს. სიმონს მისცეს ფული, ჯარი და ქართლში გასამეფებლად გაჰგზავნეს. სიმონი ამას დათანხმდა, და მართლაც, ზოგიერთ ფეოდალების დახმარებით—ქართლის სამეფო მალე დაიბრუნა. ოსმალებს დარჩათ მხოლოდ ტფილისი და მისი სამხრეთი მიდამოები. ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქი იმ დროს გორი იყო და სიმონიც იქ დაჯდა.

თავისი გუშინდელი მტრების—სპარსელების დახმარებით სიმონ მეფე ოსმალებთან ბრძოლას განაგრძობს. ამ ბრძოლაში მასთან არიან ქართლის მოწინავე პირები და თვით ხალხი, ვინაიდან ოსმალთა ბატონობა სპარსელებისაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა. სპარსელები ქართლის შინაურ საქმეებში აგრე-რიგად არ ერეოდნენ ხოლმე, ოსმალები კი ყოველგვარი დამოუკიდებლობის ნასახს სპობდნენ. სიმონი ოსმალებ-

თან უფრო პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა. იგი რამდენიმეჯერ ტფილისსაც მიაღწია, გარემოცვა დაიწყო, მაგრამ ქალაქის აღება ვერ მოახერხა. სიმონი სცდილობდა იმერეთის შემოერთებასაც და იქიდან ოსმალთა განდევნას. ამ მიზნით მან რამდენიმეჯერ გაილაშქრა იმერეთის გასანთავისუფლებლად, მაგრამ ოსმალთა ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდა და უკან გამობრუნდა.

ვიდრე ოსმალ-სპარსთა ბრძოლა სწარმოებს—სიმონ მეფე სპარსეთს ემხრობა და სცდილობს საქართველოს გაერთიანებას თუნდაც სპარსეთის მფარველობის ქვეშ. ოსმალებს კარგად ესმით სიმონის განზრახვათა მნიშვნელობა. ისინი გადასწყვეტენ თავიდან მოიშორონ ეს საშიში მეფე და შფოთიანობის ბუდე—გორი დაანგრიონ. 1599 წელს ოსმალების დიდძალი ჯარი თავს ესხმის გორს, ამარცხებს სიმონს და ოსმალეთში ტყვედ მიჰყავს. სიმონ მეფე ტყვეობაში, სამშობლოს მოშორებული გარდაიცვალა. ქართველებმა დიდი ძღვენი გაიღეს ოსმალთა სასარგებლოდ, რათა სიმონის წამოსვენების ნება-რთვა მიეღოთ. მართლაც იგი დიდის ზეიშით ჩამოასვენეს და მკვებთაში დაკრძალეს.

ასე გმირულად დაიღუპნენ მამა და შვილი (ლუარსაბ და სიმონ) თავისი ქვეყნის გარეშე მტრებთან ბრძოლაში. მთელი საქართველო სწორედ ამ გარეშე ძალებს უვარდება ხელში. თავისუფლებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდება.

ლუარსაბ II (1605—1616) და თეიმურაზ I (1605—1648). სიმონ პირველის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები კარგა ხნის განმავლობაში სპარსეთისადმი მორჩილებით ფიქრობენ თავისი ქვეყნის მოღონიერებას. ასეთს პოლიტიკას აწარმოებდნენ ჯერ გიორგი მე-X (1600—1605); ხოლო მერე ლუარსაბ მე-II. საქართველო განაგრძობდა სპარსეთისადმი ხარკის ძღვევას.

ამ დროს სპარსეთი, რომელიც ოსმალეთის მიერ ჩილდირთან დამარცხების შემდეგ ძლიერ მოუძღურებული იყო—კვლავ ფეხზე დგება. მას ჰმარათავს ფრიად ნიჭიერი შაჰ-აბას დიდი (1587—1628). შაჰ-აბასმა 1603 წელს თავიოზი, შემდეგ ერევანი დაიბრუნა და სცდილობდა ოსმალნი მთლად გაერეკა სპარსეთის ყოფილ ტერიტორიიდან. მალე აბასმა მესოპოტამია და ქურთისტანიც დაიპყრო. ოსმალებთან ბრძოლასთან ერთად შაჰ-აბასი თავის სამეფოს შინაურ წესწყობილების გაუმჯობესებისათვისაც ძლიერ ზრუნავდა. მან შეჰქმნა მუდმივი ჯარი, ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას და მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან. მოუძღურებული სპარსეთი მის დროს ერთხელ კიდევ გაიმართა წელში და კვლავ პირველ ხარისხოვან ძალად გადიქცა. წინა აზიაში.

როგორც ვსთქვით, გიორგი მე-X სპარსეთის ერთგულებას არ ღალატობდა და ამით სურდა თავისი სამეფოს შენარჩუნება. მაგრამ სპარსეთის დაუკითხავად მან სამეფოს შეუერთა ლორის მხარე. შაჰ-აბასმა ძლიერ იწყინა ეს ამბავი და გიორგი, აგრეთვე კახეთის მეფე ალექსანდრე მე-II თავისთან დაიბარა. მეფენი ეახლნენ და მონაწილეობა მიიღეს შაჰ-აბასთან ერთად ერევნის გარემოცვაში. შაჰმა კვლავ ჩამოართვა გიორგის ლორის მხარე, რადგან ქართლის სამეფოს გაძლიერებას ვერ შეურიგდებოდა. „ვინაიდან იყო შაჰ-აბას მცბიერი ლა სწადდა დამცირება ქართლისაო“, — ანბობს ამ შემთხვევის გამო ბატონიშვილი ვახუშტი.

კახეთის ზემოხსენებული მეფის ალექსანდრე მე-II ხანა სხვათა შორის იმითაც არის აღსანიშნავი, რომ კახეთის მმართველები სცდილობდნენ გარეშე ძალთა უღლის კისრიდან გადაგდებას. ამ მიზნით ალექსანდრე მეორემ 1587 წელს რუსეთის მეფე თევდორე იოანეს ძეს მიმართა და დახმარება სთხოვა. რუსეთი დაჰპირდა კახეთს საერთოდ გარეშე მტრისაგან დაცვას, კერძოდ ლეკთა და ოსმალთა მოგერიებას. სამაგიეროდ ალექსანდრემ ყოველ წლიურად ხარკის ძლევა აღუთქვა. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებიდან ვერა გამოვიდა რა: რუსეთი თუმცა ნელ-ნელა მოიწევდა სამხრეთისაკენ, მაგრამ იმ ხანებში რაიმე სამხედრო მოქმედების წარმოება კავკასიაში ჯერ კიდევ არ შეეძლო.

გიორგი მე-X შემდეგ ქართლში ტახტზე ავიდა ლუარსაბ მე-III. შაჰ-აბასი მასთან კარგ განწყობილებას იყო და ენათესავებოდა კიდევ: მას ცოლად ჰყავდა ლუარსაბის დაჲ თინათინ. მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ამისთვის შემდეგში თავისი ცოლის ძმა ეწამებინა.

ალექსანდრეს შემდეგ კახეთში შფოთი და არეულობა ასტყდა. კარგა ხნის ბრძოლისა და ურთიერთ მიხტომ-მოხტომის შემდგომ 1605 წელს შაჰ-აბასის თანხმობით კახეთის ტახტი დაიჭირა თეიმურაზმა, რომელიც თეიმურაზ პირველის სახელწოდებით მეფობდა.

როგორც ლუარსაბი, ისე თეიმურაზი თავისი დროის შესანიშნავი მოღვაწენი იყვნენ. ლუარსაბ მეფეს კარგად ესმოდა მეფის უფლების და მისი გავლენის გაძლიერების მნიშვნელობა. ამიტომ იგი სასტიკად ებრძოდა ფეოდალებს, რომელნიც იმდენად გათამამებულ იყვნენ, რომ მეფეებს თავის ნებისყოფას უკარნახებდნენ. ლუარსაბი მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში დაბალ აზნაურებს ემყარებოდა და მათის დახმარებით დიდგვარიანთა ალაგმვას ჰფიქრობდა. რასაკვირ-
ლია, არც დიდგვარიანები რჩებოდნენ გულზე ხელდაკრეფილნი. მათ

რამდენიმეჯერ მეფის მოკვლაც კი მოინდომეს, მაგრამ შეთქმულება გამქვინდა და ფეოდალებმა წადილს ვერ მიაღწიეს.

თეიმურაზ I-ც ტახტზე თუმცა შაჰ-აბასის თანხმობით ავიდა, მაგრამ საქმე ისე მოეწყო, რომ იგი უსასტიკესი და ფრიად ენერგიული მებრძოლი გახდა სამშობლოს გასანთავისუფლებლად სწორედ იმავე სპარსელების და შაჰ-აბასის ბატონობისაგან. სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლის დროს თეიმურაზს ბევრი ჟებდურება გადახდა: იგი ხან კახეთის მეფედ იყო, ხან ქართლისა, ხან ორთავისი ერთად, ხან კი მტერთაგან დევნილი თავის ქვეყნის გარეშე ცხოვრობდა. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მას იარაღი არ დაუყრია და მტერთან შეურიგებელი, ტყვეობაში მიიცვალა.

თეიმურაზი ცნობილია როგორც პოეტიც. იგი საუკეთესო წარმომადგენელია ქართული მწერლობის ეგრედწოდებული აღორძინების ხანისა. მონგოლთა შემოსევის შემდეგ—ქართული მწერლობა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში დაცემის პერიოდს განიცდიდა. თეიმურაზ I იყო ის მგოსანი, რომელმაც, როგორც მთარგმნელმა და აგრეთვე ორიგინალმა მგოსანმა—ქართული მწერლობა ფეხზე წამოაყენა და სწორედ მისით იწყება ხსენებული „აღორძინების ხანა“.

ლუარსაბ მე-II და თეიმურაზ I მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და თითქმის ყოველთვის საერთო ძალით უმკლავდებოდნენ მტრებს. თეიმურაზმა შეირთო ლუარსაბის დაი, რამაც მათი კავშირი უფრო განამტკიცა. ორივე მეფე მხოლოდ იმაზე ჰფიქრობდა, რამენაირად სპარსეთისაგან განეთავისუფლებინა ქვეყანა, კისრიდან გადაეღო ის სამარცხვინო ხარკი, სპარსეთს აღმოსავლეთ საქართველოსთვის, რომ დაედო.

შაჰ-აბასის პირველი შემოსევა. შაჰ-აბასი აღმაცერად უყურებდა ლუარსაბის და თეიმურაზის დაახლოებას. მას ეშინოდა მეფეებს კავშირი არ შეეკრათ სპარსეთის წინააღმდეგ. ამიტომ აბასმა ლუარსაბსა და თეიმურაზს მძევლად მოსთხოვა შვილები. ამით მას უნდოდა ქართლ-კახეთის მმართველების ერთგულება უზრუნველყო. მეფეებმა შაჰის მოთხოვნისზე შეასრულეს და შვილები სპარსეთს გაჰზავნეს. აბასი ამის შემდეგაც არ დამშვიდებულა და კვლავ ეჭვიანობას განაგრძობდა. მალე მან თვით ლუარსაბი და თეიმურაზიც სპარსეთს მიიწვია. ახლა კი მიხვდნენ მეფეები შაჰის ზრახვას, მიხვდნენ „მიპატივების“ საშიშროებას და სპარსეთს წასვლაზე უარი განაცხადეს. ამან საბოლოოდ დაარწმუნა შაჰი თავის ეჭვების სიმართლეში. მან იფიქრა, ლუარსაბ და თეიმურაზ ჩემს წინააღმდეგ გამოლაშქრებას ჰფიქრობენო და თვით იწყო მათ დასასჯელად მზადება.

1614 წელს შაჰ-აბასი აუარებელი ჯარით ქართლ-კახეთს შე-
მოესია და უღმობლად ააოხრა. ლუარსაბი და თეიმურაზ იძულებულ-
ნი გახდნენ იმერეთს გაქცეულიყვნენ. შაჰი განსაკუთრებით თეიმურაზს
ემდღურებოდა. ლუარსაბთან სამტრო არა მაქვს რაო, ამბობდა იგი
და თავისთან იწვევდა. მართლაც ლუარსაბი შაჰს შეურთვდა, გამო-
ცხადდა მასთან და შეადგე სპარსეთს იქნა გაგზავნილი. თეიმურაზს
კახეთში დაბრუნების. იმედი არ დაუკარგავს და ბრძოლას განაგრ-
ძობდა სხვადასხვა საშუალებით. მან დახმარება სთხოვა ოსმალეთსა
და რუსეთს, მაგრამ ფაქტიურად შემწეობა ვერა მიიღო—რა.

მიუხედავად შაჰთან მორიგებისა, ლუარსაბს მაინც ბედმა
უმტყუნა. სპარსეთში აბასმა მოსთხოვა მას მუსულმანობის მიღება.
ტყვედ მყოფმა მეფემ შაჰის წინადადება გადაჭრით უარჰყო, რისთვისაც
იგი წამებით მოჰკლეს 1626 წელს. იმ ხანებშივე აწამეს თეიმურაზის
დედა, ქეთევან დედოფალი (1624 წ.). იგი სპარსეთში გაჰყვა თეი-
მურაზის შვილს, როდესაც შაჰ-აბასმა ეს უკანასკნელი მძევლად წაი-
ყვანა. ქეთევან დედოფალს ქრისტიანობაზე ხელის აღება მოსთხოვეს
და როდესაც მან უარი განაცხადა, საშინლად აწამეს.

ქეთევან დედოფლის და ლუარსაბ მეფის დაღუპვას პოლიტიკუ-
რადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც წინად, ისე იმ ხანებ-
შიაც სარწმუნოება და ეროვნება ხალხის თვალში ერთსა და იმავე
ცნებას წარმოადგენდა. ხსენებულ პირთა მოწამებრივი სიკვდილი
იპით იყო მნიშვნელოვანი, რომ უცხოელთა და ისიც „უსჯულოთა“
(ასე ეძახდნენ ქართველნი ყველა არა ქართველებს) წინააღმდეგ ბრძო-
ლაში ხალხს ენერგიას ჰპატებდა.

შაჰ-აბასის მეორე შემოსევა. ქართლ-კახეთის პირველი აოხრე-
ბის შემდეგ შაჰ აბასმა ქართლის მმართველად დაუთ-ხანის შეილი
ბაგრატი დანიშნა, ხოლო კახეთი გამუსულმანებულ ქართველს—ისა-
ხანს ჩააბარა.

1615 წელს თეიმურაზმა ზოგიერთ კახელ დიდებულთა დახმა-
რებით სპარსელები დაამარცხა და ხელახლა გამეფდა. თეიმურაზი
დიდხანს არ დარჩენილა ტახტზე. გაშმაგებულმა აბასმა გადასწყვიტა
ურჩი კახეთისა და თეიმურაზის სამაგალითოდ დასჯა. იმავე 1616
წელს სპარსელთა ჯარი, რომელიც ქართველებისაზე რამდენიმეჯერ
მეტი იყო—წემოვიდა თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ. კახელები მამა-
ცად იბრძოდნენ და თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ შეწყვე-
ტილა შეტაკებანი. ბოლოს მტრის სიმრავლემ კახელნი ი სძლია, აბასმა
გაიმარჯვა და კახეთი სასტიკად აიკლო. შეუბრალებლად ამოხოცეს
გამარჯვებულებმა თითქმის 80 ათასი მცხოვრები. ასი ათასი—სპარ-

სეთს (ქერმანსა და ფერეიდანში) გადაასახლეს და მათ ძალით მუსულმანობა მიაღებინეს. სპარსეთში (კერძოდ ფერეიდანს) ახლაც მოიპოვება ქართული სოფლები, საც შაჰ აბასის დროს გადასახლებულთა ჩამომავლობა სცხოვრობს. ისინი მუსულმანები არიან, მაგრამ თავის სამშობლო ჯერ კიდევ ახსოვთ.. არც ენა დაუკარგავთ სავსებით და ზოგიერთი ქრისტიანული ჩვეულებანიც შერჩენიათ.

შაჰ-აბასის მეორე შემოსევის შემდეგ კახეთი თითქმის გაუკაცრიელდა. შაჰის ბრძანებით მთელ კახეთში აჩენეს თუთის ხეები, რათა მცხოვრებთათვის აბრეშუმის ქიის მოშენების საშუალება წაერთმიათ. ამ უბედურებას ზედ დაერთო ლეკთა ბრბოების თარეში, რომელთაც შაჰ-აბასი აქეზებდა: მე აქ დავხოცავ კახელებს, თქვენ მანდ, მთებში გაქცეულები ამოჟლიტეთო.

აოხრებულ იქმნა ქართლის ერთი ნაწილიც. იმ დროიდან იწყება საქართველოს ისტორიის ერთი შავ-ბნელი ხანათაგანი, როდესაც თუ არ გამუსულმანებულს, — ართლ-კახეთის ტახტის დაჭერა ისე არავის შეეძლო. შინაური განხეთქილება და შფოთი, ფეოდალებსა და მეფეთა შორის ბრძოლა კვლავ გაძლიერდა. ხალხის კეთილდღეობა და ქონება ნიავდებოდა, ჰქრებოდა ამ მუდმივი ომიანობისა და არეულობის მეოხებით.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა პოლიტიკა იმ ხანებში კვლავ შეიცვალა. თეიმურაზ მეფემ სპარსეთის წინააღმდეგ შეველა ოსმალეთსა სთხოვა. ოსმალეთი ევროპის ფრონტზე აწარმოებდა ბრძოლას და აღმოსავლეთისათვის არ ეცალა. მან ვერავითარ დახმარება ვერ გაუწია თეიმურაზს. ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. ეს ბრძოლა დაკავშირებული იყო გიორგი სააკაძის პიროვნებასთან, რომელიც იმდროინდელ ამბებში დიდ მონაწილეობას ღებულობდა.

გიორგი სააკაძე. გიორგი სააკაძე თავის დროის პირმშო შვილი იყო. მის პიროვნებაში ჩაწნულია ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაიც ახასიათებდა მისი დროის ქართველ ძოღვაწეებს. სააკაძე ტიპიური წარმომადგენელია თავის ეპოქისა და ამიტომ მისი ცხოვრების გაცნობა მრავალმხრივ საინტერესოა.

სააკაძე უბრალო და ღარიბი აზნაურის შვილი იყო. იგი ამაღლდა თავისი პირადი ნიჭიერების, გამოცდილების, ვაჟაკობის წყალობით. როდესაც მეფე ლუარსაბ მე-11-მ მისი დაჲ ცოლად შეირთო — სააკაძე უკვე ტფილისის მოურავად იყო. დიდგვარიანები ძლიერ აღმაცერად უყურებდნენ როგორც გიორგის, ისე მის დას. ამ დიდგვარიანებთან ბრძოლაში ლუარსაბი მუდამ ენერგიულ და უშიშარს გიორგის ეყრდნობოდა, რაც უფრო მეტად აბრაზებდა მსხვილ

ფეოდალებს. ბოლოს იმდენი ჰქენს, რომ ლუარსაბსა და მოურავს შორის უთანხმოება ჩამოაგდეს. ფეოდალებს ვერ მოენელებინათ უბრალო აზნაურის—სააკაძის გავლენა მეფეზე. თვით დედოფალსაც დასცინოდნენ: ვაი, რა დროს მოვესწართ, ქართლის ტახტზე უბრალო აზნაურის ქალი ზისო. ამ ნიადაგზე გახშირდა ერთმანეთის ქირდვა, ენატანიობა. ბეზღება, ლუარსაბს ჩააგონეს, გიორგი სააკაძე გმტრობსო. ბოლოს მიზანს მიაღწიეს და ლუარსაბმა გიორგის მოურაობა წაართვა. დიდებულებმა სცადეს სააკაძე მოეკვლევინებინათ კიდევ, მაგრამ ვერ მოახერხეს. მოურავი ბედს არ დამორჩილებია და შაჰ-აბასთან გაიქცა.

აბასს გაგონილი ჰქონდა სააკაძის გმრობა და პატივით მიეგება. მალე გიორგი მან თავის სამსახურში ჩარიცხა და მრავალ ლაშქრობაში მონაწილეობა მიაღებინა. სწორედ იმ დროიდან იწყება დიდი მოურავის მღელვარე ცხოვრება, ათასგვარი ცვლილება მისი ბედისა, რამაც ისტორიას საბოლოო მისცა სააკაძისათვის ქართველთა ალკიბიადე*) ეწოდებინა.

შაჰ-აბასის მიერ გამეფებული ბაგრატიის ხანმოკლე მმართველობის შემდეგ ქართლის ტახტზე ბაგრატიისავე ძე, გამუსულმანებულის ხიმონ მე-II ავიდა. ქართველობა ამას ვერ ურიგდებოდა და კერძოდ სიმონ მე-II ძლიერ სძულდა. სპარსელთა საწინააღმდეგო ბრძოლას იმ ხანებში ზოგიერთი მსხვილი ფეოდალებიც მიემხრნენ. არაგვის ერისთავმა ზურაბმა სპარსელების დახმარებით თავის ძმის მამული წაართვა, მაგრამ შემდეგ სპარსელებს ზურგი უბრუნა და სიმონ მე-II ბრძოლა დაუწყო. სიმონ მეფე საჩივლელად სპარსეთს წავიდა. შაჰ-აბასთან მყოფს გიორგი სააკაძეს ცოლად ზურაბ ერისთავის დაჰჰყავდა. ამიტომ ზურაბი არ შეშინებულა და შაჰს თვითონაც ეახლა. აბასმა სიმონ მე-II და ზურაბი მოარიგა და ორთავეს დახმარებას დაჰპირდა. მალე შაჰმა ქართლში აუარებელი ჯარი გამოჰგზავნა, რათა სპარსეთის საწინააღმდეგო მოძრაობა მთლად აღმოეფხვრა. ამ ჯარს სპარსელი ყორჩიხანს და გიორგი სააკაძე წინამძღოლობდნენ. მოურავს და სხვებს შაჰმა მხოლოდ ქართლის დამორჩილება უბრძანა, ყორჩიხანს კი საიდუმლო დავალება მისცა: რადგან ქართლი არ ისვენებს და იქაური ამბები ძლიერ გვაწუხებს, ამოსწყვიტე მთლად ქართველობა და მათ მაგივრად მუსულმანები დაასახლეო.

*) ალკიბიადე ბერძენთა გამოჩენილი მხედართ-მთავარი იყო. მან რამდენიმეჯერ ულაოტა თავის დედა-ქალაქ ათინას, გაიქცა სპარსეთს, შემდეგ დაბრუნდა, კვლავ გაქცევა მოუხდა და ბოლოს ისევ სპარსეთში მიიცივალა.

ქართლი მართლაც აოხრებული იქმნა, ვითომდა „ფეოდალების“ ასალაგმავად. მაგრამ შაჰ-აბასის ვერავი გეგმის შესრულებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ყორჩიხანს დავალება კარგად ახსოვდა და მის განსახორციელებლად ემზადებოდა.

ყორჩიხანმა ს. მუხრანს ახლო მიიწვია ქართლის დიდებულები: შაჰის ფირმანი (ბრძანება) უნდა გაუწყოთო. როდესაც მოწინავე პირები მართლაც შეგროვდნენ დანიშნულ ადგილს—ყორჩიხანმა მრავალი მათგანი მღულოდნელად დაახოცინა. ზოგიერთმა მხოლოდ ბრძოლით გაიკათა გზა და კახეთს გაიქცა.

სააკაძე სპარსეთს ებრძვის, შაჰ-აბასს არც გიორგი სააკაძის გაძლიერება მოსწონდა. მას კარგად ესმოდა, რომ რაკი დიდ მოურავს ქართლში კვლავ გავლენა მოეპოვნა, შეიძლებოდა იგი სპარსელებისათვისაც საშიში გამხდარიყო. და აი, როდესაც სააკაძე ყარაიანში ნადირობდა, მან შაჰის მოციქული დაიჭირა. მოციქულს აბასის წერილი აღმოაჩნდა. შაჰი ყორჩიხანს სწერდა: გიორგი სააკაძეს თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნეო. ახლა კი მიხვდა თავის მდგომარეობის სიმძიმეს დიდი მოურავი. ერთხელ იგი ფეოდალებმა აიძულეს სამშობლოს განშორებოდა. შემდეგ მან თითქოს მათზე შური იძია და სპარსელთა ჯარით ქართლი დაარბია. ახლა დადგა დრო, როდესაც მოურავს თავი უნდა დაეცვა თავისსავე მუარველ სპარსელთაგან. სააკაძეს დიდხანს არ უყოყმანია. მან ფიცხლავ ომისათვის მზადება იწყო. ამ მიზნით იგი თავის მოსისხლე მტრებს—ფეოდალებსაც კი შეურიგდა.

1623 წელს სააკაძემ დიდ ბრძოლაში სპარსელები სასტიკად დაამარცხა. ომის დროს მოიკლა ყორჩიხანიც. ამ გამარჯვებამ ქართლ-კახეთის ბედი გადასწყვიტა: ორივე სამეფო სპარსელთა ბატონობისაგან განთავისუფლდა. კახეთს კვლავ დაბრუნდა თეიმურაზ I, რომელიც სამეფოს მოჰშორებოდა 1616 წლიდან. ქართლის ნამდვილი ბატონი სააკაძე შეიქმნა. მაგრამ საქმე მალე უკუღმა დატრიალდა. შაჰ-აბასმა გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ქართლი დაემორჩილებინა და სააკაძეც დაესაჯნა. სპარსელთა აუარებელი ჯარი მალე ტფილისს მიუახლოვდა. დიდმა მოურავმა პირველ შეტაკებაზე სპარსელები დაამარცხა, მაგრამ ს. მარაზდასთა მტრის სიმრავლემ სძლია. სასტიკი იყო იქ ბრძოლა. მასში თეიმურაზ მეფეც მონაწილეობდა თავისი ჯარით. ოცდაათი ათასამდე მეომარი დაილუპა ორთავე მხრით, მაგრამ ბოლოს რიცხვმა გადასწყვიტა ომის ბედი. სხვათა შორის, ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი და ცხრავე ძმა მაჩაბელნი. ქართველთა ლაშქარი იმანაც

დააბრკოლა, რომ მის ხელმძღვანელთა შორის საჭირო ერთსულოვნობა არ ყოფილა.

გამარჯვებული მტერი ტფილისს შემოვიდა და სიმონ მე-II კვლავ ტახტზე აიყვანა. ქართლის უმეტესი ნაწილი მაინც სპარსელთა ბატონობის გარეშე დარჩა და ბრძოლას განაგრძობდა.

სააკაძის ოსმალეთს გაქცევა. მარაბდასთან დამარცხების შემდეგ სააკაძეს იირაღი არ დაუყრია. იგი განაგრძობდა სპარსელებთან პარტიზანულ ბრძოლას, აქა-იქ თავდასხმას და ძლიერადაც აწუხებდა მათ. ერთ შეტაკებაში დიდმა მოურავმა თავისიანებით 700 სპარსელი ამოხოცა. ბირთვისის ციხის აღების დროს მან რამდენიმე ათეული კაცით მეციხოვნე 500 სპარსელი დაა არცხა და ტყვედ ჩაიგდო.

მაგრამ საქართველოს მართო გარეშე მტრები როდი ასუსტებდნენ. იქამადაც საქმე ისევ შინაურმა ქიშპობამ წაახდინა. არაგვის ერისთავი სააკაძეს ვერ ურიგდებოდა და 1626 წელს, კახელებთან ერთად, დიდ მოურავს თავს დაესხა. ბაზალეთის ტბასთან მოხდა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა. სააკაძის რაზმი დამარცხდა. მოურავი იძულებული გახდა ჯერს ამცხეს გასულიყო, იქიდან კი ოსმალეთს, სულთანთან წავიდა. ოსმალეთში სააკაძემ მუსულმანობა (სუნიტობა) მიიღო, ოსმალთა სამხედრო სამსახურში შევიდა და მრავალ ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას. 1629 წელს დიდ მოურავს უმაღლეს პირთა წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობა დააბრალეს და 41 ქართველთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

ასე დაიღუპა ეს შესანიშნავი ადამიანი, რომლის ნიჭმა, ვაჟაკობამ და ბრძოლის ენერჯიამ შეიძლება მის სამშობლოს უფრო აგნო, ვიდრე რაიმე ასარგებლა. სააკაძე თავისი დროის შვილი იყო, მის ნაკლსა და ღირსებას ატარებდა და მსხვერპლი შეიქმნა იმ ტრაგიკული მდგომარეობისა, რომელშიაც ჩავარდნილიყო მაშინდელი საქართველო.

თეიმურაზ I ქართლ-კახეთის ტახტზე. სააკაძის შემდეგ ქართლში ყველაზე ძლიერი პიროვნება არაგვის ერისთავი ზურაბი დარჩა. 1628 წელს მასი დახმარებით თეიმურაზი შეიქმნა ქართლის მმართველიც. რასაკვირველია სპარსელთათვის შეუწყნარებელი იყო ქართლ-კახეთის გაერთიანება. მათი უკმაყოფილება განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, თეიმურაზმა იმერეთის მეფე გირგვი მეოთხესთან დაახლოება რომ სცადა. სპარსელებმა მალე ძალა მოიკრიბეს და თეიმურაზი კვლავ განდევნეს აღმოსავლეთ საქართველოდან (1633 წ.), მეფე იმერეთს გადავიდა. სპარსელებმა ქართლში დაუთ-ხანის უკანონო შვილი, სპარსეთში აღზრდილი ხოსრო-მირზა დანიშნეს, ხოლო კახეთის მმართველობა სელიმ-ხანს ჩააბარეს.

როსტომ I (1634—1658). ხოსრო-მირზა, რომელიც როსტომის სახელწოდებით მეფობდა, — უკვე მოხუცი, 67 წლისა ავიდა ტახტზე. იგი ქკვიანი, ვნერგიული, მაგრამ ფანატიკოსი მუსულმანი მეფე იყო და ყველაფერს სპარსულს დიდს პატივსა სცემდა. მის დროს სპარსეთის გავლენა საქართველოში ფრიად გაძლიერდა. როსტომი ყველაფერში სპარსელებს ჰბაძავდა და მათ ემორჩილებოდა. თუმცა მეფე ერქვა, იგი უფრო შაჰის მოადგილე (ჯანიშინი) იყო. შეიცვალა თანამდებობის სახელებიც კი და ძველის მაგივრად სპარსული შემოვიდა. მეფის ახლობელ უმაღლეს წრეებში სპარსული ზნე-ჩვეულება გავრცელდა და ფეხი მკვიდრად მოიკიდა.

როსტომის დროს საქართველოში სპარსთა ჯარს უკვე მუდმივი ბინა აქვს. იგი სდგას ტფილისსა, გორსა და სურამში. როსტომი ყველა ურჩსა და აგრეთვე ფეოდალებთან ბრძოლაში ხსენებულ ჯარს ემყარებოდა. მეფის ხელისუფლება შედარებით ძლიერდება, მოღონიერდება, თუმცა მას ქართლის ზოგიერთი ნაწილი მაინც არ ემორჩილება. ფეოდალები მეფესთან თავის ძველებურ ბრძოლას განაგრძობენ. ამ ხანებში მათი ბრძოლა ეროვნულ ხასიათს ღებულობს. ისინი ებრძვიან უცხოელთა მიერ დაყენებულ მუსულმან მეფეს — მაშასადამე ფაქტიურად ებრძვიან გარეშე მტრებს, იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ იმჟამად ფეოდალებთან იყვნენ ქართლის მოწინავე პირებიც.

არსებითად ფეოდალების უმრავლესობა თავის სამთავროების, საერისთაოების დამოუკიდებლობისათვის იღვწოდა. მაგრამ როსტომი ხალხს სძულდა აგრეთვე როგორც რენეგატის ჩამომავალი. ფეოდალები სარგებლობდნენ ამ სულიერი განწყობილებით და იმერეთში გარდახვეწილ თეიმურაზის მეფედ მოწვევას პფიქრობდნენ. როსტომმა სპარსეთის ჯარის დახმარებით მეამბოხენი დაამარცხა (ქსნის და არაგვის ერისთავები). აჯანყებულები კახეთს გადავიდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ. იქ მათ სელიმ-ხანის დამარცხება მოახერხეს და კახეთის ტახტზე კვლავ თეიმურაზი ავიდა (1636 წ.). ამის შემდეგ ქართლის ფეოდალებმა თეიმურაზის სახით საიმედო მოკავშირე პპოვეს. ყველა უკმაყოფილოს კახეთისაკენ პქონდა თვალი მიპყრობილი და იქიდან მოელოდა შველას. დიდი ხნის განმავლობაში ამბოხებანი არ შეწყვეტილა. ერთი აჯანყება ისეთი ძლიერი იყო, რომ როსტომი დამარცხდებოდა, მეამბოხეებისათვის სომხის მელიქს ყორმაზ-ბეგს რომ არ ეღალატნა.

ამბოხებათა დამარცხებამ ზოგიერთ ფეოდალს გუნება უცვალა. სპარსელთა და როსტომის მოწინააღმდეგეებში უთანხმოებამ იჩინა

თავი. ამილახორი და არაგვის ერისთავი როსტომ მეფეს შეურიგდნენ და მისგან უმადლესი თანამდებობანი მიიღეს. თეიმურაზი თავისის კეთილშობილი მისწრაფებით დროებით მარტო დარჩა.

თეიმურაზის განდევნა კახეთიდან (1648). თეიმურაზი და როსტომი ორი მოწინააღმდეგე ძალა იყო. პირველი დამონებული ერის გასათავისუფლად იბრძოდა და გამარჯვების იმედი არასოდეს დაჰკარგვია. მეორე (როსტომი)—შვილი იყო ძმის მოღალატისა, თავის ერთან არაფრით დაკავშირებული, ყურ მოჭრილი მონა თავის ბატონ სპარსელებისა. როსტომი ჭკვიანია, მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობა უმთავრესად სპარსელთა გაძლიერების სასარგებლოდ და ქართველი ეროვნების დასუსტებისაკენაა მიმართული. გასაგებია, რატომ ებრძვის გააფთრებით როსტომი თეიმურაზს. მას ჰსურს მოსპოს მეზობლად მყოფი ბუდე შფოთიანობისა, მოსპოს იგი ძირიან-ფესვიანად. თეიმურაზის გაძლიერება—სპარსელთა დასუსტებას, მაშასადამე, როსტომის დამცირებასაც ნიშნავს: ის ხომ საქართველოში ჯანიშინია (მოადგილე) სპარსეთის შაჰისა.

1648 წელს როსტომმა სპარსელთა ჯარებით თეიმურაზი საბოლოოდ განდევნა კახეთიდან. მეფემ ისევ იმერეთს მიაშურა. ეს უკანასკნელი დამარცხება თეიმურაზისათვის მით უფრო მწვავე იყო, რომ ბრძოლაში საყვარელი შვილი დავითი მოუკლეს. ამ პირადმა უბედურებამ ვერ გასტეხა თეიმურაზი და მას თავი არ დაუნებებია ბრძოლისთვის. თავის ზანგრძლივი განდევნილობის ჟამს თეიმურაზმა სხვათაშორის ინახულა სულთანნი და რუსეთის მეფე. სტამბოლს იგი შევიდა 700 კაცით, რომელთაც ჰყავდათ ცხენები „ფრიად მდიდრად აღკმაზულნი“. ვერც ერთმა მათემ ვერ გაუწია თეიმურაზს დახმარება, ვინაიდან არც ერთს არ შეეძლო იმ დროს საქართველოს საქმეებში ჩარევა.

საკუთარ სამეფოდან განდევნილი, მაგრამ მტერთან შეურიგებელი ნიიცვალა თეიმურაზ უცხოეთში. როსტომის შემკვიდრემ შაჰ-ნავაზმა, როდესაც იმერეთი დაიპყრო, იქ მყოფი თეიმურაზიც ტყვედ იგდო. შაჰ-ნავაზმა იგი სპარსეთს გაგზავნა, სადაც თეიმურაზს პატივით მიეგებნენ. მაგრამ როდესაც შაჰ-აბას მეორემ მას მუსულმანობის მიღება მოსთხოვა—მხცოვანმა მეფემ სჯულის შეცვლა არ მოინდომა და გადაჭრით უარი უთხრა. ამის გამო იგი ასტრახანის საპყრობილეში ჩაადგეს, სადაც 1663 წელს მიიცვალა.

თეიმურაზი ცნობილია არა მარტო როგორც პოლიტიკური მოღვაწე. როგორც წინად აღვნიშნეთ, იგი გამოჩენილი მგოსანი და მთარგმნელიც იყო. მისი ნაწერები გამსჭვალულია სევდა-კაეშნის

გრძნობით და წუთისოფლისადმი სამღურავით. რაც შეეხება თარგმანებს—მან სპარსულიდან გადმოიღო „ვარდ-ბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“ და სხვ.

ვახტანგ მე-Ⅴ—შაჰნავაზ (1658—1675). თეიმურაზ მეფის სიკვდილის შემდეგ კახეთს კვლავ სელიმ-ხანი განაგებდა. აოხრებული, დარბეული ქვეყანა თითქმის გაუკაცრიელებულიყო. სპარსელები სცდილობდნენ თავისიანებით დაესახლებინათ დაცარიელებული კახეთი და სწორედ იმ ხანებში იყო, რომ იქ ზნათსამდე თათარი დაესახლა.

ქართლის ტახტზე იმ დროს გამაჰმადიანებული ქართველი ვახტანგ მე-Ⅴ იჯდა. იგი ცნობილია შაჰ-ნავაზის სახელწოდებით. ვახტანგი მუხრან-ბატონთა გვარეულობიდან იყო გამოსული. თავის დროის მიხედვით მას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. მუსულმანობის მიუხედავად, იგი ქრისტიანობას მფარველობდა და ქართულ კულტურისათვისაც ზრუნავდა.

შაჰ-ნავაზი სცდილობდა იმერეთის შემოერთებას. ერთ დროს იქ თავისი ძე არჩილიც კი გაამეფა. არჩილი ქართული მწერლობის აღორძინების ხანის ერთი მგოსანთაგანია. ქართულ ლიტერატურაში მან პირველად შემოიტანა აშკარა ეროვნული კილო, როგორც პოლიტიკური მოღვაწე კი—არჩილი სუსტი გამოდგა.

კახელები ვერ ურცხვდებოდნენ თათრების ბატონობას და მათთან ხშირი შეტაკება ჰქონდათ. აფრიალდა აჯანყების დროშა და სელიმ-ხანი იძულებული გახდა გაქცეულიყო. კახეთში დასახლებული თათრები აჯანყებულებმა თითქმის მთლად ამოსწყყიტეს. ქართველებს მეთაურობდნენ ზაალ ერისთავი, კახელი თავადიშვილი ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები ელიზბარ და შალვა. ეს სამნი გამოჩენილი პირნი ბოლოს შაჰს ჩაუვარდნენ ხელთ და მანაც სამთავე წამებით მოჰკლა*).

სპარსეთს უნდოდა კახეთი რამენაირად დაემშვიდებინა და დასთანხმდა იქ შაჰ-ნავაზის შვილი არჩილი გამეფებულიყო. მართლაც არჩილი იმერეთიდან კახეთს გადავიდა და იწყო ქვეყნის მართვა-გამგეობა. იგი სცდილობდა აოხრებული ქვეყნის კვლავ აღდგენას და გაუდაბნოებული კუთხეების ხალხით დასახლებას. კახეთის მუსულმანი მმართველები ყარაღაჯში ისხდნენ და იქიდან ჰმართავდნენ თავის სამფლობელოს. არჩილმა კახეთის ძველი დედა-ქალაქი თელავი აღადგინა და იქ სცხოვრობდა. ამნაირად მამა-შვილის ხელში აღმოსავ-

*) ამ ხანას ვხვება აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“.

ლეთი საქართველო თითქოს გაერთიანდა. მაგრამ ეს გაერთიანება მკირეხნოვანი აღმოჩნდა.

ქართველს ფეოდალებს და მოწინავე პირებს ეთაკილებოდათ საქართველოს ტახტზე მუსულმანი რომ იჯდა და ზაალ ერისთავის მეთაურობით შაჰ-ნავაზს აუჯანყდნენ. ზაალს ის ფეოდალებიც მიემხრნენ, რომელნიც შაჰ-ნავაზს ემტერებოდნენ, როგორც მუხრან-ბატონთა გვარეულობიდან გამოსულს. ისინი კვლავ ბაგრატიონებას პირდაპირი შტოს გამეფებას მოითხოვდნენ. ვახტანგმა შესყიდულ პირებს ზაალ ერისთავი დუშეთში მოაკვლევინა. სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალებისათვის ენერგიული მჭთაურის ზაალის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო. ამის გამო ბრძოლაც ამის გამო დროებით შეფერხდა.

ვახტანგს არც სპარსელები ემადლიერებოდნენ. მათ არ მოსწონდათ მისი გაძლიერება, იმერეთის შემოერთება (თუმცა დროებითი გამოდგა იგი), კახეთთან დაახლოება და სხვ. სპარსელები ერთხანად შახნავაზის დაჭერასაც კი აპირებდნენ. მათ ტფილისის გალავანი განაახლეს და კარებთან მუდამ დარაჯები ჰყავდათ დაყენებული—ვახტანგი უჩვენოდ არსად წავიდესო. მეფე მიუხვდა სპარსელებს განზრახვას და ქალაქ გარედ სცხოვრობდა.

საქართველოს მაშინდელი უბედური მდგომარეობის დამახასიათებელია მოწმობა ფრანგის მოგზაურის შარდენისა. მეტეხთან მეფე ისე ვერ გაივლიდა, რომ შიში არა ჰქონოდა, ვაი თუ სპარსელებმა ჩემი დაპატიმრების განკარგულება უკვე გასცეს, ვაი თუ ახლავე უნდა დამიჭირონო.

იმავე მოგზაურს (შარდენს) აწერილი აქვს შაჰ-ნავაზის სასახლის მორთულობა. აღწერილობიდან აშკარად ჩანს, რომ მიუხედავად საბედისწერო მდგომარეობისა, პოლიტიკური და ეკონომიური მხრით ჩამორჩენისა, საქართველოს მაინც შერჩენოდა გარეგანი ბრწყინვალეობა. სასახლეში არის დარბაზები, რომელიც მტკვარს და ბალებს გადასცქერის,—ამობს შარდენი. ბალები ძალიან დიდრონია. იქვე არის საფრინველო, სადაც მრავალგვარ ფრინველს ინახავენ, სამწვევარ-მეძებრო და ისეთი მშვენიერი საქორე, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. სასახლის წინ ოთხკუთხი ასპარეზია, სადაც ათას ცხენოსნამდე მოთავსდება. სასახლე მტკვრის პირადაა გადაკეცილი. მდინარის მხრით დარბაზი ახდილია. ძვირფასი თვლებით მოქედილ ქერს რამდენიმე დახატული და მოვარაყებულ სვეტი იმაგრებს. მთელი დარბაზი მშვენიერი ორბობითაა მორთული და სხვ.

საინტერესოა აგრეთვე შარდენის საუბარი იმავე ვახტანგთან (შაჰ-ნავაზთან). შაჰ-ნავაზს ძალიან ეინტერესება ევროპის ამბები და დაწ-

ვრილებით გამოჰკითხავს პოლიტიკურ ამბებს. ეტყობა ვახტანგს ეს-
მოდა ევროპიელებთან დაახლოვების მნიშვნელობა და ვაჭრობა-ხე-
ლოსნობის განვითარების დიდი მოსურნე იყო. ვახტანგმა შარდენს
განუცხადა: „მე ძლიერ მსურს ევროპიელები დაბინავდენ საქართვე-
ლოში. თუ ისინი სავაჭრო მიზნებით ჩამოვლენ ჩვენში, მე მათ ყო-
ველგვარ პრივილეგიას და უპირატესობას მივანიჭებ, რასაც კი ისინი
მოისურვებენ. ჩემი საბრძანებელი შავ-ზღვამდე აღწევს, სპარსეთში
დიდი გავლენა მაქვს და ოსმალეთში დიდს პატივს მცემენ. ამისათვის
ევროპიელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის ჩემს სახელმწიფოზე
უკეთესს გზას ვერ გამოიხატებენ. დარწმუნებული ვარ, ერთხელ რომ
სცადოთ ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას ძებნას აღარც დაუწყებ-
თო“.

არეულობის ხანა ქართლ-კახეთში. შაჰ-ნავაზის სიკვდილის შემ-
დეგ ქართლში მისი შვილი გიორგი მე-XI გამეფდა (1676—1688).
სპარსეთის მოთხოვნით იგი იძულებული იყო ტახტზე ასვლის წინ
მუსულმანობა მიეღო.

გიორგი მე-XI ფრიად ენერგიული მმართველი იყო და თანაც
დიდი მხედარი. იგი სცდილობდა ურჩი ფეოდალების დამარცხებას
და არც თუ სპარსეთს ემორჩილებოდა სავსებით. გიორგიმ მოინდომა
აგრეთვე, წინააღმდეგ სპარსელთა სურვილისა, კახეთი დაეპყრო. ეს
რომ შეესრულებინა, მას უნდა დაემარცხებინა სპარსელთა მიერ კა-
ხეთში მმართველად დანიშნული ბეჟან-ხანა. გიორგიმ გაილაშქრა კა-
ხეთისაკენ, მაგრამ ზოგიერთმა ფეოდალმა, სპარსეთის რისხვის მო-
ლოდინით შეშინებულმა, კრიტიკულ მომენტში უღალატა და ბრძო-
ლის ველი მიატოვა.

გიორგიმ მოინდომა დაემორჩილებინა აგრეთვე არაგვის ერის-
თავი გიორგი. მეფემ გაიმარჯვა, მაგრამ ქსნის ერისთავის ლალატმა
საქმე ჩაფუშა და იგი დაუბოლოებელი დარჩა.

სპარსეთს არაფრად მოსწონდა გიორგის ქართული პოლიტიკა
და ტახტიდან გადააყენება მოინდომა. საბაბად სპარსელებმა გამოი-
ყენეს გიორგის მიერ ერთი ჯაშუშის დასჯა და მეფე გადაყენებულად
გამოაცხადეს. ამ გაჭირვების დროს ფეოდალებმა უღალატეს გიორგის
და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ტფილისიდან გასულიყო. იგი
გადავიდა რაჭას. მის მაგივრად გამეფდა სპარსეთის კარზე ნამყოფი,
თეიმურაზ I-ის შვილიშვილი **ერეკლე**, რომელსაც მუსულმანობაში
ნაზალი-ხანს უწოდებდნენ.

ერეკლეს მეფობისთანავე ფრიად გაძლიერდა სპარსელთა გავ-
ლენა: ძველი მოხელები და დიდებულნი განდევნილი იქნენ და მათ

მაგივრად მეფემ სპარსეთის კარზე ნამსახური ქართველები მოიწვია. ამ გარემოებამ ფეოდალებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მოხდა აჯანყება და ნაზალი-ხანი განდევნეს. მის მაგივრად ქართლის სამეფო კვლავ გიორგი მე-XI ჩაუვარდა ხელთ. შეაქნა შფოთი და არეულობა. ბოლოს გიორგი მაინც დამარცხდა და ტახტზე კვლავ ნაზალი-ხანი დაბრუნდა.

ხალხი წუხნდებოდა როგორც შინაური ბრძოლისა და მიხტომ-მიხტომის გამო, ისე სპარსელთა ჯარის მიერ. სპარსელები თავისუფლად დათარეშობდნენ მთელ ქართლში და მცხოვრებლებს არბევდნენ. წინააღმდეგობის ძალა ქართველობას თანდათან ელევოდა. სპარსეთის მოწინააღმდეგეთა ზოგიერთი მეთაურები იძულებულნი ჰხდებოდნენ მაჰმადიან მეფეებს. შეპრიგებოდნენ და მათი ძალის წინაშე ქედი მიუხეზრათ. თვით გიორგი მე-XI, სპარსელთაგან გადაყენებული—იძულებული იყო შაჰთან წასულიყო. იგი სპარსელთა მრავალ ლაშქრობაში მხოლოდღე მონაწილეობას იღებდა და შორეულ ავღანისტანში დაიღუპა.

მუსულმანი მეფეები ქართლის ტახტზე, სპარსთა გავლენის გაძლიერება, მათ მოწინააღმდეგე ძალთა დამარცხება.—აი, რა არის აღსანიშნავი აღმოსავლეთ საქართველოს მე-17 საუკუნის ისტორიაში. მაგრამ მე-18 საუკუნეში სპარსეთი უძლურდება როგორც შინაურ, ისე გარეშე მტერთა მეოხებით. ეს გარემოება გავლენას ახდენს საქართველოს მდგომარეობაზედაც და საქმე წარმატებით მიდის. მაგრამ ვიდრე მე-18 საუკუნეს ხანის აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროა იმ დროის დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა გავიცნოთ.

დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა მე-15—17 საუკუნეებში.

დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს) დანაწილება როგორც ვიცით, 1553 წლის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთმა და სპარსეთმა საქართველო ურთიერთშორის გაინაწილეს. დასავლეთი—ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოჰყვა, აღმოსავლეთი—სპარსეთისა. იმ ხანიდან საქართველოს სხვადასხვა ნაწილების მეფეები ერთმანეთთან მხოლოდ და ნათესაური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი. გარეშე მტრებთან ერთად გამოსვლის, გაერთიანების საქმიანობის შეგნება თითქმის მთლად გაჰქრა. როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთიც შინაური ბრძოლისა, შფოთისა და არეულობის მსხვერპლად გახდა. ამ არეულობასა და შინაურ კინკლაობაში უპირველესად დიდ მონაწილეობას ფეოდალები, თავადნი და მთავრები ღებულობდნენ. ფეოდალები ერთმანეთს ებრძოდნენ, ხოლო ყველანი ერთად კი მეფეს ედავებოდნენ. მთავრები სცდილობდნენ მეფეზე დამოკიდებულებისაგან სავსებით განთავისუფლებას. ამას, რასაკვირველია, მეფეები ვერ ურიგდებოდნენ და იყო მუდმივი ქიშპობა, მიხტომ-მოხტომა, ბრძოლა და რბევა.

დასავლეთი საქართველოს (იმერეთის) უბედური მდგომარეობით მოხერხებულად სარგებლობდა ოსმალეთი. მის ხელში უბრალო ტიკინად იქცნენ მეფეებიცა და მთავრებიც. ოსმალეთი ხან ერთს მიემხრობოდა, ხან მეორეს და ამნაირად ერთმანეთს ამარცხებინებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1548 წელს სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, რომელსაც მომხრეები ჰყავდა იმერეთის თავად-აზნაურებაშიაც—სავსებით ჩამოშორდა იმერეთის სამეფოს და ამნაირად მთელ დასავლეთ საქართველოს გამოეთიშა. მისი მაგალითით წახალისებულმა მთავარმა გურიისამ იგივე ჰქმნა და თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. სახელით, გარეგნად როგორც სამეგრელოს ისე გურიის მთავრები ძველებურად იმერეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, მაგრამ საქმით სულ სხვა იყო. მთავრები სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ და მეფის ზურგს უკან, საიდუმლოდ—ოსმალეთთან სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებას სდებდნენ. ფეოდალები თანაც ერთმანეთთან ბრძოლას განაგრძობდნენ,

თუმცა მეფის წინააღმდეგ ყოველთვის გაერთიანებულნი გამოდიოდნენ.

მე-16 საუკუნის დამლევს გაძლიერდა აფხაზეთიც; სადაც დიდი გავლენა მოიპოვეს შარვაშიძეებმა. აფხაზეთის მმართველნი ხშირად თავს ესხმოდნენ თავის მეზობლებს, ოსმალეთთან დამოუკიდებელი ურთიერთობა ჰქონდათ და ხარკსაც აძლევდნენ. ასე რომ მე-17 საუკუნის დამლევს დასავლეთი საქართველო მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენდა. ცალკე არსებობდნენ იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო (საგურელო), სამეგრელო (სადადიანო) და აფხაზეთი. იყო აგრეთვე საერისთვო—ლენჩხუმის, სვანეთის და რაჭისა.

ლევან დადიანი (1611—1657 წ.) დაქსაქსვა-დანაწილების შავზნელ დროის ერთი ტიპიური წარმომადგენელთაგანია სამეგრელოს შთავარი ლევან მე II დადიანი. მისი მოქმედების, ხასიათის და ყოველი მისი ნაბიჯის გათვალისწინება—ნათელ წარმოდგენას მოგვცემს დასავლეთ საქართველოს საბედისწერო ხანის შესახებ.

ლევანი ფრიად ნიჭიერი, ენერგიული, პატივმოყვარე იყო. სამწუხაროდ მისმა ნიჭმა და ძლიერებამ სარგებლობის მაგივრად იმერეთის ცხოვრებაში საბედისწერო როლი ითამაშა და ისედაც დასუსტებული სამეფო სიკვდილის პირამდე მიიყვანა. იგი არ ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს, მუდმივ ბრძოლას ეწეოდა მის წინააღმდეგ და თუმცა სამეგრელოს ფარგლები გააფართოვა, საერთო სამშობლოს ფრიად ავნო.

როგორც ენერგიულს, მოუსვენარი და მებრძოლი ხასიათის ადამიანს, ლევანს თავიდანვე დიდი განზრახვები ჰქონდა. მას ჰსურდა მთელი დასავლეთი საქართველოს თავის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ლევანი თავისი ძლიერი ჯარით ჰფიქრობდა. მას ჰსურდა და საამისოდ კიდევაც სათანადო ნაბიჯები გადადგა—თავისი ლაშქარი ევროპიულ ყაიდაზე მოეწყო. ერთ-ერთ ფრანგ ოფიცრის წყალობით მან გაიჩინა არტილერია (ჰქონდა ოცდა ათამდე ზარბაზანი) და ყველას თავზარსა სცემდა. ლევანი გამუდმებით ებრძოდა იმერეთის მეფეებს—ჯერ გიორგი მესამეს (1605—1639), შემდეგ ალექსანდრე მე-III (1639—1661). 1623 წელს ლევანი დაეცა გიორგის, დაამარცხა, აიღო ქუთაისი და მთელი იმერეთი დაარბია. დაბრუნებისას წაიყვანა მრავალი ტყვე, რომელთა გამოსყიდვა გიორგის დიდ-ძალ ფულად დაუჯდა. ტყვედ წამოყვანა და მოტაცებულ ადამიანთა სყიდვა-გაყიდვა სწორედ იმ ხანებიდან გაძლიერდა. მარტო ეს გარემოება კმარა იმის წარმოსადგენად, თუ რა საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა გარემოებამ იმერეთი.

ლევან დადიანი მარტო გიორგი მეფეს როდი ებრძოდა. მას ძლიერ დამამცირებლად მიაჩნდა, რომ იძულებული იყო ოსმალეთისათვის ხარკი ეძლია. იცოდა რა, რომ სპარსეთი ოსმალეთს მტრობდა, ლევანმა მოინდომა მისი ძალებით სარგებლობა. იმ ხანებში ქართლის ტახტზე სპარსელთა მიერ დანიშნული როსტომ მეფე იჯდა. დადიანმა მიმართა მას დასახმარებლად და დაუნათესავდა კიდევაც; როსტომს ლევანმა თავისი დაჲ მიათხოვა. მაგრამ ლევანს როსტომი მარტო ოსმალეთის წინააღმდეგ არ სჭიროდა. იგი კვლავ განაგრძობდა იმერეთზე თავდასხმას და რბევას. ერთ-ერთი გამარჯვების დროს დადიანმა თვით გიორგი მეფე ტყვედ წაიყვანა. მისი ძის, ალექსანდრე მე-III დროს ლევანმა რამდენჯერ კვლავ სცადა ქუთაისის აღება, მაგრამ ვეღარ მოახერხა.

სამთავროს შინაურ ცხოვრებისათვისაც ზრუნავდა ლევანი. მას ჰსურდა წესიერება დაემყარებინა, ხალხის ეკონომიური მდგომარეობა აემალლებინა. მართლაც, სამეგრელო იმ დროს მოღონიერდა მეზობლების ხარჯზე. ლევანი შავ ზღვაზე ყაჩაღობას (პირატობას) ეწეოდა და სავაჭრო გემებს სძარცვავდა. ერთის ცნობით, იმდროინდელ სამეგრელოში ისეთი სიმდიდრე იყოვო, რომ ყოველ სოფელში, შარა-გზებზედაც წყალსადენები იქმნა მოწყობილი და წყლის დასალევი ფინჯნები ოქროს ძეწკვებით იყო ჩამოკიდებულიო. ეს რასაკვირველია, გაზვიადებული ცნობაა, მაგრამ იმას მოწმობს, რომ მუდმივი ლაშქრობისა და მეზობლების რბევას—ლევანისთვის საგრძნობი სიმდიდრე შეუძენია.

ბოლოს ლევანმა გააპყრო და ოსმალეთისაგან სავსებით განთავისუფლება სცადა. ოსმალეთმა ეს კი აღარ მოუთმინა, დიდ-ძალი ჯარი გააპყრო და იგი კვლავ დაიმორჩილა. დადიანი ახლა მეზობელ სამთავროებს მისწვდა. მას ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლა ჰქონდა გურიელთან და აფხაზეთის თავად შარვაშიძეებთან, ბოლოს დადიანმა სძლია შარვაშიძეები და აფხაზეთს ხარკი დაადო.

საინტერესოა თვით ლევანის პიროვნებაც. თავისი სისასტიკით იგი რუსის მეფე იოანე მრისხანეს მოგვაგონებს. იმერეთის გავლურების გზაზე შედგომა, ზნეობის დაცემა და გათახსირება იქაური მმართველი წრეებისა—შედეგი იყო როგორც მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობის, ისე მთავართა და ფეოდალთა ურთიერთშორის ბრძოლისა. ლევანი თავისი დროის პირველი შვილი იყო და მთელი იმ შავბნელი ეპოქის დაღს ატარებდა. მაგალითად, მან თავის პირველ კოლს ლალატი დასწამა, ცხვირი მიაკრა და სიმამრს ქალი ისე დაუბრუნა, გარდა ამისა, მისგან ნაყოლი ორი შვილი დადიანმა

მოაკვლევინა. ის კაცი, ვისაც აბრალებდა თავის მეუღლესთან კავშირს, ზარბაზნის ტუჩზე მიაბმევინა და ზარბაზანი ისე გაასროლინა. შემდეგ ლევანმა თავის ბიძას გიორგი ლიპარტიანს ცოლი წაართვა და თითონ შეირთო, რითაც მორწმუნეთა შორის აღელვება და ზიზღი გამოიწვია.

სხვათა შორის ლევანს ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მეფეებთანაც და მფარველობაც სთხოვა. როდესაც რუსეთიდან ელჩები მოვიდნენ, დადიანმა ისინი არ მიიღო. იგი რუსებისაგან ძვირფას ძღვენს მოელოდა და რაკი გაიგო, არაფერი მოუტანიათო, ნახვაზე უარი განაცხადა: მეუღლის სიკვდილის გამო მგლოვიარედა ვარო.

ლევანმა ტრალიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. 1657 წელს, თავის საყვარელი შვილის სიკვდილის გამო მან ისე მძლავრად დაიკრა თავში კეტი, რომ მალე გარდაიცვალა. დადიანის სიკვდილით ისარგებლა იმერეთის მეფე ალექსანდრე მე-III-მ, სამეგრელო დაიმორჩილა და სამეფოს შემოუერთა. მთავრად მან დასვა თავისი მომხრე ვამეყ დადიანი.

ლევანი კარგა ხნის განმავლობაში დიდ რისხვას წარმოადგენდა მთელ დასავლეთ საქართველოსთვის. მას რომ მოეხერხებინა, იმერეთის, აფხაზეთის და გურიის დამორჩილება—ფაქტიურად ეს დასავლეთ საქართველოს გაერთიანება იქნებოდა. მაგრამ ეს არ მომხდარა და დადიანის მეოხებით იმერეთის სამეფო შეიქმნა ხოცვა-ჟლეტის, რბევისა და ქიშპობის ასპარეზად. ამ ქიშპობისა და არეულობაში აუარებელი ხალხი იღუპებოდა, მრავალი ოსმალეთში ტყვედ იყიდებოდა, ქვეყანა ირბეოდა და ტიალდებოდა. ამისთანა პირობებში ადვილი იყო მისი დამორჩილება და მალე ასეც მოხდა.

არეულობის ხანა იმერეთში. ბაგრატ მე-IV მეფობის ხანაში (1661—1681) იმერეთი საშინელი არეულობისა და ქიშპობის ასპარეზად იქცა. მთავრები და მეფეები ებრძოდნენ ერთმანეთს არამარტო პოლიტიკური და ეკონომიური, საგვარეულო მიზეზის და თავმოყვარეობის ნიადაგზე, არამედ. პირადი მოსაზრებებით გატაცებულები დაერივნენ ერთმანეთს და ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი. ქვეყნის საერთო ინტერესი შთაენტქა პირადი შერისძიების გრძნობას. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ მეფეებმა და მთავრებმა მთელი ომები გადინადეს დედოფალ თამარის გამო. თამარი გასაოცარი სილამაზის ქალი იყო (შაჰ-ნავაზის ძმისწული) და აი, მისი ხელში ჩასაგდებად კარგა ხნის განმავლობაში სისხლი იღვრებოდა. ჯერ იგი ცოლად ჰყავდა სამეგრელოს მთავარს ლევან მე-III. ლევანი ბაგრატ მეფემ დაამარცხა და თამარი თვითონ შეირთო. ბაგრატს—ცოლის წართ-

მევა მოუწოდომა გიორგი გურიელმა. ახალციხის ფაშის დახმარებით მან იმერეთის მეფე დაამარცხა. თამარი იმჟამად გაქცევით გადაარჩა გურიელის ხელში ჩავარდნას. როდესაც იმერეთში შაჰ-ნავაზის ძე არჩილი მეფობდა, ხოლო ბაგრატი გურიაში იყო გაქცეული, თამარი არჩილმა პირველ ქმარს, ლევან მე-III დადიანს დაუბრუნა. ბაგრატი კვლავ გამოასწორა თავისი საქმეები, სამეგრელოს მთავარი დაამარცხა და თამარი ისევ დაიბრუნა. ბაგრატის შემდეგ თამარი შეერთო მისმავე სიძემ გიორგი გურიელმა და სხვ. *) ეს ხანი იყო დრო ინტრიგებისა, მუხანათურ მკვლევლობებისა, მოწამელისა და ძალადობისა. ფეოდალები ხშირად მეფეებს გადააყენებდნენ ხოლმე, თვითონ აღიოდნენ ტახტზე, ან თავისიანებს ამეფებდნენ. ახლად გამეფებული უმრავლეს შემთხვევაში არ მოსწონდათ მოწინააღმდეგე გვარეულობის წარმომადგენლებს და კვლავ იწყებოდა ხოცვა-ჟლეტა. იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ იმერეთის ტახტზე აღიოდნენ სამეგრელოს, ან გურიის მთავრები, ზოგჯერ კი სრულიად უცნობი პირებიც (გურიელნი, აბაშიძენი, კაცია ჩიქოვანი და სხვ.). საერთოდ იმ ხანებში მეფის ხელისუფლება მხოლოდ სახელით თუ არსებობდა. ყველაფრის გამგებელი იყვნენ თავადნი, მთავარნი და აზნაურნი, რომელნიც გავლენისათვის ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ. ამ უბედურების დროს მხოლოდ სამღვდელთა მოწინავე ნაწილი სცილობდა ქვეყნის დამშვიდებას, მებრძოლთა ვნებათა ღელვის განუღებებს. მაგრამ მისი ხმა რჩებოდა „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“. ზოგიერთნი უმაღლესი სამღვდელი პირნი თვითონაც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკურ ბრძოლაში. მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია ამასთანავე გურიის მთავრადაც ითვლებოდა. ამ თანამდებობაზე იგი ლევან დადიანმა (მეორემ) დანიშნა, როგორც თავის მომხრე.

ერთმანეთთან ბრძოლის დროს მთავრები და ფეოდალები არ ერიდებოდნენ თავის ქვეყანაში უცხო ძალების შემოყვანასაც. ისინი ხშირად დახმარებისთვის მიმართავდნენ ოსმალეთს და სპარსეთს. უფრო მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ მათ ახალციხის ფაშასთან, რომელიც ოსმალეთის გზირი იყო საქართველოს საზღვრებთან. ოსმალებს გაკვირვების დროს მიჰმართავდნენ ხოლმე არა მარტო მთავრები, არამედ ზოგჯერ თვით მეფეებიც. ისინი ფეოდალების

*) თამარის ცხოვრება აწერილი იქვს მგოსანს აკაკის თავის დროში: „თამარ ცბიერი“. იმერეთის და კერძოდ სამეგრელოს იმდროინდელი ცხოვრების ნათელ სურათის წარმოსადგენად კარგია ვ. ყიფიანის დრ. მის „სამეგრელოს მთავარი ლევან“-ის გაცნობა.

დასამშვიდებლად ოსმალთა დახმარებით სარგებლობას როდი თაკილობდენ

იმ ხანებში საოცრად გაიზარდა აგრეთვე ტყვეთა სყიდვა-გაყიდვა. ბრძოლის დროს წინართმევ ტყვეებს მეფეები, მთავრები და ფეოდალები ჰყიდდენ ოსმალეთში და სხვაგან. ყოველ წლიურად დასავლეთ საქართველოდან ასეთი ტყვეები შავი ზღვით ათასობით გაჰყავდათ. აღამიანთა ვაჭრობა, რაზედაც ვრცლად ქვემოლ იქნება საუბარი, ზნეობრივად ხრწნიდა ქვეყანას. ამას გარდა ეს უბედური ჩვეულება ხელს უშლიდა ხალხის მომრავლებას. იმერეთი სულ დაბლა და დაბლა ეცემოდა. მალე ის შეიქმნა ოსმალეთის მსხვერპლი. ჯერ კიდევ ბაგრატ მე-IV დროს (1668 წ.) ოსმალებმა დაიპყირეს ქუთაისის ციხე და შიგ თავისი ჯარი ჩააყენეს. შემდეგ მათ ხელთ იგდეს სხვა სიმაგრეებიც. მე-18 საუკუნის დამდეგს ოსმალებმა ფოთი გაამაგრეს. ამნაირად მთელი დასავლეთი საქართველო ფაქტიურად ოსმალთა ხელში ჩავარდა.

ამეთ უნუგეშო მდგომარეობაში იყო იმერეთი მე-18 საუკუნის დამდეგისათვის. უკეთეს მდგომარეობაში, როგორ ვიცით, არც ქართლ-კახეთი ყოფილა. მაგრამ ამ კუთხეებს თუმც უძლური, მაგრამ საკუთარი, ქართველი მმართველები ჰყავდათ და ნაკლებად აოხრებულნი იყვნენ.

შარდენის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ. წინაღ ზენ უკვე მოვიხსენიეთ ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო გზად გაიარა, აქ კარგა ხანს დაჰყო და შემდეგ ვრცლად ასწერა თავისი შთაბეჭდილებანი. შარდენის მოგზაურობა ამიერ-კავკასიაში მოხდა 1672—1673 წლებში.

შარდენი სამეგრელოში იმ დროს ჩავიდა, როდესაც იქ ომიანობა იყო. გურიის მთავარის წაქეზებითა და დახმარებით ოსმალნი შესეოდენ ოდიშს და აოხრებდენ. შარდენს ამ ამბების დროს ძლიერ დიდი გაჭირვება გადახდა და სამეგრელოს შესახებ ფრიად ცუდი შთაბეჭდილება გაჰყვა. მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებული ცნობები მაინც ფრიად საინტერესო და ძვირფასია.

იმ ხანებში, როგორც ვიცით, სამეგრელო და გურია მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდენ იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილებად. იქაური მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდენ და ხშირად თვით, იმერეთის სამეფოსაც თავს ესხმოდენ.

სამეგრელო ამჟამად ნაკლებად არის დასახლებული, ამბობს შარდენი. იქ ოცი ათას სულზე მეტი მცხოვრები არ ითვლება. ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინად კი იქაურ მცხოვრებთა რიცხვი ოთხმო-

ცი ათასამდე აღწევდა. მოსახლეობის შემცირების მიზეზია მეზობლებთან მუდმივი ბრძოლა და აგრეთვე ის, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში თავად-აზნაურობამ მრავალი ხალხი (ორთავე სქესისა) ვაჰყიდა. კარგა ხანია, რაც სამეგრელოდან ყოველწლიურად გასაყიდვად ასაცვლელად თორმეტი ათასამდე კაცი გაჰყავდათ. ყველა ესენი უფარდებიან ხელთ მუსულმანებს, სპარსელებსა და ოსმალებს, ვინაიდან (ტყვეთა) მოთხოვნილება მათგან მომდინარეობს. სამი ათასი კაცი ყოველწლივ კონსტანტინეპოლში გაჰყავთ. მათ სცვლიან ნაქსოვებსა, იარაღებსა და სხვა საგნებზე, რაიც კი სამეგრელოში შემოაქვთ. ყოველ წელს სამეგრელოში მოდის რამდენიმე ათასული გემი კონსტანტინეპოლიდანა და კაფფიდან და სამოცზე მეტი გონიისა, ირისისა და ტრაპიზონიდან.

სამეგრელოში ქალაქები არ არის. მცხოვრებნი მისდევენ მიწის მუშაობას. იკვებებიან უმთავრესად ღომით. ზოგჯერ სთესენ აგრეთვე პრინჯს, პურსა და ქერს. მიწას სჩიჩქნიან უბრალო კავიანი გუთნით, რადგან აქაური ნიადაგი ფრიად რბილია. ვაზი აქ მაღალ ხეებზეა ასხმული და მშვენიერ ღვინოს იძლევა. ეს ღვინო უფრო კარგი იქნებოდა, მეგრელებმა რომ მისი დამუშავება იცოდნენ.

მეგრელების ენა ქართულს ენათესავება. მღვდელთმსახურება და წირვა-ლოცვა ქართულად სწარმოებს. ამიტომ ქართული ენა თითქმის ყველამ იცის.

სამეგრელოში სახლები ყველა ხისაა. ღარიბები ერთსართულიან სახლებში სცხოვრობენ, ხოლო თავად-აზნაურობა ორსართულიანებში. მთავრისა და სხვა თავადთა სახლწინ ფართო მოედნებია, სადაც აუდიენციები და სამართალი სწარმოებს. თავად-აზნაურობა აღმოსავლეთური ჩვეულების თანახმად ტრაპეზობს ხალიჩებზე ფეხმორთხმული. სუფრა იციან ფერადი, ან ტყავისა. ხანდახან ტრაპეზობენ პირდაპირ გადაუფარებელ მაგიდებზე. მდაბიო ხალხი სკამებზე სხედს ხოლმე. ამ ქვეყნის ჩვეულებისამებრ ყველანი ერთად სადილობენ, განურჩევლად სქესისა: მთავარი, მისი ამაღლა, მეჯინიბეები, დედოფალი, ქალები, ქალწულები, მოსამსახურენი, მოახლენი და სხვ.

ბატონყმურ ურთიერთობის შესახებ შარდენი ამბობს: ამ ქვეყანაში (სამეგრელოში) თავად-აზნაურობას ეკუთვნის უფლება თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებაზე. ისინი რასაც მოინდომებენ, იმას უზამენ მათ. ართმევენ მათ ცოლებსა და შვილებს, ჰყიდნიან, ან ფეითონ იმსახურებენ. ყოველი გლეხი მოვალეა ბატონს მიაართვას, შეძლების და მიხედვით, წლიურად განსაზღვრული რაოდენობა ხორბლისა, საქონლისა, ღვინისა და სხვა სანოვაგისა. ამნაირად, აქ სიმ-

დიდრე განიზომება იმით, თუ ვის უფრო მეტი ყმა-გლეხი ჰყავს. გარდა ამისა, ყოველი გლეხი ვალდებულია გამოჰკვებოს ბატონი წელიწადში ერთ-ორ დღეს. ამიტომ აზნაურები მთელი წლის განმავლობაში აქეთ-იქეთ დადიან და გლეხების ხარჯზე იკვებებიან.

ვაჭრობა-ხელოსნობა ნაკლებად არის განვითარებული. ფულს აქ ნაკლები გასაყალი აქვს. ხმარებაშია: პიასტრები, ჰოლანდიური ეკიუები და აბაზები, რომელიც საქართველოში (ქართლში) იჭრება. ვაჭრობა აქ უმთავრესად გაცვლა-გამოცვლითია და სწარმოებს სხვადასხვა ადგილას საამისოდ საგანგებოდ გამართულ ბაზრობაზე. საგარეო ვაჭრობის საგანს შეადგენს: აბრეშუმი, სელის ქსოვილები, ნართი, ტყავეულობა და ბეწვეულობა, ცვილი, თაფლი, ბზა და სხვ.

მთავრის წლიური შემოსავალი დაახლოებით ოცი ათას ეკიუს (7—8 ათასი მანეთი) უდრის. ეს თანხა შესდგება შემოსატანი და გატანილი საქონლის ბაჟებისაგან.

მთელ სამეგრელოში მხოლოდ ოთხი ათასი შეიარაღებული მხედარია, თითქმის ყველა ცხენოსანი. ქვეიოები სამასზე მეტი არაა. შეიარაღება შემდეგია: შუბი, მშვილდ-ისარი, ხმალი და ფარი; თოფი იშვიათად იხმარება.

იმერეთის შესახებ შარდენი ამბობს: იმერეთი, როგორც სამეგრელო, ტყიანი და მთავორიანი ქვეყანაა, მაგრამ აქ უფრო მეტი ლამაზი ველები და მომხიბლავი დაბლობებია. აქ უფრო ადვილად საშოვარია პური, ხორცი და მწვანილი. არის რკინის ზოდები და ხმარებაშია ვერცხლი. ფულსაცა სჭრიან. სოფლები მრავლადაა. რაიცა შეეხება ზნე-ჩვეულებას, აქაც ისეთივე ზნე-ჩვეულება აქვს ხალხს, როგორც სამეგრელოში. მეფეს სამი მაგარი ციხე-სიმაგრე აქვს, მათ შორის სკანდა. მას ჰქონდა აგრეთვე ძლიერი ციხე ქოთათისი (ქუთათისი), მაგრამ იგი ოსმალებმა დაანგრიესო.

შარდენის ასე დიდი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მისი ცნობები საერთოდ დამახასიათებელია არა მარტო დასავლეთ საქართველოს მდგომარეობისა, არამედ მთელი იმ შავბნელი ეპოქისა, რომელსაც მაშინ მთელი ჩვენი ქვეყანა განიცდიდა.

სამუსულმანო საქართველო

სამცხე-ხათაბაგო. მონგოლების შემოსევის დროს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მათ დაემორჩილა. სამცხის ათაბაგი (მმართველი) მონგოლების ვასალად (ხელქვეითად) იქცა. სამცხე-სათაბაგოს საზღვრები დროთა განმავლობაში ხშირად იცვლებოდა, მაგრამ საერთოდ იგი შეიცავდა ტერიტორიის ბორჯომის ხე-

ობიდან დაწყებული ტრაპიზონის მთებამდე და არზრუმის მიდამოებამდე (გურჯი-ბოლაზ—„საქართველოს კარები“—არზრუმის ჩრდილოეთითაა). ამ ტერიტორიაში შედიოდა ჯაეხეთი, სამცხე (სამესხე, მესხეთი), კოლა, არტანი, ერუშეთი, ბასიანი, აქარა, კლარჯეთი და ტაო. საიდანაც საქართველოს გამაერთიანებელნი გამოვიდნენ. ამ კუთხეს ათაბაგი განაგებდა. ამიტომ ამ ტრიტორიას ეწოდებოდა (მე-13 საუკუნიდან) **სამცხე-საათაბაგო**. მონგოლთა შემოსევის შემდეგ საათაბაგო საქართველოს აღარ დაჰბრუნებია და ნახევრად დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა. ათაბაგები, როგორც სხვა მთავრები, მეფესთან ბრძოლაში არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. როდესაც სამცხისაკენ ოსმალები წამოვიდნენ—ათაბაგებს მათთვის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. იმერეთის მეფე **ბაგრატ მესამე-ს** (1510—1548 წ.) კარგად ესმოდა სამცხის მნიშვნელობა ოსმალებთან ბრძოლაში. ამიტომ მისი შემოერთება მოინდომა. ბაგრატმა ათაბაგი ყვარყვარე მე-3-ე დაამარცხა და ტყვედ წამოიყვანა. ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომ დახმარებისათვის ოსმალების სულთანს მიჰპართა. 1545 წელს მან ოსმალების ჯარით (რომელსაც არზრუმისა და დიარბექირის ფაშები წინამძღოლობდნენ) სამცხესაკენ გამოილაშქრა. ბაგრატ მე-3-მ შეელა სთხოვა ქართლის მეფეს ლუარსაბს, რომელმაც ჯარი გამოუგზავნა. ქართველთა შეერთებული ჯარი ოსმალებს შეეტაკა ბასიანში—**ხოხლისტასთან**. ქართველები დამარცხდნენ და ამან სამცხის ბედიც საბოლოოდ გადასწყვიტა: ოსმალებმა ქაიხოსროს ათაბაგობა მისცეს, მაგრამ სამცხეში თავისი ჯარები ჩააყენეს. შემდეგ ისინი ნელ-ნელა ამცირებდნენ საათაბაგოს ტერიტორიას.

1550 წელს ოსმალებმა ათაბაგს წაართვეს ტაო, ხოლო 2 წლის შემდეგ არტანი და არტანუჯი. ქაიხოსრომ სცადა შებრძოლება, სპარსეთსაც მიჰპართა დახმარებისათვის, მაგრამ ვერას გახდა. 1553 წლის სპარსეთ ოსმალების ხელშეკრულებით სამცხე-საათაბაგო (გარდა ოსმალების მიერ უკვე წართმეულ ნაწილებისა) სპარსეთის გავლენის ქვეშ მოჰყვა. მაგრამ საგარეო მდგომარეობის და შინაურ განხეთქილებათა მიზეზით საქართველოს ეს კუთხე ბოლოს ოსმალებმა იგდო ხელთ.

საქმე ისაა, რომ ათაბაგსა და ადგილობრივ დიდგვარიანთა შორის ისეთივე მტრობა და შური იყრ, როგორც მეფეთა და ფეოდალებს შუა დანარჩენ საქართველოში. ამ მტრობა-ბრძოლის დროს ფეოდალები დახმარებას თითქმის ყოველთვის ოსმალთაგან პპოულობდნენ. ქაიხოსრო ათაბაგის ქვრივი **დედესიმედი** ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა ფეოდალებს (კერძოდ თ-დ შალიკაშვილების გვარეულობას).

მაგრამ ათაბაგები თანადათან იმდენად მოუძღვრდნენ, რომ დედის-იმედის შვილების დროს იძულებული გახდნენ ოსმალეთის ბატონობა აღეარებინათ. ათაბაგებს ოსმალეთმა ფაშის ხარისხი უბოძა.

სამცხის ბედი საბოლოოდ მანუჩარ ათაბაგის შემდეგ გადასწყდა. იგი მისმა ბიძამ ბექაძე მოჰკლა და თვითონ ეახლა სულთანს. სტამბოლში ყოფნის დროს მან მუსულმანობა მიიღო და ოსმალეთისაგან ებოძა უკვე მხოლოდ ახალციხისა და ჩალდირის ათაბაგობა. ბექა მმართველობდა ხაფარ-ფაშის სახელწოდებით (1625). მის ათაბაგობაში სამცხეში გავრცელება იწყო მუსულმანობამ და მალე გაბატონდა კიდევაც. ახალციხის საფაშო მე-18 საუკუნის დამლევამდე ოსმალეთის ერთგულ დარაჯობას ეწეოდა საქართველოს წინააღმდეგ და მისი საშუალებით სულთანი ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ხშირად და ადვილად ერეოდა.

სამცხეში მუსულმანობის გავრცელება. საფარ-ფაშის გაათაბაგების შემდეგ სამცხეში ქრისტიანობა, რომელიც ეროვნებასთან იწეროდა მჭიდროდ იყო დაკავშირებული, თანდათან სუსტდება. შემოდის ოსმალური ზნე-ჩვეულებანი და ოსმალეთი. ბატონობს ყველაფერში. თუ არ მუსულმანობის მიღების შემდეგ, ისე ვერაფერს დაიჭერს რაიმე თანამდებობას და ვერავითარ სამსახურში წარმატებას ვერ მიიღებს. მუსულმანობის გავლენას პირველად უმაღლესი წრეები ემორჩილებიან. მათ შორის ხშირდება სჯულის გამოცვლა. საქრისტიანო ეკლესია უძღვრდება, ტაძრები იძარცვება ჯერ ოსმალთაგან. რაც რამ ძვირფასი რჩება—ქართლსა და იმერეთში იზიდება სამღვდელოების მიერ. ქართული კულტურა სამცხეში სწრაფად ეცემა და ქრისტიანობის მოსპობასთან ერთად ხალხში უროვნული შეგნებაც სუსტდება. ყველაზე დიდხანს და მედგრად თავის მამა-პაპათა სარწმუნოებისათვის გლეხობა იბრძვის, მაგრამ ბოლოს ისიც მარცხდება უხეში ძალის მიერ. ქრისტიანებს განსაკუთრებული გადასახადები ჰქონდათ დაკისრებული, ხოლო მუსულმანობის მიღება ხსენებულ გადასახადთა და ხარკისაგან სრულიად ანთავისუფლებდა. სამცხის გლეხობისათვის, რომელიც ისედაც აოხრებულ დარბეული იყო ოსმალ-სპარსთა თარეშით, ასეთი მდგომარეობა ძლიერ მძიმე, აუტანელი შეიქმნა. გარდა ხარკისა, ქრისტიანი მცხოვრებნი ძლიერ ხშირად ჰხდებოდნენ გაბატონებული ოსმალელების ძალადობის და რბევის მსხვერპლად. საკვირველი არაა, რომ ამისთანა გარემოებაში მყოფი ხალხი თავდაცვის მიზნით იძულებულია თავის სარწმუნოებაზე ნელ-ნელა ხელი აიღოს და მუსულმანობა აღიაროს. საფარ-ფაშის შვილიშვილის როსტომ-ფაშის დროს (1647—1695 წ.) საათაბაგოში მუსულმანობა უკვე გაბატონებულ სარწმუნო-

ბას წარმოადგენს. საქართველოს ეს კუთხე, სადაც გადმოცემის ნი-
ხედვით უკვდავბ რუსთველი დაბადებულა—ამნაირად მშობელ ქვე-
ყანას ჩამოშორდა და თავისი წარსულიც თითქმის მიივიწყა. ერთი
რამ კი აღსანიშნავია. მე-18 საუკუნის დამლევამდე ახალციხის საფა-
შოში ქართული ენა ბატონობდა, და ყოველგვარი ოფიციალური მი-
წერ-მოწერაც ქართულად სწარმოებდა. ამიტომ ქართველ მუსულმა-
ნებში დედა-ენა თითქმის წმინდად და შეურყვნელად იყო დაცული.

საქართველოს საზოგადო ვითარება 89-15—17. საუკუნეეზში.

დაკნინების საერთო მიზეზები. თავის ადგილას ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ის საერთაშორისო მიზეზები, რამაც საქართველო უკან დახევის გზაზე დააყენა. ეს იყო კონსტანტინეპოლის დაცემა, მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზების სამხრით გადანაცვლება და სპარსეთ-ოსმალეთის გამუდმებული ბრძოლა.

ამ ბრძოლის ერთი უსაშინელესი შედეგთაგანი იყო ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის გავრცელება. საქმე ისაა, რომ არც ოსმალეთს, არც სპარსეთს საკმაო სამხედრო ძალა არ ჰყავდათ ომიანობის გასაწევად. ამიტომ ისინი თავიანთ ლაშქრის გასაძლიერებლად ჯარისკაცებს ველური წესით აგროვებდნენ. ისინი პირდაპირ ნადირობდნენ ხალხზე და ჯარში მიჰყავდათ. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ტყვეთა სყიდვა-გაყიდვა. ოსმალეთსა და სპარსეთს აუარებელი აგენტები ჰყავდათ საამისოდ. ყაჩაღთა ბრბოები იტაცებდნენ კაცებს, ბავშვებს, ქალებსაც კი და ჰყიდდნენ ოსმალეთის ბაზარზე გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ეს სამარცხვინო, მაგრამ მომგებიანი საქმე თავის ხელობად გაეხადათ. შავი ზღვის ნავთსადგურებიდან ყოველწლიურად რამდენიმე ათასი კაცი გაჰყავდათ და ჰყიდიდნენ ტყვედ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მიწის მუშა იძულებული იყო ყანაშიაც შეიარაღებული ემუშავნა და მუდამ თავდასხმა-გატაცების შიშში ყოფილიყო. განსაკუთრებით განშირებული იყო ბავშვების გატაცება. ამ ბავშვებს ამაჰმადიანებდნენ და განსაკუთრებულ პირობებში ჯარისკაცებად ზრდიდნენ. სწორედ ამისთანა გამაჰმადიანებულ ქრისტიან ბავშვთაგან, როდესაც ეს უკანასკნელნი ვაჟკაცდებოდნენ, ოსმალნი ადგენდნენ ეგრედწოდებულ იანიჩართა რაზმებს, რომელნიც ოსმალეთის ჯარში საუკეთესო მებრძოლებად ითვლებოდნენ.*)

ომიანობისა, რბევა-აწიოკებისა და განსაკუთრებით ტყვეთა ვაჭრობის გამო საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი თითქმის განა-

*) ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ეპოქის უკანასკნელი პერიოდი დახასიათებულია, სხვათა შორის, ბ. უიარალოს მშვენიერ მოთხრობაში „მამულიჟი“ (კრებული „გზრდემლი“ № 2).

ხევრდა. მე-16 საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 600 ათასი მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო მე-17 საუკუნეში 300 ათასამდე-ლა დარჩა. დასავლეთი საქართველო უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული. იქ დაახლოებით მილიონ ორასი ათასი მცხოვრები ითვლებოდა. მე-18 საუკუნის შუა კი, როდესაც იმერეთიდან ოსმალნი განდევნილ იქნენ,—მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღარ აღემატებოდა.

კარიელდებოდა სოფლებიცა და ქალაქებიც. არის ცნობა, რომ მე-17 საუკუნის ნახევარში ტფილისში დაახლოებით 60.000 მცხოვრები ყოფილა. მე-18 საუკუნის დამდეგს კი საქართველოს დედა-ქალაქში 20 ათასი-ლა იყო. ასეთივე უბედურება განიცადეს სხვა ქალაქებმაც: გორმა, ახალქალაქმა (რომელიც მთლად დაანგრის), ქუთაისმა და სხვ. ამიტომაც არის რომ ამ ხანის საბუთებში „ზირად გვხვდება ნაქალაქევი, ნასაფლარი, ნაფუზარი; ნასახლარი, ნავენახევი, პარტახი და სხვა ამის მსგავსი ტერმინები“ (ივ. ჯავახიშვილი).

ამისთანა მდგომარეობას, ცხადია, ალებშიცემობისა და საერთოდ მეურნეობის დაქვეითება უნდა გამოეწვია. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დამდეგსვე „მევენახეობა-მეღვინეობა სამეგრელოში უკვე იმდენად იყო დაცემული, რომ ადგილობრივი ღვინო დაბალხარისხოვანი დგებოდა და ტრაპიზონითგან შემოტანილს მეტოქეობას ვეღარ უწევდა. საფეიქრო ხელოვნებასაც და ქსოვილებსაც ცხადი ჩამოქვეითება დაემჩნიათ: აქაური ქსოვილები თუმცა ვაჭონდათ უცხოეთში, მაგრამ მათი დაბალი ღირსების გამო წინანდელზე ბევრად ნაკლები. იმერეთსა და მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-მეურნეობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ აქაც სხვადასხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, ვითარცა უფრო ადვილი გასაძლოლი, უფრო ნაკლებ იყო დაქვეითებული. დაცემული იყო, რასაკვირველია ვაჭრობაც. ფული ალებ-მიცემობის დროს ქალაქებსა და სავაჭრო ცენტრებსა და გზების მახლობლად მდებარე ადგილებში ტრიალებდა, მოშორებით კი უკვე იშვიათი სანახავი და სახმარებელი იყო: ვაჭრობა იქ სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლით სწარმოებდა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც ალებ-მიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა (ივ. ჯავახიშვილი).“

ფეოდალური დანაწილება უკიდურესობამდე იყო განვითარებული. მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო საერისთაოებადა და სამთავრო-

ებად. ხელისუფლებას ამ ტერიტორიაზე ფაქტიურად მხოლოდ ფეოდალები ანხორციელებდნენ. საქიროების დროს ფეოდალებს ევალეზობდათ თავის სამფლობელოში ჯარის შეგროვება. ამ ჯარს თვით ფეოდალი წინამძღოლობდა და ცხადია, როგორც უნდოდა, ისე მოიხმარდა. მეფე მხოლოდ პირველი ფეოდალი იყო თანასწორია შორის და არა ქვეყნის სრულუფლებიანი გამგებელი. მას იმდენივე ჯარი ჰყავდა, რამდენიც მის ქვეშევრდომ ფეოდალებს. ასეთს მდგომარეობაში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება შეუძლებელი ხდებოდა. მეფესა და ფეოდალებს შორის წარმოებული ბრძოლით გარეშე ძალები, რასაკვირველია, მოხერხებულად სარგებლობდნენ და ეხმარებოდნენ ხან ფეოდალებს, ხან მეფეებს. ეს მუდმივი ბრძოლა, როგორც მეფეთა და ფეოდალებს შუა, ისე თვით ფეოდალთა შორისაც ქვეყნისთვის დიდი უბედურება იყო. ხალხი ჰკმინავდა, იღუპებოდა მუდმივი არეულობისა და მიხტომ-მიხტომის მეოხებით. ფეოდალები ერთმანეთს სტაცებდნენ ქონებას და ხალხს, რომელსაც ჰყავდნენ და ამით მდიდრდებოდნენ.

ურთიერთ ბრძოლის, ძმათა სისხლის ღვრასა და რბევა-თარეშის ცეცხლში ინთქებოდა ხალხის კეთილდღეობა, იღუპებოდნენ აუარებელი მცხოვრებნი მთელი ოჯახობით. ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის გავრცელების გამო აუარებელი მუშა ხელი შორდებოდა თავის კერას. ოსმალეთი და სპარსეთიც მოითხოვდნენ, რომ ადამიანთა ვაჭრობა თავისუფალი ყოფილიყო და მოწინავე ქართველთა და მეფეთა ბრძოლა ამ გამათახსირებელ სენთან უშედეგოდ რჩებოდა. მხოლოდ მე-18 საუკუნეში მოხერხდა ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის აკრძალვა და ისიც მაშინ, როდესაც თვით ოსმალნი განდევნილ იქმნენ საქართველოს ფარგლებიდან.

ხამეფოების ფინანსიური მდგომარეობა. სამეფოების ფინანსიური მდგომარეობა ძლიერ მძიმე იყო. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში სცადეს გადასახადების გადიდება, რაიც მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას. მაშინდელი ცნობებით მტკიცდება აგრეთვე, რომ „წინანდელთან შედარებით საზომები გაუდიდებიათ და გამოუტყველიათ. ზედმიწევნითი გამოანგარიშება ცხადჰყოფს, რომ მე-XVI ს. დამდევისათვის, მაგ. მაშინდელი ლიტრა“) პირვანდელ ლიტრაასთან შედარებით ექვსჯერ იყო უკვე გადიდებული“ (ივ. ჯავახიშვილი). მაგრამ შეუძლებელი იყო რაიმე დიდი თანხის შეგროვება გადასახადთა სახით. ხალხი გადასახადს უფრო მეტად გარეშე მტრების შემოსევის

*) წონის ერთეულია.

თავიდან ასაცილებლად იხილდა ოსმალთა და სპარსელთა სასარგებლოდ, რომელნიც განსაზღვრულ ხარკს იღებდენ მთელ საქართველოდან. ხაზინა ცარიელი იყო და ზოგიერთი ფეოდალი სიმდიდრით თვით მეფეს აჭარბებდა. ფეოდალების გავლენის და გაძლიერების შიშობა შეუძლებელი შეიქმნა. ფულის უქონლობის გამო სახელმწიფოს მოსამსახურეებს მიწის მიცემით აკმაყოფილებდენ. მეფეები ფეოდალებს ებრძოდენ, მაგრამ მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ისინი იძულებული იყვნენ იმავე ფეოდალების მომრავლებასა და გაძლიერებისათვის უნებურად ხელი შეეწყოთ. ამ მოჯადოებულ წრიდან გამოსავალი არსად - სხანდა. ქვეყანა ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდა, სახელმწიფოს ფინანსიური საშუალებანი არა ჰყოფნიდა, მეფეები უძლურნი იყვნენ მოწინააღმდეგენი აელაგმათ. გარდა ამისა, ზოგიერთ ფეოდალების სამფლობელოს ეგრედწოდებული თარხნობა (გადასახადთაგან თავისუფლება) ჰქონდა მინიჭებული. მხოლოდ ოსმალ-სპარსთა სასარგებლოდ გადასახადი იყო სავალდებულო ყველასთვის, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ერთგამგეობისაკენ მიმსწრაფი მეფეები ებრძოდენ თავის გვარეულობათა მეორე ხარისხოვანი შტოების წარმომადგენლებს, რომელნიც ხშირად სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდენ. აღსანიშნავია ამ მხრით ის, რომ მე-16 საუკუნის დამლევს სამთავე სამეფოში—იმერეთსა, ქართლსა და კახეთში მეფის გვარეულობის შტოებს ჩამოერთვათ ტახტზე ასვლის უფლებანი. ამნაირად ერთი დინასტია (გვარი) გამეფდა, მაგრამ ერთ გამგეობისაგან საქართველო ძლიერ შორს იყო.

სამხედრო საქმე. ფეოდალური წყობილების დროს, სამეფოების უკიდურეს დეცენტრალიზაციის ეპოს, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო სახელმწიფოს მუდმივი სამხედრო ძალის მსგავსი რამ ჰყოლოდა. ყოველი სამეფო გაყოფილი იყო რამდენსამე სამხედრო ოლქად (სადროშოდ). ერთი სადროშოთაგანი მეფის სადროშოდ ითვლებოდა, დანარჩენები მსხვილი ფეოდალების ხელში იყო, რომელთაც სარდლები ეწოდებოდათ. ფეოდალურ რკალში იყო ეკლესიაც და მისი უმაღლესნი მსახურნი. ზოგიერთი ეპისკოპოსი იმავე დროს მსხვილი მემკვილე და სადროშოს წინამძღოლიც იყო.

ჯარი უმთავრესად ცხენოსანი იყო და ძვილად მასში უმთავრესად აზნაურნი და მსახურნი მონაწილეობდენ. მე-17 საუკუნიდან ჯარში გასვლა ყველასათვის სავალდებულო ხდება და მასში მონაწილეობს მთელი გლეხობაც. სარდლებად გამოჩენილი გვარისშვილნი და შეძლებული ფეოდალები ინიშნებოდენ. მათ სასარგებლოდ ხალხი

განსაკუთრებულ გადასახადს იხდიდა მშვიდობიანობის დროსაც. ამას გარდა სხვა საპატიო ხარისხებიც იყო (ციხისთავი, რომელიც ციხეებს განაგებდა და სხვ.).

მე-16 საუკუნეებში იარაღად უმთავრესად მშვილდ-ისარი, ხმალი და შუბი იხმარებოდა. ჰქონდათ ციხეების დასანგრევი იარაღიც, რომელიც ლოდებს ისროდა და ფილაკავანი ერქვა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მოადგა ქალაქსა შანქორს, დაუდგნა ფილაკავანნი და მცირედთა დღეთა დაღეწეს ზღუდენი შანქორისანი“. მე-16 საუკუნის დამლევებიდან ნელ-ნელა ხმარებაში შემოდის თოფი და ზარბაზანი.

შარდენის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. ფრანგ მოგზაურს შარდენს აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ბევრად უკეთესი შთაბეჭდილება გამოუტანია, ვიდრე დასავლეთზე. ქართლში იგი ახალციხის მხრიდან, ბორჯომის ხეობით შემოვიდა. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთი საქართველო, კერძოდ ქართლი, ჯერ კიდევ არ იყო ისე აოხრებული, როგორც დასავლეთი, თუმცა ნანგრევები მაინც თვალთსცემდა შარდენს. ბორჯომის ხეობის შესახებ შარდენი ამბობს:

აქ მრავალი სოფელია გაშენებული მტკვრის ორთავე ნაპირზე. მრავალ ადგილას მოსჩანს ციხე-კოშკთა, ეკლესიების ნანგრევები — ნაშთი ქართველთა დიდებისა და ოსმალ-სპარსთა მძლავრობისა. სურამის მხრიდან იწყება მშვენიერი ველი, მოფენილი დაბალი ტყით, სოფელ-ავარაკებით და ქართველი თავადების პატარ-პატარა ციხე-კოშკებით.

მთელი ეს მხარე მიწის მუშაობას მისდევს. ერთი სიტყვით, ეს უმშვენიერესი ადგილებია. ყველგან ვხედავდი ლამაზ სოფლებს, მშვენივრად დამუშავებულს და ნაყოფიერ ყანებს. მიწას აქ კარგი მოსავლისათვის რწყვა სჭირდებოდა და, თუ წყალი საკმარისია, აქ ბლომად მოდის ყოველგვარი ხორბლეულობა, მწვანელი და ხილი. საქართველო საერთოდ ძალიან ნაყოფიერი ქვეყანაა და იქ კაცს შეუძლია იაფად იცხოვროს. აქაური პური ფრიად კარგია. ყოველგვარი ხილი მოიპოება და მშვენიერიც არის. არსად ევროპაში არ მოიპოება ასეთი გემრიელი და ლამაზი მსხალი და ვაშლი, არსად აზიაში არაა აქაურზე უკეთესი ბროწეული. შინაური საქონელი, როგორც მსხვილი, ისე წვრილი, ფრიად ბევრია და ჯიშინი. ხალხი უმთავრესად პურით და ლღრის ხორცით იკვებება.

საქართველოში მრავლად ამზადებენ აბრეშუმს, თუმცა არც იმდენს, როგორც ამას მოგზაურები აგვიწერენ. ადგილობრივმა მკვიდ-

რებმა ყაქის მოვლა-მოშენება ხეირიანად არ იციან. აბრეშუმს ისინი გასაყიდად ეზიდებიან ოსმალეთსა, არზრუმსა და სხვა ადგილებში, ვისთანაც დიდი ვაჭრობა აქვთ. ამზადებენ აგრეთვე საუკეთესო ღვინოს, რომელიც სომხეთსა, მიდიასა და ისპაანში გააქვთ.

სოციალური ურთიერთობის შესახებ შარდენი ამბობს: თავად-აზნაურობა სრული ბატონ-პატრონია თავისი ყმებისა და მთელი თვეობით ამუშავენს თავის მამულში. მათ უფლება აქვთ აგრეთვე გაჰყიდონ ყმები, ბავშვებიც კი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი იშვიათად ჰყიდიან ოცი წლისაზე უფროსებს, განსაკუთრებით ქალებს. ყმისავე მდგომარეობაში არიან სამღვდელო პირნიც, რომელთაც ბატონები ხშირად ჰყიდიანო და სხვ.

ტფილისი მკვიდროდ არის დასახელებული. მასში ბევრი არიან უცხოელნი, რომელნიც დიდს ვაჭრობას ეწევიან. მთავრის (მეფის) კარზე მრავალი გამოჩენილი დიდებულია, მეფის ამაღლა მრავალ-რიცხოვანია და მშვენიერი, სავსებით შესაფერისი ამ ქვეყნის დედა-ქალაქისა.

როგორც სამეგრელოში, ისე ქართლში შარდენს ძალიან მოსწონებია მკვიდრთა სილამაზე: ქართველნი გარეგნობით ყველაზე ლამაზნი არიან მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ ქვეყანაზედაც. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი ულამაზო სახის პატრონი, არც ქალი, არც ვაჟი. ბუნებას აქაურ ქალთა უმრავლესობა ისეთი სილამაზით დაუჯილდოებია, რანაირიც სხვაგან არსად მინახავს. წარმოუდგენელია ისინი ნახოთ და არ შეგიყვარდეთ. ისინი მაღალნი არიან, საოცრად ტან-წერწეტნი და გასაოცარი სახე აქვთო და სხვ.

როგორც შარდენის აღწერილობიდან სჩანს, აღმოსავლეთი საქართველო მე-17 ს. დასავლეთთან შედარებით უფრო უწყეთესს მდგომარეობაში ყოფილა. ეს იმითაც აიხსნება, რომ სპარსეთის ბატონობა საერთოდ ისეთი ბარბაროსული არ იყო, როგორც ოსმალეთისა.

განათლება და კულტურა. საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დაცემამ, რასაკვირველია, განათლების და მწერლობის საქმეც ძლიერ შეაფერხა. განათლების მაშინდელი კერა—მონასტრები ღარიბდებიან და ზოგჯერ მთლად ისპობიან. ვალატაკებულნი სახელმწიფო მათ ვალარაფერ დახმარებას ვეღარ უწევს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ათონის და პალესტინა-სინას მთის მონასტრებისა თითქმის მთლად მოიხპო. საერთოდ მაშინდელი მონასტრები დიდ გაჭირებაში ჩაცვივდნენ და უსახსრობა დაეტყოთ. უფულობის

გამოისობით შენობების შეკეთებას ველარ ახერხებდნენ და ლამის თავზე დანგრეოდათ“ (ივ. ჯავახიშვილი). ამისთანა პირობებში, რასაკვირველია, მათი საკულტურო მუშაობა ძალიან უნდა შემცირებულიყო. დაცემას განიცდის კერძოდ მწერლობა. შოთა რუსთველის „ოქროს ხანის“ შემდეგ იწყება ქართული მწერლობის დაცემის პერიოდი და მე-16 საუკუნის დამლევამდე გრძელდება.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში მწერლობა გამოცოცხლებას იწყებს. ეს ეგრედ წოდებული „ვერცხლის ხანა“ ჩვენი ლიტერატურისა თეიმურაზ I იწყება. პირველ ხანებში მაშინდელ მწერლობას მიბაძვითი ხასიათი აქვს, უცხოელთა გავლენის დალი აზის და თარგმანები სჭარბობს. რასაკვირველია, უკულტურო ოსმალები, რომელნიც მხოლოდ მაშინ ეზიარებოდნენ ცივილიზაციას, ამ მხრით ჩვენს მწერლობაზე გავლენას ვერას მოახდენდნენ. სულ სხვა იყო სპარსეთი, რომელმაც თავის დროზე არაბთა კულტურა შეისუტა. სპარსეთი ახალ საუკუნეთა განმავლობაში პოლიტიკურად მოუძღურდა, მაგრამ კულტურით სხვა ჩვენს მეზობლებზე ბევრად მაღლა იდგა. სპარსელებს ფრიად მდიდარი ლიტერატურა ჰქონდათ და ამ ლიტერატურას ქართველობის განათლებული ნაწილი მარტო თარგმნებით როდი იცნობდა. მუსულმან მეფეების ხანაში ქართველ საზოგადოების უმეტესს წრეებში ყოველივე სპარსული დიდს პატივში იყო. სპარსული ენა იქ ისევე გავრცელებული იყო, როგორც ჩვენში რუსული. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ სპარსეთთან მეზობლი. მაგრამ სპარსეთში აღზრდილი თეიმურაზ მეფე თავის სამწერლო მოღვაწეობას სპარსულიდან თარგმანებით იწყებს და „აღორძინების ხანაც“ სპარსულ ყაიდის მწერლობის ნიმუშებს გვაძლევს. თეიმურაზმა სთარგმნა, მაგალითად, „ვარდ-ბულბულიანი“, „შამი-ფარვანიანი“. ორიგინალური ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია თეიმურაზისავე „მაჯაჲ“ და სხვა ლექსები.

არჩილ მეფემ, შაჰ-ნავაზის ძემ, დასწერა ლექსად თეიმურაზ მეფის ცხოვრება („არჩილიანი“). არჩილმა ქართულ მწერლობაში პირველად შეიტანა პატრიოტული, მამულიშვილური კილო. იოსებ ტფილელმა დასწერა გიორგი სააკაძის ცხოვრება ლექსად—„დიდ-მოურავიანი“.

იწერებოდა ისტორიული შინაარსის იახულოებანიც. ფარსადან გორგიჯანიძემ სპარსულიდან გადმოიღო საქართველოზე თემურლენგის, ისაილ-შაჰის და შაჰ-თამაზის ლაშქრობის ამბავი.

სენია ჩხეიძემ დაგვატოვა ისტორია შაჰ-ნავაზის და გიორგი I დროისა. მაგრამ იმ ხნის შესანიშნავი თხზულებათაგანი საბა ხუდ-

მან ორბელიანის (1658—1725) ლექსიკონია. იგი ახლაც ყოველ განათლებულ ქართველისათვის აუცილებელი წიგნია და ძვირფას განძს წარმოადგენს. საბა ორბელიანი განათლებული ადამიანი იყო, მოგზაურობდა ევროპაშიაც და ლექსიკონის გარდა თარგმანებიც დაგვიტოვა. მან დასწერა აგრეთვე იგავ-არაკთა კრებული—„სიბრძნე-სიცრუისა“, რომელიც შესანიშნავია თავისი სადა და მოხდენილი ენით.

როგორც ძველად, ისე ახალ საუკუნეთა განმავლობაში ძლიერ გავრცელებული იყო კალიგრაფია (სუჟთა წერა) ვინაიდან წიგნებს ზელით სწერდნენ და ისე ავრცელებდნენ. პირველი ქართული სტამბა მხოლოდ მე-18 საუკუნეში დაარსა ვახტანგ მე-VI და მაშინ იქმნა დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა წიგნები.

საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში.

საქართველოს პოლიტიკური ვითარება ამ ხანებში. მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი პოლიტიკურის მხრით გაგრძელება იყო წინა საუკუნისა. ქართლ-კახეთი ითვლებოდა სპარსეთის შემადგენელ ნაწილად და მეფეები, ტახტზე ასასვლელად იძულებულნი იყვნენ მაჰმადიანობა მიეღოთ ხოლმე. ისინი სპარსელთა მიერ იწოდებოდნენ ხანებად, ან შაჰის მოადგილეებად საქართველოში. სპარსეთის პოლიტიკურ ბატონობას თან სდევდა მისივე უდიდესი გავლენა საზოგადოებრივს, და კულტურის დარგში. ქართველთა დიდი თანამდებობის პირნი სპარსეთში იზრდებოდნენ და თუ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ, ძალაუნებური აგენტები იყვნენ სპარსეთისა. ვრცელდებოდა მაჰმადიანობა და ჰხდებოდა აგრეთვე მაჰმადიანთა მიერ ქართლ-კახეთის კოლონიზაცია.

სპარსეთისა და ოსმალეთის ქიშპობა ამ ხანებშიაც ფრიად ძლიერი იყო. გაქლიერებული ოსმალები ქართლს იპყრობენ, ხოლო კახეთი სპარსეთის გავლენის ქვეშ რჩება. სპარსეთ-ოსმალეთის ურთიერთ შორის ბრძოლის ანარეკლია ბრძოლა ქართლსა და კახეთს შორის. ამ ბრძოლის დროს აუარებელი სისხლი იღვრება და ქვეყანა მოსახლეობისაგან თითქმის ცარიელდება. ამას ერთვის ლეკთა თარეშები, რაიც სისხლიდან სცლის ქართლ-კახეთს.

ქართლ-კახეთიდან სპარსეთის ხაზინას ძლიერ ცოტა შემოსავალი აქვს. პირიქით, იგი ხშირად მეტს ხარჯავს ფულად, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსაგან იღებს. ამ ხანებში სპარსელები ქართლ-კახეთიდან წელიწადში დაახლოებით 300 თუმანს ხარკს ლებულობენ. მიუხედავად ამისა, სპარსეთი იძულებულია აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ყურადღება მიაქციოს. ეს აიხსნება იმ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობით. რომელიც ქართლ-კახეთს სპარსეთისათვის ჰქონდა ამიერ-კავკასიაში ოსმალეთის წინსვლის შეჩერების საქმეში.

ცოტა ხნით მოლონიერების შემდეგ სპარსეთი თითქმის საბოლოოდ ეცემა, თუმცა დაუძლურებულ საქართველოსთან შედარებით იგი მაინც დიდს ძალას წარმოადგენს. სპარსეთის ძლიერების ხანაში კახეთის მმართველები (თეიმურაზი და ერეკლე) სპარსეთის ორიენტაციას ემხრობიან და ლოიალური პოლიტიკით სცდილობენ ქვეყნის

გადარჩენას. ოსმალეთის წინააღმდეგ სპარსეთზე დაყრდნობა საკეთილო იყო: კახთ-ბატონების პოლიტიკა გონიერი გამოდგა და მათი წყალობით აღმოსავლეთი საქართველო ჯერ მამაშვილის (თეიმურაზისა და ერეკლეს) ხელში ერთიანდება, ხოლო შემდეგ ერეკლე ხდება მეფე მთელი ქართლ-კახეთისა. ამნაირად, მიუხედავად იმ დიდი უბედურებისა, რაიც საქართველოს გადახდა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ბრძოლა თავდება აღმოსავლეთ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამყარებით. პირველ ხანებში ეს ხელისუფლება დამოკიდებულია სპარსეთზე, შემდეგ ხანებში კი თითქმის სავსებით თავისუფლდება და იწყებს ჩქარის ნაბიჯით განმტკიცებას.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთი საქართველო აღმოსავლეთზე უფრო უარეს მდგომარეობაში იყო. იქ თითქმის განუკითხველად ბატონობდა ოსმალეთი. ეს იყო ხანა დიდი არეულობისა და ფეოდალების გაშმაგებული ბრძოლისა, ტყვეთა ვაჭრობისა და ქვეყნის ეკონომიური დაქვეითებისა. მე-18 საუკუნის ნახევრიდან დასავლეთ საქართველოშიაც იცვლება მდგომარეობა და ისიც ნელ-ნელა თავისუფლდება გარეშე მტერთაგან. მაგრამ ეს განთავისუფლება ხდება უფრო გვიან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთის მდგომარეობის დასახასიათებლად საინტერესოა გავეცნოთ ვახტანგ მე-VI მეფობას.

ვახტანგ VI სჯულმდებელი (1703—1723). ვახტანგი პირველ ხანებში მხოლოდ გამგე იყო ქართლისა (1703 წლიდან 1710-მდე), შემდეგ კი სპარსელთა მიერ მეფედ იქმნა დამტკიცებული. ვახტანგ მე-VI ხანა ქართლის მოლონიერების და ფეხზე წამოდგომის ხანა იყო, მაგრამ ეს მოლონიერება და მშვიდობიანობა ძლიერ ხანმოკლე აღმოჩნდა.

როგორც ჭკვიანი, განათლებული ადამიანი, ვახტანგი ბევრს ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიური გაძლიერების და მეურნეობის აღდგენისათვის. ურწყავი ადგილების გასანოყიერებლად გაყვანილ იქმნა ახალი და აღდგენილ იქმნა ძველი რამდენიმე არხი. ვახტანგმა აკრძალა აგრეთვე ტყვეთა ვაჭრობა, ხალხს ცოტა ხნით საშუალება მიეცა მშვიდობიანად შრომისა. მეფისა და ხალხის ფიქრით, ქართლისათვის იმუხამად უფრო ხელსაყრელი იყო სპარსელებთან დაკავშირება და ოსმალელებთან საერთო ძალით ბრძოლა.

საქართველოსათვის თითქოს სასარგებლო საერთაშორისო მდგომარეობა იქმნებოდა და მასაც საშუალება ეძლეოდა თავისუფალი შემოქმედების გზას დასდგომოდა. ვახტანგმა ალაგმა ლეკებიც, რომელნიც ძალიან აწუხებდნენ ქართლ-კახეთს.

როგორც განათლებული ადამიანი, ვახტანგი ცდილობდა წიგნების გამრავლებას და მწერლობის თარგმანებით გამდიდრებას. მან სხვებთან ერთად გადმოიღო სპარსულიდან არაკთა კრებული „ქილილა და დამანა“. მანვე 1709 წელს ტფლისში დააარსა პირველი ქართული სტამბა, სადაც, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსანიც“ დაიბეჭდა. მაგრამ ყველაზე ყურადსაღები ვახტანგის ბრძანებითა და მონაწილეობით შედგენილი კანონთა კრებულის (სამართლის წიგნი). ეს კრებული ძვირფასი განძია საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის და წოდებათა ურთიერთობის განათვალისწინებლად. სწორედ „სამართლის წიგნისათვის“ ეწოდა ვახტანგ VI სჯულმდებელი მის დროსვე სწავლულთაგან შედგენილ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები შეგროვა, ერთმანეთს შეადარა და გამოსცა. ვახტანგსვე ეკუთვნის „დასტურლამალის“ შედგენა, რომელიც ქართლის შინაური ცხოვრების და მაშინდელი წყობილების გასაცნობად ფრიად ძვირფას მასალას წარმოადგენს.

დიდხანს არ გაგრძელებულა ქართლის მშვიდობიანი ცხოვრება. იმ დროს სპარსეთი საშინელი არეულობის ასპარეზად გადაქცეულიყო. ამით ჰაურდათ ესარგებლათ ოსმალეთსა და რუსეთს და მოინდომეს სპარსეთის ხელში ჩაგდება. რუსის მეფე პეტრე დიდმა დაიჭირა დარუბანდი, ბაქო და განაგრძობდა წინსვლას. ამავე დროს სპარსეთისაკენ დასავლეთით ოსმალთა ჯარი მიეშურებოდა. ვახტანგ შეფე ორ ცეცხლ შუა ჩავარდა: როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი მოიხზოვდა მისგან გარკვეულ პასუხს, თუ ვის მიეწრობოდა ქართლი. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ ვახტანგმა გადასწყვიტა თავის ჯარით საქრისტიანო რუსეთს მიმხრობოდა. მან შეაგროვა 40.000-მდე ჯარი და განჯისაკენ გაემართა, რათა იქ რუსებს შეერთებოდა. ვახტანგის საუბედუროდ პეტრე დიდმა ლაშქრობა გადასდო და წინსვლას აღარ ჰკეპრობდა. მალე იგი სავსებით გაბრუნდა კიდეც თავის ლაშქრით. ქართლის მეფე საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. ვახტანგმა თავისი საქციელით გამოიწვია მტრობა, როგორც ოსმალების, ისე სპარსელებისა. ოსმალნი ვახტანგის რუსეთისადმი მიმხრობას ღალატად სთვლიდნენ და მათი ჯარი ტფილისისაკენ მოიმართებოდა. სპარსელები კი, რასაკვირველია უფრო უკმაყოფილონი დარჩნენ: მათ იცოდნენ, რომ ვახტანგის და პეტრე დიდის შეერთებული ჯარი მათ წინააღმდეგ უნდა წასულიყო. ამასთანავე ქართლის რუსეთისადმი დაახლოვება თავის მომავლისათვის ძლიერ საშიშად მიაჩნდათ.

კახეთის მმართველს, განუსულმანებულ კონსტანტინეს (მაჰმად-ყული ხანს) სპარსელებმა ჯარი და ფული გამოუგზავნეს ტფილისზე

გასალაშქრებლად. პირველად ვახტანგმა იგი დააპარცხა, მაგრამ შემდეგში მაჰმად-ყული-ხანმა დიდძალი ლეკობა მოიშველია, ტფილისი აიღო და საშინლად ააოხრა. საკმე არც ამით გათავებულა. მალე ტფილისს ოსმალნი მოადგნენ. მაჰმად-ყული-ხანმა ბრძოლა ვერ გაჰბედა და 1723 წელს ქალაქი ოსმალთა ლაშქარს დაუცალა. ტფილისის აღება სტამბოლში დიდი ზეიმით იცლესასწაულეს და ილუმი-ნაცია გაჰპართეს.

დამარცხებული ვახტანგი იძულებული გახდა დახმარება ისევ რუსეთისაგან ეძებნა. იგი დიდძალი ამალით, როგელშიაც შედიოდა ოთხი ვპისკოპოსი, მრავალი თავად აზნაური და მოწინავე პირი (სულ 1200 კაცამდე) მალე პეტერბურგს გაემგზავრა. იქ ვახტანგი დიდხანს სცდილობდა რუსის მიფეთა დახმარებით ტახტი დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა. რუსეთი იმ დროს სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ომს უდროოდ სთვლიდა. მეორე მხრით ვახტანგის მიერ იმდენ განათლებულ და მოწინავე პირთა რუსეთში წაყვანა ქართლისათვის დიდი დანაკლისი იყო. იგი თითქმის საცვებით დაიცალა ინტელიგენტური ძალებისაგან და უცხოელთა სათარეშოდ გადაიქცა.

ვახტანგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა და 1737 წელს უცხო ქვეყანას, ასტრახანს მიიცივალა.

ოსმალთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში. ტფილისის აღების შედეგ ოსმალებმა ქალაქის მმართველად ისაყ-ფაშა დანიშნეს და შემდეგ ნელ ნელა მთელი ქართლი დაიმორჩილეს. ხალხი გმინავდა მათ უღელ ქვეშ. ოსმალებმა, სხვათა შორის, ტყვეთა ვაქრობა აღადგინეს და მას დიდად ხელს უწყობდნენ. ქვეყანას აწუხებდნენ ლეკებიც, რომელთა თარეში ძლიერ გახშირდა. მშვიდობიან შრომაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა: როგორც წინად, ისე იმ დროს ქართველნი ყანაშიაც კი თავიდან ფეხთამდე შეიარაღებულნი დადიოდნენ. ქართლის მოწინავე პირები ენერგიულად იბრძოდნენ დანპურობელთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა ძლიერ გაძნელებულიყო. პირველ ხანებში ოსმალებს დიდ წინააღმდეგობას უწყედა თავადი გივი ამილახორი, კაცი ფრიად ენერგიული, მამაცი და შეუპოვარი. მაგრამ ბილოს იგიც იძულებული გახდა ოსმალთა წინაშე ქედი მოეხარა, თუქცა დროებით კი.

კახეთში იმ დროს კვლავ მაჰმად-ყული-ხანი იყო მმართველად. იგი, როგორც სპარსეთის მორჩილი, ქართლში ოსმალთა მოწინააღმდეგეებს დიდ დახმარებას უწყედა. ოსმალები ამას კარგად ჰედავდნენ და ამიტომ კახეთის შემოერთებაც გადასწყვიტეს. გივი ამილახ-

ორის დახმარებით, რომელსაც ოსმალნი სწორედ იმ ხანებში მოუ-
რიგდენ — კახეთი დაჭერილ იქმნა, რადგან ლეკთა შემოსევათაგან
დასუსტებულმა კახელებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.
კახეთის დაპყრობის შემდეგ მთელი აღმოსავლეთი საქართველო უკვე
ოსმალთა ხელშია. მაგრამ აქაც, ამ გაჭირვების დროს ჩვენს ქვეყა-
ნას იხსნის მტერთა შორის უთანხმოება, ოსმალ-სპარსთა ქიშპობა.

თეიმურაზ და ოსმალნი. თეიმურაზი კახეთის ბატონიშვილი
იყო და ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა (იგი კონსტანტინეს—მაჰ-
მად-ყული ხანის ძმა იყო).

თეიმურაზი, ოსმალთა კახეთში გაბატონების შემდეგ ფშავში
გადადის და იქიდან პარტიზანულ ბრძოლას ეწევა შემოსულ მტერ-
თა წინააღმდეგ. მასთანვე არის მისი ძე, ხუთმეტი წლის ერეკლე,
რომელსაც მაშინ პატარა-კახს ეძახდენ. თეიმურაზი და პატარა კახი
ხალხს იცავდენ როგორც ოსმალთა ძალადობის, ისე ლეკთა ბრბოე-
ბისაგან. 1733 წელს ერეკლემ მცირე-რიცხოვანი ჯარით ნეიშინის
მინდორზე სასტიკად დაამარცხა ლეკები. ამ გამარჯვებამ ხალხის
სულიერი განწყობილება აამაღლა და პატარა კახის სახელი საყვარე-
ლი გახადა. მართლაც ერეკლესათვის ლეკებთან შეტაკება პირველი
მნიშვნელოვანი ბრძოლა იყო, სადაც მან დიდი გამირობა და სიმამა-
ცე გამოიჩინა.

სპარსეთის მდგომარეობა იმ ხანებში თანდათან უკეთესდებო-
და. იგი ავღანელებისაგან გაანთავისუფლა მაშაცმა და ნიჭიერმა ნა-
დირ-შაჰმა. მანვე ოსმალები განდევნა ჩრდილოეთ სპარსეთიდან და
1735 წელს ყარსთან სასტიკად დაამარცხა. ოსმალებს გზა ეჭრებო-
დათ და ამიტომ საჩქაროდ დასცალეს არა მარტო ტფილისი, არა-
მედ მთელი აღმოსავლეთი საქართველო. ნადირ-შაჰი დიდი ზემოთ-
შემოვიდა ტფილისს. ოსმალთაგან განთავისუფლება ყველას ახარებ-
და, მაგრამ მალე იმედები გაცრუვდა. რასაკვირველია ნადირ-შაჰი
ოსმალებს საქართველოს ინტერესებისათვის არ შებრძოლებია. ამი-
ტომ იგი დაჭერილი ადგილების საბოლოოდ შემომტკიცებას სცდი-
ლობდა. კახეთის მეფედ ნადირ-შაჰმა სპარსეთის ზარიენტაციის მო-
მხრე თეიმურაზი დაამტკიცა, რომელიც მეფობდა თეიმურაზ მე-II
სახელწოდებით.

სპარსელნი ქართლში. ნადირ-შაჰმა ტფილისი ხეფი ხანს ჩამ-
ბარა. იმავე ხანს ემორჩილებოდა მთელი ქართლი. აღმოსავლეთი სა-
ქართველო კვლავ მონობას განიცდიდა. ოსმალთა მაგივრად ახლა
სპარსელები ბატონობდენ. ნადირ-შაჰს კარგად ესმოდა ქართლის
სტრატეგიული მნიშვნელობა ოსმალეთთან ბრძოლაში, ამიტომ მას

იგივე იღუმალი ზრახვა ასულდგმულედა, რის განხორციელებაც შაჰ-აბას დიდმა ვერ შესძლო. მას უნდოდა მთლად ქართლის მცხოვრებნი აეყარა, როგორც არასაიმედონი და მათ მაგივრად ერთგული მუსულმანები დაესახლებინა. ქართველები ვერ უროგდებოდენ სპარსელთა ამისთანა ძალადობას და გივი ამილახორის მეთაურობით რამდენიმეჯერ აჯანყდნენ. ტფილისის ხანი მეამბოხეებს ძლიერ სასტიკად ექცეოდა და აჯანყებულ დაბასოფლებს ცეცხლითა და მახვილით სპობდა. მეამბოხეები მაინც იარაღს არ ჰყრიდნენ და ქართლში მუდამ მღელვარება იყო. ტფილისის ხანმა ხერხს მიმართა: მან გორში მოიწვია, ვითომდა სათათბიროდ, ქართველთა მოწინავე მოღვაწენი. ამ თათბირს დაესწრო თეიმურაზ კახთა ბატონიც, რომელიც ქართველებს იღუმალად ეხმარებოდა. ტფილისის ხანმა ამ თათბირზე გივი ამილახორი, თეიმურაზ და არაგვის ერისთავი ბარძიმ დააპატიმრა. პატიმარნი ჯერ ტფილისის ციხეში გაჭვზავნეს, შემდეგ კი სპარსეთს, ნადირ-შაჰთან.

პატარა-კახი ნადირ-შაჰთან. ნადირ-შაჰმა თეიმურაზი და სხვა პატიმარნი შედარებით კარგად მიიღო. მან მხოლოდ მოითხოვა თეიმურაზისაგან გაეგზავნა სპარსეთს თავისი ძე — ერეკლე (პატარა-კახი), როგორც კი ერეკლე ნადირ-შაჰს ეახლა, თეიმურაზი და სხვა პატიმარნი საქართველოში გამოუშვეს. ამის შემდეგ, როგორც თეიმურაზი, ისე ერეკლე ქვეყნის ხსნას საბოლოოდ სპარსეთისადმი მორჩილებასა და თანხმობაში ჰხედავდნენ. ისინი ამ გზით ქვეყნის ფეხზე წამოყენებას, მოლონიერებას სცდილობდნენ და მერე სპარსეთის უღლისაგან სავსებით განთავისუფლებას ჰფიქრობდნენ. მათი პოლიტიკა მართლაც სწორი გამოდგა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნადირ-შაჰის შემდეგ სპარსეთში კვლავ საშინელი არეულობა და ანარქია გამეფდა.

ნადირ-შაჰი უკანასკნელი გამოჩენილი მმართველი იყო სპარსეთისა. მან არამც თუ გარეშე მტრებისაგან გაანთავისუფლა სპარსეთი, არამედ თავის ქვეყანას ძველი დიდება მოაგონა და შეტევითი ომებიც იწყო. ას ოთხმოცი ათასი კაცით მან გაილაშქრა ინდოეთზე, აიღო დელი და აუარებელი სიმდიდრე იგდო ხელთ. ისტორიკოსთა გადმოცემით, ინდოეთიდან ნადირ-შაჰს წამოუღია არა მარტო სახელმწიფოს ხაზინა, არამედ კერძო პირთა ქონებაც. ძვირფას ქვების, ქსოვილების და სხვა სიმდიდრის გამოსატანად ნადირს 13,000 ჯორი და ცხენი დასჭირდაო, ამბობს მემატიანი.

ერეკლე ნადირ-შაჰის ყოველ ლაშქრობაში დიდ მონაწილეობას იღებდა და თავისი სიმამაცით სახელი გაითქვა. ნადირ-შაჰის ომები

ერეკლესათვის საუკეთესო სამხედრო სკოლა იყო. ამასთანავე თავისი ერთგულებით ერეკლემ ნადირის ნდობა მოიპოვა და ინდოეთზე გალაშქრების შემდეგ მალე საქართველოში იქმნა გამოგზავნილი.

არეულობა იმერეთში. იმერეთი იმ დროს დიდ არეულობას განიცდიდა. მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუარესდა, რაც მე-17 საუკუნის დამლევს იმერეთის სამეფოს ციხე-სიმაგრეები ოსმალებმა დაიჭარეს. ოსმალნი სამეფოს შინაურ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და ხან ფეოდალებს ეხმარებოდნენ, ხან მეფეებს. იმერეთი თანდათან უფრო და უფრო ქვეითდებოდა. მეფეთა უდიდესი მოწინააღმდეგენი კვლავ სამეგრელოს დადიანები იყვნენ, რომელთაც ძლიერ ხშირად იმერეთის ტახტზე თავისი მამულები აჰყავდათ. შინაურმა უფოთმა და განხეთქილებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მყფე **ალექსანდრე მე-IV** (1721—1752) დროს მიიღო. ხსენებულმა მეფემ ახალ საშუალებას მიმართა: ოსმალების დახმარებით ფეოდალები ალაგმა და იმერეთი რამდენსამე ხნის განმავლობაში შედარებით მოსვენებული იყო.

ალექსანდრე მე-IV დროს იჩინა თავი რაჭის ენერგიულმა და ქედმაღალმა **როსტომ ერისთავმა**. იგი სამეგრელოს მთავრის შემდეგ იმერეთის მეფას ყველაზე ძლიერი მტერი შეიქმნა. როსტომმა, დადიანებმა და იმერეთისავე მსხვილმა ფეოდალებმა **ალექსანდრე მეფე** რამდენიმეჯერ დაამარცხეს და იძულებულ ჰყვეს ტახტი მიეტოვებინა. **ალექსანდრე** ხან ოსმალეთის, ხან სპარსეთის დახმარებით სამეფოს კვლავ უბრუნდებოდა. ასეთი მდგომარეობა იმერეთს უფრო დამოკიდებულს ჰქმნიდა გარეშე ძალთაგან. ამას გარდა იმერეთი ფაქტიურად ხომ ოსმალთა ხელში იყო: ოსმალეთის ჯარი იღვა ქუთაისის, შორაპნის, ფოთის და სხვა ციხეებში.

მუდმივი რბევა-აწიოკება, ბრძოლა ფეოდალებსა და მეფეთა შორის ქვეყანას აუძლურებდა და მის კეთილდღეობას ანიავებდა. მძამე იყო მდგომარეობა ხალხისა მიუხედავად იმისა, რომ **ალექსანდრე მე-V** ბოლოს და ბოლოს სამეგრელოს მთავარს მოურიგდა და ზავი ჩამოაგდო. ასეთ უნუკეშო ყოფაში იყო დასავლეთი საქართველო, როდესაც იმერეთის ტახტზე ავიდა **სოლომონ I დიდი** (1752—1784). აღმოსავლეთ საქართველოს ამალელებასთან ერთად იმერეთიც ნელ-ნელა ფეხზე დგება. **სოლომონ I** და ერეკლეს ესმით ქვეყნის დამშვიდების დიდი საჭიროება და ხშირად გარეშე მტრებთან ბრძოლაში თანხმობით მოქმედებენ.

საქართველოს მოღონიერება და რუსეთთან დაახლოება

სპარსელთა წინააღმდეგ ამბოხებანი ქართლში. ქართლს სპარსელთა ძალადობის გამო შავი დღეები დაუდგა. სპარსეთს ომებისათვის საშუალებანი სჭარდებოდა და ამიტომ ქართლს ფულსა და სურსათს ართმევდა. ხალხის უკმაყოფილების მოსასპობად და მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად სპარსეთი დათანხვდა გივი ამილახორის აქ გამგედ დანიშვნას. ამილახორს ქართლის ვეჟილობა (მმართველობა) უბოძეს. ამილახორი ქართლს განაგებდა ტფილისის ხანთან ერთად, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როდესაც ქართლში მოვიდა შაჰის ბრძანება: 600 ახალგაზდა ქალი და კაცი, რამდენიმე ათასი მცხოვრებნი, ნახევარი მილიონი ფუთი ხორბალი და ხარები გამოჰგზავნეთ—გივი ამილახორმა გადასწყვიტა, რომ ამისთანა ძარცვა გლეჯის წინააღმდეგ აუცილებელი იყო მედგარი ბრძოლა. ამილახორი ფიცხლავ ტფილისიდან ქართლს წავიდა (1742 წ.) და ამბოხების დროშა ააფრიალა. მას მიეჩხრენ ქსნის და არაგვის ერისთავები და ზოგიერთი სხვა ფეოდალებიც.

გააფთრებულმა შაჰმა ბრძანა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა აწიოკება და ამოწყვეტა. მხოლოდ თეიმურაზ მეფის თხოვნამ იხსნა ქართლ-კახეთი მოსალოდნელი უბედურებისაგან. როგორც სპარსეთის მომხრეს, შაჰმა თეიმურაზს დაუჯერა და ბოროტ განზრახვაზე ხელი აიღო. თეიმურაზმა მაინც ისარგებლა არეულობით და კახეთს შეუერთა არაგვის საერისთავო, ვითომდა იქაური აჯანყების ჩასაქრობად. სპარსელებს, რასაკვირველია, თერნურაზის ასეთი გაძლიერება არაფრად ეპიტნავენოდათ, მაგრამ შეამბოხებებთან ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა და თეიმურაზის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ძალაუფლებურად შეურიგდენ.

გივი ამილახორი ბრძოლას განაგრძობდა თავის გუშინდელი მტრების—ოსმალთა დახმარებით. აჯანყების ცეცხლი შოედო მთელ ქართლს და სპარსელებს მისი ჩაქრობა უჭირდათ. თეიმურაზს ამ ბრძოლის დროსაც უფრო სასარგებლოდ მიაჩნდა სპარსელებთან ყოფნა, რის გამოც ქართველების უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე მაინც ასე თუ ისე კეთილად დამთავრდა: სპარსეთმა არეულობის დამშვი-

დების იმედი დაჰკარგა და ქართლის ტახტი თეიმურაზს შესთავაზა (1744 წ.). კახეთის მეფედ აღიარებულ იქმნა ერეკლე. ამის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო (ქართლ-კახეთი) ფაქტიურად გაერთიანებულია, ვინაიდან მამა-შვილი ერთსა და იმავე საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ.

თეიმურაზის კურთხევის მნიშვნელობა. ტახტზე ასვლის ერთი წლის შემდეგ (1745 წ.) თეიმურაზ მეფე მცხეთაში დიდის ზეიმით აკურთხეს. ქართველ მამულიშვილთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: თეიმურაზ მე-III პირველი იყო მუსულმან მეფეთა შემდეგ, ასეთს კურთხევას რომ ეღირსა. თუ რაოდენ დიდი იყო იმ დროს მოწინავე პირთა სიხარული, ნათლად სჩანს ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვებიდან. პ. ორბელიანს თეიმურაზისა და ერეკლეს თანამედროვე იყო და აღტაცებით ასწერს მამის კურთხევაზე ერეკლეს ჩამოსვლას. „რა მოეხლა ქალაქს მეფე ერეკლე, ამბობს პ. ორბელიანი, გაეგებნენ სრულიად ქართველნი, აგრეთვე დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი. შეასხეს ქება, ვითა შეენოდა... ჯარი აქეთიქით დასათ მოსდევდა, თვითონ მარტივად მობრძანდებოდა: თქვენ-მა მზემან, უკეთესი სანახავი კაცის თვალით არ ინახებოდა. წითელსა ტაიჭსა (ცხენზე) სჯდა, ქარქაში ხილფითა (ხმალი) ოქროთი მოჭედილი, წელთა ერტყნეს; კაცს მისი შეხედვა განალიგებდა: სუმბულნი ახლად აშლოდეს, ვარჯნი (თმები), მუშკთა მფშვეველნი თხემთა დაშლოდეს გარემოცვითა, ვარდნი სახდომად (ლამაზად) გაშლოდეს, ტან-კვიპაროზი გმირ-ფალაგურად აღზრდოდეს... გარდმოხდა ცხენისაგან, მოეგებნეს მეფე და დედოფალი, მოეხვივნის სურვილით, ვითა ძე იყო და მის უმეტეს ძე არ ესვათ“...

როდესაც თეიმურაზ დიდის ზეიმით და ძველებურის სრულის წესით მეფედ აკურთხეს და გვირგვინი დაადგეს, დაიწყო ტრადიციული ღზინი. „შეიქმნა ღზინი, განაგრძობს ორბელიანი, ვითარც ქართლის რიგი ყოფილიყო, ცდილობდენ გამოჩენასა. ვითა ჰმართებდათ ქართველთა, ეგრე გულსრულობით სიხარულს არა დააცადებდენ, ამით რომე, დიდი ხანი გარდაცვლილ-იყო (გასულიყო) ქრისტიანე მეფე არა სჯდომოდათ. კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხილათ. ახლა ეს ღვთისწყალობა მოეგლინათ, ქრისტეს მორწმუნე და სარწმუნოება შეურყეველი მეფე დაუჯდათ: ვითარც მართებდათ, დიდნი და მცირენი, მადლობდენ ღმერთსა“...

პაპუნა ორბელიანის სიტყვები ცხადყოფენ იმ აღტყინებას, ქრისტიან მეფის ტახტზე დაგვირგვინებას და კურთხევას რომ გააზოუწვევია. თეიმურაზს მათი აზრით, უმეტესად უნდა გაემართლე-

ბინა ქართველი პატრიოტების იმედები, მას თავისი სამეფო უნდა დაემშვიდებინა და გაეძლიერებინა.

ქართლის გაძლიერება. თეიმურაზის გამეფების შემდეგ ქართლი ნელ-ნელა დამშვიდებას იწყებს. ფეოდალები თავის წინანდელ გაველენას ჰკარგავენ და მეფეებთან ბრძოლაში მარტონი რჩებიან. ისინი ახლა მუსულმან მეფეს ხომ აღარ ებრძოდნენ, რომ ხალხი მათ აპყოლოდა. ტახტზე იჯდა ქრისტიანი თეიმურაზი. ეროვნული ბრძოლის დროსა ამიერიდან მეფეთა ხელში გადადის და ფეოდალები იძულებულნი არიან მდგომარეობას სათანადო ანგარიში გაუწიონ.

თეიმურაზ და ერეკლე ენერგიულად ებრძვიან გარეშე მტრებს. შეერთებული ძალით ისინი ამარცხებენ ლეკებს და ამ უკანასკნელთა თარეშიც დროებით შეჩერდება. მიუხედავად თავისი შედარებითი ძლიერებისა, ქართლ-კახეთი იმ ხანებში ჯერ კიდევ მაინც სპარსეთის ვასალად ითვლება.

როგორც აღნიშნული იყო, ნადირ-შაჰის დროს სპარსეთის გაძლიერება ხანმოკლე და წარმავალი აღმოჩნდა. ნადირის მპართველობის უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა ურთიერთშორის ბრძოლამ და შფოთმა, რისაც თვით შაჰი ნაკლებად არ უწყობდა ხელს. საქმე ისაა, რომ სიბერის ჟამს ნადირი ავად გახდა ეგრედწოდებულ დევნის მანიით. თითქმის ყოველ-დღე შაჰის ბრძანებით აუარებელ ხილხს სიკვდილით სჯიდნენ და ჰხოცავდნენ. მღელვარება და ცალ-ცალკე ხანების ქიშპობა იმდენად გაძლიერდა, რომ 1747 წელს ნადირი ამ არეულობის მსხვერპლი გახდა: იგი შოკლულ იქმნა მოწინააღმდეგეების მიერ. ქართლ-კახეთმა ისარგებლა ნადირის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში დატრიალებული არეულობით და სპარსეთის დამოკიდებულებებისაგან ფაქტიურად სავსებით განთავისუფლდა. სრულიად უბრძოლველად ტფილისის და სხვა ციხეებიდან სპარსელთა ჯარები განდევნილ იქმნენ და იქ ქართველები ჩადგნენ.

სპარსეთს აღარ შეეძლო ქართლ-კახეთის გაძლიერებისათვის ხელი შეეშალა. როდესაც თეიმურაზმა და ერეკლემ შემოიერთეს ყაზახი, შემდეგ ერევნისა და განჯის ხანები დაიმორჩილეს, ხარკი დაადეს—სპარსეთი თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ იძულებული გახდა ყველაფერ ამასზე დათანხმებულიყო.

საქართველო სპარსეთის საქმეებში ერევა. თეიმურაზსა და ერეკლეს მალე მოუხდათ თვით სპარსეთის საქმეებში ჩარევა, ვინაიდან იქ მებრძოლი სხვადასხვა ხანები საქართველოს მომიჯნავე ადგილებს ემუქრებოდნენ. იგივე ხანები, რომელთაგან ხან ერთი აღიარდა ტახტზე, ხან მეორე—ხშირად ლეკებსაც ჩვენი ქვეყნის ძარცვა-

გლეჯაში ხელს უწყობდენ. იმ დროს ავღანელები ხელახლა აღსდგენ სპარსელთა წინააღმდეგ და თითქმის მთელი სპარსეთი დაიპყრეს განჯა-ერევნამდე. როდესაც ავღანელთა წინამძღოლმა აზატ-ხანმა თავრიზი აიღო, ამ ქალაქის გამგემ შევლა საქართველოს სთხოვა. დახმარებისათვის მიმართეს ერეკლეს აგრეთვე ერევნის, განჯის, ყარაბაღის და შარვანის ხანებმა. თეიმურაზმა და ერეკლემ გადასწყვიტეს ჯერ თავრიზზე გაელაშქრათ, შემდეგ ისაჰანზე, მაგრამ ბრძოლა უფრო ახლოს, ერევანთან მოხდა. ქართველების მკირერიცხოვანმა ჯარმა ერეკლეს სარდლობით სასტიკად დაამარცხა აზატ-ხანის დიდძალი ლაშქარი და ამით საქართველოს ძლიერება ყველასათვის ნათელჰყო. სხვადასხვა ხელისშემშლელ გარემოებათა გამო, ერეკლემ ვერ მოახერხა გამარჯვებით ეარგებლნა და ლაშქრობა აღარ განუგრძვია. ყოველ შემთხვევაში აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ საქართველს სპარსეთის მხრით შიში აღარ უნდა ჰქონოდა.

ქართლ-კახეთის შეერთება. სპარსეთის დროებითი მოძღურების ხანაში საქართველოს საშუალება მიეცა ამიერკავკასიის გარეშე ეძებნა მოკავშირე თავისი მომავლის უზრუნველსაყოფად. სპარსეთი და ოსმალეთი მიუხედავად უძღურებისა, საქართველოს მაინც თავისად სთვლიდენ. როდესაც თეიმურაზი ან ერეკლე რუსეთს მიმართავდენ რაიმე თხოვნით—ორივე ჩვენი მეზობელი ყურს სცქვეტდა ხოლმე და აიძრიზებოდა. იმ დროს რუსეთში ქართველობის მთელი ახალშენები იყო მოწყობილი. იქაური ქართველები ბევრს იღვწოდენ ამ ორი ერის დაახლოებისთვის. რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დასაქერად და ზოგიერთი საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგს წავიდა თვით თეიმურაზ მეფე. უკან დაბრუნების დროს იგი 1862 წელს ასტრახანში გარდაიცვალა: ქართლის ტახტი ერეკლემ დაიჭირა და ორივე სამეფო, წინადაც მამა-შვილის ხელში თაქტიურად გაერთიანებულნი,—იმ ხნიდან საბოლოოდ და იურიდიულადაც გაერთიანდა—ერეკლე მე-II-ს ხელში.

ერეკლე მე-II (1744—1798). საქართველოს ახალი დროის ისტორიაში ერეკლე მე-II ყველაზე გამოჩენილი და ნიჭიერი მეფეა. იგი შესანიშნავი სარდალი და კარგი სტრატეგი იყო. ამასთანავე ერეკლე კარგად იცნობდა წინა—აზიის მაშინდელ მდგომარეობას, ამის და მიხედვით აწარმოებდა საგარეო პოლიტიკას და ყოველ საშუალებას ხმარობდა სამეფოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. სპარსეთის საქმეებში ჩარევამ ერეკლეს სახელი მოუჰოვა ევროპაში. იმ ხანებში პარიზს გამოვიდა სპარსეთის საქმეების შესახებ წიგნი, რომელიც მალე გერმანულადაც გადათარგმნეს. წიგნის ავტორი ალტაეებით

იხსენიებდა ერეკლეს მოღვაწეობას და პიროვნებას. მხოლოდ ის თუ შესძლებს საჭარბოროტო საკითხების გადაწყვეტას, მხოლოდ ის თუ მოსპობს სპარსეთში გამეფებულ ანარქიასაო, ამბობდა ავტორი. აზატ-ხანის დამარცხებამ ერეკლეს სახელი უფრო ცნობილჰყო. მას ქება-თა-ქებას ასხამდა რუსის იმპერატორიცა ეკატერინე მე-II ფილოსოფოს ვოლტერთან მიწერ მოწერაში. პატარა კახის სახედრო გენიამ კი მისდამი ყველას პატივისცემა გამოიწვია. ფრიდრიხ დიდი, ეს სამხედრო გენიოსი, ხშირად ამბობდა ხოლმე: ევროპაში მე ვარ პირველი, აზიაში ერეკლეო.

თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ერეკლემ ორმოცზე მეტი დიდი ბრძოლა გადუხადა და ამათში ოცდაათზე მეტი გამარჯვებით დაამთავრა. თავის დროის შესაფერად იგი მოწინავე აზრების კაცი იყო და როგორც მედგარი ხასიათის პატრონი სრულუფლებიანობისაკენ ისწრაფოდა. ამიტომ იგი სასტიკად ებრძოდა ცალკე ფეოდალებს და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას სცდილობდა. მის დროსვე მოხდა ზოგიერთი რეფორმა, რასაც საქართველოს შინაური ცხოვრებისა და გარეშე მტერთაგან თავდაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ერეკლეს საშინაო პოლიტიკა. გაერთიანებული ქართლ-კახეთის პირველი საქმე—ერეკლეს აზრით შინაური მტრების და ქვეყნის გამთიშავ ძალთა აღადგენა უნდა ყოფილიყო. ფეოდალები იყვნენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალურ ხელისუფლებას ძარს უთხრიდენ და მის გაძლიერებას ებრძოდენ. ფეოდალების დასამორჩილებლად საქარო გახდა იმ საფუძვლის მოსპობა, რომელზედაც იყო დამყარებული მათი ძლიერება და რაიც მათ საშუალებას აძლევდა თითქმის სრულიად დამოუკიდებელ მმართველებად ქცეულებს. საჭირო იყო ნატურალური მეურნეობის წესებისაგან თავის დაღწევა, სახელმწიფო სამსახურისათვის ფულის გაღება და არა მიწების გაცემა. ფულის მოჭრის საქმე კი მთელ ახალ საუკუნეთა განმავლობაში ფრიად ცუდად იყო დაყენებული. კარგა ხნის ხარვეზის შემდეგ ფულის მოჭრა საქართველოში მხოლოდ მე-18 საუკუნის დამდეგს განახლდა. ერეკლემ ამას უდიდესი ყურადღება მიჰქცია. მან დაიწყო ზრუნვა მადნების დამუშავების მოწყობისათვის. ახტალის ოქროსა და ვერცხლის მადნები მან ჩააბარა გამოცდილ პარებს, რათა ეს საქმე წარმატებით წამართათ. დაიწყო ფულის მოჭრაც. ამას გარდა სახელმწიფოს თავის მოხარკეებისაგანაც კარგი შემოსავალი ჰქონდა. შუშის ხანისაგან ერეკლე იღებდა 120.000 მან., ერევნისაგან—200.000 მან., განჯისაგან—50.000 მ. ყოველწლიურად. ფულის

მაშინდელი სიძვირის დროს ეს ხარკი კარგა დიდ თანახას შეადგენდა. რასაკვირველია შემოსავალი სახელმწიფოს მაინც არ ჰყოფნიდა და ხაზინა გაკირვებას განიცდიდა.

მეფე მხოლოდ მაშინ იქნებოდა ძლიერი და ქვეყნის ნამდვილი ხელისუფალი, თუ მას საიმედო სამხედრო ძალა ეყოლებოდა შინაურ და გარეშე მტრების ასალაგმევად. ამიტომ ერეკლე ჯარის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევდა. მან შემოიღო ეგრედწოდებული *მორიგეობა*, სამილიციო ჯარის სისტემის მსგავსი. ყოველი ქართველი, რომელსაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვე ჯარში ემსახურნა, „მორიგეობა“ გაეწია. „მორიგეობა“ დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული და მალე ბრწყინვალე შედეგებიც გამოიღო. ლეკთა ბრბოები, რაკი მწყობრ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ, აგრე ადვილად შემოსევას ვეღარ ჰბედავდნენ. „მორიგეობის“ წესმავე შეაძლებინა ერეკლეს ფეოდალები აელაგმა და თავის ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა. ქსნის ხაერისთავო, რომლის ბატონიც მეფეებს დიდი ხნის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას და ურჩობას უწევდა—ერეკლემ მთლად მოსპო.

ერეკლე ზრუნავდა აგრეთვე თოფ-იარაღის ქარხნის მოწყობაზეც. იმ ხანებში ჩვენს მეზობლებს უკვე ჰქონდათ არტილერია. თუ საქართველოც არ გაიჩენდა მას—მტრები ყოველთვის ადვილად შესძლებდნენ მის დამარცხებას. ამიტომ ერეკლეს ბრძანებით ტფილისში აკეთებდნენ ზარბაზნებს, ტყვიასა და ყუმბარებს. ამნაირად დაარსდა დედა-ქალაქში იარაღის ქარხანა—*თოფხანა*.

ერეკლე მეფე მფარველობდა აგრეთვე სწავლა-განათლებას და მის გავრცელებას ხელს უწყობდა. ესმოდა რა განათლების მნიშვნელობა, მას სურდა სკოლის კარები ფართოდ გაეღო. წინად სახელმწიფო თანამდებობას მხოლოდ ფეოდალების წრიდან გამოსულები იჭერდნენ. მეფეს ჰსურდა ისპარეზი გაეხსნა ახალი, თუმცა უგვარი-შვილო, მაგრამ ნიჭიერი პირებისათვის და მათი სახით ტახტის და მეფის უფლების ერთგული სახელმწიფო მოღვაწენი გაემრავლებინა. სწორედ ამ ახალ პირებზე დაყრდნობის იმედი ჰქონდა ერეკლეს ფეოდალებთან ბრძოლის დროს. მისი უახლოესი თანამშრომელი, თავის დროის და მიხედვით ფრიად განათლებული ადამიანი, მხურვალე მამულიშვილი და ერეკლეს მარჯვენა ხელი—*ხოლომონ ლეონიძე* ნალეკარი დეკანოზის შვილი იყო. მან პირადი დამსახურების და ნიჭის გამო მიიღო შემდეგში თავადის ხარისხი.

ერეკლეს დროს გაიხსნა მრავალ ადგილას სამრევლო სკოლები, ბოლო ტფილისსა და თელავში დაარსდა *სემინარიები*. ითარგმნე-

ბოლა წიგნები, განახლდა წიგის ბეჭდვაც, რომელიც ვახტანგ მე-VI შემდეგ შემწყდარიყო. მაგრამ გარეშე პირობები ხელს უშლიან ქვეყანას მშვიდობიანი შრომის გაწევასა და სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებაში. შინაური განხეთქილება და შფოთი უფრო მეტად აფერხებს ამ საქმეს, თუმცა ერეკლე ყოველ ღონეს ხმარობს ქვეყანას მშვიდობა და წარმატების გზაზე თავისუფლად სვლის საშუალება მისცეს.

მიუხედავად დაუძღურებისა, ფეოდალები მაინც არ ისვენებენ და 1775 წელს რუსეთის აგენტის დახმარებით მოახდენენ ერეკლეს წინააღმდეგ მორიგ შეთქმულებას. მეფე შეუტყობს მტრებს ბოროტ განზრახვას და მემამობეებს სიკვდილით სჯის.

ერეკლეს საგარეო პოლიტიკა. საგარეო პოლიტიკაში ერეკლე შემდეგს გეზს მისდევდა: ერთი მხრივ ის იბრძოდა მთელი საქართველოს გაერთიანებისათვის, მეორე მხრით ეძებდა ისეთ მოკავშირეს, რომლის სახელმწიფოებრივი ინტერესები მისი ქვეყნის ინტერესებს არ უპირდაპირდებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ტრადიკულ მდგომარეობაში იყო: აღმოსავლეთი საქართველო დაინტერესებული იყო სტრატეგიული და საფინანსო მოსაზრებითაც (ხარკის მიღება), რომ აზერბეიჯანი მის მუარველობის ქვეშ ყოფილიყო. ამის გამო მას უთანხმოება ჰქონდა სპარსეთთან. მეორე მხრით ერეკლე ედავებოდა იმალეთსაც ახალციხის და საერთოდ მესხეთის გამო; იგივე ოსმალეთი თავისად სთვლიდა მთელ დასავლეთ საქართველოს. სპარსეთი ისე დასუსტდა, რომ პირველხარისხოვან სახელმწიფოთა რიგებიდან გამოვიდა. მისი მეოხებით ოსმალთა დამარცხებაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელიც ქართველთა აზრით არ იყო დაინტერესებული საქართველოს დამონებით—რუსეთი-და ჩჩებოდა. სწორედ იმის იმედი ჰქონდა ერეკლეს და ჰფიქრობდა რუსეთის დახმარებით როგორც სპარსეთის საბოლოოდ აღაგმვას, ისე ოსმალეთისაგან საქართველოს ნაწილების განთავისუფლებას. ერეკლე ამ შემთხვევაში ტრადიციას მისდევდა, რუსეთთან ურთიერთ დახმარების ნიადაგზე დაკავშირებას სცდილობდა. საამისოდ ჯერ კიდევ თეიმურაზ მეფე იყო წასული რუსეთში. ამიტომ, როდესაც მე-18 საუკუნის შუა ერეკლემ განიზრახა ძველი მესხეთის კვლავ საქართველოს ფარგლებში დაბრუნება—მან რუსეთს მიმართა: ოსმალეთის წინააღმდეგ ერთად გავილაშქროთო.

რუსეთთან დახლოების ცდა ახალი საქმე არა ყოფილა. მძიმე, შავი დღეების დროს, როდესაც საქართველო სისხლით იცლებოდა მებობელ მუსულმანურ სახელმწიფოებთან უთანასწორო ბრძოლაში,

ქართველი მამულიშვილები ხშირად ჩრდილოეთს მიაპყრობდნენ თავალებს. იქ არის საქრისტიანო დიდი რუსეთი, იგი მოგვეშველება როგორც ერთმორწმუნე ძმებს, უანგაროდ გამოგვიწვდის დახმარების ხელს,—ჰკვიკობდნენ ქართველი მამულიშვილები.

რუსეთისადმი მისწრაფება და დახმარების მოლოდინი იმდენად ძლიერი იყო, რომ საქართველოს მეფენი ნიადაგ ზიმართავდნენ თხოვნით რუსის მეფეებს, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ხშირად იმედი უცრუვდებოდათ. ჯერ კიდევ 1571 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე მე-II სთხოვს რუსის მეფე თევდორე იოანეს ძეს დახმარებას. შემდეგ თეიმურაზ I მიმართავს რუსეთს იმავე თხოვნით—1634 წელს და ტახტის დაკარგვის შემდეგ მოსკოვშიაც წავა. რუსეთის იმედი აქვს იმერეთის მეფე ალექსანდრე ზესამესაც და 1652 წელს მუარველობას სთხოვს. რასაკვირველია არც ერთს ზემოხსენებულ მეფეთაგანს რეალური დახმარება არა მიუღია რა. რუსის მეფეებმა თავის ტიტულს მხოლოდ ის მიუმატეს, რომ ისინი არიან მეფენი „მიწათა ივერიისათა“ და სხვა არაფერი. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელი რუსეთის თვითმპყრობელობა თუმცა მტკიცედ, მაგრამ მხოლოდ ნელ—ნელა მოიწევდა საცხრეთისაკენ, შავი და კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ.

მაოლოდ მე-18 საუკუნის დამლევს გახდა შესაძლებელი ლაპარაკი რუსეთისა და საქართველოს რეალურ დაახლოებაზე. იმ დროს რუსეთმა უფრო იწყო თავის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იმპერიალისტური ჯგუფების განხორციელება და ამიერ-კავკასიის საზღვრებს მოუახლოვდა. მაშინ დადგა დრო რუსეთის მიერ საქართველოს გამოყენებისა თავის მეტოქე ოსმალეთის წინააღმდეგ. დაიწყო მოლაპარაკება.

1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი ასტყდა. ერეკლემ მამართა ეკატერინე მე-II, მაშველი ჯარი გამომიგზავნე და ოსმალეთს—საქართველოს მხრით თავს დავესხმიო. რუსეთი ახლა კი ჯათანხმდა და ერეკლეს გამოუგზავნა მცირე რაზმი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ხსენებული გენერალი ძლიერ უტაქტო გამოდგა და ყველა აამხედრა თავის წინააღმდეგ. უცხო ქვეყანაში ისე იქცეოდა, როგორც ბატონი, როდესაც რუსის და ქართველი ჯარი ბორჯომის ხეობაში დადგა და ახალციხეზე იერიში უნდა მიეტანა, გენ. ტოტლებენი სრულიად მოულოდნელად თავისი რაზმით უკან გამობრუნდა და ქართლს მიაშურა. მრავალრიცხოვან ოსმალთა წინაშე ერეკლე მარტო დარჩა. მას მხოლოდ 7000 კაცი ჰყავდა და სამი ზარბაზნი ჰქონდა. მაგრამ უკან დახვევა აღარ შეიძლებოდა. ერეკლემ იმი გადასწყვიტა და სწორედ მაშინ (1770 წ.) მოხდა სა-

ხელგანთქ უი ასპინძის ბრძოლა (სოფ. ასპინძასთან). მიუხედავად სიმრავლისა, მტერი სასტიკად დამარცხდა და გაიქცა, ერეკლეს მარჯაფი ჯარი არ ჰყავდა, ბრძოლის განგრძობა, მტრის დევნა არ შეეძლო და ამიტომ უკან დაბრუნდა.

რუსეთთან კავშირმა, რომელიც ამ შექმნევაში სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა — დიდი ვნება მოუტანა საქართველოს. ოსმალეთმა და მოუძღურებულმა სპ რსეთმაც კი თავი წამოჰყვეს: საქართველოს დაკავშირება რუსეთთან მათს არსებობას უშუალოდ ემუქრებოდა. იმ ხნიდან ოსმალეთი და სპარსეთი სასტიკად თვალ-ყურს ადევნებენ და ზვერავე საქართველოს ყოველ ნაბიჯს. რუსეთისაგან დანებების უშედეგო ცდის გამო საქართველო შეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოთა ორხრივი თავდასხმის მახვერპლი ჰხდება.

თითქმის იმავე დროს, რა დროსაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, იმერეთიც რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ დანებებას სთხოვდა. ამის გამო მოლაპარაკება სოლომონ I მეფობაში ჰხდებოდა.

სოლომონ I, მეფე იმერეთისა (1752-1784). იმერეთის ერთი გამოჩენილი მეფობათაგანი მე-18 საუკუნეში სოლომონ I-ის მეფობა იყო. პირველად სოლომონის დროს განთავისუფლდა მთელი დასავლეთი საქართველო ოსმალთა ბატონობისაგან და უარი სთქვა მათ სასარგებლოდ ხარკის გადახდაზე.

სოლომონ I შინაურ მტრებთან, ფეოდალებთანაც დიდი ბრძოლა გადაჰხდა. მას ექიშებოდნენ როსტომ რაჭის ერისთავი და მსხვილი ფეოდალი ლევან აბაშიძე. როგორც ქვეიანი და ფრთხილი ადამიანი — სოლომონ I მეფე სცდილობდა მტრების გათიშვას და სათითაოდ დამარცხებას. ამიტომ იგი სამეგრელოს მთავარს ოტია დადიანს დაუახლოვდა და მისი ქალი შეერთო. ამით დადინები სოლომონ I-მა თავის მტრებს გაჰოსთიშა, შაგრამ დანარჩენებთან მაინც ფაცხელი ბრძოლა მოჰხდა.

სოლომონ I-მა ზეპირველესად ყოვლისა სასტიკად აკრძალა ტყვეთა ვაჭრობა, რაიც ქვეყნისათვის ესდენ დამღუპველი გამხდარიყო. ტყვეთა გამყიდველ-გაყიდვის მეთოდს სიკვდილით დასჯა შემოიღო. სოლომონის ამ გონიერმა ნაბიჯმა ოსმალეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან უმთავრესი მყიდველი ტყვეებისა იგი იყო. განუსუღმრუნებელი საქართველო, მესხეთი — იმერეთისა და ქართლის წინააღმდეგ ოსმალთა ავანგარდად გადიქცა. მეფეთა მომდურავი პირები გარბოდნენ ახალციხის ფაშასთან. იქ მათ სიამოვნებით ხვდებოდნენ, ფულსა და საშუალებას აძლევდნენ და საქართველოს წინააღმდეგ ჰგზავნიდნენ. ახალ-

ციხის ფაშის ამისთანა მოქმედება გაძლიერდა სოლომონ მეფის დროსაც. მისი მოწინააღმდეგე ლევან აბაშიძე გაიქცა ახალციხეს, წამოუძღვა ოსმალთა ჯარს და სოლომონს დამხობას უპირებდა. ხრესილის ველზე (ქუთაისის მაზრაში) 1757 წელს მოხდა დიდი შეტაკება ოსმალთა ჯარსა და იმერლებს შორის. ამ ბრძოლაში მტრებს ეხმარებოდნენ რაჭის ერისთავი როსტომ, ხოლო სოლომონს სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი. დამარცხდნენ ოსმალები, თვით ლევან აბაშიძე მოკლულ იქმნა, რამდენიმე ფაშა ტყვედ წამოიყვანეს, ერისთავი როსტომ გაიქცა.

ამის შემდეგ ოსმალებმა რამდენიმეჯერ კიდევ სცადეს სოლომონის დამხობა. მათ სამჯერ გამოილაშქრეს იმერეთზე, მაგრამ დიდი ზარალით უკუქცდნენ. მეოთხე ლაშქრობის დროს სოლომონის წინააღმდეგ გაერთიანდნენ თითქმის ყველა მისი მოწინააღმდეგენი. მეფე დამარცხდა და იძულებული გახდა მიეტოვებინა ტახტი. იმერეთი საშინლად აოხრებულ იქმნა (1766 წ.). მაგრამ ოსმალნი მალე დარწმუნდნენ, რომ იმერეთის დამშვიდება ძვირად უჯდებოდათ. ამიტომ ისინი სიხარულით დასთანხმდნენ სოლომონის წინადადებას ზავის შესახებ (1768 წ.). მეფე იძულებული გახდა კვლავ ხარკი ეძლია ოსმალთათვის. რასაკვირველია ქვეყნისათვის ასეთი მდგომარეობა მძიმე და დამამცირებელი იყო და იგი ხარკისაგან განთავისუფლებას სცდილობდა. მაგრამ ვარეშე მტრების წარმატებით მოსაგერებლად საჭირო იყო ჯერ შინაურ მტერთა ალაგმვა. ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე მეფისა—კვლავ რაჭის ერისთავი იყო. ამიტომ სოლომონმა უმთავრესი თავისი ყურადღება მას მიაქცია. ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლების შემდეგ მეფემ როსტომი დაამარცხა და რაჭის საერისთავო მთლად მოსპო (1769). სოლომონის ბრძანებით ქედმაღალ ერისთავს თვალები დასთხარეს. რაჭის ერისთავის დაშარცხება დიდი გამარჯვება იყო ცენტრალური ხელისუფლებისა და ამიტომ მან სხვა ფეოდალების უკმაყოფილება და შიში გამოიწვია. განსაკუთრებით შეფიქრიანდა სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი, რადგან ესმოდა, რომ ჯერი ახლა მაზე მიმდგარიყო.

სოლომონის მიმართვა რუსეთისადმი. როგორც ერეკლე მეორე, სოლომონ მეფეც ოსმალთა წინააღმდეგ დახმარებას რუსეთისაგან მოელოდა. ეკატერინე მე-II-ს სოლომონმაც მიჰპართა დახმარების თხოვნით. რუსეთმა ერეკლეს და სოლომონს წინადადება მისცა: გურია-სამეგრელოს მთავრებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გაილაშქრეთო. სწორედ მაშინ იქმნა გამოგზავნილი გენერალი ტოტლებენი თავის მცირე რაზმით იმ დარიგებით, რომ რუსის ჯარი სამხედ-

რო მოქმედებას, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, აპრიდებოდა. რასაკვირველია ტოტლებენი გამოგზავნილი იყო, რათა საქართველოს მხოლოდ იმდენად დახმარებოდა, რამდენადაც ეს რუსეთის სჭიროდა. რუსეთის მთავრობა საქართველოს თავის უბრალო იარაღად ჰსახავდა. ეს ნათლად სჩანს იმ ინსტრუქციაში, გენ. ტოტლებენს გრაფმა პანინმა რომ გამოუგზავნა: „სული ჩვენი (ე. ი. რუსული) იყოს, გარეგნობა ქართულიო (სიტყვა-სიტყვით: была бы душа русская, а тело грузинское)“.

ამისთანა გარემოებაში საკვირველი არ უნდა იყოს, რომ რუსის რაზმს, ისედაც თავისთავად მცირეს, ერეკლესა და სოლომონისათვისაც არავითარი რეალური დახმარება არ გაუწევია. სოლომონი მარტოდ-მარტო ებრძოდა ოსმალებს და თავგამოდებით სცდილობდა მათ განდევნას. ჯერ კიდევ ტოტლებენის იმერეთს გადასვლამდე—სოლომონმა დაამარცხა ოსმალნი და მათი რაზმები გამოიჩინა შორაპნისა და ცუცხვათის ციხეებიდან. ცოტა ხანს შემდეგ იმერეთის მეფემ დაიჭირა ქუთაისიცი. სოლომონს იმერეთში ტოტლებენის ზასგლის შემდეგ ენერგია მოემატა და მალე ქუთაისის ციხიდანაც განდევნა ოსმალთა რაზმები. ყველა ციხე-სიმაგრენი მეფემ დაანგრევინა, რათა ივინი ხელახლად ოსმალთ არ ჩავარდნოდა ხელთ. გენ. ტოტლებენი მთელი ამ ხნის ვანმავლობაში არეულ-დარეულად იქცეოდა, ხოლო ფოთის უშედევგო ვარემოცვის შემდეგ რუსის რაზმი თავის სამშობლოში გაბრუნდა (1772 წ.).

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება. რუსეთ-ოსმალეთის ომი გათავდა ხელშეკრულებით, რომელიც მეგრძოლმა მხარეებმა ქუჩუკ-კაინარჯში დასდევს (1774 წ.). ამ ხელშეკრულებამ როგორც ერეკლეს, ისე სოლომონ I იმედები გაუცრუვა. მასში აღმოსავლეთ საქართველოს და მესხეთის შესახებ სიტყვაც არ ყოფილა დაძრული იმერეთი კი (გურია-სამეგრელოითურთ)—სოლომონ I-ის მედგარი ბრძოლით ოსმალთაგან განთავისუფლებული—თვითმპყრობელმა რუსეთმა ხელშეკრულების ძალით ოსმალეთის ქვეშევრდომად აღიარა. „ვინაიდან ხსენებული ხალხები არიან ბრწყინვალე ჰორტის (ოსმალეთის) ქვეშევრდომები,—ნათქვამია ხელშეკრულებაში,—ამიტომ რუსეთის იმპერია მომავალში მოვალეა მათ საქმეებში არ ჩაერიოს და არც რითიმე შეავიწროვოს“ო.

საქართველოს იმ ხნიდან საბედისწერო ჟამი დაუდგა. რუსეთის დახმარების იმედით ერეკლე მე-II ოსმალეთს გადაეკიდა და მესხეთის შემოერთებას ჰფიქრობდა. დახმარების მაგივრად ერეკლე და სოლომონი რუსეთის მთავრობამ მარტოდ-მარტო დასტოვა გააღმასებუ-

ლი ოსმალეთისა და სპარსეთის წინაშე. საბესნიეროდ-სოლომონ I-ის ენერჯიისა და ხალხის წინააღმდეგობის გამო ოსმალებმა იმერეთში, ქუჩუკ კაინარჯის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებანი ვერ განახორცილეს. დასავლეთი საქართველო ფაქტიურად დამოუკიდებლად დარჩა. საერთოდ პირველი რეალური ნაბიჯები რუსეთთან დაახლოებისა უნ ყოფილ აღმოჩნდა. პირიქით, ამ ნაბიჯების გამო საქართველოს მოსისხლე მტრებად შეექმნენ მეზობელი სახელმწიფოები.

იმერეთის გაძლიერება. სოლომონ I დროის ძლიერდამოსილ ლაშქრობათა და ოსმალთა განდევნის შემდეგ იმერეთის მდგომარეობა თანდათან უკეთესდებოდა. ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვის გამო მოსახლეობამ მომრავლება იწყო და ეკონომიურადაც მოღონიერდა. ამას ფეოდალების დამშვიდებაც უწყობდა ხელს. სოლომონმა, როგორც ვიცით, რაჭის ერისთავი დაიმორჩილა და სამაგალითოდ დასაჯა. შემდეგ (1780 წ.) იმერეთის მეფემ დაამარცხა აფხაზეთის თავადნი შარვაშიძენი, რომელნიც სამეგრელოს ეპოტინებოდნენ. სამეგრელოსადმი ამ გამოსარჩლების შემდეგ დადინება და სოლომონს შორის საუკეთესო ურთიერთობა დამყარდა. სამეგრელო და გურია საგნებით აღარებენ იმერეთის მეფის სუვერენიტეტს (უზენაეს უფლებას) და დიდი ხნის ბრძოლას დროებით ბოლო ეღება.

მაგრაც სოლომონ მეფეს სიცოცხლის უკანასკნელ დროებში უბედურება დაატყდა თავს. იმ ხანებში ოსმალნი ნელინელ მოიწვიდნენ ჩრდილოეთისაკენ და მალე თავს გაველნას ქობულეთიც დაუმორჩილეს. ქობულეთის მფლობელი თავადი თავდგირიძეები იმერეთს გამოიქცნენ და სოლომონს შველას სთხოვდნენ. მეფეს კარგად ესმოდა საშიშროება ქობულეთში ოსმალთა დამკვიდრებისა და თავდგირიძეებს გამოესარჩლა. ჩაქვთან მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც სოლომონმა ოსმალნი დაამარცხა. უკან დაბრუნების დროს მეფე სრულიად მოულოდნელად ჩასაფრებულ მცერს წააწყდა და დამარცხდა. ქობულეთი ამი შემდეგ დიდი ხნით ჩამოსცილდა საქართველოს და იქაც, როგორც მესხეთში—მუსულმანობა გაბატონდა.

სოლომონი გარდაიცვალა 1784 წელს. არეულობისა და დავის შემდეგ—ტხტზე ავიდა ერეკლეს შვილისშვილი (დედით) და სოლომონ I-ის ძმისწული დავით არჩილის ძე, რომელიც მეფობდა სოლომონ მე II სახელწოდებით და რომლის დროსაც მოხდა რუსეთთან იმერეთის შეერთება.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და რუსეთთან შეერთება.

მფარველობის ძეგლის მიზეზები. საქართველოს ცხოვრების მშვიდობიანი განვითარება არასოდეს ხანგრძლივი არ ყოფილა. სპარსეთ-ოსმალეთის ქაშკაშის გამო ჩვენი ქვეყანა მუდმივად ომიანობის და შეტაკების ასპარეზად იქცა. ამას დაერთო ლეკების ბრბოთა შემოსევანი, რომელიც ქვეყნისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენდა. ყველა კეთილი განზრახვანი გამჭრიახი მმართველებისა მარცხდებოდა არა მარტო გარეშე მტერთა მეოხებით. საქმე ისაა, რომ ფეოდალურ წესწყობილიას საქართველოში უკვე თავისი დრო მოექაზა. გარემოება მოითხოვდა ერთი ცენტრალური ძლიერი ხელისუფლების დამყარებას, გამთიშავი ძალებს ალაგმვას. ეს კი ძლიერ ძნელი საქმე იყო. ფეოდალური, უკვე დრომოკჳული წესწყობილების სავესებით მოსპობას ბევრი რამ უშლიდა ხელს. უპირველესად ყოვლისა დიდი ნაკლებობა იყო ახალი, მომზადებული პირებისა. ამიტომ ერეკლეს ყოველი ცდა სახელწიფოს წესწყობილების გაუჩჯობვისაკენ მიმართული—დაუძლეველ დაბრკოლებებს ხედებოდა. მიოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა საქართველოს თავისი შინაური ცხოვრება გარდაექმნა, თუ იგი გარეშე მტრების თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იქნებოდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ ასე გაფაციცებით ეძებდნენ ქართველნი მოკავშირეს, ნფარველობას სთხოვდნენ რუსეთს. მაგრამ პირველი მარცხის გამო ერეკლე რუსეთთან ურთიერთობაში უფრო ფრთხილად იქცეოდა და მეზობელ მუსულმანებთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას სცდილობდა. სპარსეთი დაუძლურებელი იყო. ნადირ-შაჰის შემდეგ იქ ისეთი ანარქია გამეფდა რომ სპარსეთი უკვე რაიმე წინშენელოვან როლს წინააზიის ცხოვრებაში ვეღარ ითამაშებდა. მაგრამ ერეკლეს ისიც კარგად ესმოდა, რომ თუ სპარსეთი წამოადგებოდა—საქართველოს შავი დღეები დაუდგებოდა. ამიტომ მან თავისი ყურადღება ოსმალეთისაკენ მიმართა.

როდესაც სპარსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი უთანხმოება ჩამოვარდა—ერეკლემ ოსმალეთს თავისი ძალები შეთავაზა და აზერბეიჯანის ხანების მიმხრობასაც დაჰპირდა. დახმარების სამა-

გიეროდ ერეკლე მოითხოვდა, რომ მომავალ ხელშეკრულებაში აუცილებლად შეტანილი ყოფილიყო მოთხოვნილება სპარსელთა პრეტენზიებისაგან აღმოსავლეთ-საქართველოს მთლად განთავსულების შესახებ. ერეკლე ამასთანავე ოსმალეთს აღუთქვამდა რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტას. ოსმალეთი ყველა შემოხსენებულ პირობებს სიხარულით დაეთანხმა და ერეკლეს ძვირფასი ძღვენიც გამოუგზავნა. მაგრამ ეს დაკავშირება უღელეური აღმოჩნდა. ოსმალეთმა საქართველოს ვერავითარი ხელშესახები სარგებლობა ვერ მოუტანა. მას არ შეეძლო აგრეთვე ჩვენი ქვეყნისთვის, ევროპის განათლებისაკენ გზა გაეკაფა. საჭირო გახდა სხვა გზის ძიება.

ვიდრე ხელახლა რუსეთს მიმართავდა, ერეკლემ ევროპის სახელმწიფოებთან უშუალოდ დაკავშირება სცადა. მან ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა ავსტრიის მეფეს, საფრანგეთის იმპერატორს, ვენეციის და ნეაპოლის მთავრებს. რასაკვირველია აქედან დიდი არა გამოსულა რა. ევროპისათვის მაშინ საქართველო შორეულ ქვეყანას წარმოადგენდა, მას არავითარი რეალური ინტერესები არ ევსებოდა კავკასიაში. ერეკლე იძულებული გახდა კვლავ რუსეთისთვის მიეპყრო თვალები. რუსეთს კი იმაემად ფართო გეგმები დაესახნა. იგი ჰკვიპრობდა კავკასიის გზით სპარსეთის ხელში ჩაგდებას და შემდეგ ინდოეთზე გალაშქრებას. საქართველოს თხოვნა მფარველობის შესახებ რუსეთის მთავრობისათვის იმაემად მისწრება იყო და იგი სიამოვნებით დათანხმდა მფარველობის ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებას. მოსალაპარაკებლად საქართველოს მხრით გაგზავნილი იყვნენ თ-ნი ჭავჭავაძე და ბაგრატიონი, რუსეთისაგან—პ. პოტიომკინი და პოდპ. ტემარა. მოლაპარაკება დამთავრდა 1783 წელს. იმავე წლის ივლისის 24-ს გიორგიევსკში ორივე მხარემ ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს ცნობილ ხელშეკრულებას.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მისი შედეგები.
1783 წლის ხელშეკრულება საქართველოსთვის რუსეთის მფარველობაში (პროტექტორატი) შესვლას ადასტურებდა. დადებული პირობის მიხედვით ერეკლე ნებაყოფლობით ხელს იღებდა ზოგიერთ უფლებებზე და რუსეთის იმპერატორების უზენაეს უფლებას, მფარველობას აღიარებდა. თავის მხრით რუსეთი მას ჰპირდებოდა აღმოსავლეთ-საქართველოს მთლიანობისა და ხელუხლებლობის დაცვას გარეშე მტრებისაგან. შინაური წესწყობილება უცვლელი უნდა ყოფილიყო: ტახტი უნდა გადასულიყო ბაგრატიონთა გვარეულობის პირებზე (ერეკლეს მემკვიდრეებზე). რუსეთი საქართველოს შინაურ

საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. გარეშე პოლიტიკაში საქართველო რუსის იმპერატორებს ემორჩილებოდა. ურთიერთობის გასაადვილებლად ორთავე სახელმწიფოს ერთმანეთთან სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ეყოლებოდათ. ტახტზე ასვლის დროს საქართველოს მეფეებს სამეფო ღირსების ნიშნები რუსეთის იმპერატორებისაგან უნდა მიეღოთ. ეკლესია დამოუკიდებელი რჩებოდა, ხოლო საქართველოს კათალიკოსი სინოდის წევრად ჩაითვლებოდა. ორივე ხელშემკვრელნი თავის მოვალეობად აღიარებდნენ ხელი შეეწყოთ და დახმარებოდნენ საქართველოში რუსეთიდან ჩამოსულ და რუსეთისაკენ წასულ ვაჭრებს.

თავის მხრით საქართველო კისრულობდა თავის ჯარით კავკასიაში რუსეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლას და რუსეთის მოქალაქეთა დაცვას ძალადობისაგან. ხელშეკრულება დადებული იყო სამარადისოდ, მის შეცვლისათვის ორთავე მხარის თანხმობა იყო საჭირო.

გარდა ზემოხსენებულისა, ხელშეკრულებაში არის დამატებითი მუხლები, რითაც ერეკლეს ევალემა იმერეთის მეფეებთან თანხმობა. თუ ომი ასტყდებოდა, საქართველოს საზღვრებზე მდგარი რუსის ჯარი ქართველებს უნდა მიშველებოდა. გარდა ამისა მუდმივად სამყოფად უნდა გამოეგზავნათ ორი ბატალიონი (2000 კაცამდე) რუსის ჯარისა ორი ზარბაზნით. საყურადღებოა ერთი მუხლიც: მისი ძალით, თუ რუსეთი ოსმალეთს ჩამოართმევდა ისეთს ტერიტორიას, რომელიც წინად ჩვენი ქვეყნის ნაწილს შეადგენდა—იგი საქართველოს მეფეთა სამფლობელოს უნდა შეერთებოდა.

იმავე 1783 წელს ტფილისს ჩამოვიდა რუსის მცირერიცხოვანი რაზმი. მაგრამ იგი რამდენისამე წლის შემდეგ იძულებული გახდა საქართველოდან უკან წასულიყო. რასაკვირველია, ნიკრე რაზმს არ შეეძლო ჩვენი ქვეყნის დაცვა მეზობელ მუსულმანებისაგან, რომელთაც კარგად ესმოდათ რუსეთ-საქართველოს დაახლოების მნიშვნელობა და საშიშროება. სპარსეთი და ოსმალეთი დატრიალდნენ, რომ ერეკლესათვის დადებულ ხელშეკრულებაზე უარი ეთქმევიანებინათ.

ახაციხის ფაშა ხულეიმანი დახმარებას სთხოვდა ოსმალეთს და მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „მეფე ერეკლე, მოქანავე კლდეა, რომლის მოვლევჯისა ძლიერ უნდა გვეშინოდეს. მას რუსები ამაგრებენ, რადგან იგი ჩვენს დაქვევას მიესწრაფვის. თუ დროზე დახმარება არ იქნება, უქვევლია დავიღუპებითო“. ასეთი აზრისა იყო არა მარტო სულეიმან-ფაშა, არამედ ყველა მეზობელი მუსულმანები. საქართველოს მდგომარეობა გამოკეთების მაგივრად გაუარესდა. და რო-

დესაც ის მცირერიცხოვანი ჯარიც, რუსეთს ტფილისში რომ ჰყავდა — უკან გაბრუნდა, ჩვენი ქვეყანა მარტო დარჩა მოსისხლე მტოების წინაშე, რომელნიც ცეცხლმოკიდებულნი იყვნენ რუსეთთან საქართველოს დაახლოების გამო.

იმავე ხანებში გაძლიერდა ლეკთა ბრბოების თარეშიც, რომელთაც ხან ოსმალები ეხმარებოდნენ, ხან სპარსელები. იტაცებდნენ ხალხს, რომელთა გამოსასყიდათ აუარებელი ფული იყო საჭირო: განსაკუთრებით აწუხებდა ქვეყანას დ. ლესტინის ერთი ბატონთაგანი — ომარ ხანი, რომელმაც ქართლ-კახეთი რამდენიმეჯერ დაარბია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერეკლე იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის წლიურად 10.000 მანეთი ეძლია ჯამაგირის სახით.

როდესაც ტფილისიდან რუსის რაზმი წავიდა, მეზობლებთან მორიგება თითქოს გაადვილდა. მაგრამ წვრილ-წვრილ მუდმივ შეტაკებებს, შემოსევასა და თარეშებს უკვე ქვეყანა დაენგრიათ: ყველა რეფორმები ფაქტიურად მოისპო. მოსპობილი იყო აგრეთვე მორიგე ჯარიც, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის დაცვისათვის. ამას ზედ დაერთო მეფის გვარეულობაში ამტყდარი შფოთი და დავიდარება. ერეკლე იძულებული გახდა მემკვიდრეობის კანონი შეეცვალა: ამიერიდან ტახტი უნდა გადასულიყო უფროს შვილზე კი არა, არამედ გვარეულობაში ყველაზე უფროსზე. ამან გამოიწვია საქართველოს კვლავ ცალკე საერისთაოებად დანაწილება. ერეკლეს შვილებმა სხვადასხვა კუთხეები ჩამოირიგეს და ამნაირად ძველი ფეოდალური წესწყობილება მკვდრეთით აღადგინეს. ბატონიშვილები თავისი ყოფა ქცევით ძველ ერისთაოებს არ ჩამოუარდებოდნენ. ისინი მუდმივ ქიშობასა და დავას ეწეოდნენ როგორც ერთმანეთის, ისე ერეკლეს წინააღმდეგ. პირადი ინტერესი გაბატონდა საერთოზე და ქიშობასა და ბრძოლაში ჩათრეულ იქმნა შინაურ და გარეშე მტრების მოგერებაში დაბერებული ერეკლეც. საქართველოს ხელახალი ცდა რუსეთის დახმარებით თავის მომავლის უზრუნველყოფისა — მეორედ მარცხდებოდა. რუსეთს იმეამად არ შეეძლო მნიშვნელოვანი ძალების დაბნდება ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ ერეკლე მეფის ხეწვნა-მუდარა მუდამ ამო, დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. საქმე ისე გამწვავდა, რომ საქართველოს წარმომადგენელმა რუსეთში — გარსევან ჭავჭავაძემ პირდაპირ დასვა საკითხი: ან აღასრულე დაკისრებული ვალდებულებანი, ან სრულიად მოვსპოთ ეს ხელშეკრულება, რომელმაც ესდენ დიდი გასაჭირი დაატეხა თავს ჩემს ქვეყანასაო.

მაგრამ რუსეთისადმი რწმენა კიდევ ძლიერი იყო. ამ რწმენას

წარსულში ჰქონდა ღრმა ფესვები. რუსეთს უყურებდნენ, როგორც ქრისტიანობის დამცველსა და მისთვის მებრძოლს. ეს იყო მზენი, რომ აღმოსავლეთურ პოლიტიკას გაცხოვრილი, გამოცდილი ქართველებიც კი—რუსეთთან მოლაპარაკების დროს დიდ მიამიტობას და ზოგჯერ გულუბრყვილობას იჩენდნენ. რუსეთის მთავრობა იმეამდ წოდებრივ იმპერიალისტურ გზაზე ახლად შემდგარიყო, საფუძვლით არ ჰქონდა თავისი ახლობელი მოქმედების გეზი გამორკვეული და ამიტომ რყევაში იყო. ერეკლეს საშუალება ჰქონდა, თუ კი რუსეთთან დაახლოებაზე ხელს აიღებდა, მეზობლები მოემადლიერებინა, მორიგებოდა კიდევაც. მაგრამ ერეკლემ თავის ტრადიციულ პოლიტიკას აღა-მაჰმად-ხანის საშინელი შემოსევის წინაც კი არ უღალატა. თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას არ დაუკარგავს იმედი რუსეთის დახმარებით საქართველოს მომავლის უზრუნველყოფისა.

აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის დამლევს ქართველ მოწინავე პირთა შორის გაცხოველდა მისწრაფება ამერ-იმერეთის შეთანხმების, გაერთიანებისა. თუკაც გაერთიანება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისკენ დიდი ნაბიჯი იყო გადადგმული.

საქართველოს გაერთიანების ცდა. აღმოსავლეთ საქართველოსათვის საბედისწერა ჯამს—იმერეთშიაც არეულობა ჰსუფევდა. ერეკლეს შვილისშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ მე II ტახტიდან ჩამოაგდეს და ბრძოლა გრძელდებოდა. იმერეთის დიდებულნი და მოწინავე პირები ერეკლეს სთხოვდნენ იმერეთის სამეფო ქართლ-კახეთისათვის შემოეერთებინა. 1792 წელს ერეკლეს ეახლა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ: სახლთ-უხუცესი ზურაბ წერეთელი, მიტროპოლიტი ქუთაისისა, გენათისა და სხვა გამოჩენილი პირები. ერეკლემ სიხარულით მოისმინა დელეგაციის აზრი. გაიმართა თათბირი, რომელიც სამს დღეს გაგრძელდა. ბოლოს ერეკლემ გადასწყვიტა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო დრო საქართველოს სრული გაერთიანებისათვის. რუსეთთან ურთიერთობა გაურკვეველი იყო; ამას გარდა, იმერეთის შემოერთება ოსმალეთის მხრით წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ამიტომ საქმე დროებით ჩაიფუშა. მაგრამ ერეკლემ დახმარება გაუწია სოლომონს. და ეს უკანასკნელი ტახტზე კვლავ დაბრუნდა. სოლომონი შინაურ გამთიშველ, სახელმწიფოს დამრღვევ ძალებს ამის შემდეგ ენერგიულად ებრძოდა და ერეკლესთან კავშირს არ სწყვეტდა.

გაერთიანების საქმე ჩაიშალა, მაგრამ იმ ხანებში ყურადსაღებო ნაბიჯი იქნა გადადგმული. ერეკლე მეორის მთავრობის ცნობილი **სოლომონ ლეონიძის** მეოხებით—ერეკლემ, სოლომონ მე II მ და გურია სამეგრელოს მთავრებმა დასდეს ერთობის ხელშეკრულება.

იგი ნათლად მოწმობს, რომ იმ დროის ქართველობაში უკვე გაბატონებული ყოფილა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთა ეროვნული ერთიგეობის შეგნება.

წინაიდან ყოველთავე ივერიელთა მახლობელთა სამეფოსა შინა ქართლ-კახეთისა, ოდიშისა (სამეგრელოსი) და გურიისა აქვთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი, ერთის ენისა მქონენი, აქვთ მავასხელობითაცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობითა შეკრულთა ურთიერთა შორის— ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი რ მთავარნი, დამამტკიცებლნი საუკუნოსა ამა პირობისა, სახელითა ყოველად ძლიერისა ღვთისა აღვთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგრძმთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნებისო“— ნათქვამია ტრაქტატის შესავალში.

ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ერეკლემ, სოლომონ მეორემ, გრიგოლ დადიანმა და სვიმონ გურიელმა. ეს იყო დიდი პოლიტიკური აქტი, რომელსაც საქართველოს ცალკე კუთხეების დაახლოება და გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთობილი გამოსვლები უნდა მოჰყოლოდა. სამწუხაროდ, ხსენებულს აქტს განხორციელება და განმტკიცება ვერ ელირსა. რამდენისამე წლის შემდეგ ქართლ-კახეთი შეიქნა სპარსეთის შემოსევის მსხვერპლი. ალა-შაჰმად-ხანის შემოსევამ საბოლოოდ დაასუსტა და დასცა აღმოსავლეთი საქართველო.

ალა-შაჰმად-ხანის შემოსევა. მოხდა ის, რისაც ერეკლეს ეფიქრებოდა და რისთვისაც იგი რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა. სპარსეთი გაერთიანდა, ფეხზე წამოდგა ახალი სამეფო გვარეულობის—ყაჯართა წარმომადგენლის ალა-შაჰმად-ხანის ხელში. კაცი ენერგიული, მაგრამ სასტიკი და შეუბრალებელი—ალა-შაჰმად-ხანი რისხვად მოევიღნა საქართველოს. მან ერეკლეს მოსთხოვა რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტა და დიდძალი ჯარით ტფილისისაკენ გამოემართა. ერეკლემ დახმარება სთხოვა იმპერატორ პავლე I. მაგრამ რუსის გენერალმა გულდოვიჩმა თავის მთავრობის სახელით ერეკლეს შეატყობინა: ამჟამად ჯარის გაგზავნა საქართველოში მოუხერხებლად არის ცნობილიო. მარტოდ დარჩენილი მეფე მტრის დასახვედრად ემზადებოდა, მაგრამ შინაური უთანხმოება უცარავდა ხელს. საჭირო დროს თითქმის არც ერთს ბატონიშვილს მაშველი ჯარ არ გამოუგზავნია. მხოლოდ სოლომონ I დაახმარა იმერთიდან რამდენიმე ათასი კაცი.

მდგომარეობა საშინელი იყო: ალა-შაჰმად-ხანი 30 ათასი კაცით უკვე ტფილისს მოსდგომოდა, ერეკლეს კი სულ ათი ათასამდე

მებრძოლი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, მაშველი რაზმების მოლოდინით, ერეკლე მტერს—ქალაქს ახლო, კრწანისის ველზე გაეგება. მოხდა სისხლისმღვრელი და სასტიკი ბრძოლა. ერეკლემ დაამარცხა სპარსელნი. აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა. მაგრამ ქალაქიდან დალატით გაშვებულმა ტყვეებმა მას შეატყობინეს, თუ რა ცოტა ჯარი ჰყავდათ ქართველებს. აღა-მაჰმად-ხანი შეჩერდა და მეორე დღეს შემოტევა განაახლა. მეორე მხრით მან ქალაქის მოსაგლეჯად კოჯრისაკენაც გაჰგზავნა ჯარი. ფიცხელი შეტაკების შემდეგ, ბატონიშვილი დავითი, რომელიც კოჯრის პოზიციებს იცავდა—იძულებული გახდა უკან დაეხია მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე. ერეკლე იმ დროს აჩერებდა მტერს კრწანისის მხრით. როდესაც კოჯრის მხრიდან სპარსელნი ქალაქში შემოვიდნენ—ერეკლემ იძულებული გახდა ბრძოლით უკან დაეხია (1795 წლის სექტემბრის 11). მეფემ თითქმის მთელი თავისი ჯარი დაჰკარგა. გამარჯვებული მტერი შეესია ქალაქს და საშინლად ააოხრა. შეიქმნა ხოცვა-ჟლეტა, რომლის დროს არავის ზოგავდნენ. ერთ მუჟა რჩეულ მემომრები თურთ ერეკლემ მტერს ძლივს გაასწრო და მთაში წავიდა. ტფილისში აღა-მაჰმად-ხანი ნგრევასა და რბევას განაგრძობდა. დანგრეულ იქმნა სემინარია, სტამბა, გოგირდის აბანოები, თოფხანა და სხვ. ხალხი შიშსა და ძრწოლაში იყო. აღა-მაჰმად ხანი ტფილისის აოხრებით როდი დაჰკმაყოფილდა. მან ქართლისაკენ გაჰგზავნა რაზმები სათარეშოდ. მთელი აღმოსავლეთი საქართველო მოოხრებულ და გაძარცვულ იქმნა.

მაგრამ სპარსეთი იმდენად ძლიერად არ გრძნობდა თავს, რომ ქართლში საბოლოოდ დამკვიდრებაზე ეფიქრნა, ერთი კვირის შემდეგ ტფილისის აღებისა აღა-მაჰმად-ხანმა მიატოვა ქალაქი. თან წაიღო აუარებელი დავლა და წაიყვანა 30.000 ტყვე. ამნაირად ტფილისის აღება სპარსელთა მხრით თითქოს. შურისძიების აქტი იყო და არა პოლიტიკური ნაბიჯი. ქვეყანა იმდენად აოხრებული იქმნა, რომ ყოველად შეუძლებელი იყო კარგა ხნის განმავლობაში დარბეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა. შეჩერდა ყოველი აღმაშენებლობითი მუშაობა. გაძარცვული, აოხრებული, განაწამები ხალხი—საშინელ გრძნობას განიცდიდა, მომავლის იმედი გაჰქრობოდა.

აღა მაჰმად-ხანის შემოსევა უკანასკნელი სატანჯველი იყო საქართველოს სამეფოსათვის. ეს არ იყო უბრალო დამარცხება, რაიც ყველა ერის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. ეს იყო კატასტროფა მთელი იმ სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც დრო მოექამა და მისი შემცვლელი ახალი წყობილების დასამყარებლად კი მოწინავე ქართველობას ძალა არ შესწევდა. კრწანისის ველზე მართლაც საბოლოოდ გადასწყდა ბედი ქართლისა.

საქმე ისაა, რომ ხელახლა გაძლიერებულმა ფეოდალურმა სისტემამ ერთხელ კადევ დაამტკიცა თავისი უვარგისობა და დროის შეუფერებლობა. ამ განწირულების ჟამს სახელმწიფო აპარატი ისეთი სუსტი აღმოჩნდა, რომ ხეივანად თავდაცვის მოწყობა ვერ მოახერხა. ცალკე კუთხეებში გაბატონებული ბატონიშვილები სრულიად არ გრძნობდნენ ქვეყნის წინაშე რაიმე პასუხისმგებლობას. საგულისხმოა, რომ ზოგიერთის ცნობით ერეკლეს იმედი ჰქონდა თითქმის ოთხმოცი ათასი კაციის შეგროვებისა. ნამდვილად კი ათი ათასიც ვერ შეაგროვა. ბატონი ვილს იულონს დასავლეთ ქართლიდან ერთი მეომარიც არ გამოუგზავნია. გიორგი თელავში იყო და არც მას შეუწყუხებია თავი ჯარის შესაკრებად. იოანე ბატონიშვილმა, რომელსაც ქსანი ეჭირა, მამას მხოლოდ 300 კაცი მოაშველა. ქიზიყის ნამოურავალმა ზაქარია ენდრონიკაშვილმა მხოლოდ ორი ათასი კაცი მოიყვანა და ისიც ბრძოლის წინ გააპარა. ამ ტრალიკულ მომენტში ერეკლე მარტოდ მარტო დარჩა თავისიანებისაგანაც მიტოვებული. სუბიექტურად იგი ბევრს სცდილობდა ქვეყნის დაცვას, მაგრამ ვერას გახდა. სამეფოს მწუხრი დაძღვარიყო და დაღუპვა აუცილებელი იყო.

რამდენისამე თვის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისა რუსეთის დედოფალი ეკატერინე მე II კვლავ დაუბრუნდა სპარსეთზე გალაშქრების და იქიდან ინდოეთის დაპყრობის გეგმებს. საქართველოში რუსეთმა გამოჰგზავნა ჯარი. რუსის მთავრობა აცხადებდა: უნდა დასჯილ იქმნეს სპარსეთი, რომელმაც ჩვენი ვასალი საქართველო ააოხრაო. საქართველოსათვის ეს ძლიერ ნაგვიანევი დახმარება იყო. თუმცა არც რუსეთს უსარგებლნია შემთხვევით სპარსეთზე გასალაშქრეალად. ეკატერინე მე-II შემდეგ იმპერატორმა პავლემ რუსის ჯარი კავკასიიდან უკან გაიწვია.

მალე გარდიცვალა ერეკლე მეფეც (1798 წლის იანვრის 11) ტახტზე ავიდა გიორგი მე XII, უნიჭო შვილი გამოჩენილი მამისა.

გიორგი XII (1798-1801 წ.) გიორგი მეფე ნაკითხი, განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ მას არ შესწევდა საკმაო ძალი და სიმტკიცე ღირსეულად გასძლიოლოდა საქართველოს საქმეებს. იმ საბედისწერო ჟამს, რომელსაც ერეკლეს შემდეგ ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. საქმეს აფუჭებდა აგრეთვე მეფის გვარეულობაში მემკვიდრეობის შესახებ ატეხილი დავა. ბატონიშვილები მის გამო ერთმანეთს სკამდნენ, ფეოდალებს იმბრობდნენ და თავისსავე ძმების ხარჯზე საკუთარ მიწა წყლს აფართოებდნენ. აღარ იყო ყველასაგან აღიარებული, გავლენიანი ხელისუფლება. მაჰმად-ხანის შემოსევის დროს აოხრე-

ბული ქვეყანა ფეხზე ველარ წამოდგა, თითქმის ერთი მეხუთედი მცხოვრებთა ამოუღეტილიყო. რუსეთის მთავრობაც თავის ვალდებულებებს ვერ ასრულებდა. მეორე მხრით სპარსეთი გიორგი მეფეს აქეზებდა: აღიარე ჩემი ბატონობა და აზერბეიჯანის ხანებს რომელნიც აღარ გემორჩილებიან და ხარკს აღარ იძლევიან, კვლავ საქართველოს ხელქვეითად გაეხდიო. გიორგი სკდილობდა კეთილგანწყობილება დაეპყარებინა როგორც სპარსეთს, ისე ოსმალეთთან. ალა-მაჰმად-ხანის მაგივრად (რომელიც 1797 წელს მოკლულ იქმნა) სპარსეთში იმ დროს ბაბა-ხანი მეფობდა. მეფემ მასთან მოსალაპარაკებლად გაჰგზავნა გიორგი ციციშვილი, ხოლო ოსმალეთისაკენ — ასლან ორბელიანი გაემგზავრა.

სწორედ ამ დროს რუსეთიდან დაბრუნდა ბატონიშვილი დავითი, რომელმაც იქიდან საიმედო ცნობები მიიტანა. კვლავ ცხოველდება ჩრდილოელ მეზობლისადმი მისწრაფება და მასთან დაკავშირებული იმედები. ორბელიანს ახალციხიდან აბრუნებენ; ციციშვილიც მალე ბრუნდება ისე, რომ ბაბა-ხანს არ შეხვედრია. პეტერბურგში იგზავნება გარსევან ჭავჭავაძე მოლაპარაკების განსაგრძობად. იმპერატორი პავლე — გიორგის სამეფო ნიშნებს უკზავნის და ტახტის მემკვიდრედ ბატონიშვილ დავითს ამტკიცებს. ამასთანავე ტფილისს ჩამოდის რუსის ჯარი გენ. ლაზარევის მეთაურობით.

ბატონიშვილ დავითის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცების გამო მეფის გვარეულობაში დიდი აღელვება შეიქმნა. გიორგი მე-XII მრავალა ძა თავისთვის მოელოდა ამაჲ დაიწყო კვლავ შინაური უთანხმოება და შფოთი. რუსის ჯარის შემოსვლამ ტფილისში ყური აცქვეტიანა სპარსეთსაც და იგი კვლავ შემოსევისათვის ემზადებოდა. გიორგის ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის ამბავი კარგად ახსოვდა და რუსეთს მაშველ ჯარსა სთხოვდა. მაგრამ იმ დროს სპარსეთი შინაური არეულობის გამო იმდენად დასუსტდა, რომ თავისი განხრახვის ასრულება ვერ შესძლო. ამან გიორგი წაათამაშა. 1800 წელს შერთებულმა რუსის და ქართველთა ჯარმა სოფ. საგარეჯოსთან სასტიკად დაამარცხა ცნობილი ომარ ხანი, რომელიც დადი ხნის განმავლობაში აოხრებდა აღმოსავლეთ საქართველოს და სპარსეთის წაქეზებით ჩვენს ქვეყანას მუდმივ აწუხებდა.

რუსეთის თვითმპყრობელობა ქართლ-კახეთის დაპყრობას ჰფიქრობს. გიორგი მეფეს მაინც კარგად ესმოდა თავის მდგომარეობის მერყეობა და რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებას სცდილობდა. რუსეთშიაც იმ დროს ფეხს იკიდებდა აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების აზრი. ტფილისში მყოფი კამერგერი პავლე იმპერატორისა

მუსხინ-პუშკინი თავის მოხსენებაში ასე ახასიათებდა საქართველოს დაპყრობის აუცილებელ საჭიროებას: „1) შენოვიერთებთ ფიზიკურად მდიდარ და ნოყიერ მიწა წყალს; 2) უზრუნველყოფთ კავკასიის საზღვრებს მთიელთა ალაგმვით; 3) ფართო ასპარეზი გაგვეხსნება სპარსეთსა და ინდოეთთან სავაჭროდ; 4) პორტასთან (ოსმალეთთან) ბრძოლის დროს რუსეთს საშუალება ექნება ანატოლიის (მცირე აზიის) მხრით დაემუქროს როგორც ოსმალეთს, ისე სპარსეთს და 5) ქართლ-კახეთის შემოერთება გამოიწვევს იმპერიისადმი იმერეთისა და სამეგრელოს შემოერთებასაც“.

ამნაირად მუსხინ-პუშკინს მთელი პროგრამა აქვს მოქმედებისათვის. ამ პროგრამას იმპ. პავლე დასტურს სცემს და მალე მას მოხერხებულად ანხორციელებენ კიდევაც.

ზემოხსენებულის გამო, როდესაც გიორგი მეფემ რუსეთს მფარველობა სთხოვა, რუსის მთავრობა სიამოვნებით დათანხმდა. იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო იმპერიის ფარგლებში შედიოდა, როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური ნაწილი. მეფობა და ტახტი კვლავ ბაგრატიონებს რჩებოდათ. ჯარი და მმართველობაც ქართული უნდა ყოფილიყო. დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო ქართული ეკლესიაც. მადნების დასამუშავებლად რუსეთი ჰპირდებოდა. მეფეს გამოცდილი ხელოსნების გამოგზავნას. ფული უნდა მოჭრილიყო ქართული წარწერით: ერთ გვერდზე რუსული გერბი იქნებოდა, მეორეზე ქართული. რუსის ჯარი ქართველებთან ერთად დაიქვრდა ყველა ციხე-სიმაგრეებს, მაგრამ ციხისთავებად (კომენდატებად) უეჭველად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

როდესაც ეს შეთანხმების ტექსტი ტფილისში ჩამოიტანეს, გიორგი მეფე უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი 1800 წლის დეკემბრის 28 გარდაიცვალა.

ქართლ-კახეთის სამეფოს მოხატვა. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ბატონიშვილი დავითი უნდა ასულიყო. მაგრამ გენერალი ლაზარევი ყოველ ზომას ხმარობდა, დავითისთვის ხელი შეეწალა. მას თვითმპყრობელობისაგან საიდუმლოდ ჰქონდა დავალებული: არამც და არამც საქართველოში არავინ გაემეფებინა. ამიტომ გენ. ლაზარევი დავით ბატონიშვილს აყოვნებდა და ეუბნებოდა: ჯერ მეფედ ნუ გამოაცხადებ თავს, პეტერბურგიდან ბრძანებას მოუცადეო. დავითიც ყოყმანობდა და ბოლოს იძულებული იყო ლაზარევს დასთანხმებოდა: მან თავისი თავი რეგენტად (მმართველად) აღიარა. მოწინავეთა ერთი ჯგუფი აშკარად ჰხედავდა, რომ

საქართველოს სამეფოს მწუხრი უდგებოდა. ამიტომ ეს ჯგუფი დავითისაგან უფრო მეტს გაბედულებას მოითხოვდა. ამ მოწინავეთა ჯგუფის მეთაური იყო ცნობილი სოლომოს ლეონიძე. მაგრამ იგი მალე დააპატიმრეს. ლეონიძე ციხიდან გაიქცა და იმერეთს, სოლომონ მე-II სთან გადავიდა.

ცოტა ხანს შემდეგ პეტერბურგიდან მართლაც მოვიდა „ბრძანება“. ეს იყო პავლე I მანიფესტი საქართველოს სრულ შეერთებაზე. ქართველ მოწინავე პირებს იგი წაუკითხეს სიონის ტაძარში, რომელიც შეიარაღებული ჯარით იყო გარემოცული. მანიფესტმარუსეთის მომხრენიც ძალიან გააკვირვა. მასში ლაპარაკი იყო „შეერთებაზე“ და ერთი სიტყვითაც არ ყოფილა მოხსენებული ის პირობები, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების დროს რომ იყო გათვალისწინებული. არაფერი ყოფილა ნათქვამი აგრეთვე მეფობის შენარჩუნებასა, შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობაზე, რასაც ქართველი მეფეები მოითხოვდნენ. რუსეთის მთავრობისადმი ნდობა და რწმენა მაინც ისეთი ძლიერი იყო, რომ ყველაფერი ზემოხსენებული გაუგებრობა ეგონათ. გაჰგზავნეს მყისვე დელეგაცია პეტერბურგს, იქნებ მეფობა მაინც არ მოისპოსო. რასაკვირველია ამ დელეგაციისაგან არაფერი გამოსულა. პავლეს სიკვდილის შემდეგ გამეფებულმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველოს შეერთება დაადასტურა და 1801 წლის სექტემბრის 12 საამისო მანიფესტიც გამოსცა. „არა განძლიერებისათვის, არა ისედაც მთელ ქვეყნიერებაზე უდიდესი იმპერიის ფარგალთა გაფართოებისათვის“, ამბობდა იმპერატორი მანიფესტში, „შემოვიერთეთ საქართველო ჩვენ ყუზრადვილეთ ტანჯულთა ვედრება, მათ ვაების შესამსუბუქებლად“ შემოვიღეთ საქართველოში ისეთი წესწყობილება, რომელიც დაამყარებს მართლმსაჯულებას, პირად და ქონებრივ უშიშრობას და მიანიჭებს ყოველთა კანონის მფარველობასაო“.

ამნაირად, ზოგიერთ უზენაეს უფლებებზე უარის თქმა, მფარველობის ძებნა—ქართლ-კახეთის სამეფოს სრულის მოსპობით დამთავრდა. აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის პროვინციად გადააქციეს და „საქართველოს გუბერნია“ დაარქვეს. მყისვე დანიშნეს მთავარმართებლად გენერალი კნორინგი, ხოლო სამოქალაქო საქმეთა მმართველად—საქართველოს კარზე რუსეთის წარმომადგენლად მყოფი კოვალენსკი.

ზოგიერთი ბატონიშვილი არ შეჰრიგებია ახალ მდგომარეობას და დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ალექსანდრე ერეკლეს ძე სპარსეთს გაიქცა და იქიდან ძლიერ აწუხებდა ახალს მთავრობას.

რუსეთის მომხრენი და მოწინააღმდეგენი. ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობასა და რუსეთთან შეერთებას არ მოჰყოლია პირველ ხანებში რაიმე დიდი წინააღმდეგობა, ან დაბრკოლება. საკითხავია, რატომ მოხდა ეს? რატომ იყო, რომ ქართველობამ, შედარებით ასე უხმოდ ჩაატარა სამშობლოს ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ამბავი?

იმ დროს ქართველთა მოწინავე ჯგუფებში ორი მიმართულება იყო: რუსოფილები და მათი მოწინააღმდეგეები. რუსეთის მომხრეებს სწამდათ იმპერატორების დანაპირები და მთელს თავის იმედებს მათზე აწყარებდნენ. რუსეთი ერთმორწმუნე ხალხია. უთანასწორო ბრძოლით მოღლილ, დ უძღურებულ პატარა ერს იგი დაუხარებლად გაუწევას დახმარების ხელს, უანგაროა მისი სურვილებიო—ჭეჭობდნენ პირველი მიმართულების მომხრენი. ამ პირველ ჯგუფს ეკუთვნოდა თითქმის მთელი სამეფო გვაოეულობა. რასაკვირველია მისთვის მოულოდნელი იყო მეფობის მოსპობა და ხსენებული აქტი დროებითად მიაჩნდა.

როგორი იყო თვით ხალხის შეხედულება საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე? ფართო მასები, კერძოდ გლეხობა მაშინ პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთად მონაწილეობას არ იღებდა: რამდენადაც მას ესმოდა დატრილებული ამბების ნიშნელობა, გლეხობას აქტიური წინააღმდეგობა არ გაუწევია რუსის მთავრობისათვის. იგი მოელოდა თავის მძისე მდგომაეობის შემსუბუქებას, მშვიდობიანობის ჩამოგდებას და გარეშე მტერთაგან უზრუნველყოფას. ფეოდალები, მსხვილი მემამულები კი იარალით ხელში თავკამოდებით ცეცხლდენ ახალ ხელისუფლებას. ფეოდალებს მეფობის მოსპობა თავის გამარჯვებად მიაჩნდათ. რუსეთის მთავრობისაგან ისინი თავის უპირატესობათა დაბრუნებას მოელოდნენ. მთავრობამაც შეათვასა მათი მნიშვნელობა და ყოველგვარ მფარველობას უწევდა.

ნხოლოდ ერთად-ერთი სოლომონ ლეონიძის ჯგუფი იყო რუსეთთან დაახლოების მოწინააღმდეგე. ეს ჯგუფი, ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან საქმის ქონას განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ რუსეთს არ უნდოდა, ან საშუალება არა ჰქონდა საქართველოსთვის ნამდვილი მფარველობა გაეწია. ალა-მაცჰად-ხანის შემოსევამ და რუსეთის იმეამად გულგრილობამ ხომ საბოლოოდ დაარწმუნა ლეონიძის ჯგუფი, რომ ჩრდილოეთიდან დახმარება ნაკლები იქნებოდა. იგი ჰედავდა, რომ რუსეთთან დაახლოებამ საქართველოს რეალური სარგებლობა ვერა მოუტანა რა და მუსულმანი მეზობლები კი მის წინააღმდეგ სასტიკად აამხედრა. ამიტომ ებრძო-

დენ ლეონიძე და მისი მომხრენი რუსოკილოურ მიმართულებას ჯერ კიდევ ერეკლე მეუფის დროს, იყო ერთი დრო, როდესაც ხსენებულმა ჯკუთმა ერეკლეს ტახტიდან გადაგდებაც კი მოწადინა, რათა რუსეთთან და ხლოების პოლიტიკისათვის ბოლო მოეღო. ლეონიძის მიმართულება დამარცხდა. საქართველოს სამეფო მოისპო. მეთაჟრნი მარცხ არ დამორჩილებიან რუსის მთავრობას და ბრძოლას განაგრძობდნენ საქართველოს დანარჩენ კუთხეებში. სოლომონ ლეონიძე ციხედან გაქცევის შემდეგ იმერეთს გადავიდა და სოლომონ მეფესთან ერთად დიდ ხანს იბრძოდა იმ შემთხვევაში უკვე დასავლეთ საქართველოს მეფობის დასაცავად.

მე-18 ს. დამლევის ვითარების მოკლე მიმოხილვა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი საერთოდ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული აღორძინების ხანა იყო. სპარსეთის დასუსტებას საშუალება მისცა აღმოსავლეთ-საქართველოს სულ განთავისუფლებულიყო გარეშე გავლენისაგან. იმერეთმა ოსმალეთის დუძღურებით ისარგებლა და მისი ბატონობისაგან განთავისუფლდა. ტყვეთა ვაჭრობის სასტიკად აკრძალვის შემდეგ ხალხმა მომთავლება იწყო, დანარეულ-დაქცეული დაბა-სოფლები ნელ ნელა ფეხზე დგებოდნენ. დაქსაქსულ ნაწილთა გაერთიანების და საქართველოს ეროვნული ერთობის შეგნება მოწინავე პირებში ნილ ნელ იმაჯავებდა და საჰმისო ნაბიჯიც იქმნა გადადგმული (1790 წ.). თუმცა ქართლ-კახეთთან იმერეთის შეერთება ვერ მოხერხდა, მაგრამ ნიადაგი კი მზადდებოდა. ამას ნათლად მოწმობს ის ერთობის ხელშეკრულება, სოლომონ ლეონიძის მეთაჟრობით რომ დასდეს სრულიად საქართველოს მეფეებმა და მთავრებმა.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, საქართველოს ბედის გამგენი თავს მტკიცედ, ურყევად ვერ გზნობდნენ და გარეშე დახპარებას ეძიებდნენ. მათ ჰაჟრდათ თავისი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების და განვითარების უზრუნველყოფა არა მარტო აწმყაჟში, არამედ მომავალშიაც. ამ საქმის მოსაგვარებლად ისინი მზად იყვნენ თავის ზოგიერთ უხუნაეს უფლებახე უარი ვთქვათ, რომელისამე ძლიერი სახელმწიფოს მფარველობა აღეარებინათ. ამან მიიყვანა ისინი გადაწყვეტილებამდე, რომ ჩრდილოეთს უურო მჭიდროდ დაკავშირებულდნენ. ქართველთა მისწრაფება რუსეთისაკენ, შეჩვდა ამისთანავე მისწრაფებას რუსეთის თვითმპყობელობისას—სამხრეთისაკენ, შავი ზღვის ნაპირების და ამიერ კავკასიის დპყრობისაკენ. ამისთანა პირობებში ქართლის ბედი მალე უნდა გადაწყვეტილიყო. ქართველთა მეფეებმა ნება ყოფლობით ხელი აიღეს ზოგიერთ თავის უფლებახე

და რუსეთის მფარველობას აღიარებდნენ. ეს მფარველობა მალე საქართველოს სრულ შეერთებად იქცა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მთლად მოისპო.

საქართველოს რუსეთისადმი მაშინდელი მისწრაფება მარტო პოლიტიკური მიზეზებით არ აიხსნებოდა. საქმე ისაა, რომ მეზობელ ერებს უკვე აღარაფრის მიცემა აღარ შეეძლოთ კულტურის მხრით. ფეოდალიზმს საქართველოში თავის დრო მოექცა, საჭირო იყო მისი მოსპობა, სახელმწიფოს მთელი წყობილების ძირიანად გარდაქმნა. ამ საქმის განხორციელებას ბევრი რამ უშლიდა ხელს. გარდაქმნას სჭიროდა ახალი ცნებებით და ცოდნით აღჭურვილი ახალივე წოდება, კლასი. ფეოდალების სამაგიერო კლასის გაძლიერება საქართველოში შინაური და გარეშე პირობების გამო შეუძლებელი გამხდარიყო. მდგომარეობა მმართველობის ახალ წესებს, ევროპიულ ჩეულებათა და ცოდნის შეძენას მოითხოვდა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში აღებ-მიცემობა და ვაჭრობა თითქოს გაცხოველებას იწყებს. ვაჭრობა სწარმოებს რუსეთთანაც და ვაჭართა მფარველობის შესახებ მუხლი შეტანილია რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაშიაც. მაგრამ ფეოდალური წყობილების გარსიდან გამოსვლას უფრო მძლავრი კლასი ესაჭიროებოდა, ვიდრე მაშინდელი ვაჭართა და მოწინავე პირთა წრე იყო. შინაური კრიზისის დასაძლევად საჭირო გახდა გარეშე ძალების დახმარების ძიება და ევროპეიზაციის გზაზე რამენაირად დადგომა. მაშინდელ საქართველოს ამ გზაზე შედგომა მხოლოდ რუსეთის მეშვეობით შეეძლო, თუმცა საქართველოს პოლიტიკოსები დაიხანს სტდილობდნენ დასავლეთის სახელმწიფოებთან უშუალო კავშირის დაჭერასაც.

ჯერ კიდევ ვახტანგ სჯულმდებლის დროს ხულხან ორბელიანმა მოიარა ევროპა და თავისი მოგზაურობა წიგნად დასწერა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე კათოლიკეთა მისსიონერებთან ურთიერთობას, რომელნიც ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოდან უკვე მე-13 საუკუნიდან მოდიოდნენ საქართველოში. როგორც ვიცით, ვიდრე 1783 წლის ხელშეკრულებას დასდებდა, ერელკე მეფემ დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოებსაც მიმართა. მაგრამ ამაოდ. რუსეთთან დაახლოების საქმეში კი დიდი როლი ითამაშეს სხვათა შორის ქართველთა იმ მრავალმა ახალშენებმა, რუსეთის სხვა და სხვა მხარეს რომ იყვნენ გაფანტულნი და საკულტურო მუშაობას ეწეოდნენ. იქ სწერდა „ისტორიას“ და „საქართველოს გეოგრაფიას“ ბატონიშვილი ვახუშტი. იქვე მოღვაწეობდა მგოსანი დავით გურამიშვილი მე-18 საუკუნის ერთი უნიჭიერესი და საუკეთესო პოეტთაგანი.

თვით საქართველოშიაც დიდი საკულტურო მუშაობა იყო გაჩაღებული. შედგენილ იქმნა „საგეოგრაფიო ლექსიკონი“, გადითარგმნა არითმეტიკის, ტრიგონომეტრიის, ლოგარითმების, ფიზიკის, ფორტიფიკაციის და სხვა საგნების სახელმძღვანელოები. ივანე ორბელიანმა „მითოლოგია“ გადმოიღო; არქიეპისკ. პორფირემ „იერუსალიმის დაცემა“. სპ. ჩოლოყაშვილმა ფრანგულიდან სთარგმნა ტელემაქი (ფენელონისა), ი. ქართველიშვილმა კიდევ დელაპორტის წიგნი მისი მოგზაურობის შესახებ და სხვ. ახალი იდეების გავლენა ძლიერი იყო განათლებულ წრეებში. ბატონიშვილი დავითი ძველი ზნე-ჩვეულების მომხრეებს ძლიერ არ მოსწონდათ და ვოლტერის მიმდევრად სთვლიდნენ.

საერთოდ დროებითმა პოლიტიკურმა გაძლიერებამ საშუალება მისცა ხალხს საკულტურო მუშაობისა. ფეხზე დგებოდა მწერლობა. მგოსანი ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), რომლის ლექსები ახლაც იმდერება ხალხში, ფრიად პოპულარული პიროვნება იყო მაშინდელ ქართველობაში. მიუხედავად სპარსეთის დიდი გავლენისა, ევროპიული ზნე-ჩვეულება და განათლება ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა. საჭირო იყო ფიჭრი იმისთვის, რომ დასავლეთთან დაახლოების მისწრაფებას, თუნდაც რუსეთის გზით—დამოუკიდებელი საქართველოს მოსპობა არ მოჰყოლოდა. მაგრამ ფეოდალური წესწყობილების კრიზისი საბედისწერო აღმოჩნდა. ეს კრიზისი მხოლოდ უმაღლეს მმართველ წრეებს, დრო მოკმულ წესწყობილებას შეეხებოდა. ქართველი ხალხის ფართო მასები სოციალურ მონობას განიცდიდნენ და მხოლოდ მაშინ ახელდნენ თავას. მე-18 საუკუნის დამლევის ჰბდებოდა მთელი საქართველოს შინაური წესწყობილების გადაშენება, მისი გარდაქმნისათვის მუშაობა სწარმოებდა. ეს გარეშე ძალის დაუხმარებლად ძლიერ ძნელი საქმე იყო. დასახმარებლად მოწვეულმა რუსეთის თვითმპყრობელობამ ფეოდალური წესწყობილება მართლაც მოსპო, მაგრამ მას საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობაც ზედ მიაყოლა.

რუსეთის თვითმპყრობელობის დაამკვიდრება კავკასიაში

აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა. სამეფოს მოსპობი-
სა და ქართლ-კახეთის დაქვერისთანავე რუსის თვითმპყრობელობამ
ფიცხლავ თავისი კანონები და თავისი წყობილება დაამყარა. ეს
წყობილება იყო ბიუროკრატიულ-თვითმპყრობელური წყობილება.
ქართულ ფეოდალიზმს პოლიტიკურ სფეროში ბოლო მოეღო. ობიექ-
ტიურად ეს უნდა ყოფილიყო ნაბიჯი წინ. მაგრამ თვითმპყრობელო-
ბის პოლიტიკა ისეთი უხეში გამოდგა, რომ გამოკეთების მაგივრად
მდგომარეობა გააუარესა. საქმე ისაა, რომ თვითმპყრობელობა ადგი-
ლობრივ პირობებსა და თავისებურებას არავითარ ანგარიშს არ
უწევდა. შემოსვლისთანავე იგი დაადგა აგრესიულ პოლიტიკას და
რუსიფიკაციის გეგმის მედგრად გატარებას შეუდგა. ყველა დაწესე-
ბულებაში მთავრობამ ხალხისათვის უცხო და გაუგებარი რუსული
ენა გააბატონა. რუსულად სწარმოებდა სამართალიც და ხალხი დიდს
გაჭირვებაში ჩავარდა. ერთი სიტყვით, რუსის მთავრობამ საქართვე-
ლოში ისეთივე წესწყობილება დაამყარა, როგორც შიდა რუსეთის
გუბერნიებში იყო. განსხვავება თითქმის არაფერში ყოფილა.

რათა უკმაყოფილო ხალხს მეთაურები არ გამოსჩენოდა, მთავ-
რობამ რუსეთს გადაასახლა მთელი სამეფო გვარეულობა. გენ. კნო-
რინგის შემდეგ მთავარმართებლად დაინიშნა ციციანოვი, კაცი
ფრიად ენერგიული, მაგრამ გადაგვარებული, გარუსებული, რუ-
სეთში აღზრდილი ქართველი, რომელმაც ძლიერ დიდი ღვაწ-
ლი დასდო ამიერ-კავკასიაში რუსეთის გაბატონების საქმეს.
ზოგიერთმა ბატონიშვილმა საქართველოდან წასვლა არ მოინ-
დოდა და იმერეთს გაიქცა (იულონი, ფარნაოზი). როდესაც დე-
დოფალ მარიამს, გიორგი მეფის ქვრივს მოსთხოვეს რუსეთს წასვლა
-- მან გადაჭრით უარი განაცხადა. გენერალი ლაზარევი შეიარაღე-
ბული კაცებით დედოფალს სასახლეში ეახლა და ძალით წაყვანას
ეპირებოდა. როდესაც ლაზარევი მარიამს მიუახლოვდა და ხელის-
მოკიდება უნდოდა, შეურაცხყოფილმა დედოფალმა ხანჯლით მოჰკლა-
იგი (1803 წ.). მარიამი დააპატიმრეს და რუსეთს გაჰგზავნეს. იგი
სცხოვრობდა ბელგოროდის მონასტერში და 1851 წელს მიიცვალა.

იმერეთის ვითარება. იმერეთის მეფემ სოლომონმა მე-19 საუკუნის დამდეგს გურიის სამთავრო უკვე სავსებით დაიმორჩილა და სამეგრელოს შემოერთებას ჰლამობდა. მთავარი გრიგოლ დადიანი დიდხანს და სასტიკად ებრძოდა მეფეს. სოლომონმა ბრძოლაში ლეჩხუმის გამო, რომელსაც დადიანი ედავებოდა—სამეგრელოს მთავარი რამდენიმეჯერ დაამარცხა. იმერთა მეფე კარგად ჰხედავდა, თუ რადიდი საფრთხე მოელოდა მის ქვეყანას აღმოსავლეთით, სადაც რუსის მთავრობა უკვე სავსებით გაბატონებულიყო. ამიტომ იგი მთელ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას და საერთო ძალით მტრის მოგერებას სცდილობდა. რუსეთიც ფიხლად თვალ-ყურს ადევნებდა იმერეთის ამბებს და სოლომონის დასასუსტებლად გრიგოლ დადიანს ვხმარებოდა. 1803 წელს დადიანმა აღიარა რუსეთის მფარველობა და იმერთა მეფის უფლებისაგან სავსებით განთავისუფლებულად სთვლიდა თავს. ეს თვითმპყრობელობის მხრით პირველი შემოვლითი ნაბიჯი იყო დასავლეთ საქართველოს დამორჩილებისაკენ მიმართული.

კოტა ხანს შემდეგ მთავარმართებელი ციციანოვი ჯარით იმერეთს გადავიდა და სოლომონს რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარება მოსთხოვა. შემდეგ დიდი ხნის მოლაპარაკებისა, რომლის დროსაც ციციანოვი სოლომონს იმერეთის აოხრებით ემუქრებოდა—მეფე იძულებული გახდა ციციანოვის მიერ წარდგენილ პირობებზე ხელი მოეწერა. ამ პირობების მიხედვით სოლომონს უარი უნდა ეთქვა აგრეთვე სამეგრელოს სამთავროს წინააღმდეგ ყოველგვარ ბრძოლაზე.

იმერეთის ბრძოლა სამეფოს დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის მთავრობა ვერ ურიგდებოდა იმერეთის სამეფოს ვერც ნახევრად დამოუკიდებელ არსებობას და მუდამ ჟამს მის შინაურ საქმეებში ღრეოდა. ენერგიული და უფლებამოყვარე სოლომონი ამას წინააღმდეგობას უწევდა. საქმე ისე გამწვავდა, რომ სოლომონმა ქუთაისი, სადაც რუსის ჯარი ნელნელა თავს იყრიდა—მოულოდნელად მიატოვა. მან თავისი ტახტი ვარციხეში გადაიტანა და იქ სცხოვრობდა. თვითმპყრობელობა გაფაციცებით მოქმედებდა მეფის წინააღმდეგ, აჭრთამავდა ზოგიერთ გავლენიან პირებს, ზოგს კიდევ დაშინებით ამოქმედებდა. სოლომონს უღალატა მისმა ახლობელმა, გამოჩენილმა პირმა **ზურაბ წერეთელმა**, რომელსაც მთავრობა დაჰპირდა: სოლომონის შემდეგ იმერეთის მართვა-გამგეობას შენ ჩაგაბარებთო. მეორე მხრით მთავრობა სოლომონისაგან კვლავ ქუთაისს დაბრუნებას მოითხოვდა. მეფე მიხვდა, რომ მის დაპატიმრებას აპირებდნენ და ვარციხიდან წასვლაზე უარი სთქვა. იმავე დროს სოლომონი ოსმალეთ-

თან რუსეთის საწინააღმდეგო იღუმალ მოლაპარაკებას აწარმოებდა. მაშინ, 1810 წელს, რუსეთის იმპერატორის სახელით გამოიცა მანოფესტი მეფე სოლომონის გადაყენებისა და იმერეთში რუსული წეს-წყობილების დამყარების შესახებ. ამავე დროს იწყება ლაშქრობა იმერთა მეფის წინააღმდეგ. რუსეთის მომხრე ლევან დადიანი თავისი ჯარით იმერეთის საზღვრებს გადმოლახავს, ხოლო რუსის ჯარი სოლომონის ბინას—ვარციხეს უახლოვდება. მეფეს მხოლოდ 4000 კაცი ეგულება მისთვის მებრძოლი. ამისთანა ძალით ძნელი იყო მტრების მოგერება. ამიტომ როდესაც რუსის ჯარის უფროსმა გენერ. სვიმონოვიჩმა სოლომონს დაუწყაო მოლაპარაკება: მთავრობას ბრძოლა არ უნდა, მშვიდობიანად გაათავებს საქმეს და ზოგიერთ რასმე დასთმობს კიდევაცაო—მეფე დასთანხმდა და ციციანოვთან მოსალაპარაკებლად ქართლს გაემგზავრა.

იმედი საქმის მშვიდობიანად დამთავრების შესახებ არ გამართლდა. მოლაპარაკების მაგივრად ქართლში იმერეთის მეფე დააპატიმრეს და ტფილისში წაიყვანეს. სოლომონმა ცოტა ხანს შემდეგ მოახერხა ციხიდან გაქცევა. ერთგულ კაცებით, რომელნიც მის ამაღლას შეადგენდნენ—მეფე გადავიდა ახალციხეს, ხოლო იქიდან მალე იმერეთს მოეწვინა. იმერეთი, რომელიც უკვე განიცდიდა თვითმპყრობელობის სიმძიმეს, სოლომონს მიემხრო. რუსის ჯარს ზოგიერთი მსხვილი ფეოდალები ეხმარებოდნენ და მეფეს ხელს უშლიდნენ. სოლომონმა მაინც შესძლო მთავრობის რაზმების რამდენიმეჯერ, დამარცხება. მაგალითად სოფ. ალთან, იმერეთის საზღვარზე, სოლომონის ჯარმა სძლია მოწინააღმდეგეებს და 500 კაცი მოუკლა. სოლომონმა დაამარცხა აგრეთვე მთავრობის ჯარის მისაშველებლად წამოსული ლევან დადიანი. მაგრამ ბოლოს ჩხერის ციხესთან თვითონ იძლია და იძულებული გახდა ხანისწყლის ხეობაში გამაგრებულიყო. მეფე კარგა ხანს იბრძოდა. მაგრამ მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და მთავრობის ჯარს ეხმარებოდნენ გარდა სამეგრელოს მთავრისა, გურიელიც, თ-დნი წულუკიძენი და ზურაბ წერეთელი. ალყაშენოტყმულა მეფე მაინც გაუსხლტა ხელიდან თავის მტრებს და კვლავ ახალციხეში გადავიდა. იქიდან სოლომონი დახმარებას ოსმალეთს სთხოვდა. ოსმალეთს იმ დროს არ ჰქონდა რუსეთთან საქმის გამწვავების სურვილი და სოლომონს დახმარება ვერ გაუწია. ამნაირად აღმოსავლეთ საქართველოსაკენ—დასავლეთიც რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადააქციეს. სოლომონი რამდენიმე ხნის განმავლობაში არ ჰკარგავდა სამშობლოში დაბრუნების იმედს. მაგრამ ვერაფერს მოეწერო და ქ. ტრაპიზონში გარდაიცვალა 1815 წელს. დამახასია-

თებელია მის საფლავის ქვაზე წარწერა: „განმეძარცვა მე პირველ-
ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდე-
მული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგ-
რატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერეთის მეფე სოლომონ, რომ-
ლისათვისაცა ვითხოვ შენდობას. 7 თებერვალს 1815 წელსა“. მეორე
მხარეს აწერია: „ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მე-
ბრძოლთა მათ ჩემთა“.

რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლისა და საერთოდ სა-
ხელმწიფოებრივი მოღვაწეობის დროს ხსენებულ მეფეს დიდ დახმა-
რებას უწევდა ცნობილი სოლომონ ლეონიძე, რომელმაც აღმოსავ-
ლეთი საქართველო მიატოვა იქ რუსეთის შესვლის შემდეგ. ლეონიძე
სოლომონ მეორის კანცლერად იყო და მასვე ტრაპიზონში გაჰყვა.
ტრაპიზონიდან ლეონიძე სპარსეთს გადავიდა, ბატონიშვილ ალექსან-
დრესთან, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაეკარგნა თავისი სამეფოს
აღდგენის იმედი და ბრძოლას განაგრძობდა.

საქართველოს სამთავროების მოსპობა. დასავლეთ საქართვე-
ლოს რუსეთის მიერ დაჭერის შემდეგ ზოგიერთ მის ნაწილში კარგა
ხნის განმავლობაში ავტონომიური მმართველობა დარჩა. სამეგრელოს
მთავრად დადიანები იყვნენ, გურიისა—გურიელები.

როგორც ვიცით, სამეგრელომ დასავლეთ საქართველოში პირ-
ველმა აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა. ლევან დადიანი რუსებმა
დაამტკიცეს მთავრად. ლევანის შემდეგ გამთავრდა ძე მისი—დავითი,
კაცი ევროპიულად განათლებული. მთავრობა ყოველ ნაბიჯზე ერეო-
და სამეგრელოს შინაურ საქმეებში. ყირიმის ომის დროს სამეგრელო
გახდა რუსეთ-ოსმალეთის შეტაკებათა მეორეხარისხოვან ფრონტად.
ოსმალებმა, სხვათა შორის ზუგდიდიც კი დაიჭირეს, მაგრამ 1856
წელს დადებულ საზავო ხელშეკრულების ძალით იძულებული გახდნენ
სამეგრელო დაეცალათ. მთავრობა აღმაცერად უყურებდა სამეგრე-
ლოს შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობას და საბაბს ეძებდა მის
მოსასპობად. როდესაც მთავარ ეკატერინეს დროს მოხდა დიდი ამ-
ბოხება სამეგრელოს გლეხობისა—რუსის მთავრობამ სამეგრელო მოს-
პო, როგორც ცალკე სამთავრო და იმპერიას შეუერთა.

გურიის მთავარი მამია გურიელი ჯერ კიდევ მაშინ, რუსის ჯა-
რი სოლომონ მეფეს რომ ებრძოდა, მთავრობის მხარეზე იყო და მისი
ქვეშევრდომობაც აღიარა. მამიას მცირეწლოვანი შვილი დარჩა და
აშიტომ გურიას მისი ქვრივი სოფიო განაგებდა. სოფიო ძლიერ უკმა-
ყოფილო იყო, რომ მთავრობამ მას უფლებანი შეუუკვეცა და გურიის
შინაურ საქმეებში ერეოდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1828 წ.)

სოფიო ასი კაცისაგან შემდგარი ამალით ოსმალებთან გაიქცა და მათი საშუალებით თავის ქვეყნის განთავისუფლებას ჰფიქრობდა. მთავრობამ ისარგებლა შემთხვევით და 1829 წელს გურიის სამთავროც მოსპო.

ავტონომიური მმართველობა შედარებით დიდხანს დარჩა აფხაზეთსა და სვანეთში. უკანასკნელში ბატონობდენ თავადი დადიშეკლიანები. ორმოცდაათიან წლებში კონსტანტინე დადიშეკლიანმა განიზრახა სვანეთის დამოუკიდებლად მართვა-გამგეობა და ხალხი თავის ერთგულებაზე დააფიცა. მთავრობა ამან შეაშფოთა და კონსტანტინე ქუთაისს დაიბარეს. როდესაც დადიშეკლიანი გენერალ-გუბერნატორს გაგარინს ეახლა—ამ უკანასკნელმა მოსთხოვა კონსტანტინეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო და წასულიყო პეტერბურგს, ან უკიდურეს შემთხვევაში ერევანში. კონსტანტინემ გადაჭრით უარი განაცხადა. ლაპარაკის დროს დადიშეკლიანი მოთმინებიდან გამოვიდა და გაგარინი ხანჯლით მოჰკლა. კონსტანტინე დაპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს (1858). მას შემდეგ სვანეთიც სავსებით დამორჩილებულ იქნა.

მალე იმპერიას შეუერთეს აფხაზეთიც, რომელსაც შარვაშიძეები მფლობელობდენ. აფხაზეთის სამთავროს მოსპობამ 1867 წელს გამოიწვია დიდი ამბოხება, რომელიც მთავრობამ სასტიკად ჩააქრო. მაჰმადიანი აფხაზები რუსეთის გაბატონებას არ შეურიგდენ და მრავალი მათგანი ოსმალეთში გაიხიზნა.

მთიელთა დამორჩილება. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთი განაგრძობდა თავის ტერიტორიის გაფართოებას მის აღმოსავლეთითაც. ჯერ კიდევ ციციანოვის მთავარმართებლობის დროს რუსეთმა დაიჭირა ყარაბაღის, შაქის და შირვანის სახანოები. შემდეგ დაპყრობილ იქნა ბაქო, ყუბა და დარუბანდი. რუსეთის ბატონობის გარეშე დარჩენილიყო დაღესტნის უდიდესი ნაწილი და სხვა მთიელთა (ჩეჩნების, ჩერქეზების და სხვ.) ტერიტორია. მათთან თვითმპყრობელობას ხანგრძლივი და სასტიკი ომის წარმოება მოუხდა. მთიელთა მეთაურები—ყაზი-მულა, შემდეგ კი სახელგანთქმული შამილი, თავგანწირულად ებრძოდენ რუსებს და მათა ში მათ დამკვიდრებას ხელს უშლიდენ. მათ ბრძოლას მიეცა სარწმუნოებრივი ხასიათი და შამილის გარშემო შეგროვდა მრავალი მებრძოლი, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში მედგრად იცავდენ თავისი ქვეყნის თავისუფლებას. ბოლოს მთიელები დამარცხდენ და 1859 წელს დაღესტანიც რუსეთის იმპერიაში მოჰყვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთმა დამორჩილა დასავლეთის

მთიელებიც და 1864 წლიდან მთლად კავკასიაში დამკვიდრდა. ბევრმა ხალხმა, მაგალითად ჩერქეზებმა—არ მოისურვეს გამარჯვებულთა ხელში ყოფნა და თითქმის ყველანი (500.000 კაცამდე) თავის ერთ-მორწმუნე ოსმალეთში გადასახლდნენ*). ზემოხსენებულ ბრძოლის პერიოდში რუსეთმა წაართვა ოსმალეთს და სპარსეთს ზოგიერთი მოსახლვრე ადგილები. ამნაირად რუსეთი უკვე მთელი კავკასიის მთლობელი ჰხდება.

საქართველო თვითმპყრობელობის ხელში

თვითმპყრობელობისადმი უკმაყოფილება. როგორც ვიცით, საქართველოს მმართველები ერთმორწმუნე რუსეთზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მაგრამ მეფობის მოსპობამ ბევრი ჩააფიქრა. 1802 წელს კახეთის თავად-აზნაურობის სახელით მთავრობას წარუდგინეს მიმართვა. ამ მიმართვის ავტორნი სევედიანად აღნიშნავდნენ რუსეთისადმი იმედების გაცრუებას.

ჩვენ, ქართველები, სწერდნენ ისინი, ერთ პატარა ქვეყანას წარმოვადგენთ. ჩვენ გვებრძოდა სულთანი, რომელიც არის დიდი ხელმწიფე. ჩვენ გვებრძოდა შაჰი და ჩვენ ხანდახან მისი ქვეშევრდომები ვიყავით. გვებრძოდა დაღესტანიცა—ესეც დიდი ქვეყანაა, მაგრამ არც ერთს მათგანს არ დავმორჩილებივართ. ხანდახან ისინი ჩვენ გვამარცხებდნენ, მაგრამ ჩვენ არასოდეს მათ არ შევრიგებივართ, მათ მეფობა არ მოუსპიათო და სხვ.

თვითმპყრობელობის უკმაყოფილო იყო გლეხობაც. იგი მისგან მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდა, მაგრამ უარეს ყოფაში ჩავარდა. მე-19 საუკუნის დამდეგს გლეხობა, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნიადაგზე თუმცა დანაწილებული იყო სხვადასხვა კატეგორიებად, მაგრამ საერთოდ მისი უფლება-მოვალეობანი სასტიკად ისაზღვრებოდა ადათით. გლეხებს საკუთრების უფლება ჰქონდათ და მიწის სარგებლობისათვის ან ლალას იხდიდნენ, ან პირადი სამსახურით აკმაყოფილებდნენ ბატონების მოთხოვნას. ადათის ძალა ფრიად დიდი იყო. არქანჯელო ლამბერტი, რომელიც დასავლეთ საქართველოში თითქმის 20 წელიწადი სცხოვრობდა მე-17 ს. თავის წიგნში სწერს: „მსახურები ანუ გლეხები ჩვეულებისამებრ მტკიცედ ასრულებენ თავის სამსახურს და იხდიან იმ ბეგარას, რაც თავიანთი ბატონისა ძველათგანვე ჰმართებიათ. ამ

*) ამ გადასახლების მშვენიერი სურათი აქვს ალ. ყაზბეგს თავის მოთხრობა „ელისო“-ში.

მხრით ისეთი მტკიცენი არიან, რომ მოკვდებიან და არ გადაიხდიან ერთი იოტით იმაზე მეტს, რაც ჩვეულებით დადებულია“.

რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ საქართველოს გლეხობის მდგომარეობა ამ მხრით შეიცვალა. რუსეთის მაშინდელი კანონების მიხედვით გლეხი მთელი თავისი მიწა წყლით ბატონის საკუთრებად ითვლებოდა. ქართველმა მემამულეებმა, რასაკვირველია, ისარგებლეს ასეთი ფართო უფლებებით და გლეხობას მუხრუჭი მოუჭირეს.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება გლეხებისათვის—ბეგარა იყო. ჯარისათვის ურმებით ხშირი გამოსვლის და ძალადობის გამო—ხალხი გმინავდა. საქონელი გადამეტებულ მჭუშაობას ვერ უძლებდა და იხოცებოდა. მშვიდობიანობის მოლოდინიც გაცრუვდა. რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე არ შეჩერებულა, იგი მოსაზღვრე ხალხებს ებრძოდა. ამ ბრძოლის დროს ჩვენი ქვეყანა ხშირად ჰხდებოდა სამხედრო მოქმედების ასპარეზად, ყოველ შემთხვევაში ჯარის მოძრაობა აქ გამუდმებული იყო. მოხელეები მალლიდან დაჰყურებდნენ ქართველ მცხოვრებთ. ათასგვარ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოხელეების მხრით. კავკასიას მაშინ ისე უყურებდნენ, როგორც ციმბირს. ამიტომ ჩვენსკენ მოდიოდა რუსის მოხელეების უფარგისი წაწილი. მექრთამეობა არაჩვეულებრივად გაიზარდა. ხალხი გმინავდა და საშუალება არ ჰქონდა ვისმესთვის საჩივრით მიემართნა. სასამართლოში მისთვის უცხო ენა იყო გამეფებული. ამბობენ, სწორედ მაშინ გაჩნდა რუსული—ანდაზა: ღმერთი ძლიერ მალაა, მეფე კიდევ შორსაო.

ქართველი პატრიოტების შიში თითქოს მართლდებოდა. მათს სიტყვას და ქადაგებას ნიადაგი მოუმზადდა. უცხოელ მოხელეთა მიერ დაჩაგრულმა, იმედგაცრუებულმა ხალხმა სცადა შებრძოლება, მაგრამ ველარას გახდა.

მთიულეთის ამბოხება. 1804 წელს აღსდგენ მთიულეთი (დუშეთის მაზ.). ამბოხება დაიწყო იმით, რომ მთიელებმა უარი სთქვეს ჯარში გასვლაზე. აჯანყებულები ჰფიქრობდნენ საქართველოს სხვა კუთხეებთან დაკავშირებას. მათ მოლაპარაკება ჰქონდათ ოსებთანაც. მთიელებმა კავშირი გააბეს იმერეთში გაქცეულ ბატონიშვილ იულონსა და ფარნაოზთან. მთავრობამ შეამბოხეთა წინააღმდეგ ჯარი გაჰზავნა და წინადადება მისცა—დაგვენდითო. მთიელებმა უარი განაცხადეს და როგორც თვით აცხადებდნენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ რუსეთისგან განთავისუფლება. მათ შეჰკრეს საქართველოს სამხედრო გზა, თავს დაესხნენ კაიშაურში მდგარ ყაზახთა რაზმს და

ამოსწყვიტეს. რამდენსამე სხვა შეტაკებაში მთიელებმა კვლავ დაამარცხეს მთავრობის რაზმები, მაგრამ საქართველოს დანარჩენმა ნაწილებმა დახმარება ვერ გაუწიეს მეამბოხეებს და ისინი ბოლოს რეგულიარულმა ჯარმა სძლია. ბატონიშვილი იულიონი და ფარნაოზი დააპატიმრეს და 1805 წელს რუსეთს გაჰგზავნეს. ზოგიერთი მეამბოხენი დახოცეს, ხოლო 70 კაცამდე ციმბირს გადაასახლეს.

ამბოხება კახეთში. ყველაზე დიდი აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ მოხდა კახეთში 1812 წელს. მეამბოხეებმა საქართველოსთვის მეფეც კი აირჩიეს—გრიგოლი, გიორგი მეფის შვილისშვილი. თუ რა ხასიათისა იყო კახეთის აჯანყება—ეს ნათლად სჩანს იმ პასუხში, მეამბოხეებმა მთავარმართებელს მარკიზ პაულიჩის. რომ გადასცეს. პაულიჩი უსაყვედურებდა მეამბოხეებს, ხელმწიფის ფიცი გასტეხეთ, ღმერთი დაივიწყეთო.

„ჩვენ კი არ გაგვიტეხია ფიცი, თქვენ დაგავიწყდათ ყველა თქვენი დაპირებანი—უპასუხებდენ აჯანყებულნი. თქვენ ბრალიანსა და უბრალოს ხელს სტაცებდით ხვრეტდით და ხოცავდით. თქვენ ჩვენს ქალებს ნამუსსა ჰხდიდით და უსინდისოდ გვძარცვავდით. რაც კი რამ გვქონდა, ყველაფერს გვართმევდით ძალადობითა და ხიშტებით. თქვენ წაგვართვით რაც პური გვქონდა. ხალხი სულსა ღაფავს, გმინავს დაუსრულებელ ბეგრის მიზეზით, რომლის გამო უკანასკნელი საქონელი გვერთმევა და გვეხოცება. ოჯახობა შიმშილით გვიკვდებოდა და თქვენ გვეუბნებოდით—ბალახი სძოვეთო. დარწმუნებული იყავით, დასძინდენ მეამბოხენი, რომ თქვენს წინააღმდეგ ჩვენთან არიან ყველა ჩვენი ძმები, მთელი ქართლ-კახეთი გმინავს თქვენი მხეცობით თავმოებზრებულთ. არა! თქვენთან შერიგებაზე რა ლაპარაკი შეიძლება! კმარა, გვეყოფა ამდენი მოტყუება“—ო და სხვ.

ამნაირად აჯანყებას ნამდვილი ხალხური ხასიათი ჰქონდა. ზოგიერთ ადგილას მან აგრარული ხასიათი მიიღო, რის გამოც მონაწილე თავად აზნაურობამ იწყო მთავრობის მხარეზე გადასვლა. მაგრამ როდესაც რუსეთში ნაპოლეონი შეიჭრა, მეფობის აღდგენის მომხრეებმა მუშაობა გააცხოველეს და ბაგრატიონების ტახტზე ასვლის მოლოდინში იყვნენ. ამ მიზნით მათ მოიწვიეს სპარსეთს მყოფი ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში არ შერიგებოდა.

ამბოხების მსვლელობა ასეთი იყო: აჯანყების ცეცხლი მოედო ქართლსაც. ყური სცქვიტეს დაღესტნელებმა და რუსეთის მიერ ახლად შემოერთებულმა სახანოებმა. მეამბოხეებმა ამასობაში დაამარცხეს მთავრობის ჯარი სოფ. ვარდის-უბანთან და მერე თელავს შიადგნენ.

მეორე მხრით მათ აიღეს სიღნაღი. მთავრობის ჯარი მემბოხეებზე სძლიეს სოფ. საგარეჯოსა და ხაშმთანაც. მდგომარეობა სერიოზული იყო და ამიტომ სარდლობა თვით მთავარმართებელმა მარკიზმა პაულიჩიმ იკისრა. მემბოხეებმა პაულიჩის დამარცხებაც შესძლეს და მისი ჯარი გამოდევნეს ს. ჩუმლაყიდან. ამასობაში პაულიჩის მაშველი ჯარი მოუვიდა. ამ ჯარმა მემბოხენი დაამარცხა და ზემოხსენებული სოფელი ჩუმლაყი ცეცხლს მისცა. აჯანყება ოდნავ მიწეღდა. მთავრობამ მრავალი დააპატიმრა და ბატონიშვილი გრიგოლი რუსეთს გაჰგზავნა.

მოდრობამ აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო მაშინ, როდესაც სპარსეთიდან ბატონიშვილი ალექსანდრე ჩამოვიდა. იგი ჩავიდა თავისი რაზმით თიანეთს, სადაც კახელი თავად-აზააურობა დახვდა. პირველ შეტაკების დროს მთავრობის ერთი პოლკი დამარცხდა, მაგრამ მაშველი რაზმის მისვლის შემდეგ მემბოხენი ბოლოს და ბოლოს სძლია რეგულიარულმა ჯარმა. ალექსანდრე ჩალაუბანს მივიდა. აქ მას შეუერთდა ლეკების ჯარი, რომლის დახმარებითაც მან სცადა სიღნაღის ხელმეორედ აღება, რადგან აჯანყებულებს იგი წინაღ მხოლოდ დროებით ჰქონდათ. ეს ცდა ამაო გამოდგა.

ამბოხებამ საქართველოს დანარჩენ ადგილებში ვერ ჰპოვა ისეთი მძლავრი გამოძახილი, როგორსაც მეთაურები მოელოდნენ. ამიტომ ბოლოს და ბოლოს ბატ. ალექსანდრე იძულებული იყო ფშავში წასულიყო, საიდანაც იგი შემდგომ დაღესტანს გადავიდა და რამდენსამე ხანს იქ იმყოფებოდა.

გამარჯვებულმა თვითმპყრობელობამ. მრავალი დაბა-სოფელი ცეცხლს მისცა და დაარბია. მემბოხეთა დიდი უმეტესობა დააპატიმრეს, მრავალი კიდევ ციმბირში გადაასახლეს.

კახეთის აჯანყება უკანასკნელი აქტიური გამოსვლა იყო აღმოსავლეთ საქართველოში. მისი დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელობა სასტიკად სდევნის ყოველგვარს პროტესტის ნიშან-წყალს და საქართველო თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში მღუმარებას განიცდის.

გარუსების პოლიტიკა და ამბოხება იმერეთში. რუსის თვითმპყრობელობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მთელი კავკასიის გარუსება და კერძოდ საქართველოში საამისო პოლიტიკა გააძლიერა. რუსი ფიციკაციის ერთგული მომხრე და გამტარებელი იყო კავკასიის ახალი მთავარმართებელი **ერმოლოვი**. იგი სცდილობდა მოესპო საქართველოში ყოველგვარი ნიშან-წყალი დამოუკიდებლობის და თავისებურობისა. იმის დანიშნამდე მთავრობამ აღმოსავლეთ საქარ-

თველოს ეკლესიის ავტოკეფალობა (დამოუკიდებლობა) მოუსპო. ანტონ კათალიკოსი (ერეკლე მეფის ძე) რუსეთს გადაასახლეს, ხოლო საეკლესიო საქმეები დანიშნულ ეგზარხოსს მთავრობის მომხრეს ვარლამ ერისთავს ჩააბარეს. ზმ ხნიდან ამერეთის ეკლესია რუსეთის სინოდს დაუმორჩილდა.

ერმოლოვის დროს (1817 წ.) საქართველოს-ეგზარხოსად მთავრობამ დანიშნა გარუსების პოლიტიკის მომხრე თეოფილაქტე რუსანოვი. ახალმა ეგზარხოსმა სიონში სლავიანური ლეთისმსახურება შემოიღო. მალე მან მოინდომა იმერეთის ეკლესიის დამორჩილებაც. იმერეთის ეკლესია იქამდე დამოუკიდებელი იყო და თეოფილაქტეს განზრახვამ იქ აღელვება გამოიწვია. მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ კათალიკოსის მოადგილე—მიტროპოლიტი ქუთაისისა დოსითეოსი და გენათისა ექვთიმე. მიტროპოლიტები დააპატიმრეს და საშინლად სცემეს. ნაცემი დოსითეოსი სურამში გარდაიცვალა, ხოლო ექვთიმე რუსეთში გადაასახლეს. უკმაყოფილო ხალხისთვის ეს ამბავი თითქოს ნიშნად იქცა და დაიწყო ამბოხება. მათ მიემხრო ყველა ის, ვინც საქართველოში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგი იყო. ამიტომ მოძრაობამ მყისვე პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მეთამბოხებმა გადასწყვიტეს მეფე აერჩიათ. ამბოხება მთავრობამ სასტიკად ჩააქრო. ამის შემდეგ მთელი საქართველო საეკლესიო მხრითაც სავსებით რუსეთს ემორჩილება.

ჯავახეთ-სამცხის შემოერთება. 1828 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი ასტყდა. ადრიანოპოლში დადებულ საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა შეპოიერთა ახალციხ-ახალქალაქის მხარე, ფოთი და სხვათა შორის ყარსიც. ქართველმა მუსულმანებმა რუსეთის ხელში ყოფნა არ მოისურვეს და ოსმალეთში გადასახლდნენ. მათ მაგივრად შემოერთებულ მხარეებში მთავრობამ დაასახლა ოსმალეთიდან გამოქცეული 30 ათასამდე სომეხი. ამ დროსვე დასახლდნენ სომეხები ბორჩალოს მაზრაში—ლორში. გარუსების პოლიტიკით რუსის თვითმპყრობელობა დიდ ხანს აშინებდა ქართველ მუსულმანებს და ამით მათ გაოსმალეებას ხელს უწყობდა. მით უმეტეს, რომ ქართველებს აკრძალული ჰქონდათ მუსულმან ძმებში სამშობლო ენა და კულტურა გაეგრცელებინათ.

საქართველოს ვითარება ოციან წლებში. კახეთის ამბოხების დამარცხების შემდეგ დგება ხანა იძულებითი სიჩუმისა. მთავრობა გარუსების პოლიტიკას აძლიერებს. ქართველობის წრეებში პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესი თითქოს ჩამკვდარია. წინა რიგებში დგება წოდებრივი ხასიათის საქმიანობა. თავად-აზნაურობა

სამხედრო სამსახურში მიეშურება, რასაც ხელს უწყობს მთავრობის პოლიტიკაც. მას სურს ჩაითრიოს ეს წოდება თავის საქმეში და სავსებით თავის გავლენას დაუმორჩილოს. ამიტომ იგი ჩინ-მენდლებს ძალიან იაფად არიგებს. თავად-აზნაურობაც სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში პირადს წარმატებას—უდიდეს საქმედ სთვლის, ქართველობის წინსვლად მიაჩნია. უმაღლესი წრეები ქართველი საზოგადოებისა მჭიდროდ უკავშირდებიან ახალ ხელისუფლებას და გარუსების გზას ადგანან. რუსული ენა თანდათან ვრცელდება ხსენებულ საზოგადოებაში და მალე ისეთსავე ადგილს იჭერს უმაღლეს კლასთა ცხოვრებაში, როგორი ადგილიც მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთში ფრანგულს ეჭირა.

რაც შეეხება სხვა წრეებს, უბრალო მოქალაქეთ და გლეხობას—პირველი მცირერიცხოვანი იყო, ხოლო მეორე ბატონ-ყმობის მძიმე უღელქვეშ კვნესოდა. იგი, რასაკვირველია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერაფერს მონაწილეობას ვერ იღებდა. მიუხედავად ამისა, შედარებითი მშვიდობიანობა, რომელიც იმ ხანებში ასე თუ ისე დამყარდა, ფრიად სასარგებლო იყო. ხალხი ნელ-ნელა ფეხზე დგებოდა, მრავლდებოდა და ეკონომიურად ღონიერდებოდა.

1819 წ. გამოვიდა პირველი ქართული გამოცემა—„საქართველოს გაზეთი“. მან ორი წელიწადი იცოცხლა, მაგრამ პოლიტიკური ხასიათის რამე არა იბეჭდებოდა რა. სწორედ იმ ხანებშივე დაარსდა თავად-აზნაურთაგან გამოსულ ინტელიგენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. ეს ჯგუფი მაშინდელი უმაღლესი წრეების საერთო მიმდინარეობას არ ეთანხმებოდა და სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ მაშინდელი საუკეთესო და მოწინავე პირები. მათი შეჯგუფება იყო უფრო მეგობრული ხასიათისა, პირველ ხანებში სალიტერატურო მიმართულება ჰქონდა, მაგრამ შემდეგში თანდათან პოლიტიკური ელფერი მიიღო.

1832 წლის შეთქმულება. ქართველ მოწინავე პირთა ჯგუფმა 1829 წელს თავისი მისწრაფებანი უკვე ჩამოაყალიბა, მიიღო წესდება და „ფარული საზოგადოება“ დააარსა. ამ საზოგადოებამ მიზნად დაისახა საქართველოს სამეფოს აღდგენა, მასში ზოგიერთი ბატონი-შვილებიც იღებდნენ მონაწილეობას—მაგალითად ოქროპირი და დიმიტრი. პოლონელთა იმ დროინდელი აჯანყების გავლენით, „ფარული საზოგადოების“ წევრებმა თვითონაც იწყეს რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებისათვის მზადება. შემუშავებულ იქნა შემდეგი გეგმა: რუსეთის ყველა გამოჩენილი მოხელე და მათი უფროსები უნდა მიეწვიათ საგანგებოდ გამართულ ბალზე. იქ ყველა ისინი

უნდა დაეხილათ. შემდეგ შეთქმულნი უნდა გამოსულიყვნენ გარედ, აეტეხნათ ზარების რეკა და ხალხი აჯანყებისაკენ მოეწოდებინათ. ზემოხსენებული გეგმის შესასრულებლად შეთქმულები ასე თუ ისე ემზადებოდნენ და ჰსურდათ იმერეთთანაც დაკავშირებულყვნენ. მაგრამ შეთქმულება გასცა ერთმა მონაწილემ—ია ფალავანდიშვილმა, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ. მთელი ჯგუფი დაპატიმრებულ იქმნა. მრავალი ციხეში ჩასვეს, ზოგი კიდევ რუსეთს გადაასახლეს. შეთქმულებაში მონაწილეობა დაპბრალდა სულ 32 კაცს. მათში აღმოჩნდნენ პირები, რომელნიც შემდეგში საუკეთესო მგოსნები და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ: გიორგი ერისთავი (დრამატურგი), გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ალექსანდრე ქავკავაძე, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვანი.

1832 წლის შეთქმულება ქართველობის წრეების თითქოს უკანასკნელი ცდა იყო—სამეფოს აღდგენისაკენ მიმართული. უნდა აღინიშნოს კი, რომ არ გაეცათ კიდევაც—შეთქმულნი მიზანს ვერ მიაღწევდნენ. ისინი სრულიად არ იყვნენ ხალხთან დაკავშირებულნი და უფრო უჯარო გენერლებს, პოლიტიკურ რომანტიკოსებს წარმოადგენდნენ, ვიდრე პრაქტიკულ მოღვაწეებს.

ვორონცოვის მმართველობა. ქართველ საზოგადოებას შედარებით თავისუფლად ამოსუნთქვა ელირსა მიხეილ ვორონცოვის დროს, ვორონცოვი ევროპიულად განათლებული ადამიანი იყო და კავკასიაში მეფის ნაცვლად (ნამესტნიკად) რომ დანიშნეს—თავის სამმართველოს და კერძოდ საქართველოს ლოიალურად ეპყრობოდა. ვორონცოვი ჰფიქრობდა, რომ ქართველების რუსეთთან მჭიდროდ დასაკავშირებლად საჭიროა უმთავრესად კულტურული მუშაობა და საამისო ძაფების გაბმავი. ამ საქმეში მას ჰსურდა ქართველ თავად-აზნაურობას დაყრდნობოდა. ამიტომ ვორონცოვი მფარველობდა ქართველთა უმაღლეს წოდებას, ზოგჯერ უპირატესობას აძლევდა და ამასთანავე ევროპიულ ზნე-ჩვეულებათა გავრცელებას ხელს უწყობდა. თავისი მოღვაწეობით ვორონცოვმა ქართველი საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ მეფის ნაცვალს არავითარი ძირითადი რეფორმა მმართველობაში არ მოუხდენია. ეს კია, იგი ებრძოდა მართვა-გამგეობაში დამყარებულ ბოროტმოქმედებას და სახელმწიფო სამსახურისაკენ ქართველ უმაღლეს წოდებას გზას უხსნიდა.

ვორონცოვი მფარველობდა ქართულ თეატრსაც, რომლის დამაარსებლად გიორგი ერისთავი ითვლება. უნდა ითქვას, რომ საქართველოში საიეატრო წარმოდგენები იდგმებოდა ჯერ კიდევ

მე-18 საუკუნის დამლევს, მეფე ერეკლეს დროს. მაგალითად 1791 წელს სასახლეში დასდგეს პიესა გ. ავალიშვილისა „მეფე თეიმურაზ“. მაგრამ ახალი ქართული თეატრის საქმეს მხოლოდ გიორგი ერისთავმა ჩაუყარა საფუძველი. პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა 1850 წლის იანვრის 2 ს. დასდგეს იმავე გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. ეს დღე ქართული მუდმივი თეატრის დაარსების დღედ ითვლება.

ვორონცოვი ხელს უწყობდა აგრეთვე პირველ ქართულ თეატრის „ცისკრის“ დაარსებას. „ცისკარი“ ორი წლის განმავლობაში გაშლილია, შემდეგ მისი გამოცემა შესწყდა და მხოლოდ 1857 წელს განახლდა. ამანიარდ რუსეთის თვითმპყრობელობის ბრძკულებში მყოფი საქართველო მაინც ახერხებდა წინსვლას და ნელ-ნელა ევროპიულ განათლებას ითვისებდა.

ვორონცოვის დროსვე მოხდა, სხვათა შორის, საქართველოს გაყოფა ორ გუბერნიად: ტფილისისა და ქუთაისისად.

ბატონ-ყმობა საქართველოში და მისი გაუქმება. ბატონ-ყმობას საქართველოში თავიდანვე საერთოდ ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც ყველგან, სადაც კი ეს წყობილება არსებობდა. მაგრამ იყო ზოგიერთი განსხვავებაც. ქართველ გლეხს, მაგალითად, ჰქონდა საკუთრების უფლება. მისი უფლება-მოვალეობანი სასტიკად განსაზღვრული იყო ადამ-კანონით. გლეხებს ჰქონდათ აგრეთვე უფლება, თანახმად მეფის ვახტანგის კანონებისა, ბატონის ტყითა და საჩოვრებით სარგებლობისა. ერთ-ერთს თავის ბრძანებით ერეკლე მეფე მიმართავდა თავად ამილახვრებს (1785 წ.): ნება არა გაქვთ „აუკრძალოთ გლეხებს ტყიდან შეშისა და აგრეთვე ურმებისათვის ხის მა სალის გამოტანაო“.

ბატონ-ყმურ წყობილებაზე დიდი გავლენა ჰქონდა გარეშე მტრებთან ბრძოლით შექმნილ გარემოებასაც. მაგალითად, თანახმად იმავე ერეკლე მეფის განკარგულებისა 1765 წელს, „იმ გლეხებზე, რომელნიც ტყვეობიდან დაბრუნდებოდნენ, ძველს ბატონებს უფლება აღარ ჰქონდათ თავისი ბატონობა განევრცოთ“ და კვლავ ყმის მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.

გლეხობა საერთოდ, რასაკვირველია ვერ ურიგდებოდა თავის მონურს მდგომარეობას და ბატონ ყმობას ებრძოდა. სამწუხაროდ, ისტორიას ჯერ-ჯერობით ნაკლები ცნობები მოეპოება ამ ბრძოლის შესახებ. ერთი რამ კი ცხადია: აგრარული მოძრაობა უკვე გაცხოველებული იყო ჩვენს ქვეყანაში მე-18 საუკუნის დამდეგსვე. 1712 წელს სოფ. ყვარელის (კახეთში) საეკლესიო გლეხები ამბოხდნენ და

ყოველგვარ გადასახადზე უარი სთქვეს. კახეთის მაშინდელი მმართველი დავით იმამ ყული-ხანი უბრძანებს ვეზირს: გლეხები დათრგუნე და გადასახადიც გამოალეზინეო. 1719 წელს მეფე ბაქარის მიერ მონასტრისადმი შეწირული გლეხები არ დაემორჩილენ ბრძანებას და ასინი იარაღით დაიმორჩილეს. 1749 წელს ბოლნისის საეკლესიო გლეხები ამბოხდნენ და გადასახადებზე უარი სთქვეს. საქმეში ჩაერია კათალიკოსი ანტონი და გლეხები ძლივს-ძლიობით დააშოშმინეს. 1776 წელს ასეთსავე ურჩობას იჩენენ ს. ურბნისის გლეხები, ხოლო 1794 წელს მანგლისისა და რუისის ეკლესიათა ყმები აიყარენ და ბატონებს გაექცნენ. ეს მცირეოდენი ცნობებიც საკმარისია იმის დასახასიათებლად, რომ ქართველი გლეხობა თავის ბედს არ ურიგდებოდა და მის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის საჭიროება ამ ბრძოლას ხშირად ხელს უშლიდა და ანელებდა.

როგორც ვიცით, ქართველს გლეხს რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი ჰქონდა. რუსეთის თვითმპყრობელობამ ეს იმედი გაუტრუა. გაუმჯობესების მაგივრად გლეხის მდგომარეობა ზოგიერთი მხრით გაუარესდა კიდევ. ბიუროკრატიული რუსეთის კანონების მიხედვით, რომელიც საქართველოზედაც გავრცელდა, ყმა მთელი მისი ქონებით ბატონის სრულ საკუთრებად იქნა აღიარებული. ამას ზედ დაერთო ის, რომ თავად-აზნაურობამ ქალაქს მიაშურა და გარეგნად ევროპეიზაციის გზას დაადგა. ქალაქში საცხოვრებლად მას ფული სჭიროდა და წინანდელზე მეტი მოთხოვნილებანიც გაუჩნდა. ამიტომ ქართველი შემამულეები, მიიღეს რა საშუალება ყმების სრული ბატონ-პატონნი ყოფილიყვნენ, სცდილობდნენ სავსებით გამოეყენებინათ თვითმპყრობელობის მიერ მინიჭებული უფლებანი. ამან მდგომარეობა ფრიალდ გაამწვავა.

ჩვენ ვიცით რამდენიმე ამბოხება, რომელსაც პოლიტიკურს გარდა, აგრარული ხასიათიც ჰქონდა. ასეთი იყო კახეთის აჯანყება 1812 წელს, გურიის ამბოხება^{*)}. 1842 წელს და სხვა წვრილ-წვრილი მღელვარებანი და მოძრაობა. განსაკუთრებით ძლიერი იყო გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856 წელს. მოძრაობას გამოუჩნდნენ „გლეხთა გენერლებიც“^{*)}: კოჩა თოდუა, მართალი თოდუა (მეჭურჭლე) და შიქავა (მჭედელი). გლეხები შეგროვდნენ ზუგდიდს ახლო და

^{*)} ეს ამბავი აწერილი ჰქვს ე. ნინოშვილს თავის მოთხრობაში: „ჯანყი გურიაში“.

სამხედრო ბანაკი დასცეს, სადაც ათი ათას კაცზე მეტი შეგროვდა. ზემოხსენებულ მეთაურებთან მიდიოდა ყველა ის გლეხი, ვისაც ბატონი ზედმეტად მკაცრი ჰყავდა და აწუხებდა. მეთაურები გამოუძახებდნენ ხოლმე დამნაშავე ბატონს და წინადადებას აძლევდნენ, აღარ გაემეორებინა თავისი დანაშაული და ყმებს კარგად მოჰქცეოდა. თავად-აზნაურობა საშინლად შეშინებული იყო და მეთაურების დაბარებაზე უარს ვერ ამბობდა. ვინც ურჩობას განაცხადებდა, გლეხები თავს ესხმოდნენ ამნაირ მემამულეს და მთლად მოსპობდნენ ხოლმე მის ოჯახსა და სახლ-კარს. განსაკუთრებით ცხარე ხასიათის, კარგი ავტორი და ნიჭიერი იყო მჭედელი მიქაეა, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა გლეხებზე. სამეგრელო მაშინ ჯერ კიდევ ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა. მაშინდელმა მთავარმა, რაკი თითონ ვერას გახდა, გლეხების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა ქუთაისის გუბერნატორს კოლიუბიაკინს, რომელმაც რეგულიარული ჯარით მოძრაობა ჩააქრო...

საერთოდ გლეხოზა მთელი მე 19 საუკ. განმავლობაში, როგორც შეეძლო ისე იბრძოდა თავის მხავერდოა წინააღმდეგ. სხვათა შორის ერთ-ერთი საშუალება იყო ყაჩაღად გავარდნა და ინდივიდუალური ბრძოლა განსაკუთრებით ბოროტი ბატონების წინააღმდეგ. ასეთი გავარდნა, გაფირალება, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს საქართველოში ძალიან ხშირი იყო. ასეთ ყაჩაღთა ტიპს წარმოადგენდა, მაგალითად არსენა, რომელიც სახალხო გმირად იქცა.

ბატონ-ყმობას ებრძოდნენ მოწინავე ინტელიგენტებიც. 1859 წელს დაიბეჭდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელიც მედგარი პროტესტი იყო ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და რომელშიაც მისი საშინელებანი მოურიდებლად იყო მხილებული. მისსავე წინააღმდეგ ილაშქრებდნენ სამოციანი წლების ახალგაზდა ინტელიგენტებიც. ილია ქავჭავაძე მაშინ სწერს თავის საუკეთესო თხზულებებს: „კაცია-ადამიანს“, „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“, რომლებშიაც ადამიანთა მონობის გამათახსირებელი შედეგებია მხატვრულად დასურათებული.

რუსეთში ბატონ-ყმობა 1861 წელს გადავარდა. ეს იყო შედეგი ყირიმის ომში თვითმპყრობელობის დამარცხებისა და გლეხთა ფრიად გახშირებული აჯანყებებისა. ბატონ-ყმობის წინააღმდეგ იბრძოდა აგრეთვე რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. ბატონ ყმობის გადავარდნით დაიწყო რუსეთში ეგრედწოდებული „დიდი რეფორმები“.

საქართველოში გლეხთა განთავისუფლება რუსეთისაზე გვიან მოხდა. ბატონ-ყმობის მოსპობის განკარგულება ჩვენში მხოლოდ სამი

წლის შემდეგ (1864 წ.) გამოაქვეყნეს. გლეხები გაანთავისუფლეს უმიწოდ, რომელიც მემამულეთა ხელში დარჩა. ყოფილ ყმებს მხოლოდ უფლება მიეცათ, რომ თუ მამულის გამოსასყიდ თანხას ერთად ვერ გადაიხდიდნენ, იგი ნაწილ-ნაწილად გადაეხადათ. ამ „სანადელო“ ფულს ქართველი გლეხობა მრავალი წლის განმავლობაში იხდიდა. შეიქმნა ეგრედწოდებულ დროებით ვალდებულ გლეხთა წრე. მხოლოდ სულ ახლო წარსულში, (1912 წელს) მოისპო ეს დროებითი ვალდებულება და სამოციან წლებში დაწყებული რეფორმა მხოლოდ მაშინ დამთავრდა.

გლეხთა განთავისუფლება მალე მოხდა იმერეთშიაც. უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხობამ უფრო ადრე და ადვილად მოახერხა სრული განთავისუფლება ბატონებისაგან, ვიდრე ქართლ-კახეთისამ. ეს იმით აიხსნება, რომ ქართლ-კახეთში მემამულეთა წოდება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე იმერეთში.

რუსეთის თვითმპყრობელობას საქართველოში, გარდა გლეხთა განთავისუფლებისა, არ განუხორციელებია არც ერთი იმ რეფორმათაგანი, რომელთაც რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და რომელთაც ეწოდა „დიდი რეფორმები“. ერობა, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო—მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იქმნა შემოღებული. იქამდე კი თვითმპყრობელობა ხსენებულ რეფორმებს საქართველოსთვის ზედმეტ ფუფუნებად სთვლიდა. მაგრამ მარტოდენ გლეხთა განთავისუფლებასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისთვის. ბატონ-ყმობის უღლიდან გამოსული ქართველი ხალხი ნელ-ნელა წინ მიდიოდა, ვითარდებოდა და მეოცე საუკუნეში უკვე მთელი ამიერ-კავკასიის რევოლუციონური მოძრაობის მეთაური შეიქმნა.

ეროვნულ-კულტურული აღორძინება. გლეხთა განთავისუფლების და საერთოდ სამოციანი წლების ხანა—საქართველოს კულტურის აღორძინების და ლიტერატურის ზრდა-განვითარების, საზოგადოებრივი აზროვნების ამოძრავების ხანად იქცა. მაშინ გამოვიდა ასპარეზზე მთელი დასი მგოსნებისა და პუბლიცისტებისა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, სერგეი მესხი, შემდეგ გიორგი წერეთელი და სხვანი. დაიწყო გაცხარებული სალიტერატურო ომი ძველ თაობას, „მამებს“ და ახალთაობას—„შვილებს“ შორის. ძველების გამოჩენილი წარმომადგენელი იყო მგოსანი გრიგოლ ორბელიანი, „შვილების“ მეთაურად ყველა ილია ჭავჭავაძეს აღიარებდა.

ძველი „ციცკარი“, უსახო და უმიმართულებო ჟურნალი—უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ახალგაზრდობას. ილიამ დაიწყო ევროპიულ ყაიდის ყოველთვიურ ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ გამოცემა.

სამოციანი წლების მწერლობაში სამოქალაქო და უმთავრესად ეროვნული კილო სჭარბობდა. ახალგაზღვრებამ, რომელიც რადიკალურად იყო განწყობილი—წამოაყენა საკითხი ხალხთან დაახლოების, მისი წყლებების დაშუშებისა. მამულიშვილური ლიბერალიზმი—აი, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ახალ მიმართულებას. ყველა დაწესებულებებიდანა და სკოლიდან განდევნილ ქართული ენის დაცვა, ეროვნულ შეგნების გაღვიძება და სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივება—აი, რა იყო მაშინდელი ახალგაზღვრების პოეზიისა და პუბლიცისტიკის ძირითადი საფუძველი.

სამოციანი წლების მგოსნები იყვნენ არა მარტო ხელოვნების მსახურნი, არამედ საზოგადო მოღვაწენი და ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეროვნულ ინტერესებისათვის მებრძოლი—პუბლიცისტებიც. სამწერლო ენა გასადავდა, ხალხურს, სალაპარაკოს დაუახლოვდა. გაჩნდნენ ევროპიულ ყაიდის პუბლიცისტები—ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. მაგრამ იმ ხანების დამახასიათებელი, გაბატონებული კილო მაინც ეროვნულია, ყველაფერ ქართულის დაცვა და გარუსებასთან ბრძოლა. ამან შექმნა ეროვნული გრძობის გაფართოება, შეგნების განმტკიცება; სამოციანი წლების მოღვაწეებს განსაზღვრული პოლიტიკური თუ ეკონომიური იდეალი არ ჩამოუყალიბებიათ. ილია ჭავჭავაძის მიერ წამოსროლილ ლოზუნგს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“—კონკრეტული სახე არ მიუღია. მაგრამ მაშინდელმა მუშაობამ, ეროვნულ შეგნებისათვის გაწეულმა ღვაწლმა ქართველობა გამოაღვიძა და მის წინსვლას ნიადაგი მოუმზადა.

ილია ჭავჭავაძემ დაიწყო გამოცემა ჟურნალ „ივერიისა“ (1877 წელს), რომელიც შემდეგში გაზეთად გადაკეთდა და კარგა ხნის განმავლობაში ქართველ საზოგადოებაზე დიდი გავლენა ჰქონდა. მასზე ადრე, 1866 წელს გამოდიოდა „დროება“ ს. მესხის რედაქტორობით. ეს გაზეთი თავის გარშემო იკრებდა უფრო რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზღვრებს და ეკონომიურ საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევდა.

ეკონომიურ გზაზე ქვეყნის წინსვლას ხელს უწყობდა, სხვათა შორის ორი ბანკი, დაარსებული ტფილისსა და ქუთაისში ქართველ თავად-აზნაურობის მიერ. ხსენებული ბანკები თავის წმინდა შემოსავლის ნაწილს ხარჯავდნენ საზოგადოებრივ და საკულტურო-საჭიროებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზაგადოებას“ (დაარსდა 1879 წ.) და აგრეთვე ქართულ დრამატიულ საზ.—ბას“. პირველი კარგა ხნის განმავლობაში

თათქმის ერთად-ერთი დაწესებულება იყო, მშობლიური კულტურის განვითარებისთვის რომ ზრუნავდა. სკოლების, სამკითხველოების და-არსებით, წიგნების გამოცემით ხსენებულმა საზოგადოებამ დიდი ღვაწლი დასდო ქართველ ხალხს. მხოლოდ V-კ. საზოგადოების სკოლებში ჰპოებდა ყველგან დევნილი ქართული ენა შესაფერ ადგილს და თავშესაფარს.

„დრამატიული საზ—ბა“ ხელს უწყობდა ქართული მუდმივი თეატრის ფეხის მომაგრებას და განვითარებას. თეატრს ჩვენში, გარდა საკულტურო და სამხატვრო მნიშვნელობისა, დიდხანს ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა: დევნილი ქართული ენა—თეატრში ჰპოებდა თავის საუკეთესო მფარველს. თეატრი კაი ხნის განმავლობაში ქართველი ხალხის ფართო მასების აღმზრდელი და თითქმის ერთად-ერთი მასწავლებელი იყო.

სამუსულმანო საქართველოს შემოერთება. რუსეთის თვით-მპყრობელობის საქართველოში დამკვიდრებას, სხვათა შორის ერთი ფრიად საყურადღებო შედეგი მოჰყვა: დროთა განმავლობაში დაქსაქსული ნაწილები ჩვენი ქვეყნისა ერთს ჭერქვეშ მოექცნენ, თუმც უცხოს, მაგრამ ერთს ხელისუფლებას დაემორჩილენ. თვითმპყრობელი რუსეთი, მისდევდა რა თავის იმპერიალისტურ მიზნებს (მთელი შავი ზღვის და სრუტეების დაპატრონება)—გზა და გზა საქართველოს მომიჯნავე ადგილებს იჭერდა და სხვათა შორის საქართველოს ყოფილ ნაწილებსაც. ასეთი გაერთიანება საქართველოს მიწა-წყლისა თუნდ რუსეთის თვითმპყრობელობის ხელში ჩვენი ქვეყნისთვის თავის-თავად მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენა იყო.

1878 წელს მაგალითად, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ რუსეთმა შეიერთა ბათუმის, ყარსის და არტანის ოლქები. მრავალმა ქართველმა მუსულმანმა მაშინაც არ მოინდომა რუსეთის ხელში დარჩენა და ოსმალეთს გადასახლდა (ბათუმის ოლქიდან). მათ ძლიერ აფრთხობდა რუსეთის მთავრობის მოქმედება წინად დაჭერილ სამუსულმანო ტერიტორიაზე: ქრისტიანი მისიონერები მუსულმანთა სარწმუნოებრივ საქმეებში უხეშად ერეოდნენ. მეორე მხრით მთავრობა ქართველებს ნებას არ აძლევდა თავის მოქმე მუსულმანებში ეროვნული კულტურა შეეტანათ და გაეჩაღებინათ საამისო მუშაობა, რომელსაც, რასაკვირველია, არავითარი სარწმუნოებრივი სარჩული და მიზანი არა ჰქონია. მთავრობა ზემოხსენებულ თავის პოლიტიკას შეურყევლად აწარმოებდა თავის არსებობის უკანასკნელ წუთებამდე (1917 წლის რევოლიუციამდე). თვითმპყრობელობა ყოველ ზომას ხმარობდა, ხელი შეეშალა ქართველ მუსულმანებისთვის, რომ ისინი სამშობლო იქრას დაჰბრუნებოდნენ.

მიუხედავად ყველა ამისა, საქართველოს დაქსაქსული ნაწილე-ბის ერთ სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნამ მაინც დიდად ხელი შე-უწყო ეროვნული ერთობის შეგნებას.

ოთხმოციანი წლები და გარუსების პოლიტიკის გაძლიერება.
დიდი მთავრის მიხილ ნიკოლოზის ძისა და შემდეგ კიდევ დონდუ-კოვ-კორსაკოვის მეფისნაცვლობის (ნამესტნიკობის) დროს გარუსების პოლიტიკა წინანდელზე უფრო გაძლიერდა. ოთხმოციანი წლებში რუ-სეთში დამყარებულ რეაქციის სუსხი საქართველომაც მძლავრად გა-ნიცადა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი მაინც იღვიძებდა და ნელ-ნელა მოძრაობას იწყებდა. გლებთა განთავისუფლებამ ამ შემ-თხვევაში დიდი ნაყოფი გამოიღო. თავად-აზნაურობა, რომელიც წი-ნად ქართველი ერის მესვეურობას ჩემჯლობდა, თანდათან თავის მნიშვნელობას ჰკარგავდა და გადაშენების გზას ადგა. გაჩნდა ინტე-ლიგენცია, გამოსული თვით ხალხიდან. ძველი თაობის წარმომადგენ-ლები ამ ახალ ინტელიგენციას დაცინვით „დიაკვნის შვილებს“ უწო-დებდენ, მაგრამ არც ესენი დარჩენილან უპასუხოდ და მოწინააღმდე-გეებს მძლავრად შეეტაკენ.

ახალ ინტელიგენციას—მამების პოლიტიკა აღარ აკმაყოფილებ-და. იგი მოითხოვდა ძველი თაობისაგან, რომ მას ყურადღება მიექ-ცია არა მარტო ეროვნულ საკულტურო ხასიათის საკითხებისათვის (ენის დაცვა და სხვ.), არამედ სოციალურ უთანასწორობისათვისაც. ახალი ინტელიგენციის მისწრაფებათა გამომხატველად ყურნალი „იმედი“ იქცა, თუმცა იგი ფრიად მოკლე ხანს არსებობდა. იმავე ხანებში გაჩნდა ჯგუფი, რომელიც საქართველოს საკითხს საერთო, რუსეთის საკითხს უკავშირებდა და პიროვნებათა მაგივრად—თვით-მპყრობელობის მთელ სისტემასთან ბრძოლას მოითხოვდა. თავად-აზ-ნაურული ინტელიგენცია ძველს გზას ადგა, კვლავ თვითმპყრობელო-ბაზე ამყარებდა იმედებს და ლოზუნგად „მეფის და საერთო სამშობ-ლოს“ (რუსეთის) ერთგულება დაესახა. ამ ინტელიგენციის აზრით რუსის თვითმპყრობელობისა და ქართველი ხალხის სწორად გაგებუ-ლი ინტერესები ერთმანეთს არ უნდა დაჰპირდაპირებოდა. მიუხედა-ვად ამისა, მთავრობა ეჭვის თვალთ უყურებდა ამისთანა მისთვის-უვნებელ ინტელიგენციასაც ღნაკლებად ენდობოდა. თავად-აზნაურული ინტელიგენციის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელ დიმიტრი ყი-ფიანის ამბავმა ყველას თვალნათლივ დაანახვა ის უფსკრული,—ქარ-თველ ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის რომ არსებობდა. ყვე-ლა ძალა-უნებურად უნდა დაფიქრებულიყო და შესაფერისი დასკვნა გამოეტანა. დასკვნა იმის შესახებ, რომ არ ვარგოდა თვით სისტემა

თვითმპყრობელობისა და არა მარტო მისი ცალკე წარმომადგენელი. დიმიტრი ყიფიანის ამბავი შემდეგი იყო.

ოთხმოციანი წლების რეაქციის ხანაში ქართული ენა მთავრობამ საბოლოოდ თითქმის გამოდევნა პირველ დაწყებითი სკოლებიდანაც. სასწავლებლებში მოწაფეებს ართულად ლაპარაკი სასტიკად ჰქონდათ აკრძალული. ამის გამო მოწაფეობაში ბევრი აღელვება და დავიდარაბა იყო. სწორედ იმ ხანებში—1886 წელს სემინარიელმა ლალიაშვილმა მოჰკლა ტფილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ეს იყო პირველი ტერორისტული აქტი საქართველოში. ჩუდეცკის აკრძალვის დღეს ეგზარხოსმა პავლემ დასწყევლა მთელი ქართველი ხალხი, „რომლის წრიდანაც გამოვიდა მკვლელი ლალიაშვილიო“.

დიმიტრი ყიფიანი ფრიად ააღელვა და გულის სიღრმემდე აღაშფოთა ეგზარხოსის ამ საქციელმა. მან პავლეს მიჰმართა ღია წერილით, რომელიც იმ დროისათვის ფრიად გაბედულად მოეჩვენა ყველას. მთელი ერის შეურაცხყოფელმა დაუყოვნებლივ უნდა დასტოვოს შეურაცხყოფილი სამწყსო, რათა არასასურველი ექსცესები არ გამოიწვიოსო—დასძენდა დიმიტრი ყიფიანი ეგზარხოსისადმი თავის მიმართვას.

ამისთანა „ურჩობას“ მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია. დიმიტრი ყიფიანი, რომელიც მაშინ თავად-აზნაურობის წინამძღოლად იყო, გადააყენეს და მერე სტავროპოლში გაჰგზავნეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ყიფიანი იქ ძალიან საეჭვო პირობებში უცნობებმა მოჰკლეს. რუსეთის მთავრობის ერთგული ქართველის ასეთმა ბოლომ მთელი მაშინდელი მოწინავე ქართველობა შეაძრწუნა. ამასთანავე საზოგადოებას თვალი აეხილა ყველა გრძნობდა, რომ ძველი გზა, გზა თვითმპყრობელობისადმი მორჩილებისა—უვარგისი აღმოჩნდა. დავიწყო ახალ გზათა ძიება.

თვითმპყრობელობის ზრახვები სამეგრელოს შესახებ. ოთხმოციანი წლების დასასრულს სკოლებიდან ქართული ენის დევნამ სულ სხვა ხასიათი მიიღო სამეგრელოში. იმ ხანებში ოლქის მზრუნველად იყო ცნობილი რუსიფიკატორი იანოვსკი თავის მარჯვენა ხელით—ლევიცკითურთ. სკოლებიდან განდევნილ იქმნა ქართული და სწავლება სწარმოებდა ეგრედწოდებული მუნჯური მეთოდით, ქართული ენის დაუხმარებლად. ქართულის დევნა განსაკუთრებით ძლიერი იყო დასავლეთ საქართველოში. ქართველობის დასუსტების მიზნით თვითმპყრობელობამ და მისმა აგენტებმა მიმართეს ერთს საშუალებას, რომელსაც მათი აზრით ქართველი ხალხი უნდა დაესუსტებინა და დაექსაქსა. ეს იყო ბოროტი ზრახვა, მიმართული საქართველოსაგან სამეგრელოს ჩამოშორებისაკენ.

თვითმპყრობელობის აგენტებმა დაიწყეს მტკიცება, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და ამიტომ მათ არც სჭირდებათ ქართულის სწავლაო. იანოვსკ-ლევინცკის მფარველობითა და დავალებით სტინის სემინარიის მასწავლებელმა პეტროვმა შეადგინა რუსული ასოებით განსაკუთრებული ანბანი მეგრელებისათვის. ვინმე აშორდიახ ათარგმნინეს მეგრულად საღვრთო წერილი და ჰლამობდენ ქართულის მთლად გამოდენას ეგრედწოდებული სამინისტრო და სამრევლო სკოლებიდან. ცნობილმა შავრაზმელმა ვოსტორგოვმა, რომელიც სამრევლო სკოლების სათავეში იდგა, მოინდომა საჯაროდ მტკიცება იმისა, რომ მეგრულს არაფერი ნათესაობა აქვს ქართულთან და ამიტომაც ეს უკანასკნელი არ უნდა ისწავლებოდეს იქაურ სკოლებშიო. ეს აზრი მან გაზეთებშიაც გამოაქვეყნა. პროფ. ნ. მარმა სასტიკად გაილაშქრა ამ უვიცობის წინააღმდეგ და ვოსტორგოვი და მისი აგენტები მიწასთან გაასწორა.

სამეგრელოს ინტელიგენცია და მთელი ხალხი გადაჭრით წინააღმდეგა თვითმპყრობელობის ბოროტ ზრახვებს და გაბედულად შეებრძოლა გარუსების პოლიტიკას. ხალხის გამოსვლა ისეთი ერთსულოვანი და მედგარი იყო, რომ თვითმპყრობელობის აგენტები ვერას გახდენ და უკან დაიხიეს. ამნაირად, მეფის მთავრობის განზრახვა საქართველოს დაქსაქვისა და გათიშვისა, გარუსების პოლიტიკის გესატარებლად ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობის სურვილი — მარცხით გადავიდა. სამეგრელომ და მთელმა საქართველომ ამ გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლაში სათანადო ენერგია გამოიჩინა. ეროვნული მთლიანობის აზრი ჩვენში ამის შემდეგ, შესუსტების მაგივრად, უფრო გაიზარდა და განმტკიცდა.

მუშათა მოძრაობის დასაწყისი ჩვენში მარქსიზმის გავრცელება. რევოლიუციონური მოძრაობა საქართველოში დაახლოებით 70-იანი წლებიდან იწყება. მასში ჩაბმულნი არიან უმთავრესად ქართველი ინტელიგენტები. ზოგიერთი მათგანი დიდს როლს თამაშობს რუსეთის რევოლიუციონურ ჯგუფებში (ზდანოვიჩ-მაიაშვილი, ჯაბადარი და სხვანი). ქართველი მოწინავე ინტელიგენცია რუსეთის ხალხოსნური მიმართულების უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ მთელს მოძრაობას ჩვენში წმინდა ხალხოსნური ხასიათი ჰქონდა. საქართველოში ვრცელდებოდა გერცენის, პისარევის, დობროლიუბოვის, მიხაილოვსკის, ლავროვის და სხვათა ნაწერები. არსდებოდა აგრეთვე ჯგუფები მათი ნაწერების შესასწავლად. ასე რომ ხალხოსნურ (ნაროდნიკულ) მიმართულებას საქართველოში უმთავრესად სალიტერატურო ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, როდ-

საც ამ მოძრაობამ ასე თუ ისე მასიური ხასიათი მიიღო, მას მოჰყვა მრავალი ინტელიგენტის დაპატიმრება და გადასახლება.

ოთხმოციანი წლებიდან რევოლუციონერ მოძრაობაში ებმებიან ცალკე მუშები და ხელოსნები. ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლების შემდეგ ჩვენი გლეხობა ნელ-ნელა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის. იგი მიეშურება ქალაქებისაკენ (ბათომი, ტფილისი) დროებით სამუშაოზე. იმ ხანებში იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფელთან და „მონაგები“ ფულიც „ნადელის“ გამოსასყიდად სჭირდება. 80-იან წლებში ჩვენს ცხოვრებაში ხდება დიდი ამბავი: რკინის გზით შეაერთებენ ბაქო-ბათომს. ტფილისში არსდება და ფართოვდება რკინის გზის სახელოსნოები, ბათომში ჩნდება ფაბრიკები. იმ ხანებშივე იწყება **კიათურის შავი ქვისა და ტყიბულის ქვანახშირის** ამოღება. ყველაფერი ეს ხელს უწყობს საქართველოში ახალი კლასის გაჩენას, რომელსაც პროლეტარიატი, მუშათა კლასი ეწოდება. იგი ჯერ მცირერიცხოვანია, მაგრამ ფრიალ ენერჯიული. მალე იგი ქართველი ხალხის ტონის მიმცემი ხდება და მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურად გამოდის.

ოთხმოციანი წლების მოწინავე მუშები პირველ ხანებში საქართველოში გადმოტანილი ხალხოსნური მიმართულების გავლენის ქვეშ არიან. საერთო მდგომარეობის გამომხატველია მუშათა მოძრაობის ერთი პირველ მონაწილეთაგანის (მუშის) მოგონება: „აბრამ ცხიზნაურის (მეჩემე იყო) საშუალებით ვკითხულობდი „ნაროდნიკულ“ წიგნებს. ვიყავი სოფრომ მგალობლიშვილის და ზდანოვიჩის გავლენის ქვეშ. მაშინ იყო ჟურნალი „იმედი“. ძალიან კარგი წერილები იბეჭდებოდა და იმათ გავლენას განვიცდიდი. ამ დროს გავიცანი მიხა ჩოდრიშვილი (ესეც მუშა). ის გვეუბნებოდა, რომ გერმანიაში იყო დიდი სოციალისტი ლასალი. მაშინ ასეთ ხალხს საერთოდ უძახოდნენ „ახალი აზრის ხალხსო“ და სხვ. (ა. ოქუაშვილი).

იმავე ხანებში მუშა-ხელოსანთა ერთი მცირე ჯგუფი გამოსცემდა ხელთნაწერს ჟურნალს, რომელსაც „მუშა“ ერქვა. მიმართულება აქაც წმინდა ხალხოსნური იყო. იწერებოდა სამღვდელოებისა და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ბურჟუაზია მაშინ არ ვიცოდითო, ამბობს იგივე მონაწილე. მალე მუშების ეს ჯგუფი გაეცნობა მოწინავე ინტელიგენტების წრეს, სხვათა შორის მაშინ ახალგაზდა-ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძეს და თვითგანვითარებას მისდევს. რამდენისამე ხნის შემდეგ კი ჩამოყალიბდება ჯგუფი, რომელიც მარქსიზმს შეითვისებს და მისი ერთგული მქადაგებელი გახდება.

1892 წლის დეკემბრის დასასრულს ზესტაფონში ხდება მარ-

ქისტულად განწყობილ ახალგაზღობის პირველი კრება, რომელიც მოწვეულია ბელეტრისტის ეგნატე ნინოშვილის შეთაურობით. ამ კრებას ესწრებიან თვით ნინოშვილის გარდა, შემდეგი პირები: მიხაკხაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანი, კარლო ჩხეიძე და სხვანი. 1893 წ. იმართება უკვე მარქსისტების კონფერენცია, ხოლო აშკარად, საზოგადოების წინაშე ისინი გამოდიან 1894 წელს, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დროს. სილიბისტრო ჯიბლაძემ აქ წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა, რომლის შემდეგაც ხსენებულ ჯგუფს ქართულ პრესაში უწოდებენ, როგორც ახალს მოვლენას, „მესამე დახს“.

მესამე დასელები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ მუშათა ჯგუფებს შორის. ამავე დროს ისინი გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებენ ძველი თაობისა და ხალხოსნური მიმართულების წინააღმდეგ. მარქსისტებს ხელთ უფარდებათ გიორგი წერეთლის ყოველკვირეული ჟურნალი „კვალი“, რომელშიაც სწერენ ნოე ჟორდანი და ფილიპე მახარაძე. იწყება დავა: საქართველოსაც უწერია თუ არა კაპიტალიზმის ყველა შედეგების განცდა, თუ იგი შესძლებს მათს თავიდან აცილებას. მარქსისტები ამტკიცებენ, რომ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება აუცილებელია. ისინი იდეოლოგიურად თავის მოძღვრებას ახალ კლასს, პროლეტარიატს უკავშირებენ და მისი იმედი აქვთ. მათი აზრით ყველაზე მეტად პროლეტარიატია დაინტერესებული და მხოლოდ ის შესძლებს ქვეყნად სოციალიზმის დამყარებას. გლახობა, თანდათან პროლეტარდება და მუშათა კლასის რაზმებს აძლიერებსო. ამის და მიხედვით, მარქსისტებს მაშინ გლახობისათვის ცალკე პლატფორმა არ ჰქონიათ და მხოლოდ ფეოდალური ურთიერთობის ნაშთების მოსპობას მოითხოვდნენ.

მარქსისტები პირველნი იყვნენ, რომელნიც ქართველ მშრომელთა წრესთან მივიდნენ, საერთო სარუსეთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩააბეს და არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წესწყობილებასთან ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. საქართველოს მარქსისტებს პირველ ხანებში დამოუკიდებელი ორგანიზაცია ჰქონდათ, შემდეგ კი სავსებით შეედუნდნენ და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლებოდნენ. სოციალ-დემოკრატებმა მალე ქართველ ხალხზე დიდი გავლენა მოიპოვეს და განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებად იქცნენ.

მუშათა პირველი ორგანიზაციული გამოსვლა საქართველოში მოხდა 1898 წელს. ამ დროს მუშებმა არაღვებულად იდღესასწაულეს პირველი მაისი. დღესასწაული განმეორდა 1899 წელსა და

1900 წელსაც. თუ პირველ დღესასწაულს 40-ოდე კაცი დაესწრო, სამაგიეროდ 1900 წლის დემონსტრაციას უკვე ხუთას კაცამდე ესწრება. აქა-იქ ხდებოდა აგრეთვე გაფიცვები, რაიც მოწმობდა მუშათა კლასის დარაზმულობას და გაძლიერებას.

საქართველო მე-20 საუკუნის დამდეგს. მეოცე საუკუნის დამდეგს საქართველოში კლასობრივი დიფერენციაცია თითქმის უკვე სავსებით ჩამოყალიბებული იყო. თავად-აზნაურობა თითქმის სავსებით დაცემული იყო, როგორც საზოგადოებრივი ძალა. თუ იგი წინაღ ჩვენი ცხოვრების მესაჭეობას კისრულობდა, ახლა ის მთლად გაირიყა და ხალხს დაუპირდაპირდა. პროლეტარიატთან ერთად, რომლის წარმოშობა მე-19 საუკუნეს უკანასკნელ ათეულს ეკუთვნის, ჩნდება ბურჟუაზია, რომელიც პროლეტარიატს უპირდაპირდება. უნდა ითქვას, რომ ეს ბურჟუაზია უფრო უცხო ტომისაა და ეს ჰქმნის თავისებურ მდგომარეობას.

მე-20 საუკუნის დამდეგიდანვე ცხოველდება მუშათა მოძრაობაც. 1900 წლის იანვარში ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ხდება ცხენის რკინის გზის („კონკა“) მოსამსახურეთა გაფიცვა, რომლის დროსაც პირველად დაიღვარა სისხლი. იმივე წლის აგვისტოში მოხდა რკინის გზის სადგურისა და დეპოს მუშების დიდი გაფიცვა. მასში დაახლოებით 4000 კაცი იღებდა მონაწილეობას. 1901 წლის დამდეგს ადგილი ჰქონდა გაფიცვას ბათომშიაც. მოძრაობა ნელ-ნელა იზრდებოდა. მზადდებოდა 1905 წელი.

1903 წელს გამართულს მეორე ყრილობაზე მოხდა განხეთქილება იქამდე მთლიანს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. გაჩნდნენ მეუმცირესენი (მენშევიკები) და მეუმრავლესეები (ბოლშევიკები). უმთავრესი სადაო საკითხი რ. ს. დ. მ. პარტიაში, რამაც ეს განხეთქილება გამოიწვია, იყო ორი: 1) პროგრამის მუხლი, თუ „ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი“, და საკითხი 2) პარტიის ცენტრისა და შისი ქვემდებარე ორგანიზაციების დამოკიდებულებისა ამ ცენტრთან, ესე იგი: ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი. ცენტრალისტური ორგანიზაციის მომხრე და საერთოდ უფრო რევოლიუციონური ტაქტიკის გამტარებელ-დამცველი იყო ლენინი, რომელიც ბელადი შეიქმნა მეუმრავლესეებისა, ამ მემარცხენე ფრთისა. მეუმცირესებს მეთაურობდნენ მარტოვი და მერე პლენანოვიც.

განხეთქილებამ საქართველოშიაც იჩინა თავი. ქართველ მეუმცირესებს ბელადად მოეგლინენ ნოე ჟორდანი, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვანი, ხოლო მეუმრავლესებს—ფელიპე მახარაძე, პინა

ცხაკაია, ჯულაშვილ-სტალინი და სხვ. ფრაქციათა ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა 1908 წელს, თუმცა ორგანიზაციული ერთობა არ დარღვეულა და პარტია კვლავ რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიად აწოდებოდა. მეუმცირესების ბეჭედიით ორგანო იყო ქურნალი „კვალი“, ხოლო მეუმრავლესებისა — „ბრძოლა“, რომელიც არალეგალურად ბაქოში იბეჭდებოდა იქ გარდახვეწილ ქართველ მეუმრავლესეთა მიერ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები კარგა ხნის განმავლობაში მტრულად ექცეოდნენ ეროვნულ-პოლიტიკურ ლოზუნგებს. საერთო სარუსეთო განმათავისუფლებელი მოძრაობით გატაცებულნი, ისინი მეორე ხარისხოვან საქმედ სთვლიდნენ და ცხარედ ებრძოდნენ, მაგალითად, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. ამიტომ არამარქსისტული ინტელიგენცია ცალკე დაირაზმა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დააარსა.

ის ჯგუფი, რომელმაც შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დააარსა — პირველად მაშინ გამოვიდა, როდესაც ქართველმა თავად-აზნაურობამ დიდი ზემოთ იღლესაწაულა საქართველოში რუსის თვითმპყრობელობის დამყარების ასის წლის იუბილე (1901 წ.). ხსენებულ ჯგუფში იყვნენ ის ინტელიგენტები, რომელნიც არც მარქსისტებს ეკუთვნოდნენ, არც მათს მოწინააღმდეგეებს ძველი თაობიდან. ზემოხსენებულ იუბილეს დროს ჯგუფმა გამოსცა პროკლამაცია, სადაც იუბილეს გადახდას სამარცხვინოდ სთვლიდა და ჰგმობდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ჯგუფმა დაიწყო პარიზში ქართულ და ფრანგულ ენაზე ქურნალი „საქართველოს“ გამოცემა. 1904 წელს ენევეაში გამართულ ქართველი რევოლიუციონერების კონფერენციაზე „საქართველოს“ ჯგუფი ჩამოყალიბდა და მიიღო „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის“ სახელწოდება.

თავის პროგრამის მიხედვით ხსენებული პარტია მოითხოვდა რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკად მოწყობას და საქართველოს ავტონომია დიურ ლოზუნგად მიაჩნდა. ამასთანავე სოციალისტ-ფედერალისტები ჰქადაგებდნენ მიწის განსაზოგადოებრიობის საქარობას და სხვ. მათი ბელადები იყვნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი, გიორგი ლასხიშვილი.

1905 წლის რევოლიუცია. 1904—5 წ.წ. ატეხილი ომი იაპონიასთან რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. ხსენებულმა ომმა უფლას დაანახვა, რომ თვითმპყრობელობა სრულიად აღარ შეეფრებოდა რუსის ხალხის მდგომარეობასა და გახრწნის გზაზე შემდგირიყო. დამარცხებამ ხელი შეუწყო რუსეთში 1905 წელს განმათ-

ვისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას, რომელიც მალე რევოლუციად იქცა.

1905 წლის მოძრაობამ საქართველოში ხალხის თითქმის ყველა წრეები ჩაითრია. სოფლებსა და დაბა-ქალაქებში ხალხმა ძველი მოხელეები გადააყენა და თავის საქმეებს თვითვე უძღვებოდა. მთავრობის დაწესებულებებს ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული და მას აღარავინ ეკარებოდა. სოფლებში მოძრაობას მალე აგრარული ხასიათი მიეცა და შემამულეები იძულებული გახდნენ თავისი კარ-მიდამო მიეტოვებინათ. ადგილობრივ თვითმართველობის საქმის მოწყობასა და გაძღოლაში ქართველმა ხალხმა მაშინ შესანიშნავი შეგნება დაენერგია გამოიჩინა. მთელი მოძრაობა მიმდინარეობდა „ერთობის“ — თანასწორობის დამყარების ლოზუნგით. „ერთობის“ ლოზუნგი მეზობელ ხალხებისათვისაც საბრძოლველად გახდა და ქართველი ხალხი იმ დროს მთელი კავკასიის რევოლუციონური მოძრაობის მეთაურად შეიქმნა. დიდ აგიტაციას ეწეოდნენ აგრეთვე სოციალისტ-ფედერალისტები ავტონომიის იდეის გასაფრცვლებლად.

მოძრაობა უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰეგემონიის ქვეშ მიმდინარეობდა. იმავე ხანებში მეუმცირესეებსა და მეუმრავლესეებს შორის ბრძოლა ძალიან გამწვავდა. თუ წინად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები უმთავრესად მეუმრავლესეთა ხელში იყო, 1905 წელს სურათი ძირითადად იცვლება: თითქმის ყველა ორგანიზაციას ეპატრონებიან მეუმცირესენი და მუშათა მასებსაც იმზრობენ.

1905 წლის რევოლუცია რუსეთში დამარცხდა. მუშებს სათანადოდ მხარი ვერ დაუჭირა რუსეთის გლეხობამ, რომელშიაც მაშინ ნაკლები შეგნება იყო, და თვითმპყრობელობამ გაიმარჯვა. მოსკოვის აჯანყება, რომელიც უკანასკნელი შეტაკება იყო რევოლუციონერებისა მთავრობასთან, სასტიკად დათრგუნვილ იქნა. თვითმპყრობელობამ სასტიკად იძია შური დამარცხებულ ხალხზე, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში. შავი ღღე დაუდგა საქართველოსაც. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს მოედგნენ მთავრობის მიერ გაგზავნილი დამსჯელი რაზმები, რომელთაც ცეცხლსა და მახვილს მისცეს მთელი საქართველოს დაბა-სოფლები.

ქართლში მოქმედებდა გენერალი ბაუერი. დასავლეთ საქართველოში, სადაც რევოლუციონურ მოძრაობას უფრო ფართო ხასიათი მიეღო — მძვინვარებდა თავისი ყაზახებით გენერალი ალიხანოვ-ავარსკი. დამსჯელმა რაზმებმა მრავალი სოფელი და ქალაქი დასწვეს და დაანგრიეს. განსაკუთრებით დაიხაჯა გურია, სადაც

მთავრობის ჯარებმა გადასწვეს ოზურგეთი, სოფლები: ჩოხატაური, ფარცხმა, ზიდისთავი, სურები და სხვ. იწყება რეაქციის ხანა, როდესაც მთავრობის და მისი აგენტების ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის ყოველგვარი ხმა ჩაკლულია. ორი-სამი წლის განმავლობაში მეფობს ეს რეაქცია. გამარჯვებულმა თვითმპყრობელობამ რამდენიმე ათასი ქართველი ციმბირს და რუსეთის სხვა შორეულ კუთხეებში გადაასახლა. მრავალი მებრძოლი ვერ შეურიგდა რეაქციას და პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა მთავრობის წინააღმდეგ (აფრასიონ მერკვილაძის რაზმი შორაპნის მხარეს, წითელი რაზმები ქართლში და სხვ.). რევოლუციონური პარტიები იძულებულნი ხდებიან თავდაცვის მიზნით ტერორისტულ აქტებს მიმართონ, რაიც უფრო და უფრო ამძვინვარებს მეფის მთავრობას.

1905 წლიდან 1917 წლამდე. რეაქციის გაძლიერებულმა რეპრესიებმა ქართველ ხალხში რევოლუციონური სული ვერ ჩაჰკლა. საქართველო კვლავ ოპოზიციონური და მებრძოლი დარჩა. დადგა პირველი სათათბიროს არჩევნების ხანა. ზოგიერთს რევოლუციონურ პარტიას (მაგალითად მეუმრავლესეებს) რევოლუცია დამთავრებულად არ მიაჩნდა. ისინი ამიტომ სათათბიროს, როგორც საპარლამენტო ილიუზიების გამაღვივებელ დაწესებულებას, უარყოფითად უყურებდნენ და არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. მეუმცირესებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს და საქართველოდან რვა დეპუტატიდან—ხუთი სოციალ-დემოკრატი გავიდა (ნ. ჟორდანიას, გომართელი და სხვ.). გავიდა აგრეთვე ერთი სოციალისტ-ფედერალისტი (ი. ბარათაშვილი). ქართველი დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ და მთავრობის წინააღმდეგ ოპოზიციას ეწეოდნენ.

რევოლუციონური სულისკვეთებისათვის მთავრობამ პირველი სათათბირო დაითხოვა. მეორე სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბა 1907 წლის თებერვლის 20-ს. საქართველოდან იქაც სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

ოპოზიციონორებისათვის მთავრობამ მეორე სათათბიროც დაითხოვა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს, სხვათა შორის ქართველთ ირ. წერეთელს. არჩ. ჯაფარიძეს, ჭ. ლომთათიძეს და სხვებს მთავრობამ შეთქმულობის მოწყობა დააბრალა და ყველანი კატორღაში გაგზავნა.

გაძლიერებულმა რეაქციამ ვ. იენისის კანონით საარჩევნო წესი შესკვალა მემამულეთა სასარგებლოდ. ამ კანონის მიხედვით საქართველოს მხოლოდ სამი ადგილი-ღა დარჩა. მომხდარი არჩევნების

დროს დეპუტატად გავიდნენ ორი სოციალ-დემოკრატი (ჩხეიძე და გეგეჭკორი) და ერთი უპარტიო მემარჯვენე (შარვაშიძე).

1912 წელს მე-4 სახ. სათათბიროს არჩევნების დროს დეპუტატებად გავიდნენ ორი სოციალ-დემოკრატი (ჩხეიძე და ჩხენკელი) და ერთი სოციალისტ-ფედერალისტი (ვარლამ გელოვანი). ამნაირად ყველა სათათბიროში ქართველები ოპოზიციის წევრები იყვნენ. სოციალისტ-ფედერალისტი ვ. გელოვანი კი „შრომის ჯგუფში“ ითვლებოდა და სხვათა შორის წამოაყენა საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა.

1912 წელს გაჩნდა ახალი პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც შემდეგში ეროვნულ-დემოკრატების პარტია დააარსა. იგი ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას იცავდა, მაგრამ მტრულად უყურებდა სოციალისტურ ლოზუნგებს. ამ პარტიის გარშემო გაერთიანდა ინტელიგენცია, თავის იდეოლოგიით დაკავშირებული სამოციანი წლების მოღვაწეებთან. იგი უმთავრეს ყურადღებას თავის პროგრამის ეროვნულ მხარეს აქცევდა.

მსოფლიოს ომი და რევოლიუცია რუსეთში. 1914 წლის აგვისტოს 2 (ახ. სტილით) ასტყდა ევროპის სახელმწიფოთა შორის დიდი იმპერიალისტური ომი. მოწინააღმდეგე სახელმწიფოები ორ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ. ერთის მხრით იყვნენ: გერმანია, ავსტრია და ოსმალეთი, მეორე მხრით—ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, რუსეთი, რუმინია, სერბია და სხვ. ინგლის-საფრანგეთის კოალიციას შემდეგ მიემხრო ჩრდილოეთი ამერიკაც. ევროპიული ომი უდიდესი ომი იყო უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში. მასში მონაწილეობდნენ უმძლავრესი სახელმწიფონი და ბრძოლის ველზე ხალხი ათეული მილიონობით გამოიყვანეს. თვითმპყრობელობის მიერ გაწვეული იყო დაახლოებით 100 ათასი ქართველიც.

რუსეთი გამარჯვებული იყო ოსმალეთის ფრონტზე, სადაც მან არზრუმში და ტრაპიზონში აიღო. მაგრამ გერმანიასთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და მთელი პოლონეთი, ბელორუსია, უკრაინა და ბალტიის სანაპიროები დაჰკარგა. სამხედრო დამარცხებამ რუსის ხალხსა და მოწინავე ელემენტებში თვითმპყრობელობისადმი უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. ყველა ჰხედავდა, რომ მეფის მთავრობა არ შეეფერებოდა არა მარტო ხალხის ნება-სურვილს, არამედ რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობასაც საფრთხეში აგდებდა. გარდა ამისა, მცხოვრებნი შეწუხებული იყვნენ მწვავე სასურსათო კრიზისით, რომელიც ომის გახანგრძლივებასთან ერთად დღითიდღე ძლიერდებოდა. ამასთანავე სწარმოებდა რევოლიუციონური მუშაობაც. მეუშრავ-

ლენინი (ბოლშევიკები) აშკარა მოწინააღმდეგენი იყვნენ ომში მონაწილეობისა. ლენინის მეთაურობით ისინი ჰქადაგებდნენ: ეს ომი ატეხილია მსოფლიო ბურჟუაზიის იმპერიალისტური მიზნებისათვის. ბუშათა კლასმა მედგარი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მასში მონაწილეობას და შეეცადოს, რომ იმპერიალისტური ომი გადააქციოს მსოფლიო კაპიტალიზმის დამამხობელ სამოქალაქო ომად სოციალიზმის დასამყარებლად. კერძოდ რუსეთზე ლენინის რეზოლიუცია ამბობდა: ამ ომში ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნება მეფის მონარქიისა და მისი ჯარების დამარცხებაო. ამნაირად, რუსეთში ძლიერი იყო ეგრედწოდებული „პორაჟენცული“ (დამარცხების მომხრეთა) მიმართულება.

ნიკოლოზ მე-II კი კვლავ ძველებურ რეაქციონურ პოლიტიკას მისდევდა. იდევნებოდა ყოველგვარი მიმართულება, რომელიც კი ხალხისადმი დაახლოებას და სახელმწიფო საქმეებში რაიმე მონაწილეობას თხოულობდა. ომის სიმძიმე უმთავრესად ხალხის ფართო მასებს აწევებოდა. მთავრობა კი მის მდგომარეობას არაფითარ ყურადღებას არ აქცევდა. იგი ვერ ურიგდებოდა სამი იენისის რეაქციონური კანონის მიხედვით არჩეულ სახელმწიფო სათათბიროსაც კი, სადაც დიდს უმრავლესობას ზომიერი ელემენტები წარმომდგენდნენ. მოთმინების ფიალა ავსებულმა ხალხმა ვეღარ გაუძლო გაჭირვებას და მოხდა გადატრიალება.

მღელვარების გარეგან საბაბად გადაიქცა პეტერბურგში სურსათისა და საწვავი მასალის ნაკლებობა. 1917 წლის თებერვლის 24 მუშები გამოვიდნენ ქუჩებში პურის მოთხოვნით. მუშების წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი მის მხარეზე გადავიდა. თებერვლის 27 მეფის მთავრობა დაეცა. ნიკოლოზ მე-II ტახტიდან გადადგა და მეფობა მის ძმას მიხეილს უნდა ეკისრნა. შექმნილ მდგომარეობის გამო მიხეილი იძულებული იყო ტახტზე უარი ეთქვა და განაცხადა: დაე დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტოს, თუ რანაირი წესწყობილებაა რუსეთისათვის საჭიროვო.

ტახტიდან გადადგომამდე ნიკოლოზ მეფემ მოასწრო გამოიეცა ბრძანება სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. სათათბირო ამ ბრძანებას არ დაემორჩილა და მყისვე შესდგა „აღმასრულებელი კომიტეტი“, რომლის სათავეში პირველ ხანებში სათათბიროსავე თავმჯდომარე როდიანკო ჩადგა. მალე ჩამოყალიბდნენ რევოლიუციონური ელემენტებიც. შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ამ საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის შეთანხმებით არჩეულ იქნა დროებითი მთავრობა, რომლის მეთაურად ლვოვი

იყო. დროებითი მთავრობის ხელისუფლება რევოლუციონურმა ორგანოებმა მალე აღიარეს მთელი რუსეთის ტერიტორიაზე. მაგრამ თვით დროებითი მთავრობის წევრებში უთანხმოება იყო ომის განგრძობის და მისი მიზნების გაგებაში. ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელნი მოითხოვდნენ ომის წარმოებას, რადაც უნდა დასჯდომოდა იგი რუსეთს. მემარცხნეებმა წამოაყენეს ლოზუნგი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა. ამ მიზნით პეტერბურგის (ლენინგრადში) მუშათა დაჯარისკაცთა საბჭომ განსკუთრებული მოწოდებით მიმართა მსოფლიოს. უთანხმოების გაძლიერებას მოჰყვა მთავრობის ცვლილება და მის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სათათბიროს „შრომის ჯგუფის“ დეპუტატი კერენსკი, რომელიც იქამდისაც მთავრობის წევრად ითვლებოდა.

ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში. კერენსკის მთავრობა ძლიერ დიდ გასაჭირს განიცდიდა. მან ვერ მისცა რუსეთს ზავი, რაიც იმ დროს მისთვის აუცილებელი გამხდარიყო. დროებითმა მთავრობამ ვერ შესძლო ვერც სასურსათო კრიზისის შენელება, რომელიც დღითიდღე მწვავედებოდა. ამის გამო ხალხში უკმაყოფილება იზრდებოდა. მემარცხენე პარტიები, კერძოდ ბოლშევიკები თანდათან დიდს გავლენას პოულობდნენ ხალხსა და განსაკუთრებით ჯარში. ბოლშევიკების მეთაური ლენინი (ულიანოვი) მოითხოვდა რევოლუციონური ძალებისაგან ბურჟუაზიასთან ყოველგვარი შეთანხმებისა და კავშირის შეწყვეტას, გერმანიასთან ზავის ჩამოგდებას და ძალაუფლების მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადასვლას. ბოლშევიკები, რომელთაც შემდეგში თავის პარტიას კომუნისტური პარტია უწოდეს—ძლიერის ენერგიით დაეტაკნენ დროებითს მთავრობას, რუსეთში დაწყებული რევოლუციამ, ამტკიცებდა ლენინი, უეჭველად სოციალისტური ხასიათისა იქნება. ამიტომ დროებითი მთავრობა, რომელიც სცდილობს ორი შეურიგებელი კლასის—პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შეთანხმებას—უნდა დაესკეთო. ამასთანავე ბოლშევიკები ჯარში დიდს აგიტაციას ეწეოდნენ ომის წინააღმდეგ. ისინი ურჩევდნენ ჯარისკაცებს მტერთან დაძმობილებას და ბრძოლის ველის მიტოვებას, ვინაიდან ეს ომი იმპერიალისტურიაო.

ბოლშევიკები იარაღით კერენსკის წინააღმდეგ პირველად 1917 წლის ივლისში გამოვიდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. იმავე წლის ოქტომბერში ბოლშევიკებმა ხელმეორედ სცადეს კერენსკის მთავრობის ჩამოგდება და მიზანსაც მიაღწიეს. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში საბჭოთა წესწყობილება დამყარდა. იგი მიზნად

ისახავდა თავისი ძალაუფლების გამოყენებას სოციალისტური რეფორმების განსახორციელებლად.

რევოლუცია და საქართველო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოშიაც მყისვე რევოლუციონური ხელისუფლება დამყარდა. მეფის ნაცვლად მყოფი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მალე ტფილისიდან წავიდა. რამდენსამე, ხნის განმავლობაში ჩვენს მხარეს გამგებლობდა ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, სადაც უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები შეადგენდნენ. ამასობაში დროებითმა მთავრობამ ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობისათვის დანიშნა ხუთი კაცისაგან შემდგარი „ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“. ხსენებულ კომიტეტში ორი ქართველიც იყო: სათათბიროს წევრი სოც.-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი და სოც.-ფედერალისტი კიტა (ივანე) აბაშიძე. მას შემდეგ, რაც დაარსდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრი—ზემოხსენებული „განსაკუთრებული კომიტეტი“ თანდათან ჰკარგავდა ყოველგვარ გავლენას და მალე მთელი ძალა-უფლება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საამიერ-კავკასიო ცენტრის ხელში მოგროვდა.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერ-კავკასია არ დაემორჩილა მას და მაშინ დაარსდა ამიერ-კავკასიის კომისარიატი მთავრობის უფლებით. 1918 წლის დამდეგს მოწვეულ იქმნა ამიერ-კავკასიის სეიმი. ხოლო 9 აპრილს გამოცხადდა ა.-კ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ოსმალეთთან წარმოებული ომის დროს სეიმი დაირღვა და ამიერ-კავკასიის ერთობაც ჩაიშალა. 1918 წლის მაისის 26 მან გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან ამ ერთა შორის, რომელთაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეჰქმნეს—აღმოჩნდა წინაშენელოვანი უთანხმოება ომისა და ზავის საკითხში, ვინაიდან ამის გამო შეუძლებელი გახდა ამიერ-კავკასიის სახელით მოლაპარაკე ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსვლა—სეიმი აღიარებს ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლას და თავის მინდობილებებს გაბათილებულად აცხადებს“.

იმავე დღეს, 26 მაისს, საქართველომ თავისი სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამნაირად წარმოიშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე აზერბეიჯანმა და სომხეთმა.

1921 წლის თებერვალს მოხდა საქართველოს გასაბჭოება და ახლა იგი იწოდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

უმაჯრესი წყაროები

1. „ქართლის ცხოვრება“ ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.—1897—99 წ.
2. „საქართველოს ცხოვრება“ (ს. ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის და სხვ.)—ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა 1913 წ.
3. ვახუშტი. საქართველოს ისტორია—განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილი არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. 1885 წ.
4. ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია—მ. ჯანაშვილის რედაქციით —1904 წ.
5. დიმიტრი ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე)—1889 წ.
6. მ. ბროსე. საქართველოს ისტორია—I და II წიგნი—ლოლობერიძის თარგმანი—1895—1900 წ.წ.
7. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია—I, II და IV წიგნი. 1913, 1914—1924 წ. წ.
8. მისივე. ქართული სამართლის ისტორია. 1919 წ.
9. მისივე. საქართველოს ეკონომიური ისტორია—1907 წ.
10. მისივე. საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია. 1905 წ.
11. მისივე. ისტორიის მიზნები, წყაროები და მეთოდები წინა დ. ეხლა—I წ. 1916 წ.
12. მისივე. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПб. 1906 г.
13. მისივე. Государственный строй древней Грузии и древней Армении—1905 წ.
14. მისივე. საქართველოს და რუსეთის დაშოკიდებულება მე-18 საუკუნეში.
15. მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია—ტ. I—1906 წ.
16. ალ. ჭყონია. ისტორიული ნარკვევი—1890 წ.
17. ალ. ჯანაშვილი. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე—1911 წ.
18. ს. გორგაძე. საქართველოს ძველი ისტორია—1920 წ.
19. ს. კაკაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია—ახალი საუკუნეების ეპოქა—1920 წ.

20. ს. კაკაბაძე. საქართველო ერეკლე II-ის დროს (ისტორიული მონოგრაფია). „შვიდი მნათობი“—№ 2—1919 წ.
21. არქანჯელო ლამბერტი—სამეგრელოს აღწერა—თარგმ. ალექს. კუონიასი—1901 წ.
22. ალ. ფრონელი. ამბოხება კახეთისა—1907 წ.
23. მისივე. მთიულეთი.
24. Мих. Хелтуплишвили. Вступление Грузии в состав Российской Империи—1901 г.
25. З. Авалов. Присоединение Грузии к России. 1901 г.
26. Акад. Б. Тураев. Классический Восток. изд. 1924 г.
27. К. Ган. Древние известия Греческих и Римских писателей о Кавказе.
28. Тацит. Летопись. Перев. Ал. Броненберга М. 1858 г.
29. Путешествие Кавалера Шардена по Закавказью в 1672—1673 г. г. Пер. Д. Носовича и Д. Хутовой „Кавказский Вестник“-ის დამატება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3

შესავალი (5—12).

საქართველოს ისტორიის წყაროები (5). კავკასიის თავდაპირველი მკვიდრნი არიან თუ არა ქართველები (8). იაფეტური თეორია და ქართული ენა (9). საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა (10).

უძველესი ხანა (13—17).

იაფეტელთა სახელმწიფონი (13). არიელთა შემოსევა (16). ქართველების დაბინავება საქართველოში (17).

მე-IV საუკუნიდან ქრისტიანობის მიღებამდე (18—30).

ქართველი ტომები მე-IV საუკუნეში (18). კოლხეთი და იბერია (19). იბერიისა და კოლხეთის დამორჩილება რომაელთა მიერ (20). რომაელთა ბატონობის ხასიათი (21). იბერიის მეფენი მიტრიდატ I და ფარსმან I (21). მიტრიდატ II (23). ფარსმან II (23). კოლხეთი და იბერია მე-III საუკუნეში (24). გვაროვნული წყობილება (25). ძველი დროის ქართველთა მეურნეობა (26). სარწმუნოება და კულტურა (28). ქართველი ტომების ზნე-ჩვეულებანი (29).

ქრისტიანობის მიღებიდან არაბთა შემოსევამდე (30—44).

ქართველთა მოქცევა (30). ქრისტიანობის მიღებიდან ვახტანგ გორგასლანამდე (32). ვახტანგ გორგასლანი (33). მეფობის გაუქმება იბერიაში (36). ლაზიკის მდგომარეობა (37). არეულობა ლაზიკაში (38). იმპ. ჰერაკლეს ბრძოლა სპარსეთთან (40). საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ვითარება ძველი ხანის დასასრულს (40). სარწმუნოება და კულტურა (43).

არაბთა ბატონობა საქართველოში. ფეოდალიზმი (45—55).

არაბები და მაჰმადი (45). არაბების მიერ იბერიის დაპყრობა (47). არაბების გალაშქრება დასავლეთ საქართველოზე (48). ერისთავნი ჯუანშერ, ნერსე და სტეფანოზ (49). არაბთა პოლიტიკის შეცვლა (50). არაბთა ბატონობის შედეგები (51). საქართველოს ეკლესია (52). ფეოდალური წყობილება და მისი განმტკიცება (53).

ბრძოლა გაერთიანებისათვის (55—65)

აუხანეთის სამეფო (55). აღმოსავლეთი საქართველო (56). ბაგრატ აშოტის ძე და ბლა თურქის შემოსევა (58). ქართლის დამორჩილება გიორგი I-ის მიერ (59). დავით კუროპალატი (60). საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება მე-9—10 საუკუნეებში (62).

ფეოდალური მონარქიის ხანა (65—78).

მონარქიის წარმოშობა (65). ბაგრატ III (66). გიორგი I (68). ბაგრატ IV და ბრძოლა ბიზანტიასთან (69). ბაგრატის ბრძოლა არაბებთან (70). ლიპარიტ ორბელიანის განდგომა (72). თურქ-სელჩუკები (72). გიორგი მე-II (74). საზოგადოებრივი წყობილება და სწავლა-განათლება გაერთიანებულ საქართველოში (75).

ფეოდალური მონარქიის ძლიერებისა და საქართველოს აყვავების ხანა (78—106).

ფეოდალური მონარქიის განმტკიცება (78). დავით აღმაშენებელი (79). ცვლილებანი შინაურ ცხოვრებისათვის (80). მუღმივი ჯარის შედგენა (82). დავით აღმაშენებელის საგარეო პოლიტიკა (83). დავით აღმაშენებელიდან თამარ მეფემდე (85). თამარ მეფე (87). ღარბაზი (88). გიორგი რუსთან ბრძოლა (89). შამქორის ომი (91). ტრაპიზონის იმპერია (92). კარის აღება და ომი რუქნადინთან (93). არღებელსა და სპარსეთზე ლაშქრობა (94). თამარის მეფობის დასასრული (95).

წესწყობილება და კულტურა ძლიერებისა და აყვავების ხანაში (96—106).

სახელმწიფოებრივი ძლიერება (96). საზოგადოებრივი წესწყობილება (97). სწავლა-განათლება და მწერლობა (99). „ვეფხისტყაოსანი“ (100). ოქროს ხანის საფილოსოფიო თხზულებანი (105).

მონგოლთა შემოსევა და ფეოდალური მონარქიის დაშლა (107—118).

მონგოლები (107). მონგოლების მიერ საქართველოს დაპყრობა (108). დავით გიორგის ძის მონგოლებისადმი ურჩობა (111). დიმიტრი თავდადებული (112). გიორგი ბრწყინვალე (112). ბაგრატ მე-V, გიორგი მე-VII და თემურ-ლანგი (115). თურქ-ოსმალები (117). ალექსანდრე I (117).

საქართველო ახალ საუკუნეთა პირველ პერიოდში (119—140).

საქართველო ახალ საუკუნეთა დამდეგს (119). საქართველოს სამეფონი (121). კონსტანტინე მეფის მოღვაწეობა (122). ოსმა-

ლეთისა და სპარსეთის მიერ საქართველოს განაწილება (124).
 ლუარსაბ I (124). სიმონ I (125). ლუარსაბ II და თეიმურაზ I
 (127). შაჰ-აბასის პირველი შემოსევა (129). შაჰ-აბასის მეორე
 შემოსევა (130). გიორგი სააკაძე (131). სააკაძე სპარსეთს
 ებრძვის (133). სააკაძის ოსმალებს გაქცევა (132). თეიმურაზ I
 ქართლ-კახეთის ტახტზე (134). როსტომ I (135). თეიმურაზის
 განდევნა კახეთიდან (136). ვახტანგ V—შაჰნავაზ (137). არეუ-
 ლობის ხანა ქართლ-კახეთში (139).

დასავლეთ-საქართველოს მდგომარეობა მე-15—17 საკ. (140—151).
 დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს) დანაწილება
 (140). ლევან დადიანი (142). არეულობის ხანა იმერეთში (144).
 შარდენის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ (146).

სამუსულმანო საქართველო (148—151).

სამცხე-საათაბაგო (148). სამცხეში მუსულმანობის გავრცელე-
 ბა (150).

საქართველოს ხაზოგადო ვითარება მე-15—17 საუკ. (152—159).

დაკნინების საერთო მიზეზები (152). სამეფოების ფინანსიური
 მდგომარეობა (154). სამხედრო საქმე (155). შარდენის ცნობე-
 ბები აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ (156). განათლება და
 კულტურა (157).

საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში (160—166).

საქართველოს პოლიტიკური ვითარება ამ ხანებში (160). ვახ-
 ტანგ სჯულმდებელი (161). ოსმალთა ბატონობა აღმოსავლეთ
 საქართველოში (163). თეიმურაზ და ოსმალნი (164). სპარსელ-
 ნი ქართლში (164). პატარა-კახი ნადირ-შაჰთან (165). არეუ-
 ლობა იმერეთში (166).

საქართველოს მოღონიერება და რუსეთთან დაახლოება (167—178)

სპარსელთა წინააღმდეგ ამბოხებანი ქართლში (167), თეიმურა-
 ზის კურთხევის მნიშვნელობა (168). ქართლის გაძლიერება
 (169). საქართველო სპარსეთის საქმეებში ერევა (169). ქართლ-
 კახეთის შეერთება (170). ერეკლე მე-II (170). ერეკლეს საში-
 ნაო პოლიტიკა (171). ერეკლეს საგარეო პოლიტიკა (173).
 სოლომონ I, მეფე იმერეთისა (175). სოლომონის მიმართვა
 რუსეთისადმი (176). ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება (177).
 იმერეთის გაძლიერება (178).

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და რუსეთთან შეერთება
 (179—193).

მფარველობის ძებნის მიზეზები (179). რუსეთ-საქართველოს

ხელშეკრულება და მისი შედეგები (180). საქართველოს გაერთიანების ცდა (183). ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა (184). გიორგი მე-III (186). რუსეთის თვითმპყრობელობა ქართლ-კახეთის დაპყრობას ჰფიქრობს (187). ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობა (188). რუსეთის მომხრენი და მოწინააღმდეგენი (190). მე-18 ს. დამლევის ვითარების მოკლე მიმოხილვა (191).

რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრება კავკასიაში (194—199). აღმოსავლეთ-საქართველოს მდგომარეობა (194). იმერეთის ვითარება (195). იმერეთის ბრძოლა სამეფოს დამოუკიდებლობისათვის (195). საქართველოს სამთავროების მოსპობა (197). მთიელთა დამორჩილება (198).


საქართველო თვითმპყრობელობის ხელში (199—220).

თვითმპყრობელობისადმი უკმაყოფილება (199). მთიულეთის ამბოხება (200). ამბოხება კახეთში (201). გარუსების პოლიტიკა და ამბოხება იმერეთში (202). ჯავახეთ-სამცხის შემოერთება (203). საქართველოს ვითარება ოციან წლებში (203). 1832 წლის შეთქმულება (204). ვორონცოვის მმართველობა (205). ბატონ-ყმობა საქართველოში და მისი გაუქმება (206). ეროვნულ-კულტურული აღორძინება (209). სამუსულმანო საქართველოს შემოერთება (211). ოთხმოციანი წლები და გარუსების პოლიტიკის გაძლიერება (212). თვითმპყრობელობის ზრახვები სამეგრელოს შესახებ (213). მუშათა მოძრაობის დასაწყისი ჩვენში. მარქსიზმის გავრცელება (214). საქართველო მე-20 საუკუნის დამდეგს (217). 1905 წლის რევოლიუცია (218). 1905 წლიდან 1917 წლამდე (220). მსოფლიოს ომი და რევოლიუცია რუსეთში (221). ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში (218). რევოლიუცია და საქართველო (224).

უმთავრესი წყაროები (225).

მთავარ უმცლრგათა გასწორება.

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
13	1	უძველეს	უძველესი
14	5	წარმომდგენდენ	წარმოადგენდენ
14	14	ბაბილიონელთა	ბაბილონელთა
14	23	აღლა	მაღლა
15	9	იტანთა	მიტანთა
15	13	იაფუთელთა	იაფეტელთა
15	24	იაფუთელ	იაფეტელ
15	34	აირი	ნაირი
16	16	დაბყრობილ	დაბყრობილ
19	9	კოლეთი	კოლხეთი
19	17	მაგრა	მაგრამ
22	9	ქ. წ.	ქ. შ.
23	7	ქ. წ.	ქ. შ.
27	23	ქვეყნებშიაც	ქვეყნებშიაც
32	1	რომ თანაც	რომთანაც
32	36	რომ თან	რომთან
39	27	იონე	იოანე
40	35	საქმრველო	საქართველო
42	31	ხელის	სელის
43	11	სიკვდილით	სიკვდილით.
43	20	დიოფიზიტობა	დიოფიზიტობა
45	26	დაარსეს	დააარსეს
46	21	ეხ	ეს
49	16	ტფილილელს	ტფილელს
53	24	რომელსამე	რომელსამე
55	4	მისცან	მისცა



ამოღებულია ვახუშტის გეოგრაფიიდან (მ. ჯანაშვილის გამ.)

ფასი 2 მ. 50 კ.

თოგა რიკვანაიას გამოცემა:

(მთავარი საწყობი: სახელგამის წიგნის მაღაზია).

1. პროფ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, საერო-მწელობა XI—XVIII საუკ. ფ: 10 მ.
2. კ. კაპანელი. სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ფ. 2 მ. 80 კ.
3. დ. კასრაძე. თეატრი (ოთხი პიესის კრებული). ფ. 2 მ.
4. თ. ბეგიაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწილი I^ა სახელმძღვანელო. ფ. 1 მ. 60 კ.
5. პოლ. კაკაბაძე. ლისაბონის ტუსალები (პიესა). ფ. 1 მ.
6. კ. ჭიჭინაძე. ალიტერატია ქართულ შაირში და ვეფხის ტყაოსანი. ფ. 1 მ. 20 კ.
7. დ. ჭიაჩელი. ჭინკა ბიჭი (ოთხი საბავშვო მოთხრობა). ფ. 5 მ. კ.
- 8) ქრ. რაჭველიშვილი. ქართველი ერის ისტორია (უძველეს დროიდან 1917 წლამდე). 2 მ. 50 კ.

ი ბ ე ჯ დ ე ბ ა

9. К. Капанели. История груз. литературы в связи с общественным развитием в 2 т. ц. 7 р. 50 к.
10. კ. კაპანელი. ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად. ფ. 7 50 კ.
11. სეით დევდარიანი. ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორია. 2 ტომად.
12. ლ. მელიქსედზეგი. საქართველოში არსებული უძველესი შებენი-ლითური ხუროთმოძღვრების ნაშთები.
13. ვ. ბარნოვი. ბედის ვარსკვლავი.
14. პროფ. იუსტინე აბულაძე. რუსულ ქართული ლექსიკონი, 2 ტომად. ფ. 7 მ.
15. პროფ. იუსტინე აბულაძე. ქართულ რუსული ლექსიკონი, ორ ტომად. 7 მ.
16. დ. კასრაძე. როსკიპი (სცენარი რომანიდან „როსკიპი“).